

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

15 სექტემბერი 2006

№19



ინტელექტუალეთი  
ქება სიზარმაცისა  
ბენედეტის ნოველა  
არაბული დეტექტივი  
ოთარ ჩხეიძის ნოველა  
პასტერნაკის სიყვარული  
გრიგოლ რობაქიძის საბედისწერო ნარკვევი

**შინაარსი**

<b>პრეფასი</b>	<b>2</b>	<b>ყველაზე პოპულარული პალეატრისტის კახანა ბრძაძე</b>
<b>პრი და პეინინგა</b>	<b>3</b>	<b>გრიგოლ რობაქიძე მუსოლინი</b>
<b>პროზა</b>	<b>12</b>	<b>ოთარ ჩხეიძე ბამბალი</b>
<b>პირველი შთაბეჭდილება</b>	<b>16</b>	<b>ივანე ამირხანაშვილი რომორც ყოველთვის, რომორც დღეს...</b>
<b>პოეტის ერთი ლექსი</b>	<b>17</b>	<b>გივი ალხაზიშვილი ინტელექტუალური</b>
<b>პოეზია</b>	<b>18</b>	<b>ირაკლი კაკაბაძე თოვლის დასიზმრება და სხვა ლექსები</b>
<b>პირველი შთაბეჭდილება</b>	<b>23</b>	<b>მაია ჯალიაშვილი პოეტური პალიმფსენსტაბი</b>
<b>მომგონებათა სივრცე</b>	<b>25</b>	<b>მედია აბაშელი ჩემი ცხოვრება, სულ ერთ საღამოს დასაკითხი</b>
<b>ფილოზოფია</b>	<b>34</b>	<b>... არც ხელისგულივითაა გაშლილი</b> (ნინო დეკანოიძეს ესაუბრება პაატა ჩხეიძე)
<b>გამოსაუკრება</b>	<b>37</b>	<b>დავით პაიჭაძე პოეზიისა და ესეისტიკის ზღვარზე</b>
<b>ელევა და ლოგოზა</b>	<b>39</b>	<b>შორენა ლებანიძე თერთმეტი სატრფიალო ეპისტოლე</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>41</b>	<b>დარღვეული სამანი</b> (რუსუდან ნიშნიანიძის ორნიგნეული)
<b>კრიტიკა</b>	<b>45</b>	<b>გიორგი გამსახურდია უბატონო შვილი</b>
<b>დაუინყარი სხელები</b>	<b>48</b>	<b>მაია დე გრაფი ნადარეიშვილი CANTO ERGO SUM</b>
<b>გამოთხოვება</b>	<b>50</b>	<b>„ნაჯიზ მაკვუზი სინათლეში მიღის“</b>
<b>უსოური ნოველა</b>	<b>51</b>	<b>მარიო ბენედეტი ბამოუსნორებალი შეცდომა</b>
<b>ახალი თარგმანები</b>	<b>56</b>	<b>ზაქარია თამირი მინიატურები</b>
<b>ნაქვესები</b>	<b>61</b>	<b>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>ვინც ეწვევა საქართველოს...</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაზოში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
საჯარო-საბეჭდო, თბილისი, საჯარო-საბეჭდო 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ესეც ამერიკა

ოლგა ივინსკაია

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 29 სექტემბერს**

# ყველაზე პოპულარული ბელეტრისტის ქმნა ბრძელბა

გვეგონა, რომ აკაკი წერეთლის ეპოქის ყველაზე პოპულარულ პოეტად გრიგოლ აბაშიძის გამოცხადება კიდევ უფრო შეაფიქრებდა ჩვენს მკითხველს და ან აღარ მიიღებდნენ მონაწილეობას კონსტანტინე გამსახურდიას ეპოქის ყველაზე პოპულარული ბელეტრისტის ქმნაში – რა აზრი აქვს, მაინც სულ სხვა აღმოჩნდება, ნაკლებ ცნობილი ან სულაც უცნობი, და თავი რაღად ვიმტვირითო – ანდა თავიანთ ვარაუდს რომ შემოგვთავაზებდნენ, აუცილებლად დასძენდნენ: სინამდვილეში კი, ვინ იცის, ვინ აღმოჩნდესო.

გალაკტიონ ტაბიძის ეპოქის ყველაზე პოპულარულ პოეტად გიგო ხერუაშვილის ამოტივტივებამ რაც გამოინვიო.

სენსაციური გამოდგა ის პირველი შედეგი.

არანაკლებ სენსაციური – ეს მეორე.

და, წესით, უფრო უნდა განწყობილიყო წიგნიერი საზოგადოება ახალი სენსაციისათვის, ეტყობა, აქ რაღაც ისეთი კანონზომიერებაა, უამისოდ ვერ გადავრჩებით და შეჩვეული სახელები – აღმატებულნი თუ კიდევ უფრო აღმატებულნი – სადღაც გვერდით რჩებიან, როდესაც ამა თუ იმ ეპოქის ლიტერატურული სულისკვეთების, მისი გარეგნული მხარისა და შიდადინებების აღდგენას ვინწყებთ.

პირიქით კი მოხდა.

მეორე სენსაციამ კი არ დააფრთხო, უფრო ჩართო ამ ახალ ძიებაში, თანაც უცნობი სახელის ამოტივტივებას აღარც მოეღიან. როგორც ჩანს, ასე ირწმუნეს: სენსაციები ამოიწურა და რაღაც განსაკუთრებული ჩხრეკა სულაც არა გეჭირდება გონების კუნჭულებში ან მემუარული ჩანაწერების თვალსაზრისით, რაც თვალსაჩინოა და ისედაც ყველას მოეხსენება, ის იქნება გამოსარკვევით.

ამიტომაც აღარავინ მოგვწერა და ტელეფონითაც აღარ გამოუჩინათ სიფრთხილე: ჩვენ კი ეს გვეგონია, მაგრამ არც უცნობი სახელის ამოკაშკაშება გავაკვირვებთ.

შემოთავაზების კილო მტკიცე გახლდათ.

და ჯერჯერობით თვითონ კონსტანტინე გამსახურდია ლამის სიის სათავეში აღმოჩნდებოდა, ლამის იმიტომ, რომ ორი, ორად ორი ხმით უსწრებს მიხეილ ჯავახიშვილი. ერთს 568 მკითხველი უჭერს მხარს.

მეორეს – 566.

ამ ყაიდის გამოკითხვებისას – ვიდრე საბოლოოდ მოთავდებოდეს – ორი ხმა კი არა, ოცი და ოცდაათიც არაფერს ნიშნავს, ბევრად მეტიც... როგორ შეიცვლება სურათი, დაბეჯითებით ვერ ივარაუდებ, ასე რომ, არამცთუ ამ ორი მწერლის დაუსწრებელი „დავაა“ გადასანწყვეტი, არამედ სავესებით შესაძლებელია, რომ სიის სათავეში მოგვევლინოს:

ნოდარ დუმბაძე – 533.

დავით კლდიაშვილი – 521.

გრიგოლ რობაქიძე – 519.

ოთარ ჩხეიძე – 512.

ლევან გოთუა – 498.

გრიგოლ აბაშიძე – 469.

ის კი არა, ვინ იცის, გურამ რჩეულიშვილმაც ნააჭარბოს ყველას, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ მოპოვებული ხმები ჯერ მხოლოდ 200-ს ქვემოთაა.

არაერთი მკითხველის თვალსაზრისით, ჭაბუა ამირეჯიბისა და ოთარ ჭილაძის (განსაკუთრებით მაინც ამირეჯიბის) პოპულარობა არაფრით ჩამოუვარდებოდა არც კონსტანტინე გამსახურდიას, არც მიხეილ ჯავახიშვილისა და არც ნოდარ დუმბაძის პოპულარობას და იქნებ სწორედ ამ ხუთეულს შორის გამორკვეულიყო გამარჯვებული, მაგრამ ქრონოლოგიას რომ უკვირდებოდა, მიაჩნიათ, რომ თუმცა „დათა თუთაშხია“ და „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა, მათმა ავტორებმა თავიანთი პოპულარობის ზენიტს ცოტა უფრო გვიან – 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იან წლებში – მიაღწიეს, ასე რომ, კონსტანტინე გამსახურდიას ეპოქის ჩარჩოებში მათი დანინაურება ყველაზე პოპულარულებად ვერ მოხერხდება. მაინც არაერთი მხარდამჭერი გამოუჩნდათ, მაგრამ 150 ხმას ვერცკერთმა ვერ გადააჭარბა.

დაახლოებით ამ ნიშნულთან აღმოჩნდა... შიო გვეტაძეც, თავისი „მონანიებით“, რაც ჩვენს პირობით ჩამონათვალში მოხსენიებული არა ყოფილა, მაგრამ მკითხველთა ერთმა ნაწილმა მიიჩნია, რომ მისი გამოტოვება არ შეიძლებოდა, თუკი ყველაზე პოპულარულ მწერალს ვეძიებდით. ამ დეტექტიურ თხზულებასაც ჰქონდა ისეთი წარმატების ჟამი, როდესაც რიგში დგებოდნენ მის ნასაკითხად. ეგაა, მაშინ ასეთ გამოცემებს ბესტსელერად არავინ იხსენიებდა და, ცხადია, არც სოციოლოგიური გამოკითხვა იმართებოდა წლის საუკეთესო ბესტსელერთა გამოსავლენად.

... კიდევ ორი კვირა და კონსტანტინე გამსახურდიას ეპოქის ყველაზე პოპულარული მწერლის გვარ-სახელიც გვეცოდინება.

## მინაწერის მაგიერ

ჟურნალი უკვე გამზადებული იყო დასაბეჭდად, როდესაც რედაქციაში მივიღეთ ნოდარ აფხაძის მცირე ბარათი. ჯერ გადავწყვიტეთ, რომ აქვე დაგვეერთო, მაგრამ შემდეგ ვამჯობინეთ მისი გამოქვეყნება მომდევნო ნომერში, როდესაც გავამჟღავნებთ ყველაზე პოპულარული ბელეტრისტის ვინაობას. ალბათ მიხვდით, რომ ბარათის ავტორი სწორ გზას დაადგა და იქნებ არც გადაგვედო მისი გამომზეურება – ბოლოსდაბოლოს, რამდენი ცნობა მოგანოდეთ ეპისტოლურ თუ სატელეფონო გამოხმაურებათა სერიიდან – იქვე მითითებულიც რომ არ იყოს ის წყარო, რომელიც ადასტურებს ამ ვარაუდის სანდოობას.

გრიგოლ რობაქიძე

# მუსოლინი<sup>1</sup>

\*

მზიურნიშნაული

დედა იტალია

აი, უკვე რამდენიმე დღეა ამ ადგილებში საშინელი ქარი ქრის, ფონეტიკურად ესოდენ შთამბეჭდავი სახელი რო შეურქმევიათ: სიროკო.<sup>2</sup> სქელი ჟანგისფერი ნისლი, – საჰარის გავარვარებული ხახის ეს ბედოვლათი პირ-მშო, ნელ-ნელა ედება კუნძულის შიშველი ქარაფების ოკრო-ბოკრო კალთებს. ნესტიან ჰაერში ნისლი ძვირფასი, წარმავალი კოსმიური მტვერივით ეფინება მიდამოს და შეიძლებოდა მისთვის მზის უსახური ნაყოფიც გვე-ნოდებინა. აქ ყოველი სულდგმული უთანაზიარო მოუს-ვენრობას შეუპყრია. ცხოველები ჯიქურ ჩერდებიან ად-გილზე, მერე კი, თითქოს მუქარით იზმოვებიან და ამ-თქნარებენ: მათი ყნოსვა აშკარად აწყდება რაღაცას, რაც ამ ყნოსვას, თავის მხრივ, მუქარას უთვლის. თვით ფოთლებიც კი ოცნებებში ჩაძირულან და ისე უჩვეუ-ლოდ თრთიან, თითქოს ზედ მჟავა მოუპყურებიან და ჩანასახშივე ჩაუკლავთო. დაბნეული ადამიანები ერთმა-ნეთს ნაზად შეპყურებენ და ყოველი მზერა მეორე ადა-მიანის მზერაში შიშით აირეკლება. უსახური ჩანს თ ა უ რ ს ა მ ყ ა რ ო ს ცინცხალი სხივისგან განძარ-ცული კუნძული. ქარი სუნთქვას აძნელებს.

სევდა მიპყრობს და ვგრძნობ, როგორ დამძიმებული მაქვს გული.

ბატონი ფონ რიბენტროპი სიხარულს ასხივებს, ოღონდ ეს სხივი ბელადის შინაგანი ნათელიდან გამოკ-რთის. დიახ, მისი სახე ძლივს შესამჩნევად, იდუმალად აირეკლება იმ ადამიანის მზერაში, რომელსაც იგი ამ წუ-თას ესაუბრება. მას ხშირად ნახავთ ახალგაზრდა გოგო-ბიჭების გარემოში; და ამ

დროს ეს აღფრთოვანებული სახეები ბელადის სინათლის სხივითაა გაცისკროვნებული. კვირის ქრონიკაში მას დრო და დრო ვადევნებ ხოლმე თვალს. ამ დროს იგი უფრო უშუალო და ნათელ შთაბეჭდი-ლებას ახდენს. გენერალ ფელ-დმარშალ გიორინგის ქორნი-ლის ამსახველ ფილმში ბელა-დის თითქმის სიმბოლური სა-ხეა ნაჩვენები. აქ იგრძნობა მი-სი სიხლოვე ყველასთან, გან-საკუთრებით კი მოზვიმე სა-ქორნიო ნყვილთან, და მაინც:

ამ დროს ის თითქოს სადღაც შორს იმყოფება და ყველა-სათვის მიუწვდომელია. ისე-თი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ზეიმზე ვილაც გა-დამთიელი გამოჩნდა, მაგრამ უმალ ყველასთვის ახლობე-ლი გახდაო. თანამებრძოლე-ბი და მეგობრები, მის გვერ-დით ამ „სიშორეს“ ალბათ უფრო ცხადად შეიგრძნო-ბენ. ნება მიბოძეთ, აქ ჩემი პირადი განცდა გაგიზიაროთ და გითხრათ, რომ იგი ერ-თხელ იმგვარი შემოქმედები-თი სულიერების დონეზე შევიგრძენი, როდესაც წარმო-სახვა თითქმის რეალურს ესაზღვრება. აქვე გაგებდავ და ვიტყვი: ვერც ერთი მხატვარი ვერ შესძლებდა, მისი შინა-განი სამყაროს ამომწურავი პორტრეტი შეექმნა. შესაძ-ლოა, მავან მერჩუქურთმეს კიდევ სვდომოდა წილად ეს ბედნიერება, მაგრამ მაშინ ვერ ვიხილავდით მის მუქ-ლურჯ და მაინც ნათელ თვალებს, მისი არსების ხასიათს რომ მაღავენ. ამ თვალების მკაცრი მზერის წინაშე, ყვე-ლაფერი – არაჭეშმარიტი და ყალბი – რიდით უჩინარდებ-ბა და ქრება. კაცს თვალში ეცემა მისი განუმეორებელი მოძრაობებიც. აი, ის კიბეზე ჩამოდის, უეცრად მკვეთრად შედგება, თავს ზევით ასწევს, საგნებს მიღმა გახედავს სივრცეს, თითქოს რაღაც უჩვეულო დაინახა, და ახლა გუმანით ცდილობს მის შეცნობასო. მერე თავს დაბლა დახრის და ოდნავ მკაცრი სახითა და გრძელი, ღონიერი ნაბიჯებით თავდაჯერებით აგრძელებს გზას. სიარულის დროს ენერგიულად იქნევს გრძელ ხელებს და, ასე გგო-ნია, მის ნაბიჯებს ფრთაშესხმიაო. მისი ყოველი მოძრაო-ბა პლასტიკურად სრულყოფილია.



## იღუმალი ხაა

მის ყოველ გამოსვლაზე ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს ეს პირველად ხდებოდა. ათასობით ადამიანი მას-

თან უშუალოდ ლამობს შეხ-ვედრას, მილიონები მოუთ-მენლად ელიან მისი ხმის გა-გონებას რადიოში. ბობოქარი ტალღები ალტაცებით აწყდებ-ბა ერთმანეთს, და ადამიანი ტანით გრძნობს: ის მოდის, აი, უკვე გიახლოვდება. ყოველი ბგერის წარმოთქმისას, მომ-ლოდინე ხალხი ისე თრთის, ვ ი თ ა რ ფესვები სინათლის დაბადებისას. აქ აღარ არსე-ბობენ ცალკეული ადამიანე-ბი: „ყოველი მხარი ძმავ, ყოვე-ლი მზერა კი – დაი“ („გრავა-ლის მცველნი“). ტალღებით

სამშაბათს, 19 სექტემბერს  
 ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
 დარბაზში გაიმართება  
**როსტომ ჩხეიძე**  
 ნაიკითხავს  
 სატირულ-იუმორისტულ ესეის  
**„ასაც ჩვენი მეოცე საუკუნე“**  
 დასაწყისი 14 საათზე  
 ჩუბინაშვილის №41

ზეცაყორცნილი მსმენელი ბედნიერად დაფარფატებს სივრცეში.

ჰომეროსის ჩრდილის თანხლებით შევედივარ მღვიმეში. ძღვეამოსილი კლდის ნაპრალებიდან ამომართულ ნიშას მღვიმე ერთ მთლიან დახურულ, მფშენავ სივრცედ უქცევია. ტალანის უკანა კედელზე მიჯრილი, ნახევარწრიული სცენაა. მის შუაგულში: სოლისებური ფორმის ჩაღრმავება. ერთ-ერთ პატარა ღრმულში წვიმის დროს წყლის წვრილი ჭავლი ჩანანწკარებს – ძალუმი წყაროს ორნატი უხსოვარი დროიდან. მღვიმეში ჯერაც ნახავთ ბათქაშში მყარად ჩამჯდარი ნიჟარებისა და მარჯნის ინკრუსტაციებს. ეს ადგილი პირველქმნილ სიჩუმეში გაქვავებულა, და კაცი მხოლოდ დაისის სიღრმიდან ამოსულ სუნთქვას გრძნობს, რომელიც მღვიმეს, – ამ მთვლემარე ნიჟარას, – საკუთარი სუნთქვასავით ჩუმიად ათრთოლებს. კურთხეულ სიჩუმეს ირგვლივ ზღვის შარი-შური ერთვის, ნელ-ნელა უდარდელად რომ უჩინარდება.

რამდენ ტელურულ<sup>3</sup> ქარიშხალს გამოვივლიდა კუნძული, ვიდრე მღვიმის ამჟამინდელი უზადო სახე შეიქმნებოდა! გასწენდება აქ ნაპოვნი უზარმაზარი ძუძუმწოვარა ცხოველის გაქვავებული კბილი: კაპრი ხომ უძველეს დროებაში ხმელეთს უერთდებოდა! მოგონებაში სხვა განძიც ამოტივტივდება: კაჟის ქვები და ქვის ნაჯახები, ობსიდიანისგან<sup>4</sup> დამზადებული სამუშაო იარაღის ნამსხვრევები. ასე გგონია, მღვიმეს ჯერ ისევ ასდისო ვულკანური გოგირდის სუნი.

თუ მნახველი ნიჟარის მღვიმის ზუზუნში ჩაიძირება, თავდაცვ ნელ-ნელა გაუჩინარებას დაიწყებს, მაგრამ ამ თვითგაუჩინარებაში შეძლებს შეიგრძნოს, საკუთარ სიღრმეში ჩაძირული უცნობი ძალა, უჩუმრად როგორ ამოიყრის მორჩებს. ამ დროს ადამიანს უჩვეულოდ გამახვილებული აქვს გრძნობები. შინაგანი მზერა იმ სხივად გადაიქცევა, საგნების სიბნელეს რომ განჭოლავს. მერე ეს მზერა ალბათ იმთაურხატებსაც იხილავს, ნაცარში გახვეული ნალვერდალივით რომ გაყურებულან.

ხალხი მღვიმეს „მატრომანიას“ ეძახის და „დედას“ გულისხმობს. სწავლულები კი მას „მითრომანიად“ მოიხსენიებენ და გულისხმობენ მითრას.<sup>5</sup> სწორედ აქ იქნა ნაპოვნი „ქვაშიშობილის“ ერთი ფიგურა. ეს სახელები ერთმანეთს არ გამოორიცხავს, დიდი დედა მშობელია მზის ძისა. დედამინა და მზე, როგორც არსებითობანი, ერთდროულ ურთიერთმოქმედებაში ყოველთვის წყვილად გამოჩნდება ხოლმე. მთავარია, კულტზე საუბრისას ამ ორიდან რომელს ეძლევა უპირატესობა: დედამინას თუ მზეს. ასე მგონია, *Magna Mater*<sup>7</sup>-ის მღვიმე ის კურთხეული ადგილია, სადაც მზეჭაბუკი მითრა იშვა.

სმენით მინდა ჩავწვდე მღვიმეს, ჩემი შინაგანი მზერა კი ამ დროს მთვარეულივით დაბორილობს. უხმაუროდ ინელება ოდნავ მოძრავი ტალღების სიმშვიდე. უეცრად ნაკადი ნიჟარად შეიკვრება და იქიდან ზემოიჭრება თვალისმოჭრელად მშვენიერი იგი ქალი: „ქაფშიშობილი“. ტალღები გზნებით მიაქანებენ მისი სხეულის მოქნილ ლეროს. უეცრად ყველაფერი დაურწყლულებელ მზერად იქცევა. დედამინის სუნთქვა ლოტოსის ყვავი-

ლებად გარდასახავს მშვენიერი ქალის მკერდს. ახლა მესმის: ძველ დროში სამსხვერპლო ფიალებიდან რატომ ასხამდნენ ქალწულებს მკერდზე ღვთიურ სასმელს; აბა, სხვაგვარად როგორ შესძლებენ მის შესმას! მერე კი „ქაფშიშობილი“ ქრება.

პოეტური სურათია, არა? დიახ, ესეცაა და უფრო მეტიც.

ის, მარადიული ქალი, – ისიდა,<sup>8</sup> კიბელე,<sup>9</sup> იშთარი,<sup>10</sup> – ყოველ ქალში ჰგოებს, დიახ, „ჰგოებს“, მაგრამ მაინც არა როგორც ცალკეული „მე“. ფიქრებში ჩაძირული მნახველის მზერაში იგი მხოლოდ დრო და დრო მიიღებს ხოლმე პიროვნულ ნიშნით აღბეჭდილ სახეს. წინილა ნისკარტით გამოამტვრევს ნაჭუჭს, და, მარადიული ბინდ-ბუნდიდან გამოსული, პირველად იხილავს დღის სინათლეს. კაცი იფიქრებდა, თუ წინილა სასწაულებრივად თავის ნაჭუჭში ისევ შეძრება, „ღამეულ მზეს“ იხილავსო. სწორედ ამის შესაგვანია ის მდგომარეობა, როდესაც მავანი მატერიალურ სურათში მისტიკურ რეალობას ხედავს. ასე ხედავდა ვლადიმირ სოლოვიოვი,<sup>11</sup> დიდი რუსი მოაზროვნე და ნათელმხილველი, უხილავ სოფიოს, ჯერ ეგეოსის არქიპელაგზე, მერე კი – პირამიდებს შორის, ეგვიპტეში.

ნიჟარის მღვიმის ზუზუნის ღრმად იჭრება ჩემს შინაგან სმენაში. ყურში ჩამესმის სიტყვები მაიას სამეფოს ტაძრის წარწერიდან: „შენ, ნაკადს გამოყოლილო ქვების ჩუმო შრილო, შენ, შარიშურო მოსრიალე ნიჟარებისა, და შენ, მოდგაფუნე ტალღავ, ნაპირს რკალად რომ ევლები: ნება მოგვეცით, თქვენი ხმა წმინდა წარწერის ხმას შევურწყათ, რადგან თქვენში იგივე ჭეშმარიტება და იგივე მოგონებაა“.

ყურში ჩამესმის ეს სიტყვები, „essence divine“-ს<sup>12</sup> ქობის პირველ ნაოჭს რომ ელამუნება, მერე კი მესმის, როგორ მოგორავენ ქვები, ზრიალებენ ნიჟარები და შრიალელებენ ტალღები; სიტყვები ისე ცვივა ჩემი მახსოვრების ნიაღში, რომ მიყოლებით შემიძლია მათი დათვლა: – ასე ჩაესმის ხოლმე კაცს ყურში ზარის რეკვის შემდეგ, მისი ცალკეული ხმის გამოძახილი. ეს ხმები წარღვნის შემდეგ ერთი ქვეყნის ჩაძირვას გვაუწყებს. ვიხსენებ, ტირენიცი ჩაიძირა; მღვიმეში ვერ ნახავთ წარწერას, მის ჩაძირვაზე რომ მიგვანიშნებდეს, და მაინც; აქ კაცი იმ დაუნერეულ წარწერას შეიგრძნობს, რომელიც მინის ყოველ გოჯზე მაცოცხლებელი ეთერივით განოლილია; იგივე ჭეშმარიტება, იგივე მოგონება. კუნძულის ტელურული ცვლილების შედეგი მარტივი არ ყოფილა: „მატრომანიის“ მღვიმის სახით შეიქმნა უფრო დიდი სიმბოლო: მზე აქ თავის მარადიულ დაბადებას ზეიმობს. იდუმალი ცოდნა იუნყება: სამყარო ერთხელ და სამუდამოდ არ შექმნილა, იგი მუდმივად განაგრძობს ქმნადობას. მისტერიებში ეს პროცესი ჩასახვის ტოლფარდია: მზე ანაყოფიერებს დედამინას. მზე ლოგოსია, დედამინა კი – მატერია. კრეტელი ადონისი, ეგვიპტელი ოსირისი, ბაბილონელი თამუზი, ხეთელი ატისი, ირანელი მითრა, ბერძენი დიონისე, მექსიკელი ქუეტცალკოუატლი<sup>13</sup> – ყველა ეს მზეჭაბუკი ასე იშვა. „სიყვარულისთვის გამართულ ბრძოლებში ლოგოსს დროდადრო ქანცი ეცლება და თავის მიზანს ვერ აღწევს. მისი თესლი ვერ აღწევს მატერი-

ის ნიაღვრე და ზედაპირზე რჩება. შემდგომ ამისა, მარად მოძრავ კოსმოსში გამოჩნდებიან ხოლმე ქუფური ნაწილაკები, ქაოსის ეს თითქოსდა შინაგან შემკვრის-ვე ბუნებრივ მთლიანობაზე, კოსმოსის მუცელ-სმონყვეტილი პირმშობები“ (მერეუკოვსკი). შინაგანი შემკვრის ქაოსის მინიერ პლაზმას – ყოველგვარ ქალისიერს ადამიანში – სიბრძნევედ, ამომძირკველ და განანადგურებელ თვისებად აქცევს. მერე დედაკაცი დაფლეთს მამაკაცს: მენადა<sup>14</sup> ამარცხებს და კლავს, ამორძალი ასაჭურისებს, ბახანტინი<sup>15</sup> კი გადასანსლავს მას (სხვათა შორის: განა ტექნიკური საუკუნის შესაბამისად, გრძობადი თვალსაზრისით, ჰოლივუდის ვამპირ-ვარსკვლავებიც მენადებს, ამორძალებს და ბახანტინებს არ გვანან?).

ამგვარ შინაგან შემკვრისებას მზე=დედამინის წყვილში ელემენტების არათანაბარი ურთიერთდაპირისპირება იწვევს. ახლა კი ყურადღება „მატრომანიას“ მივაპყროთ. აქ ორივე კომპონენტი ერთმანეთს უაღრესად ჰარმონიულად ერწყმის: მღვიმე თავის ნიაღვრეში მიიღებს ამომავალი მზის სხივების ნაკადს; ზღვის ტალღების შრიალი არწყლულებს თრობას. დედამინა შობს ჭაბუკს, რომელშიც მზე ისევ და ისევ განახლებული სახით მოგვევლინება.

არ ვიცი, როგორ გადის დრო. უეცრად ვგრძნობ: კუნძული ნელ-ნელა მოძრაობას იწყებს და გუმანით მიკვლეულ მოლოდინში თვლემიდან გამოერკვევა. ტალღა, ფოთოლი თუ ქვა საზორველ ნობათს ელოდება. მშვენიერია მზის ამოსვლა. ტალღები დიადი ფარაონის, მზით-კურთხეული ეხნატონის<sup>16</sup> სიტყვებს იმეორებენ ჩურჩულით:

**შენ ხარ მზრდელი ნაყოფისა ქალის ნიაღვრეში.  
შენვე აღვიძებ მამაკაცის თესლს,  
შენ აწვდი ჰაერს წინილს ნაჭუჭში,  
შენ აძლევ ძალას, გამოტეხოს მისი საფარი,  
ჯერ არშობილთა ძიძა ხარ და შენ კვებავ ყველას,  
სუნთქვას ჩაუდგამ, რათა სიცოცხლე შთაბერო  
პირმშოს,  
როდესაც იგი სულ დატოვებს ბნელეთის ნიაღვრეში.**

ახლა მეც გამომეღვიძა. ბედნიერი ვტოვებ „მატრომანიას“.

ზემოთ, ერთი წუთით ვყოფნდები ბუნების ხელით შექმნილ თალთან. ეს ჯადოსნური ჭოგრიტი საგნებს სიმბოლოებად გარდასახავს. ქარაფის თალში გავყურებ სივრცეში განოლილ, ჩუმად მოდგაფუნე ზღვას. მშვიდი ტალღების სილურჯე არამინიერად ბზინავს მოკაშკაშე მზის ნათელში. ზღვის ზედაპირის მწვანე ჩრდილში ამოტივტივდება ღვთისმშობლის მშვენიერი, კეთილშობილი სახის ოვალი, – ოქროსა და ეთერში გამოკვეთილი. მერე სახე უეცრად ქრება. ახლა უკვე ვიცი, მაინც და მაინც იტალიაში რატომ გადაიქცა ღვთისმშობელი უნივერსალურ სიმბოლოდ: მისი წარმართული თ ა უ რ ხ ა ტ ი, რომელსაც „მატრომანიის“ მღვიმეში სცემდნენ თაყვანს, თავის თავში არ მალავს „ქაოსის შინაგან შემკვრისებას“. ის ქვეყნის სინათლის გუშავია. მის წინ ყველა

სახლში მუდმივად ანთია ლამპარი. მას მრავალი სახელით მოიხსენიებენ, რადგან ღვთისმშობელი ყოველ ჯერზე ღვთიურად გარდასახული მოგვევლინება. მისგან მუდმივად ქმნიან სურათ-ხატს, რადგან მისი წყალობით ღვთიურად სრულქმნილი სახის დანახვას ცდილობენ. აბა, რა იქნებოდა რენესანსი მის გარეშე?! მას უამრავი სახე აქვს, რომელთაგან ფლორენციის ეროვნულ მუზეუმში მოთავსებული პატარა ბარელიეფი, – მიქელანჯელოს „La Vergine con Figlio“<sup>17</sup> – სასწაულებრივად გადმოგვცემს ღვთაებრივის დაბადებას მზის ნიაღვრეში. ალბათ ეს ერთადერთი ნაწარმოებია, რომლის სიახლოვეს ყოფნასაც ინატრებდა კაცი, ვიდრე თვალს სამუდამოდ დახუჭავდა და ამქვეყნიდან წავიდოდა.

უკან ვბრუნდები. ახლა ამ ქვეყანას შინაგანად უკეთ შევიგრძნობ, ვიდრე ოდესმე. ამ დროს ყურში ორი კურთხეული სიტყვა ჩამესმის: „დედა იტალია“, და ვფიქრობ კაცზე, რომელიც ჩვენს დღეებში ამ ღრმა გრძობით გამსჭვალული შეძახილით მიმართავს თავის ქვეყანას.

## ქვაშეშობილი

„მეტეორის ნამსხვრევი უჩვეულოდ მშვიდად გდია მინდორზე, და ეს სიმშვიდე ჩვეულებრივად დაგდებული ქვის სიმშვიდეს არ ჰგავს: ასე გგონია, ციდან ჩამოვარდნილი ქვა უეცრად გონს მოეგო და ახლა დაუინებით ელისო რაღაცას. მასში ცეცხლი მთლიანად ჩამქარალა, მაგრამ ისე, რომ კვალი არ დაუტოვებია. და თავს ვერ აღწევს აკვიატებულ აზრს, რომ შესაძლოა, შავი ნამსხვრევი უეცრად ცეცხლის ენებად აინთოს. რაღაც ამის მსგავსი გახსენდება ამ კაცის გარეგნობის, განსაკუთრებით კი, მისი სახის შემხედვარეს. უზარმაზარი მუქი თვალები ისე უელავდა, იფიქრებდი, შიგ რვალი გამორევიანო, ბინდ-ბუნდში კი მათში მოცისფრო სხივი გამოკრთოდა. ამ თვალეში მუდმივად იმალეობოდა ენითგამოუთქმელი სევდა, მაშინ, როდესაც სოლისებურად წამახული პირის კუთხეებში ურყევი მხნეობა იკვეთებოდა. მასზე ამბობდნენ, მშრალიაო, და ეს მართლაც ასე იყო; თუმცა მთლად მშრალსაც ვერ ეტყობი: როდესაც სახეზე ღიმილი ეფინებოდა, უმალ გრძობდი, როგორი ჩვილი გული ჰქონდა; დიახ,ის მშრალიც იყო და იმავდროულად ცხელიც. შინაგანად ვერ იტანდა, როდესაც ხელის ჩამორთმევის დროს ვინმეს ცხელი და ოფლიანი ხელი ჰქონდა. მასთან შეხვედრისას გრძობდი, რომ მსხვიმი იყო და, როდესაც ელაპარაკებოდი, უხერხულობა გეუფლებოდა. საუბარსა თუ ქცევაში არ სჩვეოდა რაიმესთვის ხაზისგასმა ან რაიმეს აკვიატება. მიუხედავად ამისა, ისეთი გრძობა გქონდა, ეს-ესაა ცეცხლს ამოაფრქვევსო; სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, ყველგან სახიფათო დაძაბულობის ველს ქმნიდა, და ეს ველი თავად მისთვისაც და გარშემომყოფთათვისაც საშიში ხდებოდა“ („გრაალის მცველნი“).

წინ მიდევს მუსოლინის რამდენიმე ფოტოსურათი, გადაღებული ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ. ასე მგონია, ჩემს წიგნში დუჩე<sup>18</sup> დაჯებატე-მეთქი. ეს მ ზ მ ე ლ ი ახალი იტალიისა, სწორედაც რომ აეროლითური<sup>19</sup>

წარმომავლობისა ჩანს: იგივე მშფოთვარება სიმშვიდის ქვეშ, ცეცხლოვან მგზნებარებასთან გაჯერებული იგივე პირქუშობა, სანვავ მასალად გამოყენებული იგივე ცხელი და მშრალი ნივთიერება, და, ისეთივე სახიფათო ველის შექმნა საკუთარი თავის გარშემო. მხოლოდ იმ გამოგონილი გმირის სევდა არ შეიმჩნევა მასში; ნაცვლად ამისა, პირის კუთხეებში ბრძოლის ძლიერი ჟინი ეკვეთება. ახლა ნელ-ნელა მისი სხვა თვისებებიც წარმოჩინდება: მზერა მწველ სხივად ქცეულა და თითქოს მატერიალურად განჭოლავს საგნებს; ასე გგონია, თავისი ძლიერი ყბებით რკინასაც კი გაკვნეტსო. ეს კაცი ხიფათს თითქოს ანდე-გუმანით გრძნობს; დიახ, იგი იმ საფრთხესაც კი შეიგრძნობს, როდესაც თავდასხმის დროს, მოწინააღმდეგის მოსახრჩობად შემზადებული, თავდაპირველ, ალბათ მხოლოდ იდუმალ სურვილს აყოლილი, ცდილობს მას კისერზე სიკვდილის ქამანდი გამოსდოს. რა არის ეს, ციდან ჩამოვარდნილი დემონი?

დუჩე კვირის ქრონიკაში უნდა ნახოს კაცმა. აქ იგი ტომის ბელადს ჰგავს, ეს-ესაა ბრძოლა რომ მოიგო. მსუბუქად და ლალად დააბიჯებს და მის სიარულში ნიშანკვალი არ იგრძნობა ელემენტების „მ თ ლ ი ა ნ ო ბ ი ს შ ი ნ ა გ ა ნ ი შ ე მ კ ვ რ ი ვ ე ბ ი ს ა“. ეს კაცი ამქვეყნიურ ყოფას სიცოცხლით ავსებს და მასში სიხარული შემოაქვს. ნაცნობებს გაცისკროვნებული სახით ესალმება, თვალებს ჭუტავს და წამნამებს შორის ისე იყურება; მერე დარდიმანდულად ილიმება და ადამიანების გულს ინადირებს, მისი ხელისჩამორთმევა საჩუქარს ჰგავს; მოძრაობს მკვეთრად და სწრაფად, მაგრამ არა გამალბებით, და ამ დროს თითქოს ნაპერწკლებს ყრის. სფერული ელვაც ხომ, ვიდრე მას აფეთქების ძალა არ განმუხტავს, ოთახში წრეებს უვლის და არამინიერად მოთეთრო-მოიისფრო შუქს ასხივებს! მუსოლინის სახეზე ნაპერწკლებს ტკაცა-ტყუცი გაუდით დიუნებზე არეკლილი მზის სხივების მსგავსად, და ამ ნაპერწკლების ნაკვალევი ფილმში განსაკუთრებით ხილული ხდება. უყურებ დუჩეს და ანაზღად ჰერაკლიტეს<sup>20</sup> სიტყვები გასცენდება: „ელვა მართავს სამყაროს“-ო. ამ წუთში ადამიანი მბრძანებლის წინაშე დგას.

ანტიკური დროება ერთ იდუმალ ნიშანს იცნობდა: ეს ელვის ნიშანია: ზევსი კობელეს ჭექა-ქუხილში უკავშირდება; რატომ? იქნებ იმიტომ, რომ მან ელვა შვას? ალბათ ცხოვრებაში ყოველ ჩვენგანს ერთხელ მაინც გამოუცდია და იცის, რას ნიშნავს, როდესაც ელვა შინაგან დაგვივლის. ზოგს იგი სასიკვდილოდ დასცემს ხოლმე, ზოგიც, შემთხვევისა თუ მტკიცე თვითდისციპლინის წყალობით, უძლებს ამ დარტყმას; და მისთვის, ვინც ამას გადაურჩება, ელვა უჩვეულო ძალად გადაიქცევა. გავიხსენოთ დოსტოევსკი, რომელიც სიკვდილით დასჯამდე ცოტა ხნით ადრე შეინწყალეს. ამან იგი ფიზიკურად იხსნა, სიკვდილის წამთან შეხებამ კი შემოქმედებითად აღაზივს. მუსოლინის რომ უყურებ, ასე გგონია, მან საკუთარ თავზე გამოსცადა ელვის ეს გამანადგურებელი დარტყმაო. ელვადაკრული ახლა ელვითშეპყრობილად იქცა, და, ელვა, – ავდარში მზაობად თავმოყრილი და დაპირისპირებულ ძალთა თანხვედრის ეს წერტილი, – მისი სტრიქონია. დედის ორნატი ელვის ნიშანია. სწო-

რედ ამის შედეგია დუჩეს არსების უჩვეულო პოლარიზება – იგი ჭეშმარიტად „ქვაშიობილი“ და „მატრომანიის“ პირმშოს, მითრას ნათესავია.

## მზის კვალი

მარგერიტა სარფატი მოგვითხრობს: „არასოდეს არ დამავინწყდება გაზაფხულის ის დაბინდული საღამო, როდესაც ჩვენ, „პოპოლო დ'იტალიას“ სამი თუ ოთხი რედაქტორი, მთავარ რედაქტორ მუსოლინისთან ერთად რედაქციიდან წამოვედით. მილანის პარკი რომ გამოვიარეთ, გისოსებიან ჭიშკართან დარაჯი დაგვხვდა, რომელიც ხელში გასალეხს აჩხარუნებდა და გაიძახოდა: „იკეტება, ბატონებო, იკეტებაო“. ამ სიტყვების გაგონებაზე მუსოლინი უეცრად აფორიაქდა და გაფითრდა; მერე სასწრაფოდ ჯერ ისევ ღია ჭიშკართან მისვლა დააპირა, და, როდესაც რომელიღაც ჩვენგანმა მისი შეჩერება მოინდომა, აღშფოთებული მოგვიტრიალდა, და, მის თვალეში ხაფანგში გამომწყვდეული ნადირის შიში დაეინახეთ. „არა, არა, ვერ ავიტან, ნამდვილად ვერ ავიტან, აქ რომ გამომკეტონ. ეს გისოსები, ეს რკინის კარი! თქვენ არ იცით, რას ნიშნავს ეს! ეს ციხეა! ამის გაფიქრებაზე სული მეხუთება. თერთმეტჯერ ვიჯექი ციხეში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხოვრების მიღმა რჩები და მის გაგრძელებას ვერ ახერხებ“. დახშულ სივრცეში მოხვედრის სიძულელი არაერთხელ გამხდარა მისთვის იმის მიზეზი, რომ ჯარში დისციპლინა დაერღვია. ასე მაგალითად, არ ასრულებდა უფროსების ბრძანებას და სროლის დროს ღია ცისქვეშ რჩებოდა, რათა სანგარში ან თავშესაფარში არ ჩასულიყო. იმავე მიზეზით, არ მისულა კაპრიზე, ლურჯი მღვიმის მოსანახულებლად, რაც მენავეებს ძალიან სწყინდათ. მუსოლინის მაშინაც ელუშება ხოლმე სახე, როდესაც მატარებელი ან მანქანა გვირაბში გადის“.

თერთმეტი ციხე ჰქონდა გამოვლილი, ეს კი საკმარისი მიზეზი იყო საიმისოდ, რათა დახურულ სივრცეში ყოფნის შიშს ამხედრებოდა. მაგრამ ამ სიძულელის მიღმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ იმალება: ეს არის უჭაეროდ სიკვდილის შიში, თანდაყოლილი შიში, მზიურ-ნიშნეული ადამიანისა. მას არ აშინებს ღია ცისქვეშ სიკვდილი, იქნება ეს ხმელეთზე, ზღვასა თუ ჰაერში, და არაფრისა არ ეშინია ისე, როგორც დახშულ სივრცეში სიკვდილისა. სწორედ ამის გამო აცხადებს მუსოლინი უარს ლურჯ მღვიმეში შესვლაზე, ამის გამო ეუფლება უსიამო გრძნობა გვირაბში გავლისას. ერთი შემთხვევა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მის მზიურ ბუნებას: აი, ის გვიან ღამემდე მუშაობს და ამ დროს უამრავ უცხოურ გაზეთს ეცნობა. უეცრად თვალს მოჰკრავს ერთ უჩვეულო ცნობას: მასში მოხსენიებულია ფარაონ ტუტანხამონის მუმი, რომელიც ლორდმა კარნავონმა<sup>21</sup> სულ ცოტა ხნის წინ აღმოაჩინა. მერე ისიც წაიკითხა, გათხრების დროს მკვლევარი რომელიღაც საშინელმა მწერმა დაკბინაო. იქნება ფარაონმა შური ამით იძია ლორდზე, მისი მარადიული ძილის ხელყოფის გამო? შეშინებული მუსოლინი გაზეთს გვერდზე გადასდებს და

უეცრად ახსენდება, რომ ცოცხალი ხნის წინ საჩუქრად მიიღო მუმი, რომელიც ახლა პალაცო ვიტორიას ერთ-ერთ კუთხეში, გობელენებს შორის განისვენებს. ერთი წუთით მას თვალწინ წარმოუდგება საშინელი მუმი. მზის ადამიანს იმდენად ძლიერი წარმოსახვის უნარი აქვს, რომ ამ წარმოსახვაში შეუძლია თავსატეხი მოვლენები დრო და დრო ცხადლივ დაუკავშიროს ერთმანეთს. და აი, მუსოლინი ტელეფონს მივარდება და სასწრაფოდ გასცემს ბრძანებას, იდუმალი მუმი დაუყოვნებლივ მოაშრონ აქედან. მერე, ერთი საათის განმავლობაში, ყოველ ათ წუთში ტელეფონზე რეკავს, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ ეს შემზარავი საგანი იქ აღარ იმყოფება. ეს ისევ და ისევ მზის ადამიანის ორნატია. ამგვარ არსებაში საწვავი იმდენად სრულყოფილად იწვის, რომ ფერფლსა და ნიდას არ ტოვებს. წამი მისთვის მროკავი ალის შესაგვანია. ეს წამი მუდმივად ამოტივტივდება ხოლმე მზის მარადიული ახალგაზრდობის წყაროში და საკუთარ თავს მზის ახალი სხივით განაახლებს. ადვილი წარმოსადგენია, რა საშინლად უნდა მოქმედებდეს მუსოლინიზე ხრწნილების ნაშთები, და, ალბათ კიდევ უფრო საშინელია მისთვის ხილვა მუმიში არაბუნებრივად შემორჩენილი სიცოცხლის საფარისა. მაგრამ ესეც არაფერი. მართალია, მზის ადამიანი ალივით იწვის, მაგრამ თავად ალისგან არც ფერფლი რჩება და არც ნაცარი. ეს ადამიანი დრო და დრო უფსკრულთან დგას: მის „მ ე ნ“ – პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს შეუძლია სიცარიელეში გაუჩინარდეს. ასეთ წუთებში იგი სულისშემხუთავად მწვავედ ჩაისუნთქავს სიკვდილს. სწორედ ამის შედეგია ის მოულოდნელი პირქუში სევდაც და ის უეცარი სიფიცხეცალის სიკვდილის ანუ საკუთარი თავის შთანთქავი სიკვდილის წარმოდგენა მას კიდევ შეუძლია, მაგრამ აქ, მუმიის სახეში, სიკვდილი, ასე ვთქვათ, ს ხ ე უ ლ – მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ი წარსდგება მის წინაშე. ეს კი შემზარავია მზის ადამიანისათვის. და, მაინც, ერთი სცენა ყველაზე უკეთ დაგვანახებს მუსოლინის მ ზ ე ო ს ა ნ ბუნებას. ერთ დღეს მინდორში სეირნობისას, დუჩე უეცრად შენიშნავს ქვისმთელს, რომელიც პაპანაქება სიციხეში თავდაუზოგავად შრომობს. ქვისმთელში იგი სკოლის ამხანაგს შეიცნობს; თავის მხრივ, ეს უკანასკნელიც იცნობს მას. მუსოლინი ქვისმთელის გვერდით ჩამოჯ-

დება, შეენაცვლება მას და რიყის მძიმე ლოდების მტკრევას იწყებს, მაგრამ პიტალო ქვა აგრერივად ადვილად არ დაჰყვება მის ნებას. „თქვენო ბრწყინვალეებავ, ვერ მოერევი, ლოდი მეტისმეტად მაგარია“, – ეუბნება ქვისმთელი. დუჩე ამაზე მიუგებს: „ესეთი ქვები დამიტვრევი? მთავარია, კაცმა ძარღვი უპოვოსო“. და აი, ის ქვას შემოატრიალებს და სქელ ძარღვს პოულობს. ამის შემდეგ ერთი ძლიერი, ზუსტი დარტყმა და ლოდი ორად იპობა.



იტალიის მეფე ვიქტორ ემანუილ III, ბენიტო მუსოლინი და ადოლფ ჰიტლერი (იტალია, 1938 წლის მაისი)

ნუთუ ეს სანახაობაზე გათვლილი აფექტია? შესაძლოა, სხვა ყველაფერი იყოს, ოღონდ არა ეს. მზის ადამიანი პლასტიკურად ვითარდება: მის მიერ განცდილი, თავისდაუნებურად მასში რჩება. ასე გგონია, ყოფილი კალატოზი ამ წუთში თავად ქვისმთელიაო. არსებობის სიხარულის წყალობით დაგროვილი ცხოვრებისეული სისავსე, აქ აშკარად გამოვლინდა თავისუფალი, შთაგონებითაღსავსე აღმაფრენაში. თავს ბედნიერად ნამდვილად მხოლოდ ქვისმთელი არ გრძნობდა. და, როდესაც მუსოლინი პონტინის ნაყოფიერ მინდორზე პირველ მოსავალს იმკის, ეს არ არის მხოლოდ სიმბოლური შრომა.

დიახ, იგი საკუთარ თავში მზეს, როგორც არსებობისას, ისე ძლიერად შეიგრძნობს, რომ მან ბოლშევიზმზე ერთხელ ხუმრობით ასეთი რამ თქვა: „ქვეყანაში, სადაც ასე უხვად არის მზე, ის ვერ მოვა“-ო. მუსოლინი იტალიას გულისხმობდა.

**რომანიის მკვიდრი**

ადამიანის პიროვნებას ვერც შექმნი და ვერც წარსულში ვერ დააბრუნებ. ბურუსითაა მოცული, თუ როგორ „შეიქმნა“ იგი ღვთიური თ ა უ რ ხ ა ტ ე ბ ი ს ა - გ ა ნ . შეიძლებაოდა მხოლოდ გვეცადა და გამოგვეკვლია, როგორ „იშვა“ იგი სივრცესა და დროში: „დავიბადე კვირას, შუადღის 2 საათზე. სწორედ იმხანად მრევლის ეკლესიის, დელე კამინატეს მფარველის პატივსაცემად ზეიმი იყო გამართული. ამ ეკლესიის უძველესი შელახული სამრეკლო საზეიმოდ და დიდებულად გადაჰყურებს ფ ო რ ლ ი ს დაბლობს. მზე ლომის ნიშანში უკვე რვა დღის შესული იყო“. მზე ლომის ნიშანში იყო: აქ

მზიანი ღამის იდეაში პლანეტარულ-რუნული ნიშანი იგულისხმება. მუსოლინი მდინარე პოს ვრცელ დაბლობში, ალპებს, ადრიატიკასა და აპენინებს შორის მდებარე რომანიაში დაიბადა. აქ ვულკანური ნიადაგი ადამიანს ამოუცნობი მშფოთვარებით ამაგნიტებს. ეს სრულიად ემთხვევა მუსოლინის ხასიათს. „ნიადაგი ნოყიერია, მაგრამ აქ დაუოკებელი ადამიანები ცხოვრობენ“, – ეს შენიშვნა კარდინალის ერთ-ერთ ლეგატს<sup>22</sup> ეკუთვნის; და ეს თვისებაც ხელისშემწყობი აღმოჩნდა ისეთი გენიოსის შესაქმნელად, როგორც მუსოლინია. მისი მამა, ალესანდრო, მჭედელი იყო დოვიაში. ხომ ვერ წარმოიდგენდით, რომ „ელვითმეპყრობილი“ შეიძლებოდა სხვაგვარი წარმომავლობისა ყოფილიყო?

„მოუსვენარი და ერთობ ონავარი ბიჭი ვიყავი. ბევრჯერ მოვსულვარ სახლში თავგაჩეხილი, მაგრამ შურისძიებაც მშვენივრად შემეძლო. მომთაბარის ინსტინქტი მქონდა, დილიდან საღამომდე მდინარის ნაპირზე დავრბოდი, ხილს ვიპარავდი და ჩიტის ბუდეებს ვანადგურებდიო,“ – მოგვითხრობს თავად მუსოლინი. ამ დროს ცოცხლად წარმოიდგენ ჭაბუკ მითრას, რომელსაც ხელში ჯერ არ უპყრია მწიფე ყურძენი.

ბიჭი მამას სამჭედლოში უნდა დახმარებოდა. ამ დროს უფლება არ ჰქონდა, თვალები ცეცხლის ნაპერ-ნკლებისგან დაეცვა, – მკაცრი და კუშტი ალესანდრო მას ამისთვის სჯიდა. მაგრამ ბიჭი იმას კი ხედავდა, გავარვარებული ფოლადი ცივ წყალში როგორ შიშინებდა და ცივდებოდა, და თავადაც ფოლადივით იწრებოდა, როდესაც მამის ბრძანებებს ასრულებდა. საკუთარი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, ცეცხლს უთუმცაოდ იცნობდა და ახლა ისლა დარჩენოდა, რკინა თავისად გაეხადა. მერე ის იყო, მჭედლის სახელოსნოში ნელ-ნელა თავადაც რკინის თვისებები შეიძინა.

წყნარი საღამოა. მამა კერიასთან ახლოს დგამს სპილენძის ქვაბს, რომელიც საესევა მშობლიურ მიწაზე მონეული ყურძნის წვენი, და ქვეშ ცეცხლს შეუთებს. მამა ზუსტად იცავს ღვინის დაყენების საიდუმლო წესებს და დიდად აფასებს მათ. იგი სასოებით წონის ნაირ-ნაირ სუნელს, რომელთაგან ზოგი უცხოეთიდან არის ჩამოტანილი; მერე სუნელებს ქვაბში ყრის და ციცხვით გულმოდგინედ ურევს. ზანტად ადის ჰაერში მოტკბო, მწკარტე სუნი, და, ცოტა ხანში უკვე ნანატრი ნელსურნელება იფრქვევა ირგვლივ. კმაყოფილი მამა ჭინჭილით ხაპავს ქვაბიდან გემრიელ გლინტეინს, ნეტარი სახით აჭაშნიკებს მას და მხიარულად ადასტურებს: „მაგარია!“ მერე შეიღს უსხამს ღვინოს. ბენიტო დუმს. ახლა ღვინოს კურთხეული სიტყვები სჭირდება და მამა კითხულობს ადგილებს ელევებიდან,<sup>23</sup> მაკიაველიდან<sup>24</sup> თუ დანტეს „ბრინჯაოს ტერცინებიდან“. ბიჭი ჯერ არ იცნობს სოფოკლეს, მაგრამ იცის: „ბედნიერებაა, როცა მშობლებს თვალეში ჩახედავ“. და ამ სიტყვების მნიშვნელობა გასაგები ხდება, როდესაც დურე მისთვის დიად ნუთებში ჩუმი სერიოზულობით იხსენებს მამას.

და, თუკი მამა სიმკაცრით გამოირჩეოდა, უმცროსი ძმა თავად სიკეთის განსახიერება იყო. „არნალდოს სულიერების ნავსადგურში შემეძლო საკუთარი სულიერების ღუზა ჩამეშვა“, – გულწრფელად აღიარებს მუსოლი-

ნი. მამასა და ძმას შორის მყოფი ეს პოლარული ადამიანი ასე სრულყოფდა საკუთარ თავს. გადის წლები. 1930 წელს არნალდო კარგავს თავის ოცდაორი წლის ვაჟს, საყვარელ სანდროს, და, შინაგანად განადგურებულია. 1931 წლის 31 დეკემბერს კი მილანში, სრულიად მოულოდნელად კვდება თავად არნალდოც. მუსოლინი მას მიუძღვნის წიგნს, რომელშიც სულისშემძვრელად აღწერს ძმის პორტრეტს. წიგნს მხოლოდ ნაწყვეტებითაც რომ იცნობდეს, მკითხველი მაინც იგრძნობს დურეს დიდ სიყვარულს ძმისადმი, და, საოცარია: თავადაც სიყვარულით იმსჭვალება გარდაცვლილის მიმართ. „ყოველთვის მიხარია, როცა ვხედავ, როგორ გარდაისახება მატერიია“. – უთქვამს ერთხელ მუსოლინის. ასეთ რამეს კი მხოლოდ ის კაცი თუ იტყვის, საკუთარ თავში ქმედითად რომ შეიგრძნობს მზის გამანაყოფიერებელ ძალას. მაგრამ მატერიის გარდასახვისთვის ადამიანს ხომ დედამიწის ძალების შესახებ პირველთაურთი ცოდნა სჭირდება!

იდუმალეობითმოცული მოხუცი ჯოვანა, რომელთანაც ახალგაზრდა ბენიტოს მეგობრობა აკავშირებდა, უხვად ასაჩუქრებდა მას ამ ცოდნით. ამ ქალისგან ისწავლა მან ყველაფერი; გაიგო: „რა მნიშვნელოვანია მთვარის გავლენა, იმისდა მიხედვით, მონავანია ის თუ მოსავანებელი; რატომ უნდა მოერიდოს ადამიანი მთვარის შუქზე ძილს; რა ღრმა შინაარსი შეიძლება ჰქონდეთ სიზმრებს, და, რა მნიშვნელობა აქვს ახალი წლის დილას; როგორ უნდა გამალო ბანქო; რატომ ვერ იტანენ ხარები პატრონად ქალებს, და, რომ კურდღლებს სირბილის დროს წინა ფეხები უმოკლდებათ, უკანა კი უგრძელდებათ, რათა ბალახის წიწკნის დროს კარგად დაეყრდნონ მიწას“. ასე ეზიარა მუსოლინი ზმევი სმისტირიას მისანი ქალის წყალობით, წარსულის ანმყოში გამოხმობის ცოდნას ანდე-გუმანით რომ ფლობდა.

მუსოლინის ცხოვრებაში ცალკეულ ფასეულ მიგნებებსაც ვხვდებით. მაგრამ ერთი მათგანი სწორედ ის საიდუმლო გასაღები მგონია, რომლის საშუალებითაც მისი ხასიათის ამოცნობას შეეძლება: დურეს საოცრად უყვარდა ბუკნაჭოტები. ყოველწლიურად, განსაზღვრულ დროს, ხიდებს მიაშურებდა ხოლმე, სწორედ აქ, ხიდის თაღებქვეშ ჰქონდათ ბუდე ამ პატარა არსებებს; და მუსოლინი ნებონასმული ნკეპლით მარდად იჭერდა ბარტყებს. ერთ ბარტყს ნაიყვანდა და თავისი საწოლის გვერდით, პატარა კონკილაზე მიუჩენდა ხოლმე ბინას. „ღამლამობით რომ ვიღვიძებდი, ამ მრგვალ, ფართოდ გაღებულ, ყვითელ თვალეებს ვხედავდი, განათებულ ოქროს დისკოებს რომ ჰგავდნენ; ეს თვალეები მომჩერებოდნენ და მდარაჯობდნენ“.

ბუკნაჭოტი ბუს პატარა სახეობაა. ბუ კი, ხალხური გადმოცემით, ხან სიბრძნის, ხანაც უბედურების სიმბოლოდ გვევლინება. რა თქმა უნდა, ცრურწმენაა! მაგრამ ეს ცრურწმენა პალიმფესუსს – ანუ იმ ხელნაწერს ჰგავს, რომლის ქვეშაც უფრო ძველი წარწერა აღმოჩნდება ხოლმე. ბუს შემთხვევაში უპირანი იქნება, თუ ზედა წარწერას გადავფხიკავთ, რათა ქვედა გამოჩნდეს. აი, მაგალითად, ღამით მარტოდ-მარტო სადღაც მიდხარ, და უეცრად, თითქოსდა მიღმა სამყაროდან, ბუს კვილი შე-

მოგესმება. ადგილზე ჩერდები და იცდი. ამ წუთებში გრძნობ, რომ შენთვის დრო და სივრცე აღარ არსებობს. საკუთარ თავში ჩაფიქრდები და კითხვა: „საით“ შენს გონებაში გამოუხმობს კითხვას: „საიდან“. აი, სწორედ მაშინ დგება ის წუთი, როდესაც საკუთარი სულის ჭკრეტას იწყებ. ამ წუთს შენში სწორედ ბუს ძახილი ახმიანებს. ხალხს ნამდვილად არ ღალატობს გუმანი, როდესაც ბუს სიბრძნის სიმბოლოდ სახავს. მამ რატომ უნდა იყოს იგი ამავდროულად უბედურების სიმბოლოც? და, აი აქ გაცხადდება დაფარული აზრი: თუ ბუს ძახილს გაფრთხილებად არ შეისმენ, მაშასადამე, უბედურებასთან შეხვედრას ელტვი. მაგრამ ამ „ცრურწმენაში“ რაღაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იმალება. ბუ ხომ ღამის წყვილადში ჩაბუდებული ვირთხაა! ვირთხა კი ერთდროულად რეალურსაც განასახიერებს და მოჩვენებობასაც. ის მხოლოდ ბუ კი არა, პუმაც არის, ყველასთვის ახლობელი და თან შორეული, იდუმალიც და ბოროტიც. ის, როგორც სიმბოლო, ცხოვრების რიტმში იმ მოფარფატე ცეზურას ქმნის, როდესაც ორი ურთიერთდაპირისპირებული ნაკადი ჯერ გამოეყოფა ერთმანეთს, მერე კი კვლავ აღიდგენს წონასწორობას და ისევ შეერთდება. ამ ცეზურის შესახებ ყველაზე უკეთ ძველმა ეგვიპტელებმა იცოდნენ, რომელთა ცხოვრების მდინარებას ნილოსის მიმოქცევა განსაზღვრავდა. სწორედ ამიტომ შერაცხავდნენ ვირთხას წმინდა ცხოველად. სხვათა შორის, ვირთხების დიდადმოყვარულ მუსოლინის, რომელიც გამუდმებით დგას ჭეჭა-ჭეხილის დროს დაგროვილ ორ დაპირისპირებულ ძალას შორის, როგორც არავის, ისე სჭირდებოდა სიმშვიდის ამ წუთის ხელშეუხებლობა. როგორც ჩანს, მისი არსება მიიღტვოდა არსებობის დამცავი ცეზურისკენ და ეს უკანასკნელიც ბუ-ვირთხის სახით შეუმჩნევლად მოევილინებოდა ხოლმე. „მდარაჯობენო“, – ეს სიტყვა ქვეცნობიერის მრავლისმთქმელ ფსიქოგრაფას წარმოადგენს.

**თვითღისციკლინის  
საფრთხე**

ერთ-ერთი საცდელი ფრენის დროს მუსოლინის თვითმფრინავი ჩამოვარდა. „მხოლოდ ორმოცი მეტრის სიმალიდან გადმოვხტო“, – მხიარული ხმით ამცნო მან მეგობრებს ტელეფონით. ეს „მხოლოდ“ მას ფეხის დაზიანებად დაუჯდა. „სიცოცხლე ხომ მშვენიერი რამ არის! საფრთხეში თავის ჩაგდება ნამდვილად ღირს. ადამიანი დრო და დრო რისკზე უნდა წავიდეს, რომ საკუთარი თავის ფასი გაიგოსო“. – ამბობდა უკვე გამოჯანმრთელების გზაზე მყოფი. ამ სიტყვების აზრს უფრო ანდე-გუმანიტი ხვდები, ვიდრე თავად გამონათქვამით. არსებობა, – ეს ღვთივბოძებული უდიდესი საჩუქარი, – საფრთხეში გამოიცდება. დიახ, ის თავად წარმოადგენს საფრთხეს; ეს ის არჩევანია, რომლის წინაშეც მზემ ელ ყოველ წუთს შეიძლება აღმოჩნდეს. ადამიანი მარად დგას ღმერთსა და არა რას შორის, და, ნებისმიერმა მცდარმა ნაბიჯმა, შესაძლოა, იგი უფსკრულის პირას მიიყვანოს. თვით ყველაზე სრულქმნილი სიყ-

ვარულიც კი გამუდმებით დგას სახიფათო უკეთურების წინაშე. აქ გერმანული ენის გენიოსს მოვიშველიებ და ვიტყვი: როგორც კი რამეს უგულვებელყოფ, საფრთხე მუქარად იქცევა. ყველაზე მთავარი კი აი, რა არის: რაც უფრო მაღალმატებულია არსება, მით უფრო მეტად ექცევა იგი დემონების გავლენის ქვეშ. გოეთეს აქ მხედველობაში აქვს სახიფათო ზონა, რომლის მოქმედების არეც არსების ზრდასთან ერთად ფართოვდება.

ახალგაზრდა მუსოლინი ნიცმეს იდეების გავლენით წერდა: „ამ ახალი იდეალის გასააზრებლად უნდა შეიქმნას თავისუფალ სულთა ახალი ნაირსახეობა, გამოწრთობილი ბრძოლაში, სიმარტოვესა და დიდ საფრთხეში. მათ ეცოდინებათ, რა არის ქარი, მარადიული თოვლი, მაღალი მთები და მყინვარები, და, თამამად გაზომავენ უფსკრულების სიღრმეს“. იქნებ ამ დროს დუჩე საკუთარ თავზე წინასწარმეტყველებდა?! როგორც ჩანს, მის ამ ნათქვამში უფრო მეტი დაფარული აზრი იმალება.

ყოველ ჩვენგანს ნესუსის პერანგი<sup>25</sup> გემოსავს, ჰერაკლეს მსგავსად, სასიკვდილოდ რომ შეგვაშაბადებს. ამ სხივნათელი გმირივით, ჩვენც საზორველ ცეცხლში უნდა ვინვოდეთ, რათა ამ პერანგისგან თავი დავიხსნათ. და, ეს ყოველდღიურად, ყოველ წამს უნდა ხდებოდეს. ეს შინაგანი თავგანწირვისათვის სრულ მზადყოფნას, მზადყოფნა კი – სიმამაცეს გულისხმობს; სწორედ სიმამაცის წყალობით იქცევა საფრთხე თვითრეალიზაციის მასალად. და, მხოლოდ ძალიან ცოტა ადამიანის ხვედრია, მუსოლინის მსგავსად, შეუვალი იყოს და მამაცად იქცეოდეს სახიფათო ზონაში. იგი საფრთხეს ისე ელტვის, რომ ხანდახან თავგადასავლების მაძიებელი გგონია. დიახ, „გგონია“, რადგან, საბოლოო ჯამში, მუსოლინი მხოლოდ საკუთარ ინსტინქტს ენდობა, და ასეც ამბობს: „ჩემს ინსტინქტს როცა მივენდობი ხოლმე, არასოდეს არ ვცდებო“.

მას დარაჯად ბუკნაჭოტის მახვილი მზერა უდგას. მუსოლინი ომისდროინდელ ერთ-ერთ ეპიზოდს იხსენებს: „დავალებული მქონდა, მტრის მიერ ნასროლი ხელყუმბარის დაჭერა და, სანამ აფეთქდებოდა, მისი უკან გადავადებე. ეს სახიფათო თამაში იყო, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდი ხელყუმბარის დაჭერას და მის გაღმა ვადასროლას. მოგვიანებით ჯარისკაცებსაც ვასწავლიდი სროლის წესებს; ასანთი მალე ქრებოდა, ამიტომ ფალიას სიგარეტით ვუკიდებდით; ყუმბარა კი ერთხანს კიდევ უნდა გვჭეროდა ხელში, რადგან თუ მას დროზე ადრე ვისროდით, შეიძლებოდა მტერს ისევ უკან გამოეზრუნებინა. საბრალო ჯარისკაცები შიშით კანკალებდნენ და შეძრწუნებული სახით მიყურებდნენ, ვიდრე ერთიდან სამოცამდე დავითვლიდი წამებს“. ასეთია მუსოლინი ყველაფერში. მისთვის საფრთხე თვითღისციკლინის ნაირსახეობაა და ამ საფრთხეში ინრობს თავს.

1917 წელს მუსოლინი მიმედ დაიჭრა. იგი საკაცით ჯერ დობერდოში, იქიდან კი რონიკიში ჩაიყვანეს. საველე ლაზარეთის ექიმი მოგვითხრობს: „მისთვის წვივის ძვალი უნდა გაეხვრიტათ. თავშეკავება არ აკლდა; შუბლშეჭმუნხილი ხმას არ იღებდა და ერთობ პირქუში იყო. საოპერაციო დარბაზში რომ შეიყვანეს, გეგონებოდა,

მასში რაღაც უჩვეულო ნერვმა დაინყო ფეთქვა და მიზანსწრაფულმა ენერგიამ ამოხეთქაო. დაჟინებით ადევნებდა თვალს დასტაქარის დანას; მერე კი, როდესაც დანის პირი ხორცში ჩაესო, მუსოლინიმ აუტანელ ტკივილზე რეაქცია იმით გამოხატა, რომ ყბები დააღრჭიალა, პირი დამანჭა და შეიკურთხა, მაგრამ იმავე წუთს სახეზე ღიმილმა გადაურბინა. ერთ პატარა ადგილას 42 ჭრილობა ჰქონდა და სხეულში ყუმბარის უამრავი ნამსხვრევი ჩარჩენოდა.“

რა მოთმინება ჰქონია! თუმცა ყოველთვის ასეა: თუ ადამიანი უფერფლოდ იწვის, მისგან რჩება რაღაც ისეთი, რაც შთანთქმელ ცეცხლს სძლევს.

### „დადი“ ალბაქილი კაცი

არაბები ამბობენ: თუ ცეცხლს სანვავს არ ჩაუმატებ, იგი თავის თავში შთაინთქმევით. არავის ისე არ სჭირდება საკუთარი შინაგანი ცეცხლის გაღვივება, როგორც მზით ხელდასხმულ ადამიანს. ამიტომაც იგი გამუდმებით და მიზანდასახულად უნდა ცდილობდეს, ცეცხლს სანვავი არ მოაკლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცეცხლის წყაროსა და სანვავს შორის შეიქმნება ვაკუუმი, რომელიც, შეიძლება, ბევრად უფრო შემშუსვრელი გამოდგეს, ვიდრე „შინაგანი შემკვრივება“. ეს თვითნაფერფლის ტოლფასია. წარმოვიდგინოთ გენიოსი, რომელიც თვითქმნადობისთვის სანვავს ვეღარ შოულობს; ცხადია, ის ჩაიფერფლება. მუსოლინი ცდილობს, – და თან ნამდვილად ქვეცნობიერად, – თავიდან აიცილოს ეს საფრთხე და საკუთარი ქმედითობისთვის საჭირო სანვავს გამუდმებით ცვლის. ეს ადამიანი მხოლოდ საზოგადო მოღვაწე არ არის! ის ვიოლინოზე უკრავს და უმთავრესად იმპროვიზაციებს ასრულებს, არის მწერალი და წერს დრამებს, ნოველებს, კრიტიკულ წერილებს და მოგონებებს; მოტოციკლეტის აწყობაც შეუძლია და მანქანის საჭესაც უზის; არის დიპლომირებული მფრინავი და უამრავი პიკირებული ფრენა აქვს შესრულებული; ამავედროულად, თავგამოდებული მოთხილამურეც არის. მას ხშირად ნახავთ თავის ახალგაზრდა ვაჟთან, რომანოსთან ერთად, მოთხილამურეებს შორის 2200 მეტრის სიმაღლეზე ტერმინი ლოსათურომის სიახლოვეს, აბრუციში. კარგი მოფარიკავეა, და, ამაზე მისი ორთაბრძოლები მეტყველებენ. მეტწილად შუადღისით ცურავს; ცხენითაც ჯირითობს, და ხშირად ნახავთ, როგორ ვარჯიშობს ცხენოსნობაში თავისი რომაული სახლის, „ვილა ტორლონისას“ პარკში; სალაშქროდ მთებშიც დადის; აბა, კიდევ რისი თქმა შეიძლება? საკუთარ თავში მოძრაობათა მონაცვლეობა მას იმისთვის სჭირდება, რომ ძირითად საქმიანობას თავი დააღწიოს. მისთვის ეს არ არის დასვენება, როგორც შესაძლოა, ერთი შეხედვით იფიქროს კაცმა: ამგვარი მონაცვლეობა, იმ თვალითუხილავ ორთაბრძოლას სანვავით ამარავებს, და, ეს არის მომხიბვლელი სინკოპის ნაირსახეობა შინაგანად ღრმად მოძრავი ადამიანისა. ამის შესახებ, რა თქმა უნდა, შეიძლება უფრო მეტიც, და რაღაც სრულიად სხვაც ბევრი ითქვას.

„მოუსვენრობა სიმშვიდის მიღმა“, – ასეთ თვისებას დაინახავს კაცი მუსოლინის არსებაში, მაგრამ ეს ისტორიული მოვლენის დონეზე განისაზღვრება. მეტაფიზიკურ შრეში იგი, ნებისმიერი ადამიანისთვის მშვიდი რჩება, კერძოდ კი, რაც უფრო მეტს მოძრაობს, მით უფრო მშვიდია. „ეს არის უცვლელად დარჩენა იმის შუაგულში, სადაც არსებობს ღირსება; მაგრამ ადამიანები ამ შუაგულში იშვიათად ჰგებენ“, – შეგვაგონებს ჩინური სიბრძნე. ადამიანური თ ა უ რ ხ ა ტ ი ს გულსგული შენარჩუნებულ უნდა იქნას ქალწულებრივ უზინოებაში და სრულიად ხელშეუხებელი, ასე ვთქვათ, ღვთიურად „მომლოდინე“ უნდა დარჩეს. პოლ ვალერიმ თავის ერთ-ერთ ლექსში გამოძერწილ სურათ-ხატს „ატომის დუმილი“ უწოდა, რაც ატომის ბირთვში იმ სიმშვიდის არსებობას გვაუწყებს, რომელიც, შესაძლოა, ქარტეხილისთვის ემზადება. შუაგულში უცვლელად დარჩენა ადამიანს ღვთიურობის ხარისხში აღავლენს და სიმტკიცეს ანიჭებს. უძველეს გადმოცემებში ამ თვისებას, იულიუს ევოლას თანახმად, „დადს“ უწოდებენ (ეს ამოუცნობი სიტყვა საქართველოში ერთ-ერთი წარჩინებული გვარის სახით გვხვდება: დადიანი, „დად“-ი=დადი თქმურბილს; იყო მცდელობა, ეს სიტყვა ციხე-სიმაგრესთან დაეკავშირებინათ, მაგრამ, შესაძლებელია, „დადი“ თავდაპირველად, საერთოდ, „მაგარს“, „მტკიცეს“ ნიშნავდა: ამიტომ მისი კავშირი „სიმტკიცესთან“ აშკარაა).

როგორც არ უნდა იყოს, „დადი“ შინაგანი სიმტკიცის, ღვთიურად მუდმივის საცნაური ნიშანია; და სწორედ „დადია“ დურჩეს მეფური ორნატი. ეკერმანთან საუბარში გოეთეს ნაპოლეონზე ასეთი აზრი გამოუთქვამს: მისი სიძლიერე იმაშია, რომ ყოველ წამს „ერთი და იგივე“ რჩებაო. უკანასკნელი საუკუნეების უდიდესი ხელდასხმული გუმანით გრძნობდა „დადის“ არსებობას. ნაპოლეონის ამ ზუსტ დახასიათებას შეიძლება შევადაროთ თქმულება, რომელიც რომში მუსოლინიზე დადის; მასზე ამბობენ, დუელის წინ, ცოტა ხნით ადრე და მის შემდეგაც, ერთნაირად თანაბარი პულსი ჰქონდაო. განა აქაც არ იგრძნობა „დადისმიერი“ სიძლიერე?

ძნელია ამ თვისების შექმნა შინაგან არსში. „ოქროს ყვავილის საიდუმლო“, ჩინელების ეს ავბედითი ნიგნი, შეგვაგონებს: „ვეი-ვუ-ვეი“, ანუ, იმოქმედე ისე, რომ არ იმოქმედო, აკეთე ისე, რომ არ აკეთოო. კი მაგრამ, როგორ? ქმედება შიგნიდან უნდა დაამუხრუჭო? არა! გავიხსენოთ მშვილდისრის სროლის კულტი იაპონელებში. განა ამ კულტში აშკარად არ ჩანს ეს „ვეი-ვუ-ვეი“? სუძუკის თანახმად, აქ საქმე შემდეგს ეხება: „მიზანს კი არა, საკუთარ თავს, ისეც და ისეც საკუთარ თავს არ მოახვედრო! ეს ნიშნავს, იყო უძრავი შუაგული, და ამით, არარაც და ყველაფერიც“. კიდევ ერთ პარადოქსთან გვაქვს საქმე? არა, ეს მხოლოდ მოჩვენებითია. მშვილდოსანი ჭიმავს ლარს, მაგრამ იმავდროულად მთელ ყურსაღლებს საკუთარ თავს ნიჟარობს. ეს იმდენხანს გრძელდება, ვიდრე შინაგანად იმ უძრავ შუაგულს არ მიაღწევს, სადაც მისი ყველაფერს მოწყვეტილი, დროის ამ მონაკვეთში არარასა და ყველაფერს შორის მოქცეული, საკუთარ თავში ჩაკეტილი თვითობა იმყოფება. ერთ ნერტილში გაყურებული მშვილდოსანი ყველაფერს გა-

მორიდებია, და, ახლა მისი შინაგანი მზერა შორეთიდან მხოლოდ მშვილდს გამოუხმობს. ის ახლა მშვილდის პირისპირ დგას, მისკენ სახით შემობრუნებული, „ცარიელი და ცოცხალი“; ცარიელი ეთქმის, რადგან ყველაფრისგან თავისუფალია, ცოცხალია, რადგან მზად არის სამოქმედოდ. მასსა და მშვილდს შორის ამ „დამორებაში“ არაფერი არ არსებობს, ისე, რომ შეუძლია გაყუჩებული მდგომარეობიდან მთელი ძალით გადაინაცვლოს მშვილდზე. წამიც, და, მასსა და მშვილდს შორის სიცარიელის ბოლო ნაშთიც ქრება. სწორედ ამ დროს მოჭიმული ლარი ელვის ბურთივით გასტყორცნის ისარს. დიას, ასეა ეს: მსროლელი გარეთა მიმართულებით, წინ, – მიზანს ახვედრებს; შიგნითა მიმართულებით, უკან კი – საკუთარ თავს. მთელი ეს პროცესი ატომის ბირთვის ქმედების შესაგვანია: სპონტანურია და თვითსაიმედო. ამის შედეგია ამ ქმედების ელვისებური ძალა. სწორედ ამ მდგომარეობაში იმყოფება სამურაი, როდესაც იგი მახვილით ხელში იბრძვის.

„ვეი-ვუ-ვეი“. – საბოლოო ჯამში ეს ნიშნავს: მთელი არსებით ნუ მიეცემი ნუთიერ საქმიანობას; პირიქით, შეეცადე, ისე გაიზარდო, რომ ეს საქმიანობა საკუთარი თაურსაწყისისკენ წარმართო. თუ კაცი ამ ნუთს მთლიანად მიეცემა, იგი საკუთარ თავს ამაოების ილუზიას შეუქმნის. შემდეგ კი ეს ნუთი ქრება და თაურხატის წყაროც ამის გამო საგრძნობლად კარგავს ძალას. თვითრეალიზაცია კაცმა ისე უნდა განიცადოს, თითქოს ეს ნუთი მხოლოდ არსის შუაგულის შინაგანი შემკვირვებული ემანაცია ყოფილიყო. მაშინ ნუთს თავისი დროით ხანგრძლივობა მიენიჭება, და, ამ გზით დაბადებული განცდა ღრმადდაფარული თაურხატის წყაროსთვის გამოკვებავს. მუსოლინის ცხოვრების რიტმის სინკოპა ამ „ვეი-ვუ-ვეის“ გვაგონებს: იგი ყოველთვის ისე იქცევა, გეგონება, შინაგანად იმ უსასრულოდ შორი, „უცვლელი შუაგულისკენ“ მიემართება, ისე, რომ განვლილი ცხოვრება მარადისობაში რეტროსპექტიულად მიმავალ დროით ხანგრძლივობად ეჩვენება. „ნეტავ რამდენი წელი ან საუკუნე გავიდა მას შემდეგ?“ – იხსენებს მუსოლინი განვლილი ბავშვობის დღეებს; ერთხელ კი შენიშნავს: „ადამიანებს მარადისობის თვალსაწიერიდან ვუყურებო“. ამის თქმა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც საკუთარ თავს *sub specie aeterni*<sup>26</sup>-დ მიიჩნევს. „მაგრამ, რაც გაკეთდა, იმის დავინყებას გონება ვერ შესძლებს, იმ დროს, როდესაც მატერიას დახსნილი ჩემი სული, ამ კნინი მინიერი არსებობის შემდეგ, ღმერთის უკვდავი და ყოვლისმომცველი ცხოვრებით იცხოვრებს“-ო, – წერს მუსოლინი თავის წიგნში „*Vita di Arnaldo*“. ეს აღსარება მის „დადს“ თითქმის მონუმენტალურად სხვიმოსილს ხდის. და მაინც, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამაშიც ატლანტიდიდან მონაბერი სიო იგრძნობა.

დასასრული შემდეგ ნომერში

გერმანულიდან თარგმნა  
ნანა გომგოლაშვილმა

კომენტარები:

1. მუსოლინი, ბენიტო – იტალიის ფაშისტური პარტიისა და მთავრობის მეთაური (1883-1945 წწ).
2. სიროკო (იტალ. *scirocco*) – ხმელთაშუა ზღვის ხორშაკი ქარი, ანადგურებს მცენარეებსა და ცხოველებს.
3. ტელურული ქარიშხალი – გაზებისა და ორთქლის შეჯახების შედეგად დედამიწის შუაგულში წარმოქმნილი ქარიშხალი.
4. ობსიდიანი – ვულკანური მინა.
5. მითრა – მზის ღმერთი ძველირანულ და ვედურ მითოლოგიაში; მისი კულტი რომის იმპერიაში უკავშირდება მინიერი წარმოშობის სინათლის კულტს.
6. დიდი დედა – კოლექტიური კულტურული გამოცდილებიდან აღებული ზოგადი არქეტიპული ხატის სახელწოდება.
7. *Magna Mater* (ლათ.) – დიდი დედა.
8. ისიდა – ძველი ეგვიპტის უზენაესი ღვთაება, ოსირისის და და მეულდე; ნაყოფიერების, დედობის, სიცოცხლის და ჯანმრთელობის ღმერთქალი.
9. კიბელე – ფრიგიული ღმერთქალი, დიდი დედა, მკვდარი ბუნების ამაღორძინებელი.
10. იშთარი – ბაბილონური ღვთაება.
11. სოლოვიოვი, ვლადიმირ (1853-1900 წწ.) – რუსი ფილოსოფოსი – იდეალისტი, ღვთისმეტყველი, პუბლიცისტი და პოეტი.
12. *essence divine* – ღვთაებრივი არსი.
13. აღონისი, ოსირისი, თამუზი, ატისი, ქუეტცალკოატლი – ბერძნულ, ეგვიპტურ, ხეთურ და მექსიკურ მითოლოგიაში მშვენიერ ჭაბუკთა სახელები, რომლებიც მოკვდავ და კვლავანახლებულ ბუნებას განასახიერებენ.
14. მენანდა – ბახუსის თანამგზავრ ქალთა ერთ-ერთი სახელწოდება.
15. ბახანტინი – რომაულ მითოლოგიაში – ღრეობაში მონანილე, თავაშვებული ქალი (ღმერთი ბახუსის მიხედვით).
16. ეხნატონი, იგივე ამენჰოტეპ IV – ეგვიპტის ფარაონი (ძვ.წ. 1424-დაახლ. 1400 წწ.).
17. *La Vergine con Figlio* – მიქელანჯელოს ბარელიეფი „ღვთისმშობელი ყრმით“.
18. დუჩე – ბელადი, ფიურერი.
19. აეროლითური – მეტეორიტის ქვის.
20. ჰერაკლიტე – (დაახლ. ძვ.წ. 544-483 წწ.) – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი – მატერიალისტი და დიალექტიკოსი, რომლის თანახმადაც ბუნების პირველნივთიერებაა ცეცხლი.
21. ლორდი კარნაფონი – არქეოლოგიური გათხრების დამფინანსებელი ეგვიპტეში. ამ გათხრების დროს იქნა აღმოჩენილი ტუტანხამონის აკლამა.
22. ლეგატი – რომის პაპის რწმუნებული კათოლიკურ ეკლესიაში.
23. ელელები ანუ ელეატები – ძვ.წ. მე-6-5 სს. ძველი ბერძნული ფილოსოფიური სკოლა ქალაქ ელეაში (სამზრ. იტალია); შექმნა მოძღვრება ჭეშმარიტი ყოფიერების უცვლელი არსებისა და ყველა ცვლილებისა და განსხვავების ილუზიონურობის შესახებ.
24. მაკიაველი, ნიკოლო დი ბერნარდო (1469-1527 წწ.) – იტალიელი მოაზროვნე; მისი აზრით, საზოგადოება ვითარდება არა ღმერთის ნებით, არამედ ბუნებრივი მიზეზებით. პოლიტიკური მიზნების მისაღებად დასაშვებად მიაჩნდა კანონების უგულვებელყოფა და ნებისმიერი საშუალების გამოყენება.
25. ნესუსის (ნესოს) პერანგი – ბერძნულ მითოლოგიაში კენტავრ ნესუსის მონამლული პერანგი, რომელმაც ჰერაკლეს სიკვდილი გამოიწვია.
26. *sub specie aeterni* (ლათ.) მარადისობის შუქში.

ოთარ ჩხეიძე

## გამდელი

ლამე გაუთენდა თეთრადა. ორივესა.

ჯმუხას თვალთვალში გაუთენდა. მაშოსა. გამდელსა. ჯმუხამ არც იცოდა თუ ვინ უთვალთვალეზდა. ჯმუხა თვითონვე რო უთვალთვალეზდა. თვალითა. ყურითა. მთელის არსებითა. მოცულებო მხოლოდ ერთითა: თუ რა ჰხდებოდა ბატონიანთ სახლში.

თუ რა ჰხდებოდა – მიმხვდარიყო. თუ რა მოჰხდებოდა იმანლა შესძრა. შებოჭა. გასთანგა. გაათავა ბიჭი. ლამფა ჩაჰქრა და გაათავა ბიჭი. ლამე იყო სავსე მთვარისა. ფანჯრებიც ანათებდა თითქოსაო. რო ჩაჰქრა. ლამფაი. რალა თქმა უნდა. ალაპლაპდა ფანჯრები სულ სხვაგვარადა: მუქად ალაპლაპდა. შავადა. შავადა. ბარემ ითქვას რო შავად ალაპლაპდა. და შესძრა ბიჭი ლაპლაპმა შავმა – შებიჭაო. გასთანგაო. რო გამოფხიზლდა თუ მიჰხვდა რო რალაცასა – კიბეს ეძგერა. ახრიგინდა აივნამდისა. ახრიგინდა და ჩამოხრიგინდა. დატრიალდა იქვე. კიბესთან დატრიალდა. რა ექნა. რა ელონა: ავარდნილიყო. კარი შეემტვრია თუ სხვა რა ელონა! რაც თუ რა იყო: დატრიალდა. დატრიალდა. და დატრიალდა. მერე ფეხი ჰქრა და ბალს მიეცა. ეგრე მინდვრებს შეერეოდა. შეეძლო ლიახვზედაც ამოეყო თავი. ლიახვზედაცა. დიახ. დიახ ლიახვზედაცა. ლიახვში – არა. არც რო მაგ ჭკუისა არ გახლდა ჯმუხაი. არა. არა. იცოდა მაშომ. არც გაჰყოლია. იქ ჰო მოისვენეს – ლამფა ჩაჰქრა. იმათი ფიქრი აღარა ჰქონდა. ბიჭისაც აღარა. ლამე მაინც თეთრად გაათენა. მთვარე რო ჩავიდა. რო ჩამოხნელდა. მაშინაც თეთრად იჯდა კარაპანში. გულხელი დაეკრიფა. ჩამოეშალა ყურები მანდილისა. შავი მანდილისა. იჯდა ეგრე. ფოთლის შრიალიც რო არ გამოეპარებოდა. არა. არა შრიალებდა. ფოთოლიც არა.

მერე ამრიალდა. ფოთოლიცა. სოფელიცა. ნელნელა გამოიშალა ხალხი. საქონელი. ფრინველი. შინაური. გარეულს ჰო ნულარ იკითხავ. ამოტრიალდნენ რო ტოროლები პირველივე სხივებზე მზისა. მოჰყვა რო მერე საგალობელი მრავალგვარი. ნაირნაირი. ზოგი იქავე. მახლობლადვე. ეზოში იმა ბატონიანთი. ზოგიცა შორსა. შორითშორსა. ეხამებოდა რო ერთიმეორესა. ალავესებდა. ენივთებოდა. გაისმოდა მოძახილადა ერთობლივობისა. მოძახილადა სიცოცხლისა. სიცოცხლის ეშხის მოძახილადა. ახლა ეს აღარ გაიგონება. ბუნება სოფლადაც რო აღარა გალობს. აღარც რო ტოროლაო. მერცხალიც აღარა. ბულბულიც აღარა. ბელურა რა არის, ბელურაც აღარაო. ახლა ესეც რო მოგონებაა. ის ლამის თევაცა, მაშოს რო ეგონა: მშვიდობით დასრულდა ყველაფერიო. ეგონა ასე, ვიდრე წყაროდან მიბრუნდებოდა. მიბრუნდა რო. რო შეალო სათონის კარი...

საბრძანისი თავისი. მაშოსი. ნაკრძალი თითქმისა. საიმედო ყოვლადა. ჯმუხასთვისა. კარმა მწარედ დაირაკუნა. ეცნო ის რაკუნნი. კაჩხა კარზე მიემაგრებინათ. კაჩხაზე ეკიდა. კაჩხაზე ეკიდა და კარს ურაკუნებდა – თუ არ ერტყა წელზე ჯმუხასა. და აღარც ერტყა.

ჩამოართვეს. დაითხოვეს რო კომკაემირიდანა.

აღარც ეკიდა. აღარცა რაკუნობდა. აღარც რო გული აღარ უკენესოდა მაშოსა.

ახლა შეჰკენესა ისევე მწარედა. გულმა. ცხადია. და აღარც გადაუდგამს ფეხი ზღურბლზედა. კოკაც ჩამოდგა იქავე. კართანა. ჩამოდგაო თუ დაახეტქაო თუ დაუვარდაო. არც მიუხედა: გატყდაო თუ რა დაემართაო. აფრინდა ალბათა აივანზედა ბატონიანთი. კიბეს რო ჩქამიც არ გაულია. და მერეცა ყველაფერი ისედაც მოჰხდა: უჩქამოდა. უთქმელადა. ულაპარაკოდა.

რილას ბატონიანთი. რის ბატონიო. რის ქალბატონიო. ქვეყანა რო არეულიყო. ძალღი პატრონს ველარა სცნობდაო. შენივე კართან დაგლეჯდა ძალღი. შენივე ძალღი. შენი თუ სხვისაო, სულერთი გახლდა. ან მთლად სოფელი ძალღადა ქვეულიყო, ამგვარ ძალღადა. ანთუ კაცობა ვისთუ შერჩენოდა, დამფრთხალიყო ისე იმგვარადა, შიშობდა არავის არ დაენახა საკუთარი სახითა. კაცური სახითა. ადამიანური სახითა. მაშოს ამდენი არც გაეგებოდა. ვერც იმას მიმხვდარიყო: ვთქვათ – ნახევარი თუ გაძალღებულიყო. სოფლისაი. სხვა დანარჩენი თუ რას დაემინებინა. სიკვდილსა?.. ცეცხლსა?.. ცხელ იარაღსა?.. არც მაშოს არ მოსწონდა ცეცხლის იარაღი. არა. არ მოსწონდა. უფრთხოდა ისიცა, უფრთხოდა უფრო: ერთ სალამოს რო ჩამოჰკიდა კაჩხაზე. ჯმუხამა. რო არაკუნდა იქა. საბედისწეროდ რო არაკუნდა. ხან რო შემოირტყამდა და გადაიკარგებოდა იმასთან ერთადა. ჯმუხაი. ცხადია. ხან რო ჩამოჰკიდებდა იქავე. ისევე. რო გაუდიოდა რაკარუკი თავზარდამცემი. კარგი რამას გარიცხეს. კარგი რამას ჩამოართვეს.

რო ისევე მიუციათ?!


ბატონი თუ დაბრუნდა.

როგორ გამოეპარა მერე ამის თვალსა?!. მაშოს თვალსა.

გამოეპარა?!

აბა რა იეჭვა?!

რახან იეჭვა. არც გამოჰპარვია. და რახან რო არც გამოჰპარვია, ახლავეც უნდა გადაიკარგოს აქედანა. ბატონი. ახლავე. მალე. უსწრაფესადა. და არც სალამიო და არც ქალამიო და არც ნაბიჯიო. ფრთხილიო. ფრთხილიო. უჩქამოიო და არც კარის დაკაკუნებაო და არც კითხვაო და არც პასუხიო და მოჯამაგირის ძველი სამოსი მიაყარა საწოლსა და მოახლის ძველი სამოსიც




მიყარა იქვე. ბავშვები თვითონვე გააღვიძა. თვითონვე ჩააცვა. როგორც რო ეცვათ. იმოსებოდნენ თუ როგორც როო. კამეჩებიც თვითონვე შეუბა ურემში. ბატონი დააბრძანა კოფოზედა. ჯალაბი შეუყარა ურემზედა. პირჯვარი გადასწერა და გზა უჩვენა. ჩქარაო. ჩქარაო. ესეც დაატანა. გულში. ყელამდე. ენას რო ვერც ამოუტანია. გზა ლიახვზე ჩადიოდა. ფონს მიადგებოდა. პირდაპირ ფონსა. თუმცა რა ფონსაო, მდინარე ცხრაპირად რო დატოტილიყო. დაეგდო რიყეი იმსიგანეზე, თვალი რო ძლივას გადასწვდებოდა. ტოტები ბზინავდა ახალ მზეზედა. ქვებიდან ნამი აიკრიფებოდა. გზა პირველ ფონს მიადგებოდა. პირველ ტოტსა და ფონსა პირველსა. მერე რიყეში იბნეოდა. იხლართებოდა. ინენებოდა. სხვა ტოტებს ფონი რო სხვასხვაგან დაედოთ. აღმაო თუ დაღმაო. უნდა გცოდნოდა. იცოდა. ხამადაც არ გახლდა. ბატონი. არც ისე იცოდა, ადვილად რო გარკვეულიყო. იმ წინა დღეებში მოდიდა ლიახვი. რიყეც აურია ფონებიცა. დიდხანს მოუნდა რიყეზე ტრიალსა. კინალამაც შეცდა. კინალამ ღურღუმში გადაუშვა ურემი. კამეჩებმა არ იყაბულეს. არც სახრეს დანებდნენ. არც ჭვინტებსა ქალამნისასა. გამხმარსა. გაფშეკილსა თუმცა. კარგახანია რო აღარავისა სცმია. აღარც მოჯამაგირები რო აღარ დააყენეს. აღარ დადგნენ რო აღარც თვითონა. რაც რო მოასწრეს გაიტაცეს. აენყვნენ ახალი ცხოვრებისათვისა. თუმცა არცა სჩანდა არაფერი ახალი. ესაა იჭერდნენ. ძარცვავდნენ. ხვრეტდნენ. სხვა ყველაფერი ისევე დიოდა. ლიახვიც ისევე. ფონიც ისევე გაბნეულიყო. უარესადაცა. აართმევდა თუ ვერა ალლოსაო. თუ გაატანდა. თუ გავიდოდა. თუ ვერაო. დროზედა. დროზედა. ვიდრე ხალხი აირეოდა. წინა დღეებში რო ადიდა ლიახვი – ნარიყი აეკრიფათ. შეეხროვებინათ. ეყარა კიდევ. გამოშლებოდნენ ნარიყისათვისა. ჰოდა დროზეო. ვიდრე ხალხი გამოიშლებოდა. დროზე და დროზეო. ამასაც გამოსცემდა გული ქალისაი. მაშოისი. ცხადია. იდგა. გაჰყურებდა. ურჩევდა აგრეთვე. უკარნახებდა. ახლა დაღმაო. მერე მანდვეო. ცოტა ქვევითაო. ცოტა ზევითაო. მანდ ლოდებს შუა უნდა გახვიდე. ფრთხილად თვალი არ წამოედოსო. გულში კარნახობდა. ხმას რო მაინც ვერ გადაანვდენდა. ჰქუხდა ლიახვი. რიხიანადა. ომახიანადა. იმ ადიდებისაც შემორჩენოდა. მოსდგამდა ძველიცა. როცა რო ავსებდა რიყესა მთლიანადა. ამ ფლატეებიდან იმ ფლატეებამდე, თვალი რო უნევდა ძლივძლივობისასა. აგერა ე-ე იქ უნდა ასულიყო. კარგად

უჭრიდა თვალი. მაშოსა. დაჰხუჭავდა და გაახელდა თვალითა. დაჰხრიდა და ასწევდა ქუთუთოებსა. ნაყვავილართა: ჰადაჰა ავიდა თუ არა. ავიდა თუ არაო... ავიდა. ნავიდა. ბავშვები ახტნენ. ხელი დაუქნიეს. ამან პირჯვარი გადინერა. მაშომა.

წავიდა.

ისე მოვიდა და ისე წავიდა, თვალი ვერც შეასწრო ბატონიშვილსა. უმცროს ბატონსა. მაშომა. მაშომა. რალა თქმა უნდა. ის იყო ბოლო ბატონიშვილი, ამის კალთიდან რო აიდგა ფეხი. ამის ხელში რო აიდგა ფეხი. მეტხანსაც ის შერჩა. სულაც სოფელში აპირებდა დასახლებასა. სხვები ადრევე გაიფანტნენ რო. ძმები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, პაპიდაშვილები, ზოგი აღარც მოაგონდებოდა. ზოგი ძლივასლა მოაგონდებოდა. ჩაიკარგნენ და ჩაიკარგნენ. ცხოვრებამ შეინოვა თანდათანობითა. ჯერ თანდათანობითა. მერე ერთბაშად. ისე აირია წუთისოფელი. სოფელიც აირია და წუთისოფელიცა. წუთისოფელი უფროდაუფრო. ავი ამბები მოდიოდა შორიდანაცა. შორითშორიდანაცა. უფრო ავი. უფრო საშინელი. მომასწავებელი უიმედობისა. იმხანად ესეც ამოტივტივდა. მიკარგულიყო რო ერთხანსა ესეცა. უმცროსი ბატონი. ცოლშვილი მოიყვანა. დატოვა და წავიდა. წავიდა ისე. მაშინაც ისე – დალაპარაკება რო ვერც მოასწრო თავის გაზრდილთანა. იმან კი მოასწრო, რისი თქმაც უნდოდა: შენი იმედი მაქვსო. ეს იყო და ესა. ახლა ამდენიც აღარ უთქვამს. იმასა. არც ათქმევინა რო ამანა. მაშომა. გაისტუმრა და ვინ იცის რო სამუდამოდაცა. უსიტყვოდა. გამოუმშვიდობებლად. მხოლოდ შორიდან რო გარდასახა ჯვარი. მაშინ ასე თქვეს – ცოლშვილი რო აქ რო დატოვა – თბილისი აილო რუსის ჯარმაო. ჩვენებმა უკან დაიხიესო. აგერ ხაშურში გამაგრდებიან. ძალას მოიკრებენ. ნაწილებს შეივსებენ. მიუბრუნდებიან და კუდით ქვას ასროლინებენო, რუსებიაო თუ რაც რო ჭირიაო. ვერ გამაგრდნენ. თუ რო გამაგრდნენ, მხოლოდ იმდენხანსა, ამას რო მიესწრო. უმცროს ბატონსა. უმცროსსა. ხაშურშივე რო მიესწრო. მერე დაეხია ჯართან ერთად უკანა. დაეხია და დაეხია. დაეხია და დაეხია. უკანა და უკანა. ბათუმამდისა. გაიქცევოდა ვიდრე რო მთავრობაი. ისიც უდღეური. ისიც უბადრუკი. მოუშუშებელი. გამოუფხიზლებელი. ეს რო გამოფხიზლდა. ეს უმცროსი ბატონიშვილი – სტამბოლში ამოეყო თავი თურმე. თურმე და თურმე. მერე იქით აღარ გაუშვა ეგრე ადვილად. სიფხიზლემა. რალა თქმა უნდა.



უცოლშვილოდ აღარ გაუშვა... ეს ამდენი ჰო აღარც იცოდა მაშომ. ისიც ვერ გაიგო რო – მოაკითხა. მხოლოდ იეჭვა. ივარაუდა. ააჩქარა მერე ჰო თვითონვე. თვალის რეკონსტრუქციის შერეული კარგადა. ისე კი უხდებოდა, რითაც რო შემოსა. უხდებოდა ტანსაცმელიცა მოჯამაგირისა. ჰო – როგორ ურტყამდა ქალამნის ჭვინტებსა, კამეჩები რო გაუფიქრებინა!.. არადა კამეჩებმა უკეთ იცოდნენ, სად შეისვლებოდა. მდინარეში. სად რო არაო.

რაც იყო, იყო. გავიდნენ მაინცა. მაინც კამეჩების ჭკუით გავიდნენ.

გაასწრეს ჯმუხასა.

ტყუილად არ ურაკუნებდა კარსა. მაუზერი. კაჩხაზე რო ეკიდა. ხოლო ნილაბი. შავი ნილაბი. არ ურაკუნებდა. ასდევდა და ჩასდევდა რაკუნსაცა და მანძილსა კარისა.

იცოდა მაშომ: ხის ბუდეში თუ რა იდო და რისთვის გამოიყენებოდა ის შავი ნინდაი სამი ნახვრეტიო. თვითონ არ მოქსოვდა!.. მოქსოვა ჯმუხას კარნახითა. ეტყობა მოუწონეს. კიდევ რამდენიმეც მოაქსოვინა. იცოდა: ღამე რო დაესხმოდნენ თავსა – მენშევიკების ოჯახებს ანიოკებდნენ. გაქცეული მთავრობის მომხრეებს ანიოკებდნენ. მილიციური და შავნილობის მილიციური მილიცია გახლდა. არ უნდოდა ნილაბი მილიციასა. შავნილობის ესენი გახლდნენ – კომკავშირელები – გაკრებილნი. და ესეცა ერთერთი: ჯმუხაი. ამოვარდნილი გამდელის კალთიდანა. მაშოსი. მაშოსი. გადავარდნილი ემპაკის კალთაში. ერთიცა ვნახოთ და წაართვეს მაუზერი. ნილაბიც წაართვეს. მაშოს მოქსოვილი. ჯმუხასა. მაშომ არც იცის და არც უკითხავს: ანთუ რად მისცეს, ანთუ რად წაართვეს. არც ეკითხებოდა. ჰო აღარ დასდევდა ემპაკებსა – ის უხაროდა. შინ დატრიალდა. საქმეს დაუბრუნდა. შინ გაზრდილიყო. საქმისთვის გაზრდილი. სისხლი და ხორცი საკუთარი. ძმისწული. ერთადერთი. და ერთადერთი ძმისა. არეულობას რო შეაკვდა სადღაცა. არეულობით რო დაიწყო საუკუნეი ის უბედური. რო აირია ყველაფერი. აირია რო ყველაცა. ცხადია. თვითონაც რო არ იცოდა: რას-რად შეაკვდა. არც მაშოს რო არ გაუგია. რძალმა წაიკრა ნითელი ხილაბანი. ქალაქს გადავარდა. ბიჭი მიაბარა მულსა. მალე წაიყვანო. ახალ ცხოვრებას ავიწყობ თუ არაო. აწყობით აიწყო. ახალიო თუ ძველიო. თუ რაც არისო. ნაცადიო. მეორედ გათხოვდა. ბიჭი აღარც მოუკითხნია. არაო და ნუჟო. ეს ერთი მაინც შერჩებოდა გაზრდილთაგანა. მიმოეფანტა რო ყველა დანარჩენი. ჰა და ჰაო: მოიკიდებდა თუ არა ფეხსა უმცროსი ბატონი. სოფელშია. ჰა და ჰაო. ჰა და ჰაო!.. არაო და ეს მაინც შერჩება. ეს ერთადერთილა ნიშნული ამავისა თავისი. მაუზერმა ცოტა დააბნია. შავმა ნილაბმაცა. დაბნეულიყო რო ვილა აღარა!.. არც მაშოს არ გაემტყუნებოდა. ქალი გახლდა ბოლოსდაბოლოსა. დაბერებულიყო ბატონიანთ კარზე. ბევრი რამ დაესწავლა. ბევრი რამ გაეგონა. ბევრისაგანა და სხვადასხვა დროსა. ბატონს რო სტუმრობდნენ. ხშირად მტრულად განწყობილიცა. პარტიულობით გადაღერძებულნი. გაულმობელებულნი. გაავებულნი. გაეგონა და გაეაზრებინა. მაინც ქალი გახლდა. მაშოი. ცხადია. გამდელი. შინიდან გაუსვლელი. თუ რად მოიცვა ყველაი მტრობამა. ყველაი და ყველაფერი. სოფელი სოფლადა. ქალაქი ქალაქადა. ქვეყანა ქვეყანადა. მთლად ერთიანად რო ქვეყნიერებაი?! ვეღარ გაეგო და აღარც თავს იტებდა – ე ბიჭი ჰო შინ დატრიალდაო. შინა – იქავე ბატონიანთ კარზე: რო აღარც ბატონები აღარა ბრძანდებოდნენ იქა. რო ბევრი აღარც აღარაფერი შეანარჩუნეს იქაობასა. რო თუ რამ გადარჩა – ისიცა ამისი წყალობითა. მაშოსი. გამდელისა. და თუ ე ბიჭიც არ აიქარებდა: რაც რო გადარჩა, იმას მაინც შეუნარჩუნებდა – ი უმცროს ბატონსა: რო უნდოდა რო დამდგარიყო კერი-აზე თავისი და რო ვერც დამდგარიყო.

ბედისა: შენ რო ბედაურით მიჰქროდე, ის ურმით მოგდევდეს, მაინც დაგენევო.

უბედურს კაცს – ქვა აღმართში მოენევო.

უბედურ კაცს ბედი სწიეს, ვერ იქნა და ვერ დასწიეს.

ანთუ რა ბედიო. რის ბედიო. ბოლშევიზმი მუსრს ავლებდა. მენშევიზმსა. პარტია სპობდა პარტიასა. არადა ერთ ფესვზე ამოსულიყვნენ. ანთუ: შვილნი ბრძანდებოდნენ ერთი მამისა. წინ დაეღოთ ერთი მიზანი. ერთი. ერთადერთი. იგივეი. განუსხვავებელი – დაეხსნათ მონობისაგანა პროლეტარიატი. როგორც რო ბრძანდებდნენ. ან რად გაყოფილიყვნენ ან რას არგებდა პროლეტარიატსა მენშევიკებს თუ გაულეტდნენ ბოლშევიკები?! ანთუ რა იყო, რა ბედი იყო ესა ისეთი, მეცნიერებმაც ვერ რო გაარკვიეს. კომუნისმის მეცნიერებმა. – დაემხო ისე მშენებლობაი კომუნისმისა. ანთუ: შეწყდა. მოულოდნელად შეწყდა. მოულოდნელადა. უცება. უეცრადა. მაშოს ვითომ რა გაემტყუნებოდა...

ეს მაინც რო არ დაუჯდა ჭკუაში –

ბიჭი რო დატრიალდა შინა?..

რო არც ის მოსწონდა – იმათთან რო ჩადგა?..

ჯანდაბას ესეცა და ამისი ემპაკებიცაო. ჩარჩენილიყო ისევ იმათში იმ იმათი მაუზერითა და ამ ამისივე მოქსოვილი შავი ნინდითაო.

გული ცუდს უგრძნობდა. თვალი აეჭვებდა და გულიც იქვე გახლდა. თვალს მოარიდებდა. გულს ება თვალეები. გულსაო თუ ალღოსაო. ანთუ რასაო – დიდი რამ საკითხავი აღარც რო გახლდა.

ბიჭი მიინევდა... ქალბატონზე მიინევდა ბიჭი. ჯერ მიწას არ ასცილებოდაო. ითქმის. ჯერ რო ჩვიდმეტიც არ მოეთავებინა. წლოვანებაი. რალა თქმა უნდა. ტანად აყვარა. კუნთებიც დაებურთა. თავიც გადაედო კომკავშირზედა. არ დასხმარტალებდა სოფლის გოგოებში. ცოტა მორიდებითაც ეჭირა თავი. უცებ იფეთქა. რალამაც იფეთქა. ამ ქალმა გადარია. რალაც აუფეთქდა. ბიჭსა. გულშიო თუ სულშიო. ტყუილია. სადღაცა. სადღაცა. შეუცნობლადა. გაუგებრადა. მოურევლადა. დაუმორჩილებლადა. აღარც საქმისთვის

აღარა ვარგოდა. გარეთ წანწალზედაც აიღო ხელი. ჩამოართვეს მაუზერიცა. ნილაბიცა. გარიცხეს რო კომკავშირიდანა. ერთისიტყვიითა. ნილაბი არაფერიო. გარიცხვაც არაფერიო. მაუზერს ლამის თანაც გადაჰყვა. მაგრამ გაუძლო. ამასაც გაუძლო. ფეხი არ გაედგა ოღონდა შინიდანა. ეტორლიალა ეზოშია. არ მოეწყვიტა თვალი – წუთითაც არაო – ამ მშვენიერი ქალბატონისათვისა. უცებ რო მოფრინდა საიდანაცა. რო ააფორიაქა ასევე უცება. უცება და ისე. ისე. ისე. ისე იმგვარადა, მაუზერიც რო გამოიტირა. ნილაბიც ჰო. და თვით კომკავშირიცა. და რაო და რა მოიგო... ბევრი არაფერი. სულაც არაფერი. ქალი თვალითაც არ ეჩვენებოდა. თავიდან თითქოს ალღო ვერ აართვა. ქალბატონმა. შეკრთომით შეკრთა. ოღონდ ეგონა სიფრთხილემ შეკრთო. სიფრთხილემ შევილები-სადმი. გოგონებისადმი. შელერებულიყვნენ ის ცუგრუმელებიცა. ბზინავდნენ. ცქრიალებდნენ. ერთი თორმეტს უკაკუნებდა. მეორე მიჰყვებოდა ფეხდაფეხა. წამოჩიტულიყვნენ თვალსა და ხელს შუა. იგრძნო და შეკრთა. დედა შეკრთა. ხელი მოჰხვია. კალთას გამოიბა. მოარიდა ი ოტროველასა. სოფელს მოარიდა. უფრო მოუთმენლად გაჰხედა გზასა. ანთუ თვალი ჰო ეჭირა ისედაცა, სულაც არ მოსწყევტდა: მობრუნებულიყო რო დროზე. მამია. ცხადია. გაეცილებინა აქაობისათვისა. დროზე. დროზე. გაუთვალისწინებელი ხიფათისათვის გაეცილებინა. დროსაც რო აღარ დაადგა საშველი. დღე მიზოზინებდა. ღამეცა ისევე. ნახევრად თეთრი. ხან სულაც თეთრი. უძილობისგანა. ისედაც თეთრი. მთვარის წყალობითა. კიდევაც კარგი. ბნელი ღამეები თავზარს დასცემდა. მაინც ვერ გადარჩა – თავზარს რო ვერა!.. კრთომა იზარდა. იზარდა. იზარდა. შიშად იქცა. რალა თქმა უნდა. ხოლო თავზარი იმას მოჰყვა, მალე რო ცხად იქნა. ქალისათვისა. თვალთმაქცობდა რო ი ოტროველია. ი მუტრუკი. ი ჩოკინაი. ბავშვებს იმიტომ ეტორლიალებოდა – თვითონ იმას რო მიახლოვებოდა. დედასა იმათსასა. ყურძნის სიყვარულით, ღობეს ევლებო. სოფლის ნათქვამია. ამას ქალაქით თუ უნივერსიტეტები არა სჭირდებაო. დამიხე ერთი ამ ოტროველასაო. ამ მუტრუკსა. ამ ჩოკინასაო. გამდელი შეარქმევდა. ცოტა ალერსითაცა. ცოტა წყრომითაცა: სილამაზის გრძნობა ჰქონია. ოღონდ ამდენი როგორ გაჰხედაო. გაჰხედა და!.. უყარე კაკალი!..

თვითონაც არ უშვებდა თვალიდანა. გამდელი. ი ოტროველასა.

არც ქალბატონს არა შორდებოდა გვერდიდანა. ბავშვებსა. დედა არა შორდებოდა. მაინცა. მაინცა. ვინ უწყისო. რალა თქმა უნდა. და ისედაცა – მფარველობ-

და. თავსაც იცავდა. გარეთ არ უშვებდა. თვითონცა არაო. ფეხს არ გაადგამდა.

ორი ფანჯარა ამოეჩემებინა.

ერთი გორის გზას გაჰყურებდა.

მეორე – ცხინვალისასა.

ან იქიდან მოვიდოდა ან იქიდანა.

არც იქიდანაო და არც იქიდანაო: რო მოვიდა – რიყე გადმოვლო. ლიახვი გამოტოპა. ოღონდ მანამდე გაძლება უნდოდა. და უჯდა იმა ორ ფანჯარასა. თავზარდაცემული ქალი. გამდელს რიყეზეც ეჭირა თვალი. მიაკითხავდა ხოლმე მღვდელსაცა: ან გორიდან თუ დაბრუნებულიყო ან ცხინვალიდანა – ფოსტაში თუ შეიარეო. ან წერილი ან დეკეშა რაიმ თუ დაგხვდაო. არაფერიო. არაფერიო. ვიდრე თვით მღვდელიც არ გაუყენეს უფრო გრძელ გზასა. გორისაზეო თუ ცხინვალისაზეო. ტყვია ჰო დაეხლიათ. ეგ ვითომდა არაფერიო. რაც სანთელი რო შეეძინა, დაენტოთ ზედვე. ანაფორაზედა. საკმელიც მოეკმიათ. გულუხვადა. თან მოჰყვა რო სუნი, დამწვარი რო ჩამოასვენეს. საკმელისაცა. სიღამწვრისაცა.

გამდელი გულს დაიმშვიდებდა:

ესეც ჰო იმათში იქნებოდა – ახლო –

ე მუტრუკი. ე ჩოკინაიო.

იმათშიო. იმათშიო.

იმათში აღარ იყო. სადაც რო იყო, შფოთს რო თესავდა იქაცა რო?!. რო დაჰკარგოდა მოსვენებანი თვითონცა –

აღარც იქით გახლდა. აღარც აქეთა. იქ კომკავშირიდან ამოიკრა აბრაგანი. აქ ქალი თვალით არ ეჩვენებოდა. ღამფასაც არ ანთებდა ღამღამობითა – აპარულიყო რო აივანზედა. შეეჭვრიტა ფანჯრიდან მაინცა. ხან ისეც იყო – რო ლამის შინაც შევარდნოდაო. სად იყო. სად არა. კართან გამდელი აიტუზებოდა. თვითონაც დაზიდავდა თითქოს რალაცაო. ოჰ ეს რალაცაო: არც ასვენებდა. არც მთლად აეშვა. დაება კიდევაცა. თითქოსა. არღვევდა. შლიდა. ანგრევდა. არც არას უსმენდა. არც არას აკითხებდა. არც გამოუჩნდებოდა. არც დაეხსნებოდა არცერთი წამითაცა. წამითაც არა. გამდელი უბღვეროდა. გამდელისა ერიდებოდა. გადაკარგულიყო როგორმე საითმე?!. ოჰ ეს რალაცაო – საით გაუშვებდა. რა გზას მისცემდა. იმდელს მაინც მთლად აიბურდა. არც რა შეცვლილა თითქოსაო. არა. არა. არც არაფერი. არცვინ შეუნიშნავს ახლომახლოსა. ლანდათაც არც რა მოლანდებია. მაინც რალაც იგრძნო. ისევ რალაცაო. მერე ვილაცაცა. როგორღაც ისე: ხარი ფურს რო გაინაპირებს. მყვირალობისასა. ვერც რო რას მოასწრებს. სხვა ხარის ხვნემა რო წამოეწევა. ხვნეშია და ლანუნი. რქებით რო მოარღვევს, რაც რო შეჰხვდება. ხვნეშია და ლანუნი და სუნი ხარული.



მხატვარი ვაჟა ორბელიძე

მძაფრი. ავარდნილი. თვითონაც რო ავარდნილა არა-  
 ნაკლება და არც რას დაინდობს. რქებსაც შეაღწეწავს.  
 ჩქოლა რქებსა. ქორბუდა რქებსა. თავს არ დაინდობს.  
 რალა თქმა უნდა. ლამფაც აინთო იმლამესა. ქალის სა-  
 ნოლში. არცთუ დიდხანსა. მცირეხანს აინთო. ესეც  
 აანთო იმ ანთებამა. ბიჭი. ამითი ჰო დაიდასტურა და  
 დაიდასტურა. ის არის. მოსულა. ის არის. ის არისო.  
 აანთო. გადარია გადარევითა. რო ჩაჰქრა. ლამფაიო.  
 ეს არ ჩააქრო. გონს გადავიდა. რა ჰხდება. რას სჩადის  
 იგი – სინათლეი. სიფაქიზეი. სინმინდეი იგი – თავის-  
 თვის რო სურდა. სწყუროდა. ვერც რო შეეებდა. რო  
 არც ეგონა გაჩენილი საამისოდა. ასეთი ფიქრიც რო  
 წამოუვლიდა. როგორი აღარაო. ასეთიც როო. თურმე  
 რა ყოფილა!!!.. ასე თვალდათვალა. ასე ცხადად. დასა-  
 ნახადა თვითონვე ამისა!!!.. და მოსწყდა რო ეზოსა.

შუა ეზოსა, აიტანა ბრავგანი აივანზედა. ალბათ რო  
 წამში. თავისი ფეხის ხმაც რო არ გაუგონია მანამდისა.  
 ბრავგანი გაიგონა. ისიც გაიგონა: იქ რას გაჰხდები ცა-  
 რიელი ხელებითაო. ის ჰო უიარალოდ არ იქნებაო. და  
 ინანა. ჰოი და ჰოი როგორ ინანა!!.. მაუზერი. ინანა. ინა-  
 ნა. იქ საქმე რად გავიფუჭეო. დავარდა იქვე. კიბის  
 თავთანა. ჩაიხრიგინა საფეხურები. ეგრევე. ეგრევე.  
 დაგორგალეულმა.

ის ხმა ჩაესმათ.

ჟამსა იმაგვარსა, არც რო არაფერი არ გაიგონებო.

სხვა რალა ითქვას... მაუზერი ისევ ჩამოართვეს. ნი-  
 ლაბიცა. გამდელის მოქსოვილი. კომკავშირიდანაც გა-  
 რიცხეს ისევა. რისთვის უცდიდი ან ანთებასა ლამფი-  
 საო ან ჩაქრობასაო ან მაუზერისათვის რა მოგარბენი-  
 ნებდა – ნაჯახით ვერ გაუპე თავიო...

პირველი შთაბეჭდილება

როგორც ყოველთვის,  
 როგორც დღეს...

დიდი ხანია, რაც ლიახვის პირას არ ყოფილხართ? არ  
 გახსენდებათ იქაური ჭალების ყოვლად მიწიერი მშვენიე-  
 რება? არ გენატრებათ იქაური განთიადი?

რა თქმა უნდა...

ოთარ ჩხეიძის ამ მოთხრობაში გამოკრთება ლიახვის  
 განთიადი, ლამაზი და გულისმომკვლელი სანახაობა,  
 თუმცა ეს არ არის მთავარი თემა.

მოთხრობაში ხეობა არის ისეთი, როგორც გვახსოვს,  
 – ისტორიულად კრიმინოგენული, ლიტერატურულად –  
 მითოგენური.

ამ მხრივ ის მართლაც საგულისხმო მხარეა, მაგრამ  
 ამჯერად არც ეს გახლავთ მთავარი თემა.

ჩემი აზრით, აქ საჭიროა სამი შეკითხვის დასმა,  
 ოღონდ მნიშვნელობა არ აქვს, ზუსტი პასუხი გაცემა თუ  
 არა, მთავარია, კითხვები იყოს ზუსტად დასმული.

პირველი კითხვა: რატომ ჰქვია მოთხრობას „გამდე-  
 ლი“? ვინ არის ეს ქალი, ჯმუხასა და ბატონიშვილს,  
 მკვლელსა და მსხვერპლს შორის რომ ჩამდგარა და ნება-  
 უნებლიეთ რალაცას მიგვანიშნებს თავისი ძველებურად  
 თბილი და მშობლიური სახელით – მამო?

ასე მგონია, მამო მარტო მთავარი გმირი, მარტო პრო-  
 ტაგონისტი არ არის, ამავე დროს სიმბოლოა, გნებავთ, ემ-  
 ბლემა, ნიშანი ან მსგავსი რალაც. ყოველ შემთხვევაში,  
 ასე იკითხება მისი ფუნქცია. იგი ფხიზელი საქართველოა,  
 გონების თვალთ მზირალი გამონაკლისთაგანია, რომე-  
 ლიც შეუფოთებით ადევენებს თვალს შვილების სამკვდრო-  
 სასიცოცხლო ბრძოლას. მისთვის ძმისშვილი ჯმუხაც და  
 ბატონიშვილიც „პარტიულობით გადაღერძებული“ ადა-  
 მიანები არიან, რომლებიც ბრმად დაატარებენ თვითგა-  
 ნადგურების იმპულსებს.

მოთხრობაში იმედი არ ჩანს, მაგრამ გრძნობ, როგორ  
 იკრებს მამო იმედის გაბნეულ ნამსხვრევებს.

მამო იმედის სხივია თუნდაც იმიტომ, რომ გამდელია.

მეორე შეკითხვა: რატომ ვერ კლავს ჯმუხა ბატონიშ-  
 ვილს? ნუთუ მართლა იმიტომ, რომ მაუზერი ხელთ არ  
 აქვს? ან იქნებ შეეშინდა? მაგრამ რისი უნდა შეშინებოდა  
 ამ ღვთის პირიდან გადავარდნილ კომკავშირელს? აელო  
 ნაჯახი, როგორც კომკავშირელმა ხელმძღვანელებმა ურ-  
 ჩიეს, და გაეთავებინა საქმე. მითუმეტეს ამას პირდაპირ  
 ავალედა პოლიტიკური ბრძოლის წესი – ბოლშევიკმა  
 მენშევიკი არ უნდა დაინდოს.

დაპირისპირება როგორც ბედისწერა!

დაპირისპირება რომ არ ყოფილიყო, ჯმუხას არ გაუჩ-  
 ნდებოდა ქალბატონის დაპყრობისა და ბატონიშვილის  
 მოკვლის იმპულსი, მაგრამ რაკი დაპირისპირება არსე-  
 ბობს, შეგიძლია მოწინააღმდეგეს წაართვა ქონებაც,  
 ღირსებაც და სიცოცხლაც.

როგორც ყოველთვის, როგორც დღეს, როგორც ჩვენს  
 დროში.

ბოლშევიკური ინკვიზიციის პრაქტიკა არასდიდებით  
 არ ითვალისწინებდა მსხვერპლის წინაშე უკანდახევას ან  
 დათმობას.

აქ უთუოდ რალაც ხდება. ჯმუხას რალაც ძალა აკა-  
 ვებს. ნუთუ ეს სინდისია?!

თუ ასეა, მაშინ ჩათვალეთ, რომ დარღვეულია ტრადი-  
 ციული ლიტერატურული სტერეოტიპი.

მესამე კითხვა: როგორ ახერხებს ოთარ ჩხეიძე ახალ-  
 გაზრდული „ფორმის“ შენარჩუნებას?..

მოთხრობა ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი, კი-  
 ნოპოეტიკის პრინციპზე აგებული თხრობა ერთ ხაზს,  
 ერთ კულმინაციურ ტალღას მიჰყვება; დრამატული ექ-  
 სპრესია, ლაკონური ფრაზები და ზუსტი დეტალები, ერ-  
 თი სიტყვით, დახვეწილი ფორმა, რომელიც ყველაფერია  
 – სტილიც, ჩანაფიქრიც და იდეურ-მხატვრული თავისე-  
 ბურებაც.

რაც შეეხება მესამე კითხვას, ამაზე სჯობს თვითონ  
 მკითხველმა იფიქროს, ოღონდ შორს ნუ წავა, პასუხი  
 სადღაც აქ არის, ლიახვის მითოპოეტურ არეალში.

ივანე ამირხანაშვილი



### გიორგი ალბაზიშვილი

#### ინტელექტუალთი

ჩემი ძველი პალტო ახალ პალტოებთან  
ეკიდა საბრალოდ, როგორც ჩამომხრჩვალი,  
რალაც უამური განცდა არ მტოვებდა,  
იგი ამჟამადაც ზიზლით ჩამომჩხავის.

ინყება სპექტაკლი ფოიეს სცენაზე,  
ფრანგული სუნამო პოულობს ნესტოებს,  
ფიტული მიჰყვება ხელკავით სინაზეს  
კეკლუც ქალბატონის და მარტო ვერ ტოვებს.

კაბების შრიალში იღვიძებს სიო და  
სიამის შარშიურს თვალები არ თმობენ:  
– ხომ გახსოვთ, აქ შარშან ძალიან ციოდა...  
– ეს – შარშან, ახლა კი მშვენივრად ათბობენ!

გაქუცულ პიჯაკის საყელოს გაქექილს  
როცა აღმოაჩენს, სარკესაც რცხვენია,  
იფიქრე, იფიქრე, იფიქრია საკენკი...  
უცნობის ჩურჩული: – ეს ქალი ცხენია!

ბაგეზე ჰკიდია მკვდარ პეპელასავით  
რიოში ღიმილი ცარიელ ჰაბიტუსს  
და სამკაულების ციმციმა ნაზავი  
თვალებს გაგინათებს, რატომღაც ჩაბინდულს.

ესენი ერთმანეთს ზომავენ თვალებით,  
„ყორანს“ არ ზომავდა ედგარ პო დუიმით,  
თან მიირწევიან, თან მიდანდალებენ  
მონაწილეები ერთგვარ პოდიუმის.

ვისი აფხაზეთი, ანდა სამაჩაბლო?!  
სამშობლოვ, ბავშვივით გამომეტირები;  
გყიდიან, ლალატი მრავალგზის დანაჩაგრო,  
საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილები.

აქ, თითქმის ყოველი, ცრუ აქტიორია,  
არ გიკვირს, გაქცევა შინ ადრე რომ გინდა,  
მიალნევ გარდერობს წინსვლით აქტიურით,  
ტყვე რომ გამოიხსნა ამ გარდერობიდან.

უამიანობისგან ანატირი უამი  
აშთობს, მწუხარება ვინც არ დაითმინა,  
დარდით აღსავსეა გული – დირიჟაბლი,  
ქალაქს გადაუვლის მისი არითმია.

„ლაკმე“ გაიხსენე, „ლაკმე“, ძველო პალტოვ  
და ბუტაფორიის ყრუ ამოხვრამდე  
იქნებ დეკემბერმა ბალი ჩამობარდნოს,  
ვიდრე ბითურები ერთურთს გამოხრავდნენ.

ჭორები ვრცელდება თურმე ჰაერიტაც,  
აღარ ჩერდებიან მოდიალოგენი.  
თუნდაც მოუსვლელში წადი, გაერიდე  
თვალებს, რომ ანათებს ზიზლის ჰალოგენი.

შენც კვდები თანდათან, გული გელვენთება,  
მიდიხარ შხამით და ჭორით გალახული,  
თბება ისტორიის ბნელი აღმართები –  
ძვლებით დათესილი, ახლად გადახნილი.

მოდინ, მოდინ! აქ განა ბრბო მოდის?!  
ზერელე ფრაზებით ისეთ მთხლეს თუ ავლენთ,  
რითაც იკვებება ქალაქის ბომონდი,  
თქვენც შეემატებით ინტელექტუალეთს.

3-4. 09. 2006 წ.



ირაკლი კაკაბაძე

### გზად შინისაკენ

კარდიოლოგთან შესვლის წინ, საავადმყოფოში,  
ჩემ თავს ვუთხარი;  
მოდი, ვიმღეროთ რამე კარგი სიმღერა.  
როცა გაუვალი ტყე ვიყავი  
ტკბილად გალობდნენ ჩემში ჩიტები, –  
სანამ გამსხლავდნენ,  
გამკაფავდნენ,  
გამომხშირავდნენ.  
თმაში ვინწავდი საკუთარი ტკივილის ყველა ბნკარედს  
და წარმოვიდგენდი ადამიანებს თუ როგორ სძინავთ.  
ჟინჯულავს სხეულს შიგნით  
ყოველდღიური სატკივრები და სიმძიმეები,  
ზღვებივით აღვსილი ვართ სევდით,  
ხოლო სნეულებასა შინა განვლილ გზას  
ტკივილი ჰქვია.  
გზა კი იქამდე გრძელდება, სადამდეც გაჰყვები...  
და ყველაზე დიდი შანსი არის დახრჩობის  
საკუთარი გრძნობების ზღვის გადაცურვისას.  
ადრე უფრო საინტერესოც ვიყავი,  
ახლა თბილისში ვცხოვრობ  
და ბავშვები აქ, ყვირით უხმობენ დილას,  
აქვეა ომის მიერ გაშლილი კარვები  
და ჩვენთან ღატაკთა უბნები არ არსებობს,  
რადგან მთელი ქალაქი სიღატაკეა.  
აქ მზეც უნდა დაიტირო –  
დაფარული აქვს შავ ღრუბელს  
ცის ცისფერი ღიმილი  
და ყოველი ქალაქური განსაცდელი  
სულს ხელში გაჭერინებს.  
ისე, ტკივილი უფრო აღინჯებს ადამიანებს,  
ბედნიერება ყოველთვის არ არის ფიქრში,  
არც ახლიდან დაბადებაში  
და არც ჩადენილი ცოდვის დავინწყებაში –  
ჩვენი ხვალისდელი ხომ ისედაც გადაყლაპა  
გუშინდელმა და დღევანდელმა.  
როცა თვითონ გზებმა გადაუხვიეს  
თავიანთ სავალ გზებს,  
რით დამარწმუნა ხემ ლეღვისამ  
საკუთარი ცხოვრების სიმწუხარეში?

თბილისში ვცხოვრობ  
და მშვიდობა ალბათ, შორია,  
გშურს ვილატის ლამაზი სიკვდილი  
და გთხოვ,  
ლეღვის ხის ტოტებზე აღსრულებულთაც  
შენდობა მიეცი,  
შენდობა მიეცი...  
მე კი ჩემს მარტოობას ტკბილად უნდა ვუმღერო;  
კარდიოლოგთან შესვლის წინ, საავადმყოფოში.

### აქამდე და ამის შემდგომ

I  
მე დედა მყავს ფუნთუშების გამყიდველი.  
ფულს აგროვებს –  
ჩემი სიხარული უნდა რომ იყიდოს.  
თვითონ კი ავსებს ყოველდღიურად ცრემლით თვალის  
კასრებს.

ვდგავართ ცეცხლის ზღვასთან შვილები,  
იქ, სადაც მამები ჩაიკარგნენ,  
სადაც ვერ შეიგრძნეს ზღვის მხურვალეობა  
და სადაც ცეცხლის ზღვის აგზნება მათთვის  
ხილული არ აღმოჩნდა.

როდესაც შემოსეს სამყარო მწარე ლეღვის ფოთლებით,  
დედა ეძებდა სავარცხელს –  
ზღვის დაუმორჩილებელი ტალღების დასავარცხნად,  
წინათ ხელითაც უმკლავდებოდა ამ საქმეს.

ნაპირთან უიმედობას ვსუნთქავდით...  
წყალში თევზების ფრენა და გნიასი –  
თითქოს, მაცხოვარმა გაიარა წყლის ზედაპირზე.  
და ჰაერი!..  
ჰაერი სულისთვის არ კმარა.  
სხეულს კი ვარსკვლავთა მდებლობაზე წამოწოლა  
სიკვდილად დაუჯდა.

II  
იყო დრო,  
როდესაც შორს, დაღლილ, გადატვირთულ სივრცეებში,  
ძალით ტენიდნენ საკუთარ გრძნობებს ჩვენი მამები  
და სთესდნენ მინის ხნულებში  
შვილების სისხლის წვეთებს.  
მერე წლობით ელოდებოდნენ მოსავალს  
(მენამულ მოსავალს).

ამ დროს კი  
ჩვენ, შვილები,  
ჩვენს მფრინავ გველებს ვუერთებდით  
წითელი პლანეტების ცელქობას და ბავშვურ ანგლობას,  
ანდა ვიდევით ტროლეიბუსის გაჩერებაზე  
და ხელს ვუქნევდით ჩიტებს,  
რადგან ჩვენ ფრენა არ შეგვეძლო.

ვხედავდით ანგელოზთა საველ გზას  
ჩვენიდან ზეცამდე –  
ხან ყვავილებით მოფენილს  
და ხანაც სისხლის წვეთებით მოკირწყლულს.  
ანგელოზები კი მხოლოდ ჟინჯლის დროს ჩანდნენ.  
ჩანდა მათს ნანვიმარ ფრთებზე აყვავებული სიზმრები,  
როგორც წითელი ასკილის ყვავილები  
და ცრემლები.

III

ჯერ კიდევ სანამ უფსკრულები გვეზმანებიან,  
დავეძებთ მოძღვარს.  
მამები არ ჩანან  
ამ სოფელში ვის შეუძლია, გვინინამძღვროს?  
უფალო, ვინ გვყავს მოძღვარი დედამინაზე? –  
ხილული, მეტყველი.  
ვინც დრო გააჩერა  
და დრომ ვერ შეაჩერა.  
ვინც თვალების დახუჭვის შემდეგ გაცოცხლდა  
და სიკვდილს ჩახედა თვალეში.  
ვისაც ნანახი აქვს მწუხარების მარადიული  
უარყოფის სურვილი  
თუ როგორ ახრჩობს კოსმოსს.  
უფალო, სად არის მოძღვარი –  
ვინც ცხოვრების გამოცდებით დანისლულ გზებზე  
გვინინამძღვრებდა?  
რომელიც ნახავდა, ჩვენგან ასხლეტილი აზრების  
პროტესტი  
როგორ აბინძურებს ჰაერს და გარემოს.

შენ სადღა ხარ?  
რომელ დროში დაგვეკარგე –  
სად შეჩერდი, სად გექებოთ?  
თუ შენც ცეცხლის ზღვამ ჩაგყლაპა –  
როგორც ჩვენი მამები?..

IV

დღეს  
უცნობი ბაღში ძეგლებს ბანს  
და ძეგლები მწვანდებიან.  
იქვე, სკამზე, სემინარიელი ყმანვილი  
შეყვარებულს უყვება პირველ ადამიანებზე  
და ევას დანაშაულზე კაცობრიობის წინაშე.  
შეყვარებულებს ზურგზე მზე აწვებათ,  
წინ, მიწაზე, საკუთარ ჩრდილებს დაჰყურებენ  
და სურთ, ამოალაგონ ძველმანები სკივრებიდან,  
წავიდნენ ქალდეას, იქ იქორწინონ  
და შეიგრძნონ, როგორ ბარდნის სიმშვიდე  
წუხანდელი ღამის სევდას.  
შეიგრძნონ სიმშვიდე  
დაბომბილ ქალდეას.

V

აქამდე ტანჯვით მოვედით,  
ალარაფერს მოველით –  
უკვე ყველაფერი ჩვენთვის დაკარგულია.  
და თუ ოდესმე შვილები  
შევდექით ბერებად ჩუმ მონასტრებში,  
კოსმოსის გუმბათს შემოვავამთ წვიმისფერ აფრას –  
შორს გასაფრენად – სამყაროს, ყველაფრის გარეთ,  
რომ უსასრულობაში ვიყვიროთ;  
– ჰე, ჰე, ჰე, ჰეეეე...  
არის აქ ვინმე?!

რომ დავიკარგოთ უსაზღვრო ნათელში  
და ნათლის ნათლზე სამუდამოდ სოფლისთვის  
დავბრმავდეთ.  
ველარ ვიხილოთ უმამობა და უმოძღვრობა,  
ველარ ვნახოთ, დარდი როგორ აჭაღარავებს  
შეუწირველ ლოცვებს ხის გამხმარ ტოტებზე.

და აღარ მოგძებნით აღარც, შენ, უფალო.  
არც ცეცხლის ზღვაში,  
არც დროში,  
არც მზეში  
და აღარც ადამიანებში  
(და მაინც, სად შეჩერდი და შენს ეკლიან გვირგვინს  
სისხლს სად აწოვებ?)

VI

მე დედა მყავს ფუნთუშების გამყიდველი.  
ფულს აგროვებს –  
ჩემი სიხარული უნდა რომ იყიდოს.  
დედა დამისხამს გაბზარულ ჭიქაში  
ბინდისფერ ჩაის  
და თავის ცრემლებს თან ჩააყოლებს.  
და ამ ჭიქიდან ამოიზრდება სევდის ტოტები.  
და ამ ტოტებზე, როგორც ანგელოზების ნანვიმარ  
ფრთებზე,  
აყვავდება სისხლისფრად ასკილი.  
მე დედა მყავს და ხომ შეიძლება ის ყველას  
ჰყავდეს –  
სადღაც შეჩერებულო, დაღლილო უფალო?

დეკემბერი

ძილის წინ,  
ერთხელ კიდევ გავიხედე  
ფანჯრიდან გარეთ –  
ხომ არ მოთოვა?  
მოუკვეთიათ ჭადრებისთვის  
ცად აპყრობილი  
მძიმე ხელები.

ჩემს ტკივილს კი  
 ლოცვაც ვერ მოვარგე.  
 სიჩუმე შედგა  
 და შემრცხვა მესუნთქა.  
 დაიორთქლა ისედაც სუნთქვით  
 გრძნობის მინები,  
 რომლებზეც ვხატავ  
 ახლა ღმერთივით,  
 გზებს,  
 გზებს  
 და გზებს...  
 იქნებ,  
 ცირას მარშუტკის გზა ჯობდეს –  
 წყნეთისკენ.  
 ან მწვანელების ჩუმი გოდების გზა,  
 სარწყავ ბილიკებს გუბე-გუბედ  
 რომ მიუყვება  
 და მწვანელების ფიქრი  
 რითაც საცნაურდება.  
 წნევამ ფეხები  
 ძმრიან, თბილ წყალში ჩამაყოფინა  
 და გული ვიგრძენი  
 ინდოეთივით ჭრელი და მსუყე.  
 რით ვანუგემო გული.  
 რომელიც ობიექტურად  
 არ ხედავს საგნებს.  
 იქნებ,  
 გურამის გზა ჯობდეს,  
 მოტეხილი მხრით,  
 გაგრიდან განთიადამდე –  
 ზღვით,  
 ზღვით  
 და ზღვით...  
 დეკემბერია.

**ორამო**

ტკივილის გამოსახლება სხეულიდან  
 თვალეზე გადის,  
 მაგრამ ცრემლიც არ კმარა.  
 წყლების შვილი ვარ  
 და ჰაერიც ერთგვარი ოკეანეა.  
 ჩემი წესრიგი,  
 რომელიც პოეტია და გუბედ დგას სულის ორმოში,  
 უძირო და უხმელეთოსი,  
 გუბედ დგას სულის ორმოში  
 ყველაზე დიდი უწესრიგობა.

ჩამოხეული მარჯვენა თვალი,  
 ქალაქი სავსე ბიუსტებით  
 და არც ერთი ადამიანი – ადამიანურობის სურვილით.  
 წარსულის სიძულვილი...  
 წარსულის რწმენა მაინც თან დაგვყვა,  
 ბავშვობაში ნებოს რომ ვყნოსავდი

და გაბრუება –  
 არ გამალვიდონ,  
 დავხუჭო თვალი – უსიზმრებოდ არსებობისთვის,  
 აკრძალვა უკვე ნიშნავდა ნაყოფის შექმას.

ჩარჩოში ცხოვრობენ ჯამბაზები,  
 ყველაზე ტრაგიკული არსებები,  
 რომლებიც ყოველი გამოფენის შემდეგ  
 სახლში მთელი ხმით მოთქვამენ და იცრემლებიან.  
 გალერეაში შემოიჭრნენ ბავშვები ბუშტებით,  
 აღარავინ ბანაობს მდინარეში შიშველი.  
 ბუშტები – როგორც ღრუბლები და თავის ქალები.  
 წრის შიგნით ცხოვრება – ბრუნვა,  
 უჰაერობა და უსულობა.  
 ჩარჩოში ცხოვრობენ ჯამბაზები,  
 გარეთ ხსოვნა ცრის დავინყებულ ამბებს,  
 გარეთ ცივა და ქალაქის ხეები ელიან მესიას,  
 სახლები, როგორც რომაელი ჯარისკაცები  
 და ქალაქის გაშენება – ეკრანული სამყარო,  
 განადგურებული ყველა სულიერი.

თვრამეტი წლისა აღარა ვარ და მიტომ ვტირი,  
 ჩემი ცოლი კი ფასანაურში დაბანს უშობელს  
 და აქანდაზზე ახვეტავს ჭიანჭველების გასრესილ  
 სოფელს.  
 ზიარების წინ აუტირდნენ ბავშვები მშობლებს,  
 ვისაც ადრეული სიბერე კეთილად ახსენდება –  
 ვიერის ქალარა იისფერში გაპარული,  
 იმედების მხეველობა ღვთის განგებულების წინაშე,  
 რომლის აღდგომა იხილა ბარაბამ –  
 იმან, ვისთვისაც ზეცის ყველა დარაბა  
 მანამ დაიხურა, სანამ დაიბადებოდა.

საათი – სარკეში საკუთარი თავის მაცქერალი  
 გარდამეცვალა  
 და სიკვდილი ნესტოებს შორის იმზირება უჰაერობად.  
 ჰაერიც ერთგვარი ოკეანეა.  
 როგორც ზღვა – ნიჟარებში ჩავტოვებ ჩემს ხმას,  
 მეც ზღვა ვარ,  
 რადგან ვერავინ შემსვა და ამომიცნო.  
 ჩემი წესრიგი,  
 რომელიც პოეტია და გუბედ დგას სულის ორმოში  
 უძირო და უხმელეთოსი,  
 ისე, როგორც წვიმის გონებაში დაგუბებული  
 განწყობილებები.  
 გუბედ დგას სულის ორმოში  
 ყველაზე დიდი უწესრიგობა.

**მოვუსმინოთ მოხუც მეზობელს**

მე არ ამოვდივარ, როგორც მზე,  
 მთვარე  
 ან სული.  
 მე მუდმივად ჩავდივარ,  
 ჩავდივარ.

გუშინ დავგორდი კიბეებზე –  
გაცნობის სურვილით უცნობს გავეკიდე.  
რკინად უნდა ვიქცე,  
სხვა გზა არ დამიტოვეს დედიდან გამოსულებმა.  
სევდის უღელქვეშ ჩვენი თვალები გვამყოფებენ,  
რასაც ხედავენ,  
რასაც ჭამენ  
და ვერ ძლებიან –  
ყველაზე ბედნიერნი, ხანდახან, არიან ბრმები.

.....  
როცა ადამიანს ცხოვრების ფონად ტკივილი მოგდევს  
და არსად ოდნავი შევება, ანდა ნათელი კანით შემოსილი  
ლიმილი.  
მთელი შენი ნუთისოფელი წარუმატებელი ცდები  
ხარაკირის.

.....  
და არყის ხის კვირტებო და ყვავილებო  
იქნებ, მომიხსნათ მოთენთილობა,  
თქვენც შემოდგომამ თუ არ შეგსანსლათ...  
არყის ყვავილებო...  
ვაზის ფოთლებში ჩამალული ლელვის მომყვანი  
და მიწას იქიდან ჩავჩურჩულე,  
ვთხოვ, არ მიმილოს.  
ჩემი სიმართლე, ხომ ორმოში ჩავდე,  
ზევიდან რა არ დავაყარე, რომ ვერ ეპოვათ.

ყველაზე მსუბუქი ლოკოკინების ზღვა აღმოჩნდა,  
პოეზიის კვერცხები შეიფარა  
და კიდევ ყვავის სურვილი დიდხანს დამალვის  
ყოველივე დაფარულისა,  
დროშებად კი უზნეობა, ტყუილის წინნამძღვარებით.  
დეპორტაჟული ცხოვრება  
და ადამიანთა შეჩვევა ყველაფერ გაუანალიზებელთან,  
უმცირესობაში შავ-თეთრი ფილმები,  
ჩვენი საზოგადოება ადვილად ფეთქებადია  
და მკვდარი ნიჟარების სამყარო,  
მსუბუქი ლოკოკინების ზღვის ნაპირებთან.

.....  
თუ სატრფო გაგიტხოვდა ოცი წლის ასაკში,  
მოუსმინე ყავარჯნიანი, მოხუცი მეზობლის სიმღერას,  
რომელიც ყმანვილ შეყვარებულს ეძღვნება:

– „რად არ ვერიე მეც იმ ჩვილებში,  
ერთ ლამეში რომ გაისტუმრეს მოუსაველეთში.

ო, ბეთსაიდავ, ჩემო ქალაქო,  
ვინ შეგაჩვენა, ან ვინ შეგარისხა?

მოედინება წყალი სულიდან,  
მოედინება ცრემლი მდინარედ.

ო, ბეთსაიდავ, დიდო ქალაქო,  
შენ ისევ ცაზე ვარსკვლავებს ითვლი.

ის ვარსკვლავი კი, ყველაზე დიდი –  
ლამის ლამის მზე,  
არაფრად გიღირს

და ლული, ლული,  
ლული ლაიიი...“  
.....  
მარხვის თვე დადგა,  
ფარისეველებმა ჩაიცვეს ძაძა,  
მეც მსურდა მაძლარი სული და მშიერი სხეული,  
მმარხველი ჩიტი მაინც მენახა,  
რომ მეც მიმელო სეზონი მარხვის.

.....  
მე არ ამოვდივარ,  
მუდმივად ჩავდივარ,  
კიბეებზეც ხშირად ვგორდები.  
ყველაზე ბედნიერნი, ხანდახან, არიან ბრმები –  
მათ დედები თვალწინ არ უთეთრდებათ.  
არყის ყვავილებო და არყის კვირტებო,  
თქვენც მოუსმინეთ სევდიან სიმღერას,  
თუ შემოდგომამ...  
თუ შემოდგომამ უკვე არ შეგსანსლათ,  
შემოდგომამ,  
შემოდგომამ...

**თოვლის დასიზმრება**

რამდენჯერაც მოინდომე შენი მიცვალებულების  
მოთქმით დატირება,  
იმდენჯერ ამოეფარე მოთმინებას, როგორც ბუჩქს  
და გულში მოიკალი ყველა სათქმელი,  
რადგანაც კაცი იყავი,  
და სხვანაირად არ ეგებისო, დაგძახოდნენ.  
თავისუფლების გმირობა კი ამ ქვეყნად არ იყიდება.  
რამდენ ადამიანს ვკარგავთ და მიმოვფანტავთ  
სსოვნის და დროის

უძირო უფსკრულებში,  
და ვინც არ გვინდა, რომ ჩვენს წარსულად იქცეს,  
უნდა დავუშვათ ჩვენს ცხოვრებაში გრძნობად,  
ფიქრად, ლოცვად და სიზმრად,  
უნდა დავისიზმროთ თოვლში მოცეკვავე მეგობარი  
და მზიდან, თურმე, მზეს ვერ დაინახავ...  
მიცვალებულთ კი უფანტავენ განვილი გზებზე  
დამჭენარ ყვავილებს,  
და სიკვდილი უკან დაბრუნებული, აქეთობისას, მათაც  
გადათელავს.

თუ მოგინდება გამოჯანმრთელება ლამისაგან,  
გადაისხი სისხლში ნათელი,  
თოვლის ნათელი,  
რომელმაც გააჭალარავა იაკობ ნიკოლაძის ბიუსტი,

ჩემი დროებით საცხოვრისის ეზოს პირდაპირ.  
და მერე ბოლოს და ბოლოს დაგეღღება განვდილი  
ხელიც  
და თუ ნელშიც გაიმართები თავს ზეცას მიატყვამ,  
და კიდევ არ მაქვს გარკვეული, რაა ამბოხი –  
მაშინ, როცა ყველა ნაბან ნყალს გადამაყოლებს!..

**გიორგი ლოპხანიძე**

საფეხურებზე რწყავენ მტვერს,  
რომ სადარბაზოს ბინადრებმა სუფთა ჰაერი  
ისუნთქონ,  
ბედუინები კი უდაბნოს ქვიშაში სვამენ ჩაის  
და მათ ჭიქებში იხატება მწვანე სამყარო  
თუ როგორ ჩამოწყდა ჩიტის ნისკარტს,  
სასრული თორმეტ თვეში მოექცა,  
ითქვას ჩურჩულით შავი შაშვების სიზმრები,  
როცა სარკის წინ  
საკუთარ თვალებში ვერ ნახულობ, რაც გუშინ გქონდა,  
ვერ ნახულობ, რას ფარავს სიღრმე.  
როცა დარჩები ვინმეს გარეშე და დაგცინებენ  
მცირენლოვანი

ვარსკვლავები,  
გაიხსენე პოეტი ფარშევანგის ღიმილი,  
რომელმაც რალაც დაამავა სამოთხის ბაღში  
და დედამინაზე გადმოსახლებით დასაჯეს.  
დროგამოშვებით სასიკვდილოდ მოიღრუბლება  
წლობით დაგროვილი კითხვები,  
რომელთა აკენკვაც ახრჩობს ადამიანს  
ანდა განჯაში ჭლექით ათვინიერებს.  
მთელი ქალაქი მოვიარე –  
ჯიბეში ჩაგიდებ ყველა ლიტერატურულ კაფეს და  
სალონს,

როგორც მშრალი ყინულის ნატეხს,  
თვალის დახამხამებაში რომ დაგიდნება.  
ფანჯრიდან უმღერდი სიმღერებსა და საიდუმლოებებს  
მცირენლოვან ვარსკვლავებს,  
რომლებიც ვინმეს გარეშე როცა დარჩები,  
დაგცინებენ,  
დაგცინებენ და სასთუმალთან ხახვს გაგიფცქვნიან.

**კანტატის ტექსტი სოლისტიანთის**

*იდა თვარაძეს*

ბებიჩემი სიკვდილის მოლოდინში დამუნჯდა  
და როგორც ყველა მომაკვდავი არსება  
თვალებით ამეტყველდა.  
ალბათ არსებობენ წითელი ჩიტები,  
სადღაც აფრიკაში,  
რომლებიც ზღვისპირა ქალაქის ფრინველთაგან  
განსხვავებით  
ნაპირებს უფრთხიან

და ხეებსა სთხოვენ იმღერონ ბალადა მიცვალებულებზე,  
რომლებიც ღვთის საიდუმლოში შესვლის წინ  
თვალებით ამეტყველდნენ,  
ვინც ხელის ჩამორთმევის განწყობა დაკარგა,  
და განწყობა კვირა დღის,  
ვისაც უსახსრობა ნამოადგა თავზე მომვლელი ქალივით  
მოღუშული და დაღვრემილი,  
ვისაც მზე უნახავს, რომელიც არ ანათებს დღეებს,  
და ვისაც თვალები დათხარეს შორს ხედვისა და  
მზერისთვის.

და მე მაქვს ბალი  
დილაობით განათებული,  
ნისლი ხანდახან გადაფარავს ბოსტანს, ყვავილნარს,  
ზოგჯერ წვიმაც გულსაკლავი რითმით ასველებს  
და ქალაქიდან მოშორებით  
ვფიქრობ ქალაქზე, რომელიც ასე დაასახიჩრეს.  
მთავარი ყოველთვის ყოფის გარეთ გვრჩება  
და თურმე გულის გარეთ არის ცხოვრება მშვიდი და  
კარგი...

შენ კი ყოველთვის გულიდან იხედები,  
აღმოსავლეთით იხედები,  
ხოლო საკუთარი ჩრდილი დასავლეთის სადარბაზოებში  
დაგეძებს,  
იქ, ვილაც მღერის შორეული ხმებით  
და ჩვენ რაც არ უნდა ნავიმღეროთ ან წარვთქვათ –  
ლამე ლამეა და ვფიქრობ, ბოლომდე შეინირავს  
და შეისუნთქავს.  
როცა ღრუბლები გადავლენ ცა მოინმინდება  
და არაფრად იქცევა,  
ხან მთვარე გაუხსნრებს მატარებელს  
და ხან მატარებელი მთვარეს,  
მერე ერთმანეთს აცდებიან  
როგორც ჩვენი პენსიონრები თავიანთი პენსიით  
ყველაფრის საფასურს –  
დენის, გაზის, წყლის გადასახადს,  
საბოლოო შესვენების ღირებულებას  
(კუბო, გაპატიოსნება, ბალზამი, სუდარა,  
ტრანსპორტი სახლიდან სასაფლაომდე)  
და სამუდამო გადასახლების მოლოდინში ისინი  
მხოლოდ ისმენენ და აღარ ლაპარაკობენ.  
იკრიბებიან ქალაქის გაჩეხილ, მოუვლელ სკვერებში  
და ერთმანეთის ნახვით უფრო იტანჯებიან  
ვიდრე ხარობენ.

ყველგან იქ სკვერებშიც,  
იქ პარლამენტშიც, იქ საავადმყოფოებშიც, იქ  
ეკლესიებშიც,  
და ყველგან იქ, ისევ მიაგდებენ მკვდარი ძაღლებივით  
ან მკვდარი ჩიტებივით თანაგრძნობას ადამიანთა.  
და საყლაპავ მილში გაგეჩხირება შეგრძნება უცხო,  
როგორც მკვდარი ჩიტების სიმღერები  
და ვერ დაასაბუთებ იმას,  
რაშიც მთელი არსებით ხარ დარწმუნებული  
და ვერ გადავლახე რალაც,  
რასაც ვერ ვარქმევ სახელს,

## ჰოჯია

რაც ძლიერ მიშლის შენთან მოსვლას და შენთან გულწრფელ ლაპარაკს, რაც სიჯიუტესავე მოუხელთებელია და რასაც ვერც ხელით ვეხები და ვერც ტუჩებით ვეხები. ხოლო ემოციისგან დამცლის ხეტიალი –

შენამდე სავალ გზაზე, რომელზეც იდუმალი შესახვევებია, და ალბათ, შენც ბოლომდე დარჩები (ნლებს არა აქვს აზრი) ჩვენი ქვეყნისავე ყოველთვის მისახედი და მოსავლელი.

## პირველი შთაბეჭდილება

მაია ჯალიაშვილი

# ჰოჯიური პალიმფსესტები

ყოველი ადამიანის თვალუწვედენელი მეხსიერების სიღრმეში უამრავი პალიმფსესტია ჩამარხული. წლები წერენ და შლიან ათასგვარ ტექსტს, თუმცა ყოველივე განცდილი ნაშლილი პალიმფსესტის ქვედა შრესავე ინახება და არავინ იცის, როდის გადაენმინდება საფარველი და რა დავინყებულები შთაბეჭდილებები ნამოტივტივდება ზედაპირზე.

ვიხსენებთ თუ არა ყოველთვის იმას, რაც გვინდა? უმრავლეს შემთხვევაში კი. მაგრამ ხანდახან ჩამარხული შთაბეჭდილებები ხმის, სურნელის თუ ათასი სხვა ხილული თუ უხილავის „დაძახილზე“ ცოცხლდებიან, ფერფლიდან აღდგებიან და მთლიან იპყრობენ ადამიანის გულს, სულსა და გონებას.

„ჩვენი ცხოვრების ყოველი წუთი, ისევე, როგორც მიცვალებულთა სულები ზოგიერთ ხალხურ ლეგენდაში, სიკვდილისთანავე სახიერდება ან თავს აფარებს რომელიმე მატერიალურ საგანს, დატყვევებულია, სამუდამოდ დატყვევებული, სანამ ამ საგანს არ გადავეყრებით, მისი მეშვეობით განვლილ წუთს შევიცნობთ, ვუხმობთ და ვათავისუფლებთ“ (მარსელ პრუსტი). ასეთი გასხივოსნებისას ვილაყამ შეიძლება ოდესღაც განცდილი რამდენიმე წუთი აღიაროს ცხოვრების ერთადერთ გამართლებად. ამ თემაზე მსოფლიო ლიტერატურაში მრავალი მშვენიერი და საგულისხმო რამ დაწერილა. პალიმფსესტის მეტაფორაც ძველია. ახალი მხოლოდ ის პალიმფსესტებია, რომელსაც უცებ აღმოვაჩინებთ ხოლმე ან საკუთარ გონებაში ან სხვაგან, მაგალითად, ირაკლი კაკაბაძის ახალი ლექსები სწორედ ამგვარ პოეტურ პალიმფსესტებად აღვიქვი. ხილული სტრიქონები მხოლოდ ერთი შრეა, ასოციაციები, ალუზიები და რემინისცენციები კი თანდათან სხვა შრეებსაც წარმოაჩენენ. ერთმანეთზეა წაფენილი რეალური განცდები, ნაოცნებარი და წიგნისმიერი შთაბეჭდილებები. პოეტისთვის სამყაროა უპირველესად პალიმფსესტური. ამიტომაც ცდილობს საგანთა და მოვლენათა სიღრმეში შეღწევის, იმ მრავალფეროვნების მოხილვას, რომელთა მიწვდენასაც არა მხოლოდ სურვილი, პოეტური ალლო, გემი და ნიჭი სჭირდება.

ეს ლექსები იმპულსურია, პოეტი ერთბაშად ექცევა საგანთა, ფერთა, სურნელთა, სიტყვათა, დროისა და სივრცის თავდასხმაში. ყოველი თავდამსხმელი თავის ნიშანსა თუ კვალს ატყობს მის მეხსიერებას, სულსა, გულსა და გონებას. თვალი აღბეჭდავს ფერებსა და ხაზებს, ყური ქაოტურ ხმებს, ბალახიდან ამსხლტარ ჩქამებსა თუ ნიაგის მსუბუქ წალიღინებას. სული კი ყოველივე ამას ერთმანეთში ფაქიზად ჩანჩავს, სიმბოლოებად და მეტაფორებად გარდაქმნის და ხსოვნის კიდობანში ბეჭითად შეინახავს. მერე მოხეტილ პოეტი იმოგზაურებს თავისივე სულის ვრცელსა და უცნობ სანახებში და შეეცდება ყოველივე ამის აღწერასა და გადმოცემას.

პირველი ლექსის „გზად შინისაკენ“ საერთო შთაბეჭდილებაა ჩვენს ნაცრისფერ დრო-სივრცეში არსებობის ტკივილი. პოეტს დაბრუნება უნდა იქ, იმ პირველყოფილ უტკივილო სამყაროში, ბავშვობასა თუ სამოთხედ რომ გაიზარებს ადამიანი, მაგრამ ეს არ არის არც ერთი და არც მეორე. სიღრმისეული გვირაბი ამ შემთხვევაში არც ბიბლიისკენ და არც წელთა სიღრმეებისკენ არ მიიმართება, არამედ ბუნებისკენ. „მოდი, ვიმღეროთ რამე კარგი სიმღერა, როცა გაუვალნი ტყე ვიყავი, ტკბილად გალობდნენ ჩემში ჩიტები“.

ამგვარი განცდა ანათესავებს მას ვაჟასთან, ე. ი. ძალიან ძლიერ ქართულ პოეტურ ტრადიციასთან. ამავე დროს გადაძახილია პოეტისთვის ალბათ არანაკლებ ახლობელ უოლტ უიტმენტან. პოეტს ნოსტალგია აქვს იმ დროისა, როცა დაბურული ტყე იყო. ჩნდება სიმბოლო, რომელსაც მოაქვს თავისი ფიქრის ნაკადები. საგულისხმოა, რომ ეს დაბურულობა, რომელიც, ალბათ, არაცნობიერის სიმბოლოა, არ იწვევს საშიში გაურკვევლობის განცდას, რადგან „ტკბილად გალობდნენ ჩემში ჩიტები“ – ეს ღვთაებრივი ჰარმონიის განცდაა (ნიკო სამადაშვილი საკუთარ სულს ასე ეფერებოდა: შენ ჩემში უსტვენ, ვით საყდრის ჩიტი).

ტკივილი მოაქვს უცხოს ჩარევას ამ წმინდა სამყაროში. აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ბავშვობასთან გამოთხოვებაც. პოეტს ცხოვრება „სხლავს“ „კაფავს“. ე. ი. ამ ლექსის ზედაპირული შრე ჩვენი დღევანდლობაა, უფერული, ლატაკი, უნუგემო. პოეტი კარდიოლოგთან შედის. გაუძლებს კი გული ამდენ ტანჯვას? ალბათ კი, რადგანაც ამ ტკივილების მხატვრულ სახეებად გარდაქმნა შეუძლია. ცნობილია, რომ ტკივილის მწვერვალზე სიმწარე სიტკბოდ გარდაისახება.

მწვერვალის პოეტური შთაგონების ჟამია, როდესაც შენი არსებიდან სევდა მოჟონავს პოეტურ სტრიქონებად. „თმაში ვინწავდი საკუთარი ტკივილის ყველა ბნქარედს“. ექსპრესიული, ფერადოვანი, ლამაზი მეტაფორებია. პოე-

ტის ტკივილი აფორისტულ გამონათქვამებშიც ნელდება: „გზა კი იქამდე გრძელდება, სადამდეც გაჰყვები“... „ტკივილი უფრო ადინჯებს ადამიანებს“. ლექსი მინორულია, სევდიანი და შუქიანი. როგორც ზღაპრებშია ხოლმე. შუალამისას უღრან ტყეში დაკარგული გმირი სადღაც შორს პატარა ქოსს დალანდავს, სადაც შუქი ანთია. უსაშველო შიში ქრება და ჩნდება გადარჩენის მკრთალი იმედი.

სანამ პოეტს ტკივილის სიტყვად გარდაქმნის უნარი და სურვილი დარჩება, სამყარო გადარჩება. ბერძენთა რწმენით ხომ ყველა ხიფათი იმისთვის შეგვემთხვევა, რათა მერე ამის შესახებ სიმღერები შევთხზათ (ბორხესის ერთ ნერილში ამოკითხული). „მე კი ჩემს მარტოობას ტკბილად უნდა ვუმღერო“. ამისთვის კი საჭიროა, რომ გული გტკიოდეს, პირდაპირი თუ გადატანილი მნიშვნელობით. პოეტი კარდიოლოგთან შესვლის წინაც კი პოეტად დარჩა, მკითხველისკენ რომ აპარებს თვალს და გულს ეკითხება: „მოვეწონე თუ არაო“. ეს პოეტური კეკულუცობა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ გამოთქმა ღირებულია. ამ შემთხვევაში ასეა. „გშურს ვილაცის ლამაზი სიკვდილი“. თუ ცხოვრება ფესვებიანად ძირკვავს სილამაზეს, ლამაზი სიკვდილია გეოცნებება. გზა შინისაკენ კი უსასრულოდ გრძელდება, რადგან ფიზიკურ დრო – სივრცეს ჩაენაცვლება ფიქრთა ბილიკები. არ ჩანს ნაყოფი, რომელიც მადლით ძალმოცემულ სულს უნდა გამოელო და დაემსგავსა პოეტი ლეღვის ხეს, რომელსაც მაცხოვარმა გვერდით ჩაუარა. ბუნებრივად ჩნდება შენდობის წყურვილი, რომელსაც სასონარკვეთილი ადამიანის ღვთისაგან მხურვალე სინანულით გამოითხოვს. სახარებისეული ლეღვის ხის სიმბოლიკა კიდევ არა ერთხელ გაილევს ამ ლექსებში და მოწმობს იმას, რომ ქალაქის „სილატაკეში“ ძნელია გახარება.

ამ ლექსებში ჩნდება ჩაღრმავება ტკივილის ფესვებისაკენ და ამოტივტივდება განცდა, რომ დღევანდელი თაობა დაბადებამდე დადალული მამათა მოუნანიებელი ცოდვებით. აქ დაპირისპირება კი არ არის ძველ თაობასთან, არამედ ტკივილიანი შეგრძნება, რომ ვერსად გაექცევი შენს ძარღვებში მოზორიალე მამათა სისხლს, რომელთაც ოცნებისა და რეალობის დაპირისპირება გენეტიკურად გადმოგილოცეს. შენ კი ისლა დაგრჩენია, დამწყვედული ჩიტივით კედლების ხეთქებაში მოიმტვრიო ფრთები. დედები თანამედროვე „ოთარანთ ქვრივებით“ სწევენ „დაკარგული“ მამების მაგივრობას, მაგრამ შვილებს წყურვილი აქვთ მამისა, მოძღვრისა, და როდესაც ცეცხლის ზღვაში მოფართხალე თევზებს ჩასცქერიან, ჰგონიან „მაცხოვარმა გაიარა წყლის ზედაპირზე“. საჭიროა ცოცხალი რწმენა და ურთიერთობა და არა ბიუსტები, მალალი კვარცხლბეკიდან მოქადაგენი.

პოეტი ცდილობს გამოთქვას, რა თრგუნავს ან რა ახალისებს, რა უკრავს სუნთქვას, რადგან „ჰაერი სულისთვის არ კმარა“. გასვლა ამ ჩაკეტილი უსიხარულო სივრციდან მხოლოდ ერთი გზით შეიძლება: „სხეულს კი ვარსკვლავთა მდელიზე წამოწოლა სიკვდილად დაუჯდა“. ყველაზე ძლიერი და სანუგეშო დასაყრდენი კვლავ ბავშვობაა, როდესაც „ვხედავდით ანგელოზთა სავალ გზას“, „ჩანდა მათს ნანვიმარ ფრთებზე აყვავებული სიზმრები, როგორც წითელი ასკილის ყვავილები“.

რეალურ დროში აღარ არის ადგილი რომანტიკისა და იდეალებისთვის, ამიტომაც წყვილები ქალდეაში ქორწინებაზე ოცნებობენ. ქალდეა – პირველსამშობლო ქართველთა წარმოჩნდება, როგორც სიმბოლო თავისუფლებისა. პოეტი ლექსის გზით გადის მითიურ, პოეტურ განზომილებაში, რათა შეიგრძნოს, „როგორ ბარდნის სიმშვიდე“. არის კიდევ სხვა გზაც ამოებისგან თავდაღწევისა, განდგომა ცხოვრებისაგან და ბერად შედგომა. მაგრამ საითკენაც უნდა გაიხედოს პოეტმა, ყველგან მაინც პოეზიას ხედავს: „კოსმოსის გუმბათს შემოვავამთ წვიმისფერ აფრას – შორს გასაფრენად – სამყაროს, ყველაფრის გარეთ, რომ უსასრულობაში ვიყვიროთ ჰე, ჰე, ჰე, ჰეეე“. ეს გაღწევის წყურვილი უსასრულობისაკენ დროში არსებობის ტკივილის დასაძლევადაა მიმართული: „აღარ ვნახოთ, დარდი როგორ აჭალარავებს შეუნირველ ლოცვებს ხის გამხმარ ტოტებზე“. ტანჯვის მწვერვალია შეუნირველი ლოცვა, როდესაც უფალი ვეღარ ისმენს შენს ვედრებას, რადგან შენი გული არ არის გაღებული იმისათვის, რომ დალილიმა ძე კაცისამ „თავი მიიყუნდოს“. საოცრად ტევადი სახეა „სადღაც შეჩერებული დალილი უფალი“.

სტრიქონიდან სტრიქონში გადაიღვრება ტკივილის ეს სუსხი და უფრო მძაფრდება კიდევაც. იცვლება ლექსის სათაურები, მაგრამ მელოდია იგივეა, ეკლესიასტეს განწყობილებათა ვარიაციებით. მიუხედავად იმისა, რომ პოეტს ლამაზად „ლაპარაკი“ არ უჭირს, ის არ ებმება სიტყვათა ხაფანგებში, თავს იოლად აღწევს ერთგვარად გაცივებითი მარადიული თემატიკის ჩაკეტილ წრეზე ტრიალს, ფსევდო ფილოსოფიურ-რელიგიური განსჯის თავბრუსხვევაც არ ემართება და სადად და ხატოვნად გამოთქვამს: „მეც ზღვა ვარ, რადგან ვერავინ შემსვა და ამომიცნო“. საგულისხმოა, რომ ტკივილის ამ პატარა ჯოჯოხეთებში, რასაც ხატავენ ლექსის სტრიქონები, არსად არა ჩანს მხსნელად ადამიანი, რაც უფრო ამძაფრებს უმადლო, უსიყვარულო ყოფის შეგრძნებას. გმირი თითქოს ელიოტისეული „ფუტურო ადამიანების“ გარემოცვაშია და ფიქრობს, რომ „ყველაზე ბედნიერი ხანდახან არიან ბრმები“. მისი წუთისოფელი კი „წარუმატებელია ცდებია ხარაკირის“.

ამ ლექსებში მონატრებაა თავისუფლებისა და „თოვლში მოცეკვავე მეგობრისა“, რომელიც არსად ჩანს. თუმცა სადღაც მაინც გაკრთებიან ისინი, პოეტი ყარიბები, მასავით ყოველდღიურობის ჯვარზე გაკრულინი. მათ სამყაროებს შეიძლება ესტუმრო, სადაც „ბედუინები უდაბნოს ქვიშაში სვამენ ჩაის და მათ ჭიქებში იხატება მწვანე სამყარო“. პოეტი ფარშევანგი კი „დედამინაზე გადმოსახლებით არის დასჯილი“. პოეტი – ფარშევანგის სიმბოლო ნიცშეს აქვს: „მათი სული ფარშევანგთ ფარშევანგია“ („პოეტათვის“) და აქაც გაისმის ზარატუსტრასეული: „ჰეი, ვით დავილაღე ყოველი უბადრუკობით“.

პირველი შთაბეჭდილების კვალობაზე სიტყვა გამიგრძელდა, ეს, რა თქმა უნდა, ამ მშვენიერი ლექსების ბრალია, რომლის ავტორსაც სხვამ დაასწრო ეთქვა: „მე თვით სიკვდილსაც გარდავქმნი ლექსადო“, თვითონაც ამ კვალს მიჰყვება, მაგრამ ისე, რომ კარგად ჩანს მისი ნატერფალებიც.

მედეა აბაშელი

# ჩემი ცხოვრება, სულ ერთ საღამოს წასაკითხი

ვახტანგ კოტეტიშვილი,  
თედო სახოკია

ერთხელ მე ფანჯრიდან ვიყურებოდი, როცა ფანჯრის წინ ბატონმა ვახტანგ კოტეტიშვილმა ჩამოიარა. „უკუუშკა“ – მითხრა – „წამოდი დაგხატო“. მე ძალიან გამიხარდა და დედას დავუძახე. მისალმება, მიკითხვა-მოკითხვა და ბატონმა ვახტანგმა ფანჯრიდანვე გადმომსვა და ჩვენ წავედით. ის ახლოს, ჩვენი ქუჩის ბოლოში ცხოვრობდა. დიდ ოთახში რამდენიმე სკულპტურა იდგა, კედლებზე ნახატები ეკიდა, ძალიან ლამაზები. სეანსი საათზე მეტხანს გაგვრძელდა. ხატავდა ფანქრით. მესამე დღეს პორტრეტი მზად იყო და იყო მშვენიერი. ეს პორტრეტი ძალიან თბილი წარწერით ბატონმა ვახტანგმა მამას გადასცა. სამწუხაროდ, პორტრეტი 1938 წელს დაიღუპა.

რა მადლობელი ვარ ბედის, ბავშვობიდან რა ადამიანების გარემოცვაში მიწყალობა მან ყოფნა. მამაჩემს თბილი მეგობრობა აკავშირებდა თედო სახოკიასთან, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან. ბატონი თედო იყო საშუალოზე მაღალი, ხმელ-ხმელი, მუდამ ელეგანტური. ღია ფერის თმა სადად ჰქონდა გადავარცხნილი უკან, ატარებდა ქვევით დაშვებულ უღვაშებს. ჰქონდა ხავერდოვანი ხმა, ლაპარაკობდა ნელა, ილიმებოდა საუბრისას. იმ პერიოდში ის რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის ყოველდღე დადიოდა მამასთან, რაღაც ალმანახის გამოცემაზე, ავტორების შეგროვებაზე თუ რომელიღაც ტექსტებზე საუბრობდნენ. ერთი სიტყვით, ზუსტად არ ვიცი. და, აი, მამაჩემთან ყოველი ვიზიტის შემდეგ მომიჯდებოდა და მასწავლიდა ფრანგულ ენას. ის უკვე არც ისეთი ახალგაზრდა, ყველასაგან პატივცემული კაცი არ იზარებდა და დიდის მონდომებით მამეცადინებდა. მამასაც, დედასაც ძალიან ეუხერხულებოდათ, დანებებ თავი, თედო, თუ ღმერთი გწამს, ხომ ხედავო რა კერპია ეს გოგო და რას წვალობო, ეუბნებოდა მამაჩემი. არაუშავსო, პასუხობდა ბატონი თედო და მიყვებოდა ფრანგულ ზღაპრებს,

მესაუბრებოდა ფრანგული ენის ჟღერადობის სილამაზეზე, მაძლევდა დავალებებს, მცდიდა, მაგრამ ყველაფერს აკეთებდა ძალდაუტანებლად, მსუბუქად. მე შემეყვარდა ფრანგული ენა და შევისწავლე იგი.

## შავროსონები

იყო ალბათ 1926 ან 27 წელი. თითქოს გადაიარა 1924 წლის კომმარმა. მამაჩემს უკვე ჰქონდა დანერილი (და მერე სულ აკრძალული) ლექსი, სადაც ქართველებისთვის იყო:

**და ერის ტანჯვის გამომსახველი  
იზრდება გულში ორი მწვერვალი,  
ერთი ნაღველის ორი სახელი –  
კრწანისის ველი და თებერვალი!**

და კიდევ:

**ეხლა ქუხილი არ ისტამბება,  
ხარი არ ყვირის მაღალ მთებიდან,  
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა,  
ამონანერმა გაზეთებიდან.**



მედეა აბაშელი და მისი ბიუსტი  
(მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე)

მამის ფსიქოლოგიური განწყობილება ნათლად ჩანს ამ ლექსებშიდან. ბუნებრივია, ასეთივე განწყობილებისანი იყვნენ მამაჩემის უახლოესი მეგობრები კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი. ისინი შრომობდნენ, ხვდებოდნენ ადამიანებს, მონაწილეობდნენ აუცილებელ ღონისძიებებში, იცინოდნენ კიდევ და სუფრასაც უსხდნენ, მაგრამ განცდილი უბედურების და დაფარული პროტესტის გრძნობა არ სტოვებდა არც ერთ მათგანს. და, აი, კარგად მახსოვს. ეს ყველაფერი შემდეგ დეტალურად აღვიდგინე.

ჩვენთან მოვიდა ბატონო ვახტანგ კოტეტიშვილი. დედამ ჩაი გაუნყო, ისაუბრეს და მერე ბატონი ვახტანგი და მამაჩემი კაბინეტში შევიდნენ. დიდხანს საუბრობდნენ, ხანდახან ბატონი ვახტანგი ხმას აუნევდა, თითქოს რაღაცას უმტკიცებდა მამაჩემს და მამა ეწინააღმდეგებოდა. ბოლოს ყველაფერი დაწყნარდა. რამდენიმე ხანში ბატონი ვახტანგი გამოვიდა ოთახიდან გაღიმებული, დამახასიათებელი ლალი მოძრაობით გამოეთხოვა დედას. მეორე დღეს მობრძანდნენ ბატონები კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და ვახტანგ კოტეტიშვილი. არაერთარი სუფრაზე მოპატიჟება არ მიიღეს და მამის კაბინეტიდან ისევ გაისმა ხმაურიანი ლაპარაკი, ხანდახან რაღაც თავშეკავებული სიცილი. ისევ გამოირჩეოდა ბატონი ვახტანგის ხმა, ისევ დაწყნარდა ყველაფერი. მერე

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №18

დიდხანს ჩუმად საუბრობდნენ. გამოვიდნენ, მომეჩვენა, რომ დალილები იყვნენ.

„კატია, შემოგვხედე, ხომ ვართ ვაჟკაცები, ხომ მოგვიხდება შავი ჩოხები!“ – გაულიმა დედას ბატონმა ვახტანგმა (ასე მხოლოდ მას შეეძლო ლიმილი).

„რა თქმა უნდა მოგიხდებათ“.

და მერე ეს ოთხი ვაჟკაცი გამგზავრებულა სახელოსნოში, რომელიც სადღაც, დღევანდელი ლესელიძის ქუჩაზე მდებარეობდა და ერთი კვირის თავზე შავ ჩოხებში გამოწყობილები გამოცხადებულან რუსთაველის პროსპექტზე ფოტოგრაფ ფვანიასთან. ეს ფოტოსურათი დღეს მთელ საქართველოშია ცნობილი. მაგრამ როგორც კი მოლანდეს ისინი ქუჩაში ხან ერთად და ხან ცალ-ცალკე, მაშინვე ატყდა ერთი ამბავი პრესაში და არაკეთილმოსურნეთა შორის – რას დარდობენო, რას გლოვობენო, სისინებდნენ. ყველამ იცოდა, რასაც გლოვობდნენ. საშიში გახდა ჩოხებში სიარული და ისინი იძულებულნი შეიქნენ ორი კვირის თავზე სამოქალაქო ტანისამოსი ჩაცვათ. მაგრამ დღესაც ეს ფოტოსურათი დარდისა და ვაჟკაცური პროტესტის ნიშანს ატარებს.

უახლოესი შედეგი ასეთი იყო. ოთხივენი საშინლად დაამუშავეს მწერალთა კავშირში და პრესაშიც დაიწერა. ვილაცამ იხუმრა კიდეც (მამას თოვლივით თეთრი წვერი ჰქონდა და შავი უღვაში), საშას იმიტომ აქვს შავი უღვაში, რომ ბოლშევიკებთან პირშავად არისო. ცოტა ხანში გამსახურდია სოლოვეკებში აღმოჩნდა. დაკავშირებული იყო ეს შავ ჩოხასთან თუ კიდეც სხვა მიზეზი გამოუჩნდეს, არ ვიცი. ეს ის დროა, როცა გულაგი ჯერ კიდევ ოდნავ სასუნთქს უტოვებდა პატიმრებს. მამამ მოუვიდა რამდენიმე წერილი. იყო ფოტოგრაფიაც. არ ვიცი, სად გაქრა. არც ერთ წერილში არ წუნუნებდა, სხვანაირად ვერც წარმოიდგენ გამსახურდიას. მხოლოდ უფულობას უჩივის – პაპიროსს ვერ ვყიდულობო. მამამ რამდენიმეჯერ გაუგზავნა ცოტა ფული, მაგრამ ცხადი იყო, რომ ბატონ კონსტანტინეს ძალიან უჭირდა და საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიება. მამამ გადაწყვიტა „უმაღლეს ჩინთან“ მისვლა. იქ მიიღეს. „გამსახურდია დიდი მწერალია, საქართველოს სიამაყეა, თქვენ შეგძლიათ მას უშველოთ, უკიდურეს შემთხვევაში მომეცით უფლება ფული შევეუგროვო მწერლებს შორის და გავუგზავნო“. „თქვენ ან პროვოკატორი ხართ, ან ბავშვი“, – იყო პასუხი. „ყოველ შემთხვევაში ჩემთან არ ყოფილხართ, არც არაფერი ვიცი“, იყო პასუხი.

მამა პასუხმა დააკმაყოფილა. ფული შეგროვდა და გაეგზავნა გამსახურდიას. მალე იგი კიდეც გაანთავისუფლეს.

### მწერალთა კავშირი

1926 წელს კონსერვატორია გრიბოედოვის ქუჩაზე გადავიდა და გამოთავისუფლებული შენობის უდიდესი ნაწილი ფინსახკომმა (ფინანსთა სამინისტრომ) დაიკავა. ისინი ჩვენს ბინას არ შეხებია და ჩვენ ვცხოვრობდით სრულიად შეუზღუდავად. მაგრამ 1932 წელს შენობა ამიერკავკასიის კომპარტიის სამხარეო კომიტეტმა დაიკავა, რომლის სა-

თავეში ლავრენტი ბერია იდგა. ახლა კი ცხოვრება ძალიან გაჭირდა. ჩვენთვის სადარბაზო დაიკეტა და სარგებლობისათვის სათადარიგო გასასვლელი დაგვიტოვეს ეზოდან. ჭიშკართან კაცი იდგა და ყოველ მომსვლელსა თუ წამსვლელს გამოკითხავდა ვინაობას, ვიზიტის მიზანს. ერთი სიტყვით, ცხოვრება შეუძლებელი შეიქნა და მამაჩემი ახალი საცხოვრებლის ძიებას შეუდგა. ერთ დღეს მამა მოვიდა და გამოგვიცხადა, „მოემზადეთ, გადავდივართ მწერალთა კავშირში“.

### ილია თუთბერიძე

ახალი საცხოვრებელი ადგილი და ჩემი ყოველდღიური მოძრაობის მარშრუტიც შეიცვალა. ახლა თავისუფლების მოედანზე (მაშინ ამიერკავკასიის ფედერაციის მოედანი ერქვა) ხშირად ვხედავდი მალაღ, კარგად აწყობილ, სიმპათიურ მამაკაცს. ვგრძნობდი, რომ ისიც მამჩნევდა. ერთხელ, „ვინ არის ეს მშვენიერი გოგონაო“, თქვა და მე გავიგონე. უნდა გამოვტყდე, რომ ძალიან მეამა. მე ხომ უკვე ჩვიდმეტი წლისა ვიყავი! იმ, 1932 წელს თბილისში ძალიან პოპულარული იყო დოლი, რომელიც დიდუბეში იმართებოდა. იქ იკრიბებოდა მთელი თბილისის ბომონდი, ლამაზი ქალები, საინტერესო მამაკაცები. შესვენებისას უკრავდა ორკესტრი და დიდი მხიარულება სუფევდა. მე ჩემ გოგონებთან ერთად რამდენჯერმე გახლდით დოლზე. და, აი, ერთ კვირადღეს მე იქ ის მამაკაცი დავლანდე, ჩემს ნაცნობ შალიკო კიკნაძესთან ერთად. მანაც დამინახა და რაღაც გადაულაპარაკა შალიკოს. მოგვიახლოვდნენ. შალვამ გაგვაცნო ერთმანეთი – „ილია თუთბერიძე“ – ხმადაბლა წარმოთქვა მან. ის ძალიან ელევანტური იყო და თავდაჭერილი. შალვა ლაპარაკობდა, ცდილობდა უხერხული სიჩუმე შეეცხო. ილია ხანდახან თუ ჩართავდა სიტყვას. ჩვენ დავიძარით გასასვლელისაკენ. ილია ჩემს გვერდით მოდიოდა, მიყურებდა და მის თვალბეჭდში სითბო იგრძნობოდა. შალვა გამოგვეთხოვა. ილიამ ფაეტონი დაიქირავა და ჩვენ, მე, ჩემი მეგობარი ნელი დადიანი და ილია მეეტლემ ქალაქისაკენ წამოგვიყვანა. ჩვენ დავინწყეთ შეხვედრა, ჯერ ძალიან იშვიათად, მერე ცოტა მოვუხშირეთ, და ბოლოს სულ ერთად გვხედავდნენ. მე მას ძალიან ვუყვარდი და მეც ძალიან შემეყვარდა. ილია ჩემზე ცამეტი წლით იყო უფროსი, მაგრამ ძალიან ახალგაზრდული, საინტერესო, ენერგიით სავსე კაცი იყო და ვერც მე და ვერც ჩემი მეგობრები ვერ ვგრძნობდით ამ წელთა სხვაობას. ის უკვე სახელგანთქმული ადვოკატი იყო, ცხოვრობდა ძმასთან, შალვა თუთბერიძესა და დედასთან ერთად ტაბიძის (მაშინ წერეთლის) ქუჩის დასაწყისში, დიდ, ლამაზ სახლში.

მწერალთა სახლში ერთხანს ჩვენთან ერთად, პირველ სართულზე ცხოვრობდა სულ ახალგაზრდა სიმონ ჩიქოვანი. ხანდახან მასთან სტუმრად მარიკა ელიავა მოდიოდა, ჩემთან ილია. ერთხელ მარიკამ სიმონს ორცხოზობილი მოუტანა, ილიამ სოსისები მოიტანა. სიმონს კამფეტები აღმოაჩნდა. ილია გავიდა და სამი ბოთლი შამპანური შემოუმატა პურმარილს. სოსისის მოხარშვა გაჭირდა, რადგან ნავთქურაში ნავთი იყო ცოტა და ფითილი მოკლე. ქეიფი ჩაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. მაშინ სიმონმა მო-

არბენინა წყალი, ჩაასხა ნავთქურაში, ნავთმა აინია და სო-სისი ასე თუ ისე მოიხარშა. ფანტასტიური სუფრა გაიშალა. მამაჩემიც მოვიპატიჟეთ. გვიანამდე ვისხედით. იყო გაბმული სიცილი, ლამაზი სადღეგრძელოები და ლექსები. დაუფინყარი საღამო იყო. ასე, ჩვენ თვალწინ დაინყო სიმონ ჩიქოვანისა და მარია ელიავას სამუდამო, ლეგენდარული სიყვარული.

1933 წლის 31 მარტს მე და ილია წარვსდექით მამაჩემი. ჩვენი ხელიმომკიდები იყვნენ ილიას მხრიდან შალვა მესხიშვილი და ალექსანდრე (კვატაშა) ხოჭოლავა, სახელმწიფო ადვოკატები, ჩემი მხრიდან ნელი დადიანი, ულამაზესი გოგო. ხელისმონერის ცერემონიალი მიჰყავდა ძალიან სიმპათიურ, არც ისე ახალგაზრდა ქალს. მან შემომხედა, მერე ილიას მიმართა „იქნებ იფიქროთ კიდევ, ის ხომ ჯერ ძალიან ახალგაზრდაა“. მე მკლავზე დავეკიდე ილიას. შალვა მესხიშვილმა მოჩვენებითი აღშფოთებით წამოიძახა „როგორ, ამისთანა რაინდი ბევრი დადის ქალაქში? აბა, დროს ნუ ვკარგავთ!“ ჩვენ დავქორწინდით. მერე რესტორან „ორიანტში“ სადღესასწაულო სუფრა გაიშალა. ქორწილი კი უკვე ახალ ბინაში, ვაკეში დაუმთავრებულ სახლში გადავიხადეთ. სახლს ჯერ კიბე არ ჰქონდა და სტუმრები ფიცარზე გარდიგარდმო დაჭედებული ხის ლერებიანი კიბით დიდის გაჭირვებით, მაგრამ ხმაურითა და სიცილით ადიოდნენ, ხოლო გვიან, ქორწილის შემდეგ, ბევრად თავისუფლად, სულ ვიშვივით ჩამორბოდნენ. საბედნიეროდ, არავინ დამარცხებულა.

წლისთავზე შვილი გამიჩნდა – ალექო. ცხოვრებას მეტი აზრი და ხალისი მოემატა. ჩემი მშობლებს, მე, ილიას ახალი საზრუნავი გაგვიჩნდა. მე უზომოდ ბედნიერი ვიყავი. თავზე მადგა მოსიყვარულე ვაჟკაცი ქმარი, მეც ასეთივე სიყვარულით ვპასუხობდი, მშობლები ცოცხლები მყავდა და შვილი მეზრდებოდა. თბილისის მოწინავე საზოგადოებაში ვტრიალებდი. ცა თითქოს ისევ უღრუბლო იყო.

### საგაღისწარო პროცესი

მაგრამ დადგა საზარელი 1937. დაიწყო ქართული საზოგადოების უკეთესი, მოაზროვნე ნაწილის მიზანდასახული განადგურება. ილია უპარტიო იყო, არასოდეს ჭერია პასუხსაგები თანამდებობა, მაგრამ ერთ საღამოს მაინც გამოიძახეს შინსახკომში. ჩვენ ცოცხალ-მკვდრები ვუცდიდით მის დაბრუნებას. დაბრუნდა გვიან, ღამის ორ საათზე, მოშლილი, ფერმკრთალი, ღონემიხდილი დაეშვა სკამზე, ხმას არ იღებდა. ჩვენც ჩუმად ვისხედით და ვუცდიდით. მე მივუახლოვდი, მოვეფერე და ვკითხე, რა მოხდა, მთავარია შენ სახლში ხარ-მეთქი. ბოლოს მან თქვა, რომ ის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელს გამოუ-

ძახნია, შეუყვანია კაბინეტში, დაუსვამს და თვითონ გასულა კაბინეტიდან მთელი საათით. მაგიდაზე გადაშლილი საქალაღდე დაუტოვებია, რა თქმა უნდა, პროვოკაციის მიზნით, რომ მე ჩამეხედა. მე გაუნძრევლად ვიჯექი. ბოლოს შემოსულა პოდპოლკოვნიკი და მიუსალმებლად უთქვამს: „ამხანაგო თუთბერიძე, ათიოდ დღეში იწყება ჩვენი ხალხის მტრების, მარცვალდამამზადებელი კომბინატის თანამშრომლების საჩვენებელი პროცესი და თქვენ ინიშნებით მათ დამცველად. თქვენთან ერთად ადვოკატებად გამოყოფილია ალიოშა ჭიჭინაძე და გიორგი ხომასტურიძე. მოემზადეთ“.



მედეა აბაშელი და ნელი დადიანი

მივხვდით, ჩვენს ოჯახსაც მოადგა კომუნისტების სადამსჯელო, გამანადგურებელი მანქანა. „ბატონო საშა, ძირითადად „ტროიკები“ წყვეტენ დაკავებულთა ბედს“, მიმართა ილიკომ მამას, „მაგრამ ხანდახან, შინსახკომი აწყობს ე.წ. საჩვენებელ პროცესებს, რომელიც ფარსია სინამდვილეში. მე ერთ დროს ამ კომბინატის იურისკონსულტი ვიყავი და კარგად ვიცნობ მათ თანამშრომლებს. დაკავებულები ძლიერი პროფესიონალები და პატიოსანი ადამიანები არიან, მაგრამ მათი ბედი გადაწყვეტილია“.

ერთმა კვირამ დამქანცველ მოლოდინში გაიარა. ადვოკატებს საქმის დეტალურად გაცნობის საშუალებას არ აძლევდნენ, ჩანდა, რომ მათი როლი განისაზღვრებოდა იმით, რომ პროცესუალური ნორმები გარეგნულად მაინც ყოფილიყო დაცული.

და, აი, პროცესი დაიწყო. მე მას ვერ აღვწერ, რადგან არ ვესწრებოდი, ან ვინ დამასწრებდა. იმას კი ვხედავდი, როგორი მოდიოდა სახლში ილიკო. განადგურებული, ვერ ეკარებოდა საჭმელს, მიუჯდებოდა საწერ მაგიდას ხელებზე თავდაყრდნობილი და ერთ წერტილს მიშტერებულ. ჩვენ ვერ ვხედავდით ხმის ამოღებას, მხოლოდ მე ვეფერებოდი ხელებზე. „ღმერთო, რა მუდარით საესე თვალებით გვიყურებენ ჩვენ, ვექილებს. ჩვენ კი რა შეგვიძლია. მათ სიტყვას არ ალებინებენ, არც ერთი ბრალდების უარყოფის საშუალებას არ აძლევენ“.

როგორც ახლა, ისე ნათლად მახსოვს. 1937 წლის 12 დეკემბერს, პროცესის დამთავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, შალვა მესხიშვილს, ილიკოსა და მე რუსთაველის პროსპექტზე „ლალიძესთან“ შეგვხვდა მიშა ლვამიჩავა, მათი კოლეგა და მეგობარი. ცუდი ამინდი იყო, ცრიდა, მაგრამ არ ციოდა. „საით გაგინევია ასეთ ამინდში?“ ჰკითხეს ჩვენებმა. „გამომიძახეს იქ, საიდანაც აღარ ბრუნდებია, მშვიდობით, ძმებო“. ჩვენ დამშვიდება ვცადეთ, მან ხელი დაგვიქნია და წავიდა. გავხედეთ მიმავალ მიშას, მის მხრებში მოხრილ ფიგურას (მეტი აღარც გვინახავს). შალვამ პირჯვარი გადაინერა, გვაკოცა და გავცვილდა.

დეკემბრის ბოლოს პროცესი დამთავრდა. მე ქუჩაში ველოდი ილიკოს. ექვსი საათისთვის გამოჩნდა. ფერ-მკრთალი იყო, გამხდარი და ლოყებჩაცვენილი მომეჩვენა. ციოდა. მან მკლავი გამიყარა. მიმიკრა და ასე უხმოდ ვიარეთ ერთხანს. „ყველას დახვრეტენ“. პირველად ვნახე, რომ ილიკოს, ასეთ ძლიერსა და ამაყ მამაკაცს, ცრემლი სდიოდა. მივედით სახლში. ჩემებმა, რა თქმა უნდა, შეამჩნიეს, რომ ილიკომ პროცესი წააგო. მამაჩემი თავის ოთახში გავიდა. დედამ ცხელი აბაზანა დაახვედრა. ბავშვს ეძინა. ჩვენ მარტონი ვისხედით და მე ის ძალიან მიყვარდა. ილიკო ერთი კვირა სახლიდან არ გასულა.

„ილიკომ თავისი დასაცავი სიტყვა რომ დაიწყო, დე-ლავედა, – როგორც მრავალი წლის შემდეგ ალიოშა ჭიჭინაძემ მითხრა, – მაგრამ მერე თანდათან დანყნარდა და ილაპარაკა ისე, როგორც არასოდეს. და მე ვიგრძენი, რომ ეს მისი ბოლო გამოსვლა იქნებოდა“.

და მართლაც, 1938 წლის 17 იანვარს ილიკო ცხრა საათისთვის მოვიდა სახლში, დაიბანა და დანვა. ნუხდა, ვერ იძინებდა. ათ საათზე მე დასაძინებელი დავალევი და თერთმეტისთვის დაიძინა და ისე ღრმად, რომ თორმეტის ნახევარზე კარზე ძლიერი ბრახუნის ხმა ვერ გაიგონა. მე ლოგინზე წამოვჯექი, გულმა რეჩნი მიყო. დედა კარებთან მივიდა, ვინა ხართო, ჰკითხა. სახლმმართველობიდან ვართო, უპასუხეს. რა დროს მოსვლათო, დედაჩემმა. „გაალეთ სასწრაფოდ“ – ილრიალეს გარედან. დედამ მელევა-რებისაგან საკეტი ვერ დაიმორჩილა. ილიკომ გაიღვიძა. ყველანი წამოვცვივდით. ბოლოს კარი გაიღო და ოთახში კი არ შემოვიდა, შემოვარდა სამი მამაკაცი. ერთმა ბალი-შებქვეშ შეყო ხელი და „იარადიო“ მიაყვირა ილიკოს. „მე ადვოკატი ვარ და იარადი არ მჭირდება“ – მშრალად უპასუხა ილიკომ. მამაჩემი შემოვიდა ოთახში, გაბრძანდითო, უბრძანეს მოსულეებმა. მე ვტიროდი და მინდოდა ილიკოსთან მიახლოება, ამის უფლებასაც არ მაძლევდნენ. ერთი ჩემს გვერდზე იდგა, მეორე ილიკოს გვერდზე, მესამე სანერი მაგიდის უჯრებსა და ტანისამოსის კარადაში იქექებოდა. ერთი სიტყვით, ფული, შემნახველი სალაროს ნიგნაკი, ნინო ბაგრატიონის დედის ქურქი, რამდენიმე ბეჭედი (რომელიც ნინოს დედ-მამის დაპატიმრების შემდეგ შემთხვევით გადაარჩა და ახლა ფუთაში გახვეული ჩვენთან ინახებოდა) აღწერეს და წაიღეს. მიუხედავად იმისა, რომ მამა გადაუდგა და პირდაპირ შესთხოვა, სხვისია ეგ ფუთა, დატოვეთო. ილიკო წაიყვანეს. ასე დამთავრდა ჩემი ბედნიერება, რომელიც სულ რაღაც ხუთი წელი გრძელდებოდა და 22 წლისა მე დავექვრივდი. იმავე ღამეს დააპატიმრეს გიორგი ხომასურიძე. ალიოშა ჭიჭინაძე, საბედნიეროდ, გადარჩა.

დაიჭირეს და დახვრიტეს მამაჩემის ბიძაშვილი, ბრწყინვალე პიროვნება და სპეციალისტი, განათლებით ეკონომისტი მიხეილ ჩოჩია, დაიჭირეს და დახვრიტეს ჩემი ამამიდაშვილის, ულამაზესი ქეთევან ჩხიკვაძის მეუღლე, სულ ახალგაზრდა, დიდი იმედის მომცემი ლიტერატორი მიშა ჩხენკელი, დაიჭირეს და დახვრიტეს ილიკოს ბიძა, ასევე ბრწყინვალე პიროვნება, პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ეკონომისტი გიორგი შოთაძე, უფრო ადრე, 24-ში დაიჭირეს და დახვრიტეს ჩვენი ოჯახის სიძე ვასო ცაბაძე, რომელზედაც მე უკ-

ვე ვილაპარაკე. გარდა ამისა, მეგობრებისა და ახლობლების დაუსრულებელი სია. დაიჭირეს და დახვრიტეს ტიცინ ტაბიძე, დაიჭირეს და დახვრიტეს ვახტანგ კოტეტიშვილი, დაიჭირეს და დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი, თავი მოაკვლევინეს პაოლო იაშვილს. დააცარიელეს საქართველო.

მაგრამ ცხოვრება მაინც გაგრძელდა თავისი სიმძიმე-ბით, მწუხარებებითა და სიხარულითაც.

## ქვიშხეთი

დავინიოთ ცოტა უკან, ოციან წლებში. როგორც მოგახსენეთ, მამას ლიტფონდში რაღაც თანამდებობა ეჭირა. ალბათ ამიტომ, მე მგონი 1928 წელს, სახლში მოგვადგა ერთი წარმოსადგევი, შესუქებული ქალბატონი. მას ახლდა მსუქანი, საკმარისად ულამაზო მამაკაცი. ესენი გახლდნენ ნინო ბეჟანის ასული ტატიშვილი-ყიფიანისა, დიმიტრი ყიფიანის ძის, კოტე ყიფიანის მეუღლე და მისი ძმა, რომლის სახელიც არ მახსოვს.

დიმიტრი ყიფიანი დიდ სახლსა და საკარმიდამო ნაკვეთს ფლობდა ქვიშხეთში. ამ სახლის ხშირი სტუმრები ყოფილან თავის დროზე ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, აკაკი წერეთელი და სხვა ჩვენი დიდებული ნინაპრები. მამასთან, როგორც გაირკვა, იმ სახლის იმჟამინდელი მეპატრონეები მოვიდნენ. მათ გადაეწყვიტათ ყიფიანისეული სახლის მწერალთა კავშირისათვის გადაცემა. რაღაც იურიდიული პროცედურების შემდეგ სახლი და მშვენიერი კარმიდამო მწერალთა კავშირის მფლობელობაში გადავიდა და მალე მწერალთა დასასვენებელ რეზიდენციად გადაიქცა. ამ სახლთან დაკავშირებულია მწერალთა ოჯახების ოთხი თუ ხუთი თაობის დაუფინყარი წლები, მწუხარეც, მაგრამ, ძირითადად ბედნიერებით აღსავსე. იქ ხშირად, ზოგს კი ყოველ წელს, ოჯახებით დაუსვენიათ ალექსანდრე აბაშელს, რაჟდენ გვეტაძეს, გერონტი ქიქოძეს, სიმონ ხუნდაძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, არისტო ჭუმბაძეს, პოლიკარპე კაკაბაძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, ნინო ნაკაშიძეს, ლეო ქიაჩელს, პავლე ინგოროყვას, ვიქტორ გაბესკირიას, მოგვიანებით ვერიკო ანჯაფარიძეს. მარტო ამ გვარების ჩამონათვალია საკმარისი იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ რა დღესასწაული იყო ყოველ ზაფხულს მწერალთა სახლში.

ვგონებ 1931 ან 32 წელს კოტე მარჯანიშვილის თეატრი ხაშურში მართავდა საგასტროლო სპექტაკლებს. ფაქტობრივად მთელი სახლი დაიძროდა ხოლმე ხაშურისაკენ და ვბრუნდებოდით გვიან ღამე ბორჯომის მატარებლით. ბატონი კოტე იმ პერიოდში ავად იყო და ძირითადად შეზღონდში ისვენებდა. ჩვენ ხაშურში ვნახეთ ვერიკო ანჯაფარიძის და უშანგი ჩხეიძის „ურიელ აკოსტა“, „ჰომპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „თეთრები“, „კაკალ გულში“ „ყვარყვარე თუთაბერი“ და სხვ.

მაგრამ ნინა წელს კი ტრაგიკული ზაფხული იყო. ზაფხულის დასაწყისში, ქვიშხეთში უეცრად ბავშვთა საშინელმა დიზენტერიამ იფეთქა, რომელიც პირდაპირ თიბავდა სოფლის ბავშვებს. არავითარი ანტიბიოტიკი ან სხვა რაიმე საშუალება არ არსებობდა. ჩვენს სახლში ავად გახდა

რაჟდენ გვეტაძის შვიდი წლის ზაზა და ჩვენი დიასახლისის წლინახევრის ბავშვი. ნინო გვეტაძე და მარო (დიასახლისი) ავადმყოფი ბავშვებით ბორჯომში სასწრაფო დახმარებით გაემგზავრნენ. გვეტაძეების პანანინა ასმათი ქვიშხეთში დარჩა მამისა და ქალების მოსაველეად. ბორჯომში ზაზაც და დიასახლისის ბავშვიც დაიღუპნენ. მეორე დილას გვეტაძეების პატარა ასმათიც ავად შეიქნა და სალამოსთვის გარდაიცვალა. ეს საშინელი ტრაგედია მთელმა თბილისმა განიცადა და ორ პატარა კუბოს უამრავი ხალხი მიაცილებდა.

**სიმონ ხუნდაძე**

ერთხელ, არ მახსოვს რომელი წელი იყო, მამამ და ბატონმა სიმონ ხუნდაძემ ქვიშხეთიდან თბილისში გამგზავრება გადანწყვიტეს ლიხის სადგურიდან. ბათუმის მატარებელზე მოსახვედრად მათ დილაადრიან მოუხდათ სახლიდან გასვლა. სადგურამდე არაფერი უკლდათ, ერთი სიმინდის ყანალა იყო გადასალახი, რომ საიდანაც უშველებელი ძალლი გამოენთო და საშინელი ყეფით გამოქანდა მათკენ. ორივენი დასხდნენ მიწაზე და ძალლი ღრენით დაადგა თავზე. ოდნავი განძრევა და ძალლი ყეფას იწყებდა. მატარებელი მოვიდა, გაჩერდა, წავიდა და ჩვენი გმირები ისხდნენ და ხმამაღლა დალაპარაკებასაც ვერ ბედავდნენ. როდის, როდის ძაღლის პატრონი გამოჩნდა და გაათავისუფლა ფეხებგაშეშებული, წელგაკავებული მოგზაურები. თბილისს სალამოსთვის მიაღწიეს. ეს პატარა ეპიზოდი სასაცილო და სასიამოვნო მოგონებად დარჩებოდა, რომ არა ტრაგიკული დასასრული. მამა და ბატონი სიმონი შეთანხმდნენ, რომ მესამე დღეს სიმონი გამოუვლიდა დათქმულ დროს მამას და ისინი დილის მატარებლით წამოვიდოდნენ ქვიშხეთში. მამა დათქმული დროისთვის მზად იყო და ფანჯარასთან იდგა. სიმონი აგვიანებდა. პირველი საათი შესრულდა და სიმონი არ ჩანდა. მამა აღელდა და დაიძრა სიმონის სახლისაკენ. ბატონი სიმონი ნაფარეულის ქუჩაზე ცხოვრობდა, მესამე სართულზე. დაკაკუნებაზე არავინ უპასუხა. მამამ მივობელს მიმართა. მათ ბატონი სიმონი ქვიშხეთიდან ჩამოსვლის სალამოს უნახავთ. მერე აღარ გამოჩენილაო. ყველანი შეწუხდნენ. მოიხმეს მეზობლის ბიჭუნა, რომელიც ბატონი სიმონის კარის მეზობლის აივნისგან გადაინია, მზერით მიწვდა ხუნდაძეების ფანჯარას და შეიხედა ბინაში. შეიხედა და დაინახა იატაკზე გამხლართული ბატონი სიმონი. კარები შეამტვრიეს და გამოიძახეს სასწრაფო დახმარება. ბატონი სიმონი აღარ იყო ცოცხალი. ქართულმა ინტელექტუალურმა საზოგადოებამ ღირსეული ნევრი დაჰკარგა. დანაკარგებს კი ბოლო არ უჩანდა.



ეთერ ჩხიკვაძე, ილია თუთბერიძე და მედეა აბაშელი

**მიხეილ ჯავახიშვილი**

1937 წელს ქვიშხეთში ისევ შეიკრიბა ერთმანეთს მონატრებული საზოგადოება, მაგრამ ამჯერად მაინც დაძაბული და მომლოდინე. იმ ზაფხულს იქ მიხეილ ჯავახიშვილიც ისვენებდა ოჯახით. სახლის ადმინისტრატორად იმხანად ლიტერატორთა შორის კარგად ცნობილი, ყველასაგან პატივცემული კალისტრატე ფირცხალიაშვილი მუშაობდა. ერთ ღამეს მან ჩვენს კარზე დააკაკუნა, „ადექი, საშა, მიხეილი მიჰყავთ“. მთელი სახლი ეზოში გამოეფინა. დავინახე, სახლის კარებში იდგა აკანკალებული დეიდა ლუბა, ჯავახიშვილის მეუღლე, მას ატირებული ეკვროდა ქეთო, მათი ქალიშვილი. ეზოდან ჭიშკრისაკენ ორ ახმახს მიჰყავდა საშინლად გაციებული, სიცხიანი ბატონი მიხეილ ჯავახიშვილი. მას კოსტუმში ეცვა და თავზე ტიუბეტეიკა ეხურა. ისმოდა ქალების ჩუმი ქვითინი. კომპარტიული სურათი იყო. დილას ჯავახიშვილების ოჯახი თბილისში გამგზავრდა.

ქეთო ჯავახიშვილი, ჩემი მეგობარი, მერე მომიყვა, რომ სახლში მისულებს ბინა აყირავებული დახვდათ. ნიგნები, ქაღალდები, თეთრეული, ერთმანეთში არეული იატაკზე ეყარა. ჯავახიშვილებს ერთი ყველაზე ბნელი ოთახი დაუტოვეს, ხოლო ბინა კრიტიკოს შალვა რადიანს გადასცეს (აქვე აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რეაბილიტაციის შემდეგ რადიანებმა დაუყოვნებლივ დაცალეს ბინა და ჯავახიშვილებს პირწმინდად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაუბრუნეს ყველაფერი, რაც მათ გადაეცათ ბინის დაკავებისას). რადიანის მეუღლე, მშვენიერი ქეთევან ირემაძე, მიუხედავად სასტიკი აკრძალვისა, საკუთარი უშიშროების ფასად, ღამით ჩუმად აწვდიდა ჯავახიშვილებს მათ კუთვნილ, ცხოვრებისათვის აუცილებელ მომცრო ნივთებს.

ჯავახიშვილებთან ურთიერთობა საშინო გახდა და ისინი სრულ იზოლაციაში მოექცნენ. მე დღეს მეტრბახება, რომ ჩვენს ოჯახს ჯავახიშვილები არ მიუტოვებია და შეძლებისდაგვარად გვერდზე ვედექით. დეიდა ლუბას სარჩენი შეიქნა ორი ქალიშვილი და შვილიშვილი რამაზ შიშინაშვილი. დეიდა ლუბამ დაიწყო კერვა. ჯერ მარტივ ხალათებს კერავდა, მერე კაბებს და ბოლოს პალტოებსაც. დედაჩემი უჭრიდა, უბლანდავდა და კლიენტებს ტანზე მოუზომავდა ნაკერს. ასე ვცხოვრობდით.

**კონსტანტინე გამსახურდია**

დიდ ადამიანებს რაღაც კაპრიზი თუ ახირება მოუვლით ხოლმე ხანდახან. აბა, რითი უნდა აიხსნას ის, რომ ერთხელ მამამ დეკემბა მიიღო ნათელასაგან, კონსტანტინე გამსახურდიას უფროსი ქალიშვილისაგან (პირველ ცოლთან ჰყავდა), „სასწრაფოდ ჩამოდი, მამამ სახლში ქალი მოიყვანა“. სწორედ ამ დროს ქვიშხეთ-

ში მშვიდად ისვენებენ მირანდა ფალავანდიშვილი, თამრი-  
კო გამსახურდია, ზვიად გამსახურდია, ბატონ კონსტან-  
ტინეს ეს მშვენიერი ოჯახი. მამა იმავე დღეს თბილისში ჩა-  
მოვიდა და პირდაპირ პავლე ინგოროყვასთან გაემართა  
ფრონტის გაძლიერების მიზნით. გამსახურდიები მაშინ  
ჯაფარიძის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, შახპარონიანის სამშო-  
ბიარო სახლის პირველ სართულზე ორთახიან ბინაში,  
ერთი ოთახი კი მეორე სართულზე იყო. როცა ბატონი პავ-  
ლე და მამა გამსახურდიას სახლში მივიდნენ (იყო დაახ-  
ლოებით საღამოს რვა საათი), ასეთი სურათი დახვდათ:  
პიუჟაოსა და გოლფში გამოწყობილ კონსტანტინეს ფეხები  
ფლოსტებში ჰქონდა გაყოფილი, თავზე ფესკა ეხურა,  
მხარზე სანადირო თოფი „გეკო“ ჰქონდა გადაკიდებული.  
აღზნეული მიმოდიოდა და ბურტყუნებდა „მოვკლავ,  
სულ ერთია, მოვკლავ“. „ვის მოკლავ, რას მოკლავ?“ აღ-  
მოჩნდა, რომ მეორე ოთახში ორი მანდილოსანი იმყოფება,  
ერთი მთელ თბილისში სილამაზით განთქმული ქალი და  
მისი დედა, რომელიც წამდაუნუმ ცუდად ხდებოდა. მომ-  
ხდარა კი, აი, რა. ორი თუ სამი დღის წინ კონსტანტინე შეხ-  
ვედრია მათ ქუჩაში, გამოლაპარაკებია და ქალიშვილი-  
სათვის სრულიად მოულოდნელად ჯვრის დანერა შეუთა-  
ვაზებია. ქალებს თითქოს წინააღმდეგობა გაუწევიათ,  
მაგრამ ბატონ კონსტანტინეს უძალია და მეორე დღეს სი-  
ონში იმ მშვენიერ ქალზე დაუნერია ჯვარი. ბუნებრივია,  
დედა-შვილი მასთან გადავიდნენ. მესამე დღეს, როცა ბა-  
ტონი კონსტანტინე გონს მიეგო და მიხვდა, თუ რა ჩაედი-  
ნა, მოითხოვა, რომ დედა-შვილს დაუყოვნებლივ დაეტო-  
ვებინათ ბინა. არავითარი ჯვრისნერა არა ყოფილაო, ამ-  
ტიციებდა, მხოლოდ სახლში დავაპატიჟეო. ისინი კი საშინ-  
ლად შეურაცხყოფილები უარს ამბობენ სახლის დაცლაზე.  
ბატონი პავლე და მამაჩემი არწმუნებდნენ მათ, რომ ეს  
ფაქტი სრულიად მიუღებელი იქნებოდა მთელი საზოგა-  
დოებისთვის და იურიდიულადაც მოკლებული იყო ყო-  
ველგვარ საფუძველს. ინციდენტი დაძლეულ იქნა.

## ომი და ომის შემდეგ

დადგა საშინელი 1941 წელი, მსოფლიო ომი. მე ბევრს  
არ ვილაპარაკებ იმ უბედურებაზე, რაც ამ ომმა მოუტანა  
საქართველოს. ამაზე იმდენი დაინერა და ისეთი ავტორე-  
ბის მიერ, რომ მე, ჩემი მწირი შესაძლებლობებით ვერა-  
ფერს დავამატებ. მოკლედ ვიტყვი. დაიწყო შიმშილი, ლა-  
მეების თევა ნავთის რიგებში, პურის წიგნაკები (რომელ-  
თა დაკარგვა ოჯახური უბედურება იყო), ლამფით განა-  
თებული ფანჯრების შენიღბვა, გაჩნდნენ რუსეთიდან  
დევნილები და პირველი მათხოვრები, რუხ ფერად გადაი-  
ლება უნივერსიტეტის უთეთრესი შენობა. გახშირდა ყაჩა-  
ღობის შემთხვევები, ბევრი სკოლა გადაკეთდა სამხედრო  
ჰოსპიტლებად. ხალხს ძალიან უჭირდა მატერიალურად  
და, რაც მთავარია, მორალურად, იყო საერთო, შიშნარევი  
მოლოდინი ფრონტზე წასული ახლობლების. ფრონტი-  
დან კი შემამფოთებელი ამბები მოდიოდა. და მიუხედავად  
ამისა, ადამიანები მაინც ცდილობდნენ და ხშირად ახერ-  
ხებდნენ კიდევ ყოფის შემსუბუქებას. ისინი იკრიბებოდ-

ნენ ოჯახებში უღარიბეს სუფრებზე, იცინოდნენ, დადი-  
ოდნენ სპექტაკლებზე, ოპერაში. თბილისში იყო ევაკუი-  
რებული მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასის უდიდესი  
ნაწილი და გრიბოედოვის თეატრში მართავდნენ სპექ-  
ტაკლებს.

ამ დროს მამა მუშაობდა გამომცემლობა „ზარია ვოს-  
ტოკა“-ს ლიტერატურული განყოფილების უფროსად.  
ერთ დღეს განყოფილების ყველა თანამშრომელი გამოძა-  
ხებულ იქნა უნივერსიტეტის ბაღში, სადაც სახალხო ლაშ-  
ქარი თუ რაზმი უნდა ჩამოყალიბებულიყო. მამა წავიდა,  
მეც გავეყვი. ძალიან ბევრი ხალხი იყო შეკრებილი. მათ  
შორის ნაცნობებიც შევნიშნე: პეტრე ამირანაშვილი, და-  
ვით გამრეკელი, დავით ბადრიძე და ბევრი სხვა. ყველანი  
რიგებში მოაწყვეს. მამა თავისი თეორი წვერით (ამის გამო  
ის წლოვანებასთან შედარებით უფროსად გამოიყურებო-  
და) მკვეთრად გამოიჩინა თავის მწკრივში. მასთან მი-  
ვიდა სამხედრო კაცი, ამ პროცედურის ხელმძღვანელი და  
მიმართა: „ბატონო ალექსანდრე, ჩვენ გათავისუფლებთ  
თქვენ ლაშქრის რიგებიდან, ლექსებით მეტ სარგებლობას  
მოუტანთ ქვეყანას ომში გამარჯვებისათვის“. მამას ბავ-  
შვივით ეწყინა და სულ გვეკითხებოდა, ნუთუ მართლა  
ასეთი ბებერი ვარო.

1944 წელს გადაწყდა მამაჩემისა და ბატონ იოსებ გრი-  
შაშვილისათვის საიუბილეო საღამოების მოწყობა, შესა-  
ბამისად დაბადებიდან 60 და 50 წლების აღსანიშნავად.  
ისინი დაობდნენ ერთმანეთში. მამაჩემს, მისთვის დამახა-  
სიათებელი მორიდეების გამო, სურდა იუბილე მწერალთა  
სახლში გამართულიყო, გრიშაშვილი პომპეზური იუბილეს  
მომხრე გახლდათ. საბოლოოდ მამაჩემის იუბილე რუსთა-  
ველის თეატრში გაიმართა, გრიშაშვილისა – საოპერო თე-  
ატრში. ორივე საღამო იყო ძალიან თბილი, ხალისიანი, მე-  
გობრებითა და ყვავილებით სავსე. მერე ორივე იუბილარს  
მთელ საქართველოში გაუმართეს შეხვედრები, რომლებ-  
შიაც ადგილობრივი ფოლკლორული კოლექტივებიც  
იღებდნენ მონაწილეობას. ჩანდა, რომ ხალხმა მოახლოე-  
ბული გამარჯვება იგრძნო. და ეს დღეც დადგა! გამარჯვე-  
ბის ეიფორია, საერთო დღესასწაული. ხალხი თანდათან  
დანყნარდა (ნეტა რამდენი ხნით?) და რიგითი დღეების წე-  
სით დაიწყო ცხოვრება.


ერთ მშვენიერ დღეს მამასთან ბატონი კონსტანტინე  
მოვიდა და უთხრა: „საშა, შენ იცნობ და დიდ პატივს გცემს  
რობაქიძე (ამ გვარის კაცი მაშინ მგონი ვაჭრობის მინის-  
ტრი იყო), მიდი და სთხოვე ჩემთვის და გოგლასთვის პალ-  
ტოები“. ამისთანა სათხოვარით მამა თავისთვის არავი-  
თარ შემთხვევაში არავისთან არ მივიდოდა, მიუხედავად  
იმისა, რომ თვითონ საშინელი, დედაჩემისგან მრავალ ად-  
გილას დაკერებული პალტო ეცვა. რობაქიძეს დიდი პატი-  
ვით მიუღია მამაჩემი, მოუსმენია და უთქვამს: „ბატონო  
ალექსანდრე, სხვისთვის რომ თხოულობთ, თქვენ თვითონ  
რა პალტოთი დადიხართ“. იქვე ტელეფონით გამოუთხა-  
ბია ქალბატონი თამარ აბაკელია (მისი მოადგილე გახ-  
ლდა) და დაუვალე მამასთვის სასწრაფოდ პალტოს  
შეკერვა საუკეთესო ნაჭრიდან. თან დაუმატებია, მე ვნახე  
ბატონი კონსტანტინე ამასწინათ და არ ეცვა თითქოს ცუ-  
დი პალტო. ერთ კვირაში მამა მშვენიერ პალტოში გამოწ-  
ვობილი გამოგვეცხადა. „რა ვქნა, კონია, ასე გამოვიდა,

ჩემი ბრალი არ არის“ – ტელეფონით ელაპარაკებოდა მამა ბატონ კონსტანტინეს, იქიდან ხმამალალი ხარხარი ისმოდა.

**მერცხლები**

თბილისში, ჩვენს დიდსა და უაზრო, ეზოში გამოშავალ დიდ ღია აივნებთან სახლში, მხოლოდ ჩვენს აივანზე გამწკრივებული იყო მერცხლის ოცდაათი ბუდე. იმ ბუდეების ბინადართ მეზობლები აბაშელის მერცხლებს უწოდებდნენ. ერთხელ, იმ დროს, როცა დედა მერცხლები კვერცხებზე ისხდნენ, მამაჩემმა შეამჩნია, რომ ერთი ბუდიდან უკვე მოკლულ და ნახევრად გამოთრეულ მერცხალს რაღაც უჩვეულოდ დიდი ზომის ბელურა კორტინდა და ცდილობდა მის გადმოგდებას. დიდი წვალეების შემდეგ ბელურამ მერცხალი გადმოაგდო, ოთხი კვერცხიც მიაყოლა და თვითონ დაიკავა ბუდე. მამა აღშფოთებული იყო. მაგრამ მოხდა სასწაული. მოგვიანებით, ასე ათი საათისათვის, როცა მერცხლებს, მათ შორის ბელურასაც უკვე ეძინათ, ათი, თხუთმეტი მერცხალი ირაოს კრავდა ცაში, და სრულ სიჩუმეში, ჭყვილის გარეშე, რიგრიგობით უახლოვდებოდა დაპყრობილ ბუდეს. სულ რაღაც ნახევარ საათში მერცხლებმა ბუდე ამოქოლეს და ოკუპანტი შიგ ჩატოვეს. მამამ თქვა: „ერთის მხრივ კმაყოფილი ვარ, მაგრამ მეორე მხრივ, როგორ ვაპატიო თავს, რომ დაეუშვი ასეთი სასტიკი შურისძიება“. მაგრამ, როგორც მერე სპეციალისტებმა გვითხრეს, ეს შურისძიება კი არ ყოფილა, არამედ მერცხლებმა თავისი სამფლობელოდან მოიცილეს უცხო სხეული.

ვაგრძელებ მერცხლის თემას. ომის დამთავრების შემდეგ, სულ მალე, თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდნენ და ჩვენს სახლში თავის ახლობლებთან დაიდეს ბინა ცნობილმა მთარგმნელებმა, ცოლ-ქმარმა ელიზბარ ანანიავილიძე და ვერა კაუფმანმა. ისინი დიდად განათლებული, ინტელექტუალური, კეთილგანწყობილი ადამიანები იყვნენ. ბუნებრივია, ჩვენი ოჯახები მალე ძალიან დაახლოვდნენ. ერთ დღეს ქალბატონმა ვერამ ხელში აყვანილი მერცხლის პატარა ბარტყი შემოიტანა ჩვენთან. ჩემი შვილი ალექო ეცადა რომელიმე ბუდეში დაებრუნებინა ბარტყი, მაგრამ მას ყველა ბუდიდან აგდებდნენ და ბოლოს ფეხიც დაუზიანდა. მამაჩემმა ბარტყი თავის საშინაო ქუდში, ფესკაში ჩასვა, ბამბა დაუგო და ეზოს ბიჭებს (ბიჭების შესანიშნავი გუნდი იზრდებოდა ეზოში) დაავალა მერცხლის მომარაგება ბუზებით. მალე პატარა მერცხალი ჩვენს ეზოში მაცხოვრებელ ყველა ოჯახზე მეტად მომხარავდა საკვებით. ანანიავილებს არ ჰყავდათ შვილი და მათ ჩვენი მერცხალი გადაიყვანეს თავისთან, დაარქვეს ჩილიპი და მართლა შვილივით დაუნყეს მოვლა. ჩილიპი წამოიზარდა, ხელიდან დაინყო ბუზებისა და ათასგვარი ჭყაყელეების კენკვა, ოთახში ფრენა.



ალექსანდრე აბაშელი, ალექო თუთბერიძე და მედეა აბაშელი

იმ პერიოდში ილიასული სახლი საგურამოში მწერალთა შემოქმედებით სახლად ფუნქციონირებდა. ანანიავილები თავის ჩილიპთან ერთად გაემგზავრნენ საგურამოში.

**საგურამოში**

ჩვენს წასვლას საგურამოში დაუგვიანდა ერთი კვირით. ალექომ ხელი მოიტეხა და დაჭირდა რენტგენი, თაბაშირი, შემონმება, ისევე რენტგენი. მერე ჩვენც, მთელი ოჯახი, ალექო, მამა, დედა, მე ჩავვიდით საგურამოში. ალექო იმავე წამს გავარდა ანანიავილებთან ჩილიპის მოსაკითხად. ჩილიპი მკვდარი დახვდა. სახლის ყველა ბინადარმა ერთხმად გადაწყვიტა გამართულიყო ჩილიპის სამგლოვიარო საზეიმო დაკრძალვა. სახელდახელოდ დაამზადეს პატარა კუბო, შეკრეს თაიგულები, ილიას დიდი მუხის ქვეშ ამოთხარეს საფლავი და სამგლოვიარო პროცესია დაიძრა. პროცესიას მიუძღვებოდნენ ანანიავილები, შემდეგ ნატო ვაჩნაძე, დემნა შენგელია, ალექო შენგელია, ალექსანდრე აბაშელი, ალიო მირცხულავა, ფატმა თვალითვაძე (გამსახურდის რუსულენოვანი მთარგმნელი), ოთარ ჭელიძე, ფიზიოლოგი ქუჯი ძინიშვილი, ფიზიკოსი იონა მირცხულავა, მშენიერი რუსი პოეტი ალექსანდრე კორეტკოვი, შემდეგ ჩვენ, მრავალრიცხოვანი აცრემლებული ქალები, ალექო, როგორც ჭირისუფალი, თაბაშირიანი ხელით მიუძღვებოდა გოგო-ბიჭების დიდ ჯგუფს. ბეთჰოვენის სამგლოვიარო მარშს პროცესიის ბოლოს საბავშვო აკორდეონზე ასრულებდა ჯერ კიდევ ევგენი მიქელაძის ორკესტრის ნევრი ბატონი გიორგი თაქთაქიშვილი. საფლავს რიყის ქვა დაადეს ზედ ამონაკანრით: „აქ განივენებს ჩილიპი“. იმ საღამოს გაიმართა სადილი ლექსებით, სადღეგრძელოებით.

ქალბატონი ნატო შემთხვევით მოხვდა იმ დღეს საგურამოში და დიდად კმაყოფილი დარჩა, რა კარგია თქვენთანო, იმეორებდა. საქმე ის გახლავთ, რომ ნატოს დაბადებიდან ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები თავდებოდა, ან ის იყო დამთავრდა და რუსულ ენაზე გამოსაცემად მზადდებოდა მისი მოგონებების წიგნი, რომლის თარგმნასა და რედაქტირებას ვერა კაუფმანი აკეთებდა. ნატო მასთან ჩამოდიოდა რეგულარულად. ერთხელ პოეზიის საღამო გაიმართა. ლექსები წაიკითხეს ალექო შენგელიამ, ოთარ ჭელიძემ, ალექსანდრე აბაშელმა და ალექსანდრე კორეტკოვმა. კორეტკოვმა წაიკითხა მისი ძალიან პოპულარული ლექსი (რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ იქ დაწერა და პირველად კითხულობდა, ალბათ ამიტომ ლელავდა ძალიან)

**ს ლიუბიმიმი ნე რასსტავაიტეს,  
ს ლიუბიმიმი ნე რასსტავაიტეს,  
ს ლიუბიმიმი ნე რასსტავაიტეს,  
ი კაჟდი რაზ ნავეკ პროშჩაიტეს,  
კოგდა უხოდიტე ნა მიგ.**

ლექსმა საოცარი მონონება და ტაში დაიმსახურა. კოჩეტკოვი ბავშვივით ბედნიერი იყო ეს მართლა ბრწყინვალე პოეტი, როგორც ბევრი რუსი, სვამდა თურმე ხშირად, და სვამდა გაოგნებამდე. ერთ დღეს, საშინლად მთვრალი შედგა მეორე სართულის ფანჯარის რაფაზე. ჩვენ გულგახეთქილები შევყურებდით ქვევიდან და ვეხვეწებოდით ჩამოსულიყო. ის კი ირხეოდა, ანცობდა და ხმამაღლა კითხულობდა ლექსებს. როგორც იქნა ცოლმა წაიყვანა დასაძინებლად. ორი დღე არ გამოდიოდა, სცხვენოდა. სხვა მხრივ იყო სასიამოვნო გარემოცვა, ქუჯი ძიძიშვილი აწყობდა გასვლებს საგურამოს შემოგარენში, მათ შორის ვიყავით ზედაზენზე. 1947 წლის ზაფხული თანდათან ილეოდა.

### სტატისტიკა

ქვეყანამ დიდი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენს საზოგადოებას თითქოს აღარაფერი ემუქრებოდა. მაგრამ ვერ მოვასწარით აგარაკიდან დაბრუნება, რომ ახალი კომმარის დაგვატყდა თავს. დაიწყო გერმანიაში ტყვედყოფილთა მასობრივი დაპატიმრება და გადასახლება. ბევრი ნაცნობი, ახლობელი, ჩემი დეიდაშვილი დავით ცაბაძე. თითქოს არ ეყოფოდა მამის დახვრეტა, დედის თვითმკვლელობა, ობლობა, ომი, ტყვეობა. და რამდენი ასეთივე ბედის ადამიანი. ამოსუნთქვა არ გვაცალეს და 1951 წელს ახალი რეპრესიები. ისევ გაანადგურეს საზოგადოება, მიადგებოდნენ ღამე ოჯახებს, ფუთის შეკვრას არ აცლიდნენ, მიერეკებოდნენ „ტეპლუშკებით“ ისევ ციმბირისაკენ თუ შუააზიისაკენ. ამჟამად ქვეყანას შესაძლო მტრებისაგან ათავისუფლებდნენ, მათ ხომ ნათესავები ჰყავდათ უცხოეთში! ისევ ახლობლები – თევზაძეები, საყვარელიძეები, ხვედელიძეები. გადაასახლეს ევგენი მიქელაძის ისედაც დანაკუნებულ ოჯახი, მისი მზეთუნახავი ქალიშვილი თინა, რომელსაც მთელი დარჩენილი ცხოვრებაც აენუნა შემდეგ. ისევ დააცარიელეს საქართველო.

გავიდა ცოტა ხანი და ახალი აბსურდი. ვისმენტ კანდიდ ჩარკვიანის მოხსენებას იმის შესახებ, რომ ვაჟა-ფშაველა პროვინციული, ვინროკუთხური ინტერესებისა და უიდეო შეხედულებების პოეტი, რომ ის უნდა ამოვიღოთ სასკოლო პროგრამიდან (კანდიდ ჩარკვიანი ის იყო სოხუმიდან ჩამოვიდა, სადაც სტალინს ახლდა). თქვენ წარმოდგინეთ რა დარტყმა იყო ეს მამაჩემისთვის, რომელმაც ათეული წლები მოანდომა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის მომზადებასა და გამოცემას. ისევ დაიზაფრა საზოგადოება.

სტალინი მოკვდა. საკვირველია, მაგრამ საზოგადოებამ, განსაკუთრებით უბრალო ხალხმა გულწრფელად დაიტირა დიდი ბელადი.

დიდხანს არ გაუვლია, სულ ორ წელიწადში, 56-ის 9 მარტის საშინელი ღამე. მერე 9 აპრილი, მერე ცხინვალი, მერე სოხუმი. ოცდაერთი, ოცდაოთხი, ოცდაჩვიდმეტ წლებზე ადრე მოგახსენეთ. და ეს ყველაფერი ჩემი თაობის, ერთი თაობის არსებობისას მოხდა. რამდენის გაძლება შეძლებია ადამიანს. სტალინი დიდი რაოდენობის მსხვერპლს, თურმე, სტატისტიკას ეძახდა.

მიუხედავად ამ უმძიმეს პირობებში არსებობისა, სიტყვის თავისუფლების იეზუიტური შეზღუდვის, ინერებოდა შესანიშნავი ლექსები, პროზა, მუსიკა, იდგებოდა სპექტაკლები, მოღვაწეოდნენ ბრწყინვალე მსახიობები, მხატვრები, მეცნიერები. ადამიანები ერთმანეთს ხვდებოდნენ, უყვარდებოდათ ერთმანეთი, იცინოდნენ, მღეროდნენ, მათ შორის მეც. ამ ფენომენს როდისმე ჭკვიანი კაცები ახსნიან, ჩემთვის გაუგებარია.

1950 წელს მე მეორედ გავთხოვი, გავყევი ასევე ცნობილ ვექილს მიხეილ ალხაზაშვილს, ამიტომ ჩემი სამეგობრო წრე დიდად არ შეცვლილა, შემოემატა რამდენიმე საინტერესო პიროვნება, უპირველესად ნიკუშა ალხაზაშვილი, ოთარ ლოლაძე, ლადო ბარათაშვილი. გამიჩნდა მეორე ვაჟი ლევანი. მამაჩემმა ის თავდავიწყებით შეიყვარა, როგორც თავის დროზე ალექო. ვისვენებდით კიკეთში. მეზობელს ჰყავდა ერთი ძალიან მხიარული ლეკვი ცუგი. ლევანი და ცუგი მთელი დღე ერთად თამაშობდნენ. ერთხელაც ძალიან ათამაშებულმა ცუგიმ ოდნავ გაკრა კბილი ნეკზე ლევანს. მამა იმ წამსვე წავიდა ამბულატორიაში და გაარკვია, რომ კიკეთში შრატი არ აქვთ. არავითარი რჩევა-დარიგება არ გაითვალისწინა და თბილისს მიაშურა. ჩამოიტანა შრატი და ამბულატორიისაკენ დაიძრნენ: მამა, ლევანთან ხელჩაკიდებული, ლევანი უშველებელ თოკზე გამობმულ მანქანით და ცუგი, რომელიც კუდის ქიცინით მისდევდა უკან. ეს სურათი დიდხანს იყო კიკეთელების სიცოცხლის საგანი.

### მამის გარდაცვალება

1954 წელს მამა კიკეთში გამთენიისას ცუდად შეიქნა. დაემართა ხანდაზმულ მამაკაცთა თანმდევი ჭირი – უროლოგიური შეხუთვა. საჭირო შეიქნა მისი დაუყოვნებლივ თბილისში ტრანსპორტირება. იოსებ ნონეშვილმა მეგობრის მანქანით უზრუნველყო მამაჩემის და ჩემი საავადმყოფოში მიყვანა. თბილისში საშინელი სიცხე იდგა და ერთადერთ პროფესორ უროლოგის გარდა არავინ იყო. მან ყველა პირობა შეუქმნა მამას, დაანწინა თავის კაბინეტში, დაუდგა ტელეფონი და თავზე ევლებოდა. არც ჩვენ, ოჯახს, არც მამას ოპერაციის ეხლავე გაკეთება არ გვინდოდა, სექტემბერს ველოდით. იყო შუა აგვისტო. პროფესორმა ოპერაცია გადაუდებლად მიიჩნია და გაუკეთა პირველი მომენტი. მამა მეორე მომენტის მოლოდინში იქ თვეზე მეტი იწვა. მთელი ეს დრო მამა რატომღაც ძალიან გულდამძიმებული იყო. 28 აგვისტოს მას სამოცდაათი წელი შეუსრულდა. ჩვენ ყველანი მივედით, ვეცადეთ გაგვემხიარულებინა, ცოტა კიდევ ავიყოლიეთ. მეგობართაგან არავინ გამოგვხმაურებია, ეტყობა არ გაახსენდათ ან არ იყვნენ ქალაქში. მამას ეს ამბავი ცუდად ენიშნა. მეტადრე მას შემდეგ, როდესაც მე, უკვე სექტემბერში, მწერალთა კავშირიდან მოვუტანე დაბადების დღისათვის მოსული ბევრი მოსალოცი დეპეშა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, როგორც მწერალთა ორგანიზაციებისა, ისე კერძო პირებისაგან. მამას ამ მდგომარე-

ობაში ძალიან გაამხნევებდა ეს ყურადღება და მეტად დანყდა გული იმ უყურადღებობის გამო, რაც მწერალთა კავშირის სამდივნომ გამოიჩინა მის მიმართ. სექტემბრის ბოლოს პროფესორმა მიიჩნია, რომ მამა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უკვე მზად იყო მთავარი ოპერაციისათვის. 29 სექტემბერს გაკეთდა ოპერაცია. მამა არ დააძინეს, მას ზურგის ტვინში გაუკეთეს ანესთეზია. ოპერაციის დროს არავითარი ტკივილი არ უგრძვნია, ოპერაციიდან გამოიყვანეს ფერმკრთალი, მაგრამ დამშვიდებული. თითქოს აღარაფერი იყო საშიში. და სწორედ ამ დროს მოხდა გარემოებათა ფატალური დამთხვევა. მე საშინელი გრიპი მქონდა და ახლოს ვერ ვეკარებოდი. იმ დღეს იყო ილიკო ქურხულის დასაფლავება და პროფესორი მალე დაბრუნების იმედით იქ წავიდა, იქ წავიდა ჟორა ცაბაძეც და მეც ნახევარი საათით სახლში. ალექოც გავიდა. დედაჩემი იქ დარჩა. ამ ნახევარმა საათმა გადაწყვიტა ყველაფერი. დაიწყო სისხლის წნევის თანდათანობით დაცემა, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა მორიგე ექიმმა. ამასობაში მე მოვედი, მოვიდა პროფესორიც, ჟორაც. მათ დაიწყეს რალაც ინტენსიური მანიპულაციები, არაფერი გამოდიოდა. მამამ მხედველობა დაკარგა და მალე გარდაიცვალა. უმძიმესი მწუხარება დაეუფლა ოჯახს. იმავე დღეს სახლში შეიკრიბნენ ახლობლები, მამის რამდენიმე მეგობარი მოვიდა. დაუფინყარია კონსტანტინე გამსახურდიას მოსვლა. როგორც კი ჭიშკარს გამოცდა, მთელი ეზო მეგრული მოთქმით „ვაი ნანა“-ს ძახილითა და შუბლზე ხელის წაშენით გამოიარა, ამოვიდა და ხმამაღლა დაიტირა მეგობარი, სად ვიყავი, რატომ ვერ გადაგარჩინეთ.

გამოასვენეს მამა მწერალთა სასახლიდან და ხალხმა, ძირითადად ახალგაზრდობამ, კუბო დიდუბის პანთეონამდე ხელით ატარა.

**ბახსენება**

1964 წელს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ალექსანდრე აბაშელის დაბადებიდან ოთხმოცი წლის აღსანიშნავი საღამო. საღამო ბატონ ირაკლი აბაშიძეს მიჰყავდა. მონაწილეობდნენ ბატონები: ბესო უღენტე, სოლომონ ხუციშვილი, გურამ ასათიანი, პავლე ინგოროყვა, სხვა მწერლები (სამწუხაროდ, ყველა ვერ გავიხსენე), გამოვიდნენ მოგონებებით, გაარჩიეს მამის შემოქმედება, ლექსები წაიკითხეს ვერიკო ანჯაფარიძემ, მედეა ჩახავამ, ტარიელ საყვარელიძემ, თათია ხაინდრავამ, ზინა კვერენჩილაძემ, მედეა ჯაფარიძემ. იმდღერეს ნოდარ ანდლელაძემ, შუშანიამ. სპეციალურად ამ საღამოსათვის მხატვარმა კორნელი სანაძემ დახატა მამის დიდი, სცენაზე გამოსატანი პორტრეტი. საღამოს არ ესწრებოდა კონსტანტინე გამსახურდია. და, აი, სწორედ აქ იმალება ინტრიგა.

საქმე ისაა, რომ ამ თარიღამდე ერთი კვირით ადრე რუსთაველის თეატრში ჩატარდა ბატონ შალვა დადიანის მოსაგონარი საზეიმო საღამო. საღამო გადაიცემოდა ტელევიზიით და მშვიდად, აკადემიურ სტილში მიმდინარეობდა. ერთმანეთს ორატორები და მსახიობები ცვლიდნენ. და, აი, ტრიბუნასთან კონსტანტინე გამსახურდია მივიდა. ის ცოტა მხიარული ჩანდა, სიტყვაც ასეთი ჰქონდა, რაც სრულიად არ ჰგავდა მის საჯარო გამოსვლებს. ბოლოს, როდესაც იგი ბატონი შალვას პიროვნული თვისებების დახასიათებას შეუდგა, სხვათა შორის თქვა: „შალვა კარგი მექალთანეც გახლდათ და იცოდა, რომ ყველა ლამაზი ქალი ბო.., მაგრამ ყველა ბო.. ლამაზი არ არის“. კატასტროფა! საბჭოთა ტელევიზია და ასეთი სიტყვები! სატელევიზიო გადაცემა სასწრაფოდ გამოირთო. მეორე დღეს მთელი თბილისი იცინოდა, იცინოდა გამსახურდიაც, მხოლოდ მირანდა განიცდიდა, თავი მოგვეჭრა კონიამ ყველასო.

მეორე დილას დამირეკეს მწერალთა კავშირიდან და მითხრეს, რომ აბაშელის საღამო გამსახურდიას მონაწილეობის გარეშე ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ მისი საჯარო გამოსვლა კი უკვე ყოვლად დაუშვებელი, ამიტომ თავი უნდა შევიკავოთ საღამოს გამართვისაგანო. მე ვუპასუხე, რომ ყოველნაირად ვეცდები „უფენებელყო“ გამსახურდია. მაგრამ როგორ მიმელნია ამისათვის, ვერ წარმომედგინა. წავედი მირანდასთან და ავუხსენი სიტუაცია. ის ერთხანს ჩაფიქრდა. მერე მომიტრიალდა და მითხრა: კარგი, მედიკო, ნადი და უთხარი, გამსახურდია არ იქნება-თქო. საღამოს ჩატარება გადაწყდა. მე მაინც ვლელავდი, მაგრამ დანიშნულ დღეს დამირეკა ბატონმა კონსტანტინემ და მომიბოდიშა, რომ ვერ დაესწრება მამაჩემის საღამოს, თავს ძალიან ცუდად გრძნობს, და რომ რალაც ალერგიული შეტევა განუვითარდა. მე, ბუნებრივია, დიდი წუხილი გამოვთქვი და მალე გამოჯანმრთელება ვუსურვე. საშინლად კი მაინტერესებდა, რა მანქანებით მიაღწია მირანდამ ამ შედეგს. მე იმ საღამოს მონყობისა და შემდეგ სუფრის საკითხების მოგვარებით ვიყავი დაკავებული და ვერ მოვახერხე დარეკვა.

საღამომ სასიამოვნოდ ჩაიარა. დარბაზში ისხდნენ მშვენიერი მირანდა და ასევე მშვენიერი თამრიკო გამსახურდია. როგორც კი გავთავისუფლდი, მაშინვე მირანდასთან გავჩნდი. მირანდა მილიმოდა. „მედიკო, კუჭის ასაშლელი წამალი დავალევი, კიდევ ორი დღე ვერ გამოვა სახლიდან.“ გულწრფელად შევწუხდი, მაგრამ მაინც გამეცინა. ჩემო საყვარელო ბიძია კონია, ბატონო კონსტანტინე, ძალიან დიდ ბოდიშს გიხდის, ასე რომ გაგწირე. ეს ბოდიში, მართალია, ძალიან დაგვიანდა, მაგრამ მაშინ, აბა, რა გამოსავალი მქონდა.

კიდევ მინდოდა ბევრი რამის მოყოლა, მაგრამ აღარ მინდა.. თუ აღარ შემიძლია, არ ვიცი. როგორც ჩანს, მხოლოდ ესა ყოფილა მთელი ჩემი ცხოვრება, სულ ერთ საღამოს წასაკითხი.



ალექსანდრე აბაშელი  
ნოე ჩხიკვაძის შვილიშვილებთან

# ... არც ხელისგულივითაა გაუღილი

\*

ნიმეო დეკანოიძის  
ესაუბრაება  
პაატა ჩხეიძე

– რა ხანია, ე.წ. რკინის ფარდა ერთიანად მოხსნილია. ამდენად, აღარავის აოცებს ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი შანსს თუ არ კარგავს და საზღვარგარეთ მიედინება. ცხადია, სხვადასხვა მიზეზით და სხვადასხვანაირი ხანგრძლივობით.

თქვენ ახლახან დაბრუნდით ამერიკიდან, კერძოდ, ვაშინგტონიდან, სადაც თითქმის წელიწადი დაყავით. საინტერესოა მიზანი ამ მივლინებისა. რაზე მუშაობდით და გაგიმართლდათ თუ არა გეგმები, რასაც, ცხადია, ივარაუდებდით.

– არ დაგიმალავთ, მქონდა გარკვეული ანგარიში ამ მივლინებაზე გათვლილი. ეს იყო წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, ანუ მთარგმნელის ეგოიზმი და შესაბამისად მთარგმნელის მოთხოვნილებაც.

მიწვეული გახლდით ამერიკის კათოლიკურ უნივერსიტეტში, რომელიც საუკუნის წინათაა დაარსებული კათოლიკე ეპისკოპოსების მიერ და დღემდე მათ მემკვიდრეთა საკუთრებაა. ეს კერძო საუნივერსიტეტო ქალაქი შუაგულ ვაშინგტონშია განფენილი. დაახლოებით ისე, ჩვენი ფილარმონია-ოპერის მონაკვეთი რომ წარმოიდგინოთ.

იქ არის შესანიშნავი ფილოსოფიური და თეოლოგიური სკოლები, განთქმული სასწავლებელი მონაწილეთა დებისა, ლიტერატურისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ძლიერი კათედრები. ერთი სიტყვით, სასწავლო ცენტრი აღჭურვილია სანაქებო და სანატრელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

1990 წელს სხვა ქართველ მეცნიერებთან ერთად ფილოსოფიის ინსტიტუტიდან პირველად გახლდით მივლინებული ამერიკაში, სწორედ ამ სასწავლო ცენტრში. მერე და მერე შევიწარმინე კოლეგიალური და მეგობრული ურთიერთობები, ხოლო ფულბრაიტის კონკურსში როცა გავიმარჯვე, უნივერსიტეტში უკვე მიმიწვიეს.

ახლანდელი მივლინების მასპინძელი ბრძანდებოდა პატრი მაკლეინი, რომელიც არის თავის საქმეზე შეწირული კაცი. „ტარიგთა ორდენის“ წევრია, აღიარებული ფილოსოფოსი და მიუხედავად იმისა, რომ სამოცდათხუთმეტი წლისაა, ენერგიულად იღვწის. მისი მთავარი მიზანია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ერთმანეთს შეახვედროს. აღსანიშნავია, რომ ამ უნივერსიტეტიდანაც იგზავნებიან სწავლულები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა შესასწავლად. და აი, ეს პროგრამა – მეცნიერთა გაცვლა – ასობით მილიონი დოლარით არის დაფინანსებული ყოველწლიურად ამერიკის მთავრობის მიერ.

ჩემი სამივლინებო პროგრამა ითვალისწინებდა თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის გაცნობას. ვმუშაობდი ინგლისურისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა კათედრებზე...

– იყო ასეთი წლები, როცა ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით...

– შედარებით ახალგაზრდები...

– თუნდაც. გასული საუკუნის 70-იან წლებშიც კი თავმოწონებად ღირდა რადიოს ტალღაზე დაგვიჭირა და გესმინა საბჭოთა იმპერიის მიერ აკრძალული გადაცემებისათვის. ეს იყო მღელვარე ემოციები, ჯერ კიდევ გაფერმკრთალებულ შთაბეჭდილებებად რომ შემოგვრჩენია... „თქვენ უსმენთ ამერიკის ხმას ვაშინგტონიდან“... მოაღწევდა თუ არა მკვეთრმახვილებიანი ქართულით მოლაპარაკე დიქტორის იდუმალი ხმა, რუსულ ტრანზისტორებს ხან რუსულ მაცვივრებზე შემოვასკუპებდით, ხანაც ბოლომდე ამოწვერილ ანტენას სივრცისკენ მივაქცევდით და ასე ვლაპარაკობდით „აკრძალულ ბაღში“ გადახედვას. ახლა, როცა ყველაფერი ხელისგულზეა, მისაბაძი და შესანატრი გაუფასურდა კიდევ თითქოს.

– შედარებით ახალგაზრდები რომ ვიყავით, ჩვენთვის ცოდნის ძირითადი წყარო ჩრდილოეთიდან მოედინებოდა. უშუალოდ, პირდაპირი გზით შემოღწევა ხომ ზეიმი იყო.

ამერიკაში ყოფნით ამიტომაც ვარ გახარებული, დავინახე, არ არის ერთფეროვნება კულტურის სხვადასხვა დარგში. მითუმეტეს ისე, აქ რომ გვანვდის უმრავლესობა „ატლანტის ოკეანედალეულთა“.

ამ მრავალფეროვნების მიუხედავად სხვადასხვა პოზიციის წარმომადგენელი დიალოგსაც მართავენ ერთმანეთში და ოფიციალური აზრის უარყოფელი დევნასაც განიცდიან, ანუ არიან ადამიანები, რომლებიც თავს ლიბერალებს უწოდებენ და არიან კონსერვატორებიც. თვით ამ ორი მიმართულების შიგნითაც დიდი მრავალფეროვნება შეინიშნება. ძირითადი განსხვავება კი მაინც იმაში მდგომარეობს, რომ მემარცხენი ანუ ლიბერალები გამუდმებით უწევენ პროპაგანდას უნივერსალურ იდეებს. მემარჯვენე კონსერვატორები, მართალია დღეისთვის წარუმატებლად, მაგრამ მაინც იცავენ თითოეული ადამიანის ღირებულებას და შესაბამისად, ამერიკულ ტრადიციებს.

– დღევანდელ მსოფლიოში აქტიური მსჯელობაა ამერიკულ იქსეფშენალიზმზე, ანუ გამორჩეულობაზე. იქაურ საზოგადოებაში როგორ აღიქმება ეს ამბიცია, შესახებ მნიშვნელობები?

– ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ დაწინაურებულმა და გამორჩეულმა ამერიკამ დემოკრატია უნდა ასწავლოს მთელ მსოფლიოს.

კონსერვატორებისათვის მთავარია ამერიკული კულტურის გამორჩეულობა განსხვავებულობა წარმოაჩინოს, რასაც ისინი ამავე დროს გულმოდგინედ უფრთხილდებიან.

იმ კათედრაზე, სადაც ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდი, დემოკრატია დევიდ უოლში გეტყვოდათ, საქართველო უნდა ეზიაროს დემოკრატიულ ღირებულებებს და ეს იქნება ხსნის გზაო. ხოლო კონსერვატორი კლაეს გ. რინი დაგიბეჯითებდათ, საქართველოსთვის მხოლოდ თავისი ისტორია, ძველი ტრადიციები და კულტურაა გადამრჩენილი.

– გასაგებია, ერთი გლობალისტი, მეორე – ანტიგლობალისტი. მიჩნეულია, რომ გლობალიზაციის საშიშროება სხვადასხვა სახელით, სხვადასხვა ეპოქაში, სხვა-

**დასხვა იმპერიათა მიერ თავსმოხვეული, ბევრჯერ ავბე-  
დიოდ ნამოჭრილა საქართველოს წინაშე...**

**ჩვენი დროის მოჭარბებულად ოპტიმისტებს ჰგონი-  
ათ, რომ კვლავ გადაფურჩებით ამ საბედისწერო ძალა-  
დობას.**

– დიას, იყო პერიოდები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ხსნა რომ არ ჩანდა. რევოლუციის დროს ამ იდეა-გლობალიზაციას ერქვა – ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ფაშიზმი რასობრივი გამორჩეულობის ნიშნით ცდილობდა მსოფლიოს დაჩოქებას. სხვადასხვა დროს იჩენდა ხოლმე თავს მსოფლიოს გადანაწილების სურვილი ძლიერთა მიერ. მაგრამ ყოველთვის კულტურა და ტრადიცია ახერხებდა იდეოლოგიით დაბრმავებული ადამიანის უფსკრულში არ გადაჩეხილიყო.

საერთოდ, ყოველგვარი იდეოლოგია შექმნილია, ხელოვნურია და თავს ძალად მოხვეული. ბუნებრივია მხოლოდ ტრადიციები, ადათები.

თუ გაიმარჯვებს უნივერსალური, რადიკალურ-ლიბერალური იდეოლოგია, მთელი მსოფლიო, ერთი ხელის ქვეშ მოქცეული, დაემორჩილება ერთ ნებას და ეს იქნება არა ერთი დიქტატურის ნება, არამედ ათი ან ასი ადამიანისა. უკეთეს შემთხვევაში ორი-სამი ზესახელმწიფოსი. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს მრავალფეროვნება და განსხვავებულობა სხვადასხვა ერისა.

კონსერვატორებს სურთ გადაარჩინონ ეროვნული სახელმწიფოები, არ შეიბღალოს მათი სარწმუნოება, კულტურა, ტრადიციები და ასე აიცილონ გარდაუვალი ბოროტება – დაღუპვა ადამიანისა.

**– ამ ყოველივე ღრმა და იდუმალი დინებების მიღმა თუ ზედაპირზე, როგორ ცხოვრობენ ჩვეულებრივი ამერიკელი მოქალაქენი? ნიჰილიზმი და ინდიფერენტიზმი აქ რომ ღრმავდება, იქაურ სენად მივიჩნით?**

– ნასახს ვერ იგრძნობთ მსგავსს. სკოლებში ვიდრე პირველი ზარი დაირეკება, ამერიკის დროშისადმი მისალმებაა დაწესებული, რაც ყველა სკოლის რადიოში იკითხება, შესაბამისად უსმენს ყველა.

მოსწავლეებს გამუდმებით და მზრუნველად შერჩეული პროგრამით ამასსოვრებენ ამერიკის ისტორიას. საკუთარი ტრადიციები უკვე დაიკვიდრეს იმ ქვეყანაში სამასი წელია და ზედმიწევნითაც უფროთხილდებიან.

ეამაყებათ თავიანთი გმირები, უყვართ რჩეული ადამიანები. რაც მთავარია, მათ ყოველ ქმედებას საფუძვლად უდევს რწმენა ღვთისა. ამერიკელები ღრმად მორწმუნენი არიან.

ნიჰილიზმი და ინდიფერენტიზმი გაცილებით ნაკლებად შეინიშნება, ვიდრე აქ, საქართველოში. აი, ამ „ცივმა“ ამერიკელებმა, საკუთარს, პირადს მეტისმეტად რომ უფროთხილდებიან და არავის ჩაახედებენ, ისეთი დახმარებისა

და მეგობრობის ხელის გამოწვევნაც იციან, შინაგანი სიბოთი გამორჩეულ ქართველებს რომ გაგვიკვირდება.

**– ალბათ, ამერიკული შთაბეჭდილებები მაინც იმით შემოიფარგლება, იქ ჩასული სად აღმოჩნდება და დაყოფს დროს.**

– მართლაც ასეა. ჩემი ერთი მეგობარი ორი წელიწადი ცხოვრობდა ამერიკაში და ამერიკული „გეტოს“ გამოცდილება მიიღო და არასახარბიელო შთაბეჭდილებებითაც დაბრუნდა...

**– თქვენ რა საშუალებებით ცხოვრობდით, თუ საიდუმლო არ არის?**

– ფულბრაიტის სტიპენდია ეგებ ამერიკელი პროფესორისათვის ცოტაა, მაგრამ მივლინებული მეცნიერებისათვის საკმარისი შემოსავალია. თუ გავითვალისწინებთ ჩემი ქალიშვილი ლალი რომ მახლდა და ძალიან მინდოდა საუკეთესო შთაბეჭდილებებით დაბრუნებულიყო, დანახარჯმაც შესაფერისად იმატა. მის გამო ბინის ქირასაც აღარ მოვერიდე, საუკეთესო სკოლაშიც მივაბარე. ამერიკა ძვირი ქვეყანაა, მაგრამ მაინც გავუძელით. სამდღურავი არაფერზე მეთქმის. სამუშაოდ ვიყავი ჩასული და პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულება, ვფიქრობ, ამოვსურე.

**– ბარემ ორიოდე სიტყვით დაახსიათ თუ სკოლა, სადაც თქვენი ქალიშვილი სწავლობდა.**

– თვითონ ქალაქზე მოგიყვებით, სადაც ეს სასწავლებელი მდებარეობს. ეს არის ბეთესდა – 50 000 მცხოვრებით. მყუდრო და მშვიდი, ლამაზი და კომუნია ქალაქია. ვაშინგტონ D.C.-ის თითქმის საზღვარზე მდებარეობს. ბეთესდაში თავმოყრილია სხვადასხვა მდიდარი კომპანია, შესაბამისად ბანკებიც, არის ჩინებული კინოთეატრები, საგამოფენო დარბაზები, შესანიშნავი წიგნის მაღაზიები. ქალაქშია მწერალთა კლუბი, მეტად საინტერესო კულტურის ცენტრად რომ აღიქმება. რამდენჯერმე ვსტუმრობდი კიდეც და სასიამოვნოდ დამამახსოვრდა. მათ მიერ გამოცემული ლიტერატურული ჟურნალებიც ჩამოვიტანე და სხვადასხვა ბუკლეტებიც მათ ორგანიზატორულ, შემოქმედებით მიღწევებს რომ ასახავს.

ბეთესდა ჩვეი ჩეიზის სკოლა ცნობილია მრავალეროვნულობით. 1800-მდე მოსწავლე ჰყავთ. ძირძველი ამერიკელების შვილებთან ერთად სწავლობენ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ემიგრანტების მოზარდებიც. სასწავლო წესები მკაცრად დისციპლინირებულია. აქვე პროგრამა – აუცილებლად გასავლელი, რაც ითვალისწინებს სავალდებულო და შერჩევით საგნებს.

სავალდებულოდაა მიჩნეული ამერიკის ისტორია, ამერიკის მთავრობა (არსებობს ასეთი დისციპლინაცია!), მათემატიკა და სხვა ფუნდამენტური მეცნიერებები, ინგლისური და ამერიკული ლიტერატურა. შერჩევითია – სპორტი, უცხო ენები, ფოტოგრაფია.



**პატა ჩხეიძე და კლავს რინი  
(ბეთესდა, მაისი, 2005 წელი)**

უფროსკლასელთათვის ყოველდღიურად შვიდ-შვიდი გაკვეთილია განსაზღვრული.

ერთ ასეთ ამბავსაც მოგიყვებით. ყოველი სასწავლო წლის მინურულს, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული მოსწავლეებისათვის სკოლებში საერთაშორისო საღამოები იმართება. ლალისაც მოუწია სამახსოვრო ღონისძიებაზე წარდგომა. და რახან ქართული სამოსი თან ჰქონდა, იცეკვა „ჯუთა“ მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე. იმის გამო, რომ მონონება ხვდა, მეზობელ სკოლებშიც გადაიპატიჟეს. ლალის წარმატებამ მისი იქაური მასწავლებელი ისე ააღელვა და გაახალისა, ჩვენ გარეშე მოიძია ცნობები საქართველოს შესახებ ინტერნეტით. ლალის სცენაზე გამოსვლამდე, საპატიო ვალდებულებად მიაჩნდა, მაყურებლისთვის მოეთხრო იმ ქვეყანაზე, თავისი მოწაფე ცეკვით რომ წარმოაჩენდა.

**– ამერიკაში მოგზაურობით სამშობლოს პატარა დესპანი ცხოვრებისეულ კავშირებსაც შთამბეჭდავს მიიღებდა. ახლა კი იმ „გაკვეთილებზე“ იამბეთ კათოლიკური უნივერსიტეტიდან რომ გამოიყოლეთ. პროფესიული ლიტერატურული ინტერესი ანუ მთარგმნელის ფინი ალბათ უფრო გაგიძაფრდათ.**

– კარგა ხანია ჩვენთან დიდ ავტორებად გვთავაზობენ ისეთ უცხოელ მწერლებს, სინამდვილეში გაცილებით უკეთესნი ჩრდილში რომ არიან მოქცეულნი. თუნდაც, შედინხარ ამ დალოცვილ ინტერნეტში, სადაც ზღვა მასალაა გაბნეული სხვადასხვა ვებ-გვერდზე. მაინცდამაინც დენ ბრაუნით პოპულარულს რომ წააწყდები, დაიბნევი. ამას ემატება სკაბრეზული ლიტერატურა და პასუხიც მზად აქვთ შესაფერისი – თითქოს ეს იყოს მიღებული და თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის განმსაზღვრელი – ძალადობა, სექსი. და ეს იმიტთაა გამოწვეული, რომ ჩვენთან ვრცელდება მხოლოდ ერთი თვალსაზრისის – ლიბერალურ-დემოკრატიული მწერლების შემოქმედება, მაგრამ მათ შორისაც რომ არის დიდი განსხვავება სიუზან სონტაგის და დენ ბრაუნის დასახელებაც კმარა.

**– პოპულარული რომ არ ნიშნავს ღირებულს, ფასეულს, ჩვენს სინამდვილეშიც ბევრჯერ გაცხადებულა. თუ შეიტყვეთ მაინც, ელიტარულ-ლიტერატურულ წრეებში, როგორი ყაიდის წიგნებს ეტანებიან?**

– სხვათა შორის, პოპულარული ყველგან იოლად იკავავს გზას. ჩემს იქ ყოფნაში ფილმიც გადაიღეს – ს.ქ. ლუისის „ნარნია“. უბრწყინვალესი თხზულების მიხედვითაა, სიუჟეტი ისტორიულ-ჯადოსნურია და უფროსკლასელთათვისაა განკუთვნილი. ეტანებიან ასეთ ნაწარმოებებსაც, მაგრამ პოპულარული და მდარე მაინც სჭარბობს. ამიტომაც გიჩნდება ეჭვი, მაღალი რანგის მწერლები აღარ გამოჩნდნენ? ნუთუ ელიოტზე, ფოლკნერზე შეჩერებულან?

ნობელსაც რომ აღარ დაეჯერება, ბოლო ლაურეატმა ცხადყო, რადგან პრემია შემოქმედების მაღალმხატვრობის გამო კი არ მიიღო, ბუშის გინებისათვის მიენიჭა. და ეს, მხოლოდ ჩემი აზრი არ გახლავთ.

**– ბოლოსდაბოლოს აღმოჩნდნენ იმ რანგის მწერლები, რომელთაც ეძიებდით?**

– ისე აგხდეთ ყველაფერი. პროზაიკოსებიც ჩინებულნი მოღვაწეობენ, პოეტებიც, ესეისტებიც, ლიტერატურისა და ხელოვნების თეორეტიკოსებიც. პლეადაა და რამდენიმე მათგანი ჩვენშიც ცნობილია, თუმცა უფრო მეტი პოპულარობა სჭირდებათ. ბრიტანელებს: პიტერ აკროიდს, კინგსლი ემისის ვაჟს მარტინ ემისის, მშვენიერ რომანის-

ტებს გრეჰემ სვიფტს და ჯულიან ბარნსის; ამერიკელებს: ნილ სტივენსონს, ნიკოლსონ ბეიკერს, ბრწყინვალე მწერალ ქალს მერილინ რობინსონს და რომელი ერთი დაგისახელოთ. თუ ინგლისურენოვან სამყაროსთან გვინდა ურთიერთობა, დროულად უნდა ითარგმნონ ისინი.

**– შეგულებული გაქნებათ უკვე სათარგმნი ლიტერატურა. როდიდან ელოდეს მკითხველი ამ ნიმუშებს. ანუ მთარგმნელთა ერთობლივი ხელმოწერის განახლება?**

– ამჟამად, როსტომ ჩხეიძესთან ერთად გამოცემად ვამზადებთ თანამედროვე ამერიკული პოლიტიკური და ლიტერატურული ესეების კრებულს. ამ ესეების ერთი ნაწილი უკვე დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე და გვიხარია, რომ მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ნაწილიც თანდათან გამოქვეყნდება.

ცალკე გვაქვს განზრახული ვერჯილ ნემოიანუსს, თანამედროვეობის თვალსაჩინო მოაზროვნის, წიგნის „მოკლე თეორია მეორადისა“ ქართული ორეულის შექმნა. ეს უშუალოდ და „ცხელ კვალზე“ ჩემს ამ სამეცნიერო მივლინებას ეხება, თორემ სხვა არაერთ წიგნსაც შევთავაზებთ მკითხველს.

*დანართად, სულ მცირე, ეპიზოდური ამბავი უკმარისობის გამო ამომჩივდა. თუ ამ პუბლიკაციას დიდად არ შეეფერება ეს მოგონება (რესპონდენტთან საუბარი მაინც შემოფარგლული გახლდათ), დატოვებს მაინც რაღაცა განწყობას.*

*მარგარეტ ტეთჩერი სტუმრობდა საქართველოს ოციოდე წლის წინათ, ხანმოკლე ვიზიტად. იდგა სულ სხვა ეპოქა და მას-პინძლობის განცდაც არ გახლდათ უბრალო რამ. ღვიოდა ქართული თავმონონება. ვრცელი იმპერიიდან „რკინის ლედიმ“ (აბრეშუმისას რომ მიაგვანებდით) მაინცდამაინც ჩვენი სამშობლოს თვალისმოკვრა ინება.*

*რუსთაველის პროსპექტზე, ჩვენკენ, „ლიტერატურული საქართველოსკენ“ აჩქარებული პაატა ჩხეიძე შესწრებია, რადგანაც სხვებთან ერთად ის და როსტომ ჩხეიძეც შეუჩერებიათ მილიციელებს მაღაზია „ლუქსთან“. ესკორტს მიდარაჯებულ უნიფორმიანებს ევალეზობდათ, ნამიერად მიესარკათ ფეხითმოსიარულენი ტროტუარზე. და ამ დროს, ყველაფერი რომ პროტოკოლის ფარგლებშია, ძნელად დამუხრუჭებელი ლიმიზინის კარი იღება და მარგარეტ ტეთჩერი ხოტბაშემსხმელი მზერით, ხალხის ტალღას გაჭრის და მიინევს იქით, საითკენაც ქართველი ახალგაზრდების გუნდი მღელვარებს და ყელყელობს.*

*... შორიახლოს ვიდევითო – სულ მშვიდად მოლაპარაკე და ემოციებგანონანსწორებული პაატა თვალეზობდა სიხარულის ნაპერწკლებს ყრიდა. დამხვდურებმაო, ბედად ისეთი ინგლისური შეაგებესო, თანაც ყველა ისეთი ჯიშინად აღნავი იყოო... ტეთჩერს, საკუთრად მოპოვებული, ბუნებრივი სითბოთი მოხიბლულს, თანმხლებთაგან შეხსენება დასჭირვებია, პროტოკოლს რომ არღვევდა.*

*ეს სურათი პაატამ ისეთნაირად აღწერა, თითქოს მოგვახარა. მაშინ ბევრნი ვიყავით იმ რედაქციაში და იმ წლებში ერთი გუნდიც გვექვეა.*

*სხვათა შორის, ეს ეპიზოდი მკითხველს ემახსოვრება ოთარ ჩხეიძის რომანიდან „არტისტული გადატრიალება“.*

*ეროვნული პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს, ოჯახიშვილობისა და ტრადიციების წინაშე მოვალეობას ენერგიული მზრუნველობით, გონიერი სიდინჯით ემსახურებიან ღვიძლი ბიძაშვილები – ჩხეიძეები.მათ მოსაჩვენებლად არასოდეს გაუუბრალოვებიათ საკუთარი ნაღვანი, არც პირველობა დაუჩემებიათ და არც ოფიციალურ აღიარებას დანატრებიან. ევროპული კულტურისაკენ ჯიუტად სწრაფვას, მიუხედავად მრავალგზის ატენილი დაბრკოლებებისა, მათი ერთობლივი თარგმანები ადასტურებდა და დაადასტურებს.*

*ძნელია მოუსყიდავთა ბედი. ძნელიცაა და რჩეულიც.*

## პოეზიისა და ესეისტიკის ზღვარზე

ბეგრ ნიგნს არა რგებია ისეთი დროული შეფასება-გამომხაურებანი, რაც როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიას „ქება სიზარმაცისა“.

ნიგნისათვის ბოლოსიტყვაობად დართულ სტატიაში ლევან ბრეგვაძემ არამართო ამ მონოგრაფიის მნიშვნელობა შეაფასა, არამედ დეკონსტრუქციული კვლევის – ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში სრული სიახლის – პერსპექტივაც განსაზღვრა, მითუმეტეს, მეცნიერული კვლევის ეს მიმართულება ნიგნის ავტორის მთელი რიგი ძიებების წყალობით საკმაოდ მაღალ დონეზეა უკვე აზიდული.

ამას მოჰყვა ლელა ოჩიაურის სტატია გაზეთ „რეზონანსის“ ფურცლებზე.

საჯარო განხილვა „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში. სიუჟეტი ტელეკომპანია „იმედის“ დილის გადაცემაში.

სიუჟეტი რადიოს I არხის დილის გადაცემაში.

ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძის მიერ შედგენილი რეპორტაჟი.

სიუჟეტი რადიო „თავისუფლების“ კულტურულ მიმოხილვათა ციკლში.

და ყველა ამ გამომხაურებას აერთიანებდა დინამიურობა და პროფესიონალიზმი.

მკითხველს ვთავაზობთ რადიო „თავისუფლების“ სიუჟეტის ლიტერატურულ ვერსიას, რომელსაც თავისთავადი სამეცნიერო ღირებულება აქვს, გარდა პოპულარიზატორული დანიშნულებისა, და ეს სულაც არ გახლავთ გამონაკლისი შემთხვევა ჟურნალისტთა ამ გუნდის ცხოვრებაში.

და აქვე ანონსური ყაიდის ცნობაც:

„ქება სიზარმაცისა“ დამოუკიდებელი თხზულებაა, მაგრამ თავისებურად აგრძელებს ავტორის სხვა მონოგრაფიის – „ქალდეას მონატრება“ – პრობლემეტიკასა და სულისკვეთებას ქართული ეროვნული ხასიათის ცალკეულ თვისებათა ამოსაცნობად. საერთოდ კი ტრილოგია იყო ჩაფიქრებული და ამ ტრილოგიის მესამე ქმნილებაც – „მზის შვილები“ – ავტორს უკვე გამზადებული აქვს გამოსაქვეყნებლად.

### დავით ჰაიჭაძე:

ქართული საზოგადოება ყოველთვის ინტერესით ეკიდებოდა ე.წ. ქართულ ხასიათზე, მენტალობასა თუ ფენომენზე გამართულ საჯარო დისკუსიებს. ქართველი ისტორიკოსების, პუბლიცისტების, მწერლების, ინტელექტუალების პროეცირებას ამ საკითხზე ხანგრძლივი ტრადიცია აქვს, რომელიც დღემდე მოქმედებს. ეს ტრადიცია გულისხმობს არა მხოლოდ დღევანდელით ან ისტორიული მასალით ოპერირებას, არამედ მაგალითებისა და არგუმენტების გამოხმობას ფოლკლორიდან და ლიტერატურიდან. სწორედ ასეთი ნიგნია „ქება სიზარმაცისა“, რომელსაც „ბიბლიოთეკაში“ დავით ჰაიჭაძე წარმოგიდგინებ. ნიგნის ავტორია მწერალი როსტომ ჩხეიძე.

„სწორედაც რომ როსტომ ჩხეიძეს უნდა მოსვლოდა თავში ეს იდეა! სწორედაც მას, ერთ-ერთ ყველაზე ბე-

ჯითსა და ნაყოფიერ მწერალს, უნდა დაენერა „ქება სიზარმაცისა“ – აღნიშნავს ნიგნის რედაქტორი ლევან ბრეგვაძე. მისი აზრით, „ქება სიზარმაცისა“ დაწერილია მეთოდით, რომელიც „კვლავ ინტერესით მიგვაპყრობინებს მზერას არაერთგზის ნაკითხული რომანის, პიესისა თუ პოემისადმი, მათი პერსონაჟებისადმი, რომლებსაც თითქოს ძალიან კარგად ვიცნობდით, ახლა კი, ორიგინალურად, არასტანდარტულად მოაზროვნე ლიტერატორის გარჯის მეოხებით, ისინი სულ სხვა, მოულოდნელი კუთხით წარმოდგენენ ჩვენს წინაშე“.

მართლაც, როსტომ ჩხეიძის ნიგნში ქართველი მკითხველი იშვიათად შეხვდება მისთვის უცხო ლიტერატურულ მასალას. ამ მასალის დიდი ნაწილი სასკოლო ქრესტომათიიდან გეცნობათ, ასე რომ, არ გაგიჭირდებათ მიჰყვით მწერალს – რასაც ის ეყრდნობა წერის დროს, ის თქვენც იცით. აქ შეხვდებით კარგად ნაცნობ უამრავ ციტატასა თუ პარაფრაზს ლიტერატურიდან, ქართული კრიტიკული ტექსტებიდან. და ამ კარგად ნაცნობ სიტყვებში, ინტონაციებსა და ინტერპრეტაციებში უცნაურად ამოყვინთავს ავტორის, როსტომ ჩხეიძის, ორიგინალური აზრი, თვალსაზრისი. მაგრამ ჯერ ის ვთქვათ, რას ნიშნავს „ქება სიზარმაცისა“, რა შინაარსი აქვს სიზარმაცეს მწერალთან?

(გიორგი ლობჯანიძის ხმა) „ქება სიზარმაცისა, როგორც ეს ამ ნიგნში წარმოგვიდგება, ალბათ, არის ყველა შემოქმედი ადამიანის განუხორციელებელი ოცნება. რაც შეეხება თვითონ მაგისტრალურ ხაზს, კუთხეს, საიდანაც სიზარმაცე არის განხილული, ეს ძალიან მისაღებია ჩემთვის, იმიტომ, რომ რა სიზარმაცეზეა ლაპარაკი, შეიძლება იგრძნოს, თუ ზედმეტ თავის ქებაში არ ჩამეთვლება, მხოლოდ ჩემნაირმა კაცმა, რომელიც 24 საათს მუშაობს“.

ეს გიორგი ლობჯანიძეა, აღმოსავლეთმცოდნე, პოეტი და მთარგმნელი. სიზარმაცეზე ლაპარაკისას ის რუსთაველის ცნებას – მოცალეობას – ახსენებს. წლების წინ, მოცალეობის განმარტებისას, ქართველი პოეტი მიხეილ ქვიციანიძე პუშკინის ერთ სტრიქონს დაესესხა, რომელშიც პოეტი საკუთარ თავზე ამბობს, რომ არის „счастливой лени верный сын“ – ბედნიერი სიზარმაცის ერთგული შვილი. როსტომ ჩხეიძის ნიგნი გველაპარაკება სიზარმაცეისა თუ მოცალეობაზე, ერთი შეხედვით, პასიურ, უმოქმედო, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მჭვრეტელობითი ცხოვრების ნესზე, რომელსაც ქართველი მწერლები და მკვლევრები ნაირგვარად – ზოგჯერ ურთიერთსაპირისპიროდ – აფასებდნენ, თვით ერთსა და იმავე მასალაზე მსჯელობის დროსაც კი.

მაგალითად, ფოლკლორული პერსონაჟი ნაცარქექია და მასთან დაკავშირებული მოტივები როსტომ ჩხეიძეს გამონვლილვით აქვს განხილული. აკაკი წერეთელი, კოტე მყაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ ფერა-

ძე, პოლიკარპე კაკაბაძე, აკაკი ბაქრაძე, ზვიად გამსახურდია, გურამ ასათიანი, მამუკა ნიკლაური, ზურაბ კიკნაძე, ჯემალ ქარჩხაძე – ამ ადამიანებს უფიქრიათ და უწერიათ ნაცარქექიას ფენომენზე. მათი ნააზრევი საინტერესოა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა, როგორ გადმოსცემს ამას როსტომ ჩხეიძე, ფილოლოგიის დოქტორი, რომელმაც უთუოდ იცის, რანაირად იგება მეცნიერული მსჯელობა. როსტომ ჩხეიძე უაღრესად ზუსტი და კეთილსინდისიერია ციტირებისა და გარდათქმის დროს, მაგრამ ლოგიკური კავშირი, ხიდეები განაზრებებსა და დასკვნებს შორის მაინც მკითხველმა უნდა აღმოაჩინოს. ავტორის წერა არ არის აღბეჭდილი მეცნიერული სიცხადით:



კვეთრების ნაცვლად განიბნევა, ხოლო მთავარი მოტივი, როგორც თვითონ როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს, უფრო ბუნდოვანი ხდება... მე ვეკითხები გიორგი ლობჯანიძეს, როგორ ფიქრობს, ეს ავტორს ოსტატობის ნაკლებობით მოსდის თუ სრულიად შეგნებულად აკეთებს?

(გიორგი ლობჯანიძის ხმა) „არა, ოსტატობის ნაკლებობაზე როსტომის შემთხვევაში მე ვერ ვილაპარაკებ. ის ნამდვილად არ არის გამოუცდელი ავტორი. ეს განზრახ არის გაკეთებული და, მაგალითად, მე მიქმნის განცდას, რომელიც დროის მსვლელობასთან დაკავშირებით ყველა ადამიანს რჩება: თითქოს რაციონალურად ხარჯავ, თითქოს ცდილობ, ყველა ნული გამოიყენო, მაგრამ მაინც ხელიდან გისხლტება...“

(გიორგი ლობჯანიძის ხმა) „ეს არ არის მეცნიერული ნაშრომი, ამ ცნების კლასიკური გაგებით, იმიტომ, რომ ეს არის მაღალი დონის ესეისტიკა, რაც, მე ვფიქრობ, იგივე მეცნიერებაა. უბრალოდ, სხვადასხვა განზომილებაში მუშაობენ ავტორი, რომელიც მწყობრ მეცნიერულ ნაშრომს ქმნის და ავტორი, რომელიც წერს ლიტერატურულ-ფოლკლორულ ცდას. შესაბამისად, აქ სქოლიოებს ვერ შეხვდებით, სამაგიეროდ, ძალიან ბევრი რამ ახალია. ახალია, მაგალითად, პრობლემის ლიტერატურული ფორმით დასმის მცდელობა“ (სტილი დაცულია).

„ქება სიზარმაცისას“ რედაქტორი ლევან ბრეგაძე აღნიშნავს, რომ „ამ წიგნში როსტომ ჩხეიძე ფოლკლორისა და ლიტერატურის კარგად ცნობილი პერსონაჟებისა და პასაჟების ახლებური ინტერპრეტაციით სიბეჯითისა და სიზარმაცის ოპოზიციური წყვილის დეკონსტრუქციას ახდენს (დეკონსტრუქცია, საზოგადოდ, ლიტმოდენობის და სალიტერატურო კრიტიკის მეთოდია, მაგრამ ამ მიზანდასახულობით შესრულებული ნაშრომი ისეთივე გაბტაცებით გვაკითხებს თავს, როგორც ნარმეტატი ფაბულის მქონე მხატვრული ტექსტი. ასე რომ, შეიძლება ითქვას: ყოველი დეკონსტრუქციული ანალიზი თავისთავად მხატვრულობისა და მეცნიერულობის ტრადიციული ოპოზიციის დეკონსტრუქციას, ანუ მხატვრულობასა და მეცნიერულობას შორის საზღვრის მოშლას, წარმოადგენს).

გიორგი ლობჯანიძის აზრით კი, როსტომ ჩხეიძის ნაწერი ამ წიგნში პოეზიისა და ესეისტიკის ზღვარზეა. აქ არის რიტმის თვალსაზრისით ძალიან საინტერესოდ მოწესრიგებული პასაჟები, რაც პოეზიის განწყობილებას ქმნის, ამბობს იგი. სიზარმაცის ქებაზე საუბრისას გიორგის მეც გავუზიარე ერთი დაკვირვება: როსტომ ჩხეიძე თხრობას ხშირად აჯერებს კლასიკოსთა ციტატებითა და თანდართული კომენტარებით. ეს ერთეულები თავისებური წანამდღვარებია საიმისოდ, რათა მკითხველი მიუახლოვდეს დასკვნას, მკაფიოდ გაცხადებულ თეზისს, რომელსაც აშკარად ამაგრებს მთელი წანამდელი მსჯელობა. მაგრამ ეს მოლოდინი არ მართლდება, ავტორი არაფერს არ ამტკიცებს, ის მოუხელთებელია, მისი აზრი გამ-

ზემოთ ნახსენები დეკონსტრუქციის ფუნქციაზე მსჯელობისას წიგნის რედაქტორი ლევან ბრეგაძე შეგვახსენებს ლიტერატურათმცოდნეობაში გაზიარებულ თვალსაზრისს, რომ სიახლის შემცველ ნებისმიერ ტექსტს, მას შემდეგ, რაც ის კლასიკად იქცევა, კულინარიულ (გასართობ) ლიტერატურად გადაქცევის საფრთხე ემუქრება. ეს საფრთხე უნდა დაიძლიოს კლასიკის ახლებური ნაკითხვით, კლასიკურ ქმნილებებში ახალ-ახალი – მანამდე შეუმჩნეველი – სიღრმეების წარმოჩენით. დეკონსტრუქცია კლასიკის ახლებური ნაკითხვის ერთ-ერთი მეთოდია. გიორგი ლობჯანიძე ამბობს, რომ ბევრი რამ მოხმობილი ტექსტების ინტერპრეტაციაში მისთვის მიუღებელია. თუმცა ეს არ უშლის ხელს, აზრობრივ სიახლეთა გარდა, როსტომ ჩხეიძის წიგნში ილაპარაკოს სიამოვნებაზე, რომელიც „ქება სიზარმაცისას“-ს შეუძლია მკითხველს მოჰგვაროს:

(გიორგი ლობჯანიძის ხმა) „სიამოვნებას მანიჭებს სტილური თავისებურება ამ წიგნისა, რომელიც რალაცნაირი შენაკადების სახით, მოიყოლებს სათქმელს. იწყება ერთი სათქმელით და მერე პლასტიკური პლასტიკის ისე გადადის, რომ ქმნის ფეიერვერკულ განწყობილებას“.

სიტყვამ მოიყოლა და გიორგი ლობჯანიძემ ახსენა კიდევ ერთი წიგნი, რომელიც სიზარმაცეს ეხება. ეს წიგნი დაახლოებით მაშინ დაიწერა, როცა როსტომ ჩხეიძის წიგნი, ოღონდ საფრანგეთში, და მას ჰქვია „გამარჯობა, სიზარმაცე“. სათაური ფრანსუაზა სავანის ცნობილი რომანის პაროდიაა, ხოლო შინაარსი გახლავთ პაროდია წიგნებისა, რომლებიც, ასე ვთქვათ, გასწავლიან, როგორ მიაღწიო წარმატებას. მისი ავტორი ქალია, კორინ მეიე, და სრულიად სერიოზულად წერს არა მოჩვენებით სიზარმაცეზე, ქმედებისწინა მედიტაციას რომ ნიღბავს, არამედ ნამდვილი სიზარმაცის შესახებ, რომელსაც, ავტორი გისაბუთებთ და გირჩევთ, თავი მისცეთ სამუშაო ადგილზე. როგორც ხვდებით, ეს უკვე სულ სხვა ოპერიდან გახლავთ.

შორენა ლებანიძე

# თერთმეტი სატრფიალო ეპისტოლე

\*

ქია ზორიას, ოლაჩაასა და  
ზინაიდას სასიყვარულო სამკუთხედი

იყო ერთი ქალი – ოლგა ვსევოლოდოვნა ივინსკაია, რომელიც, 50-ს მიტანებულად, ოქროსფერკულულებიან, ცისფერთვალა, მშვენიერ ოლეჩკად, ოლიუშქეკად დარჩა ერთადერთი კაცისთვის.

კაცი – ბორის ლეონიდოვიჩ პასტერნაკი – ქალს წერილებს სწერდა.

წერილები იგზავნებოდა საქართველოდან, 1959 წლის თებერვლის ბოლოს, ტიცინ ტაბიძის ოჯახში სტუმრობისას, ყოველ დღე, ზოგჯერ დღეში ორჯერაც. მათი რაოდენობა თერთმეტია.

პასტერნაკისა და ივინსკაიას სასიყვარულო ისტორიის ხანგრძლივობა – 14 წელიწადი.

სიყვარული ვერ იქცა ლეგენდად, რადგან მას აკლდა თანაგრძნობა და არ აკლდა განსჯა პასტერნაკის მეგობრების, ოჯახის წევრების, ლიტერატორთა წრის მხრიდან.

ჩანს, პოეტის სიყვარული ივინსკაიასთვის იყო არჩევანი საზოგადოებრივი მდგომარეობის, უზრუნველი ცხოვრების, ყველაფერი პირადულის დათმობის სანაცვლოდ.

ქალმა არჩევანი საკუთარი ნებით გააკეთა. ღირდა. პასტერნაკის გარეშე ისტორია გულგრილად ჩაუვლიდა გვერდს მის პიროვნებას. ივინსკაიას მემკვიდრენი, განსაკუთრებით სიძე კოზოვოი, შემოსავლის მუდმივ, მუქტ წყაროს დაკარგავდა პოეტის არქივის სახით, რომლის ნაწილიც 1980-იანი წლების დასაწყისში, „ოთხი „ვოლგის“ ფასად“, ანუ 55 ათას მანეთად მიჰყიდა საქართველოს. შესაძლოა, ოლგა ვსევოლოდოვნას მიერ სათუთად ნაგროვები უმდიდრესი კოლექცია – მიძღვნილი წარწერებით დამშვენებული ნიგნები, „ექიმ ჟივაგოს“ ხელნაწერი და ნაბეჭდი ეგზემპლარები, ივინსკაიასა და პასტერნაკის ერთობლივი თარგმანების შავი პირები, სატრფიალო ეპისტოლეები – კოზოვოისათვის სიდედრის ძველ საქალაქებში გამოკრული, დროისაგან გაყვითლებული ფურცლების გროვა იყო, რომელსაც მხოლოდ ერთაერთი დანიშნულება ჰქონდა – ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა. შესაძლოა, ინიციატივა მოდიოდა ივინსკაიასაგან. ფაქტია: კლიენტების მოძებნის, მოლაპარაკებების

წარმართვის, ოფიციალური მხარის მონესრიგების მთელი პასუხისმგებლობა კოზოვოიმ იკისრა. ივინსკაია არ გამოჩენილა. სიძემ პრინციპულად აღკვეთა კოლექციის შექმნის მსურველთა შეხვედრის ყოველგვარი მცდელობა ოლგა ვსევოლოდოვნასთან. გასაყიდად შეარჩია 30-ზე მეტი დასახელების დოკუმენტი და ფოტომასალა. მიზეზიც არსებობდა: კოზოვოის შვილს (ივინსკაიას შვილიშვილს) საზღვარგარეთ მკურნალობა სჭირდებოდა.

სახსრები მალე მოიძებნა. არქივით საქართველოს ხალხთა მეგობრობის მუზეუმი დაინტერესდა. საქალაქდების ერთი წყება კოზოვოიმ ჩამოიტანა, მეორე მუზეუმის თანამშრომლებმა, ქნებმა ელენე ლოლობერიძემ და მარია ფილინამ. კოზოვოიმ თავგამოდებით ივაჭრა თითოეული ფურცლის, ავტოგრაფის, ტექსტის კუთხეში, პასტერნაკის ხელით მიწერილი თარიღის გამო, ხოლო გადაამწყვეტ წუთს შეთავაზებულ ნუსხას 60-გვერდიანი ხელნაწერი დააკლო.

„ივინსკაიასადმი მიძღვნილი ბარათები არც უხსენებია, – გვითხრა ელენე ლოლობერიძემ, – საფიქრალია, რომ ხელნაწერებთან ერთად გაიტანა საფრანგეთში“.

ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრად გადაკეთების შემდეგ, დოკუმენტები გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს გადაეცა.

უშიშროების სამსახურის მიერ 70-იანი წლების დასაწყისში ოლგა ივინსკაიასათვის ჩამორთმეული მასალები რუსეთის სახელმწიფო ლიტერატურის არქივმა „მიისაკუთრა“.

საზღვარგარეთ გატანილი ბარათები კი 1996 წლის ნოემბრის ბოლოს ლონდონის „კრისტის“ აუქციონზე მოხვდა. კოზოვოიმ არნახული ფასი დაადო. წერილები ვერ გაიყიდა.

მოსკოვში ატყდა ბუმი. ხელახლა წამოტივტივდა ოლგა ვსევოლოდოვნას გვარი და დაისვა კითხვა: ვინ იყო ეს ქალი – პასტერნაკის „სულიერ ცხოვრებასა და ლიტერატურულ საქმიანობას“ უწყყმანოდ შეწირული მისტიური სატრფო თუ ავანტიურისტი, რა ედო საფუძვლად ივინსკაიას დამოკიდებულებას პოეტისადმი – სიყვარული თუ ანგარება.

პასუხს კითხვებზე ან გარდაცვლილი ივინსკაიას მოგონებები – „ჩემი პასტერნაკი“, პოეტის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევარნი, თვითმხილველები იძლევიან. პასუხები, ძირითადად, სუბიექტურია, შთაბეჭდილებები – განსხვავებული, განწყობა ივინსკაიას პერსონისადმი – უნდო და კრიტიკული. მიზეზი, ალბათ, ქალის უჩვეულო ნატურასა და ბედისწერაში უნდა ვეძებოთ, მაგრამ ვალი-ართ: ივინსკაიამ სიყვარულისთვის იცხოვრა. მან თავი მიუძღვნა პასტერნაკს, ხოლო პასტერნაკმა მიუძღვნა ლარა („ექიმი ჟივაგო“) და უმდიდრესი არქივი.

ყველაზე უკეთ მოვლენათა ქრონოლოგია მეტყველებს. ქრონოლოგია 1946 წლიდან იწყება.

1946 წელს ოლგა ვსევოლოდოვნა ივინსკაია ჟურნალ „ნოვი მირის“ რედაქციაში ახალგაზრდა მწერლების განწყობილებას ხელმძღვანელობდა. პასტერნაკი ლექსებს ბეჭდავდა. ქალმა გაუმხილა: თვითონაც წერდა, თარგმნაც ეხერხებოდა. კაცმა ქართველ პოეტთა შემოქმედე-

ბა მიანდო. ქალმა მშვენივრად გაართვა თავი. კაცმა შეამონმა. მინდვრებზე მიანერა : „ბრავო“. ერთხელ ჩეხი პოეტის ლექსის თარგმანის დასრულება სთხოვა. ქალმა დაასრულა. სტილი არ დაარღვია. ლექსს ჟღერადობა არ დაუკარგა. კაცმა ისევ მიანერა: „ბრავო“. გავიდა ხანი და ერთობლივი თარგმანი გამოაქვეყნეს. ქალმა სომხურ, უკრაინულ პოეზიაშიც სცადა ბედი. ხშირად გამოსდიოდა, იშვიათად – არა. პასტერნაკი უსწორებდა, გადახაზულ ტაქსებზე საკუთარ ვარიანტს აწერდა.

ასე დაიწყო თოთხმეტწლიანი თანამშრომლობის, გაორებული ცხოვრების ხანა.

ასე იქცა ოლგა ივინსკაია პოეტის ლიტერატურულ მდივანად, საყვარლად, „ჟივავოს“ ლარად.

პასტერნაკს ხიზლავდა ქალის საოცარი სილამაზე, ახალგაზრდობა, ზრუნვა პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და საგამომცემლო საქმიანობაზე. ზრუნვა გულისხმობდა ფარულ კონტაქტსა და მიმონერას უცხოელებთან, სირბილს სტამბაში, რედაქციებში, მოლაპარაკებებს პასტერნაკის ნაწარმოებების დაბეჭდვის ვადებისა და პირობების თაობაზე, სარისკო გადაწყვეტილების მიღების უნარს, რის სამაგალითოდაც „ექიმ ჟივავოს“ გარშემო განვიტარებული მოვლენები კმარა. რომანი ჟურნალ „ნოვი მირში“ უნდა გამოქვეყნებულიყო. მოულოდნელად, პოლიტიკური მოტივების მომიზეზებით, რედაქციამ გადაწყვეტილება შეიცვალა. ივინსკაიამ რომანის ეგზემპლარი იტალიელ გამომცემელს გადასცა. იტალიელმა ნაწარმოები საზღვარგარეთ წაიღო და დაბეჭდა. „ექიმ ჟივავოს“ წარმატება და აღიარება მოჰყვა. ავტორი ნობელის პრემიით დააჯილდოვეს. რუსეთში ხმაური ატყდა. გამკაცრდა ცენზურა. განაწყენდნენ ლიტერატორები. ზურგი აქციეს ივინსკაიას. გაძლიერდა კონტროლი უმომრების სამსახურის მხრიდან. ქალს, დიდი ხანი, დასდევდნენ. იგი ერთხელ უკვე იჯდა ციხეში, თუმცა, საზოგადოების აზრით, ეს მხოლოდ ფარსი იყო და, პასტერნაკზე მორალური ზემოქმედების მოსახდენად, ქალის დაპატიმრების სცენა გაითამაშეს.

ერთი რამ ცხადია: მათ ერთმანეთი უყვარდათ. პასტერნაკი პერიოდულად ცხოვრობდა ქალთან. საზაფხულო სეზონის დაწყებისთანავე, პერედელკინოს სააგარაკო სახლში გადაბარებული, მეზობელ ქუჩაზე ივინსკაიასათვის ბინას ქირაობდა. პატრონობდა, მატერიალურად უზრუნველყოფდა ოლგა ვსევოლოდოვნას ოჯახს – დედას, სხვადასხვა ქმრებისაგან შექმნილ გოგონასა და ვაჟს, მასზე ბევრად ახალგაზრდა, ორგზის ქვრივ ოლგეკას, რომლის წარსულსაც ერთი დეტალი ამუქებდა: ივინსკაიას პირველმა ქმარმა თავი ჩამოიხრჩო. ქალმა იგი ღალატით მიიყვანა თვითმკვლელობამდე.

უცნაურია, მაგრამ პასტერნაკის სიყვარულს ცოლ-ქმრული ურთიერთობის ჰარმონია არ დაურღვე-

ვია. მართალია, ზინაიდა ნიკალაევანამ ყველაფერი იცოდა, ტიცციან ტაბიძის მეუღლის ნინასადმი მინერილ ბარათებში ხშირად ახსენებდა „იმ ქალს“, „მადამს“, მაგრამ პასტერნაკების ოჯახური ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში მიედინებოდა. ზინაიდა ნიკალაევანას თავისი ადგილი ჰქონდა. ცნობილი მუსიკოსის, პასტერნაკის მეგობრის, ნეიჰაუზის ნაცოლარი, თავადაც პიანისტი, მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენელი, საქმიანი ქალი იყო. პერედელკინოში ბაღს უვლიდა. საკუთარი ხელით მონეული პროდუქტებით ამაცობდა და წვრილმანი სადიასახლისო საქმეების გამო წუხდა. ნინა ტაბიძისადმი გაგზავნილ წერილებს ხშირად ასე იწყებდა: „სამიწელი უბედურება მენვია. ჩემგან ისევ წავიდა დამლაგებელი..“

პასტერნაკს უყვარდა ზინაიდა ნიკალაევანას მიერ შექმნილი მყუდრო სამუშაო ატმოსფერო, პერედელკინო, ბაღი, მამის ნახატებით მორთული ოთახები. აქ იგი წერდა. ივინსკაიასთან ისვენებდა. აქ სტუმრებს იღებდა. მეგობართა წრეში, საზოგადოებაში ზინაიდასთან ერთად ტრიალებდა. ივინსკაიასთან მარტოობას იქარვებდა. ზინაიდასგან ოჯახურ იდილიას მოითხოვდა, ივინსკაიასგან – მგზნებარე სიყვარულს. ერთს მეორეს უთავსებდა. 1959 წლის თებერვალ-მარტში, მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩასულ ინგლისის პრემიერ-მინისტრს მაკმილანს ხელისუფლების მიერ გამორიდებული, ტიცციან ტაბიძის ოჯახს შეხიზნული, ზინაიდას გვერდით ცხოვრობდა, წეროლებს კი ივინსკაიას სწერდა – ტიცციანის ქალიშვილის, ნიტას თვალწინ.

პასტერნაკი და ნიტა ერთად გამოდიოდნენ შინიდან სასეინოდ. ნიტა საუბრობდა თბილისზე, ნაცნობებზე, პასტერნაკი – ივინსკაიას მძიმე ზვერდზე, ციხეში პოეტის გამო გადატანილ ტანჯვაზე, ქალის სურვილზე, საზღვარგარეთ გაქცეულიყო პასტერნაკთან ერთად, მოშორებოდა გარემოს, სადაც სდევნიდნენ. ნიტა პასუხობდა: „ძია ბორია, ვერაფრით გამიგია, როგორ მოექცით ამ შანტაჟში.. ეს ხომ პოლიტიკაა.. ნუ მისწერთ ოლგას.“ „ძია ბორია“ კი შედიოდა ფოსტაში და წერდა: „ძვირფასო, საყვარელო ოლიუშა! როგორ მომენატრე! როგორ მანვალებს დილაობით ბავშვობიდან ასე ნაცნობი უმიზეზო სევდა. ოლიუშა, ოქროს გოგონა! შენ ჩემს ცხოვრებას სარკმელში შემოსული სხივივით ანათებ“, – ამ სიტყვებით 69 წლის კაცი მიმართავდა 47 წლის ქალს.

მერე ბრუნდებოდნენ უკან. პოეტი გვიანობამდე მუშაობდა რილკეს თარგმანზე. გაფრთხილების მიუხედავად (ინკოგნიტოდ უნდა ეცხოვრა. ქართველ მწერლებს არ გაჰკარებოდა, ოფიციალურ საღამოებს არ დასწრებოდა), გოგებაშვილის ქუჩაზე, ტაბიძეების კორპუსში მცხოვრებ იოსებ ნონეშვილს, გოგლა ლეონიძეს, ლადო გუდიაშვილს ხვდებოდა. ძირითადად, ნიტას მეგობრების, ქალბატონე-



ოლგა ივინსკაია

ბის: მედეა ჯაფარიძის, ეთერ კაკაბაძის, მერი დავითაშვილის წრეში ტრიალებდა.

6 მარტს მოსკოვს გაემგზავრა. მალე ავად გახდა. ზინაიდა ნიკალაევნამ დეპეშა გამოგზავნა. ნინა ტაბიძემ შვებულება აიღო, პერედელკინოში ჩავიდა, ავადმყოფს თავზე დაადგა.

პასტერნაკს მედეა უვლიდა. იგი აკავშირებდა ივინსკაიასთან. პოეტმა მედლის მეშვეობით გაუგზავნა ქალს ამერიკის ხელოვნებისა და ლიტერატურის აკადემიიდან მიღებული დიპლომი. თავად გადასცა „ბრმა მზეთუნახავის“ ხელნაწერები. შემდეგ ლოგინად ჩავარდა. ვედარ დგებოდა. ივინსკაია გარეთ, პოეტის ოთახის ფანჯრებქვეშ ელოდა მცირე ბარათს, შემონათვალს, ცნობას პასტერნაკის ჯანმრთელობის შესახებ.

ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა. 30 მაისს პოეტი გარდაიცვალა. ივინსკაია გასვენებაზე მივიდა. დიდხანს იჯდა პასტერნაკების ბაღში. ბოლოს მწერალ კავერინისა და ქალიშვილის, ირინას თანხლებით აიარა კიბე, შევიდა ოთახში, დაიხარა, უკანასკნელად ეამბოროა პოეტს, მალევე გამობრუნდა – ჭირისუფალთა შორის მისი ადგილი არ იყო.

მისი ადგილი იყო გადასახლებაში, სადაც პასტერნაკის სიკვდილიდან ორი თვის შემდეგ კონტრაბანდისტობის ბრალდებით მოხვდა. ამნისტიამ ოთხი წლის შემდეგ გაათავისუფლა. მას რეაბილიტაცია მოჰყვა, მაგრამ არა საზოგადოების თვალში. ქალი სრულიად მარტო აღმოჩნდა. ივინსკაიას ცხოვრების ერთადერთ თანამგზავრად პასტერნაკის სიყვარული დარჩა.

# დარღვეული სამანი

\*

## რუსუდან ნიშნიანიძის ორნიშნული

„საქართველო სამანს აქეთ და... სამანს იქით“ – რუსუდან ნიშნიანიძის ორნიშნული, რომელიც განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენს საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში. ამიტომაც გადაწყდა მათი განხილვა ორჯერადად.

წარდგინება – პირველი შეხვედრა ამ კრებულებთან, პირველი შთაბეჭდილებების გამოთქმა, ხოლო შემდგომ საფუძვლიანი განხილვა – იქნებ ცალ-ცალკე თვითუფლები ტომისა, იქნებ ორივესი ერთად, რაღაც სამეცნიერო კონფერენციის მსგავსად, კი, რადგანაც ამ ორტომეულში არა მარტო დიდძალი მასალაა თავმოყრილი, არამედ ძალიან თვალსაწიერით და გეოგრაფიულადაც დიდ სივრცეზეა ეს ყველაფერი განფენილი.

### როსტომ ჩხეიძე:

„პირველად ჩვენს რეალობაში მოხდა ისე, რომ გამთლიანდა ეს ორი ლიტერატურა, რომელიც თითქოს დამოუკიდებლად არსებობდა მანამდე... ადრე თუ გვიან ეს დაფარული ძაფები უნდა გამოჩენილიყო... დღეს უკვე რეალურად მიგვიწვდება ხელი ემიგრანტულ მწერლობაზე – უამრავი რამ არის გამოცემული, გამომზერებული ქ-ნი რუსუდანის მონაწილეობითაც, მაგრამ მთლიანობაში წარმოდგენას რაც შეეხება, ამის შემძლებელი თითო-ოროლა ადამიანი თუ იყო. მათ შორის რუსუდან ნიშნიანიძეცაა და კარგია, რომ მან უკვე შეასრულა ეს უმნიშვნელოვანესი საქმე. რუსუდანი ამ წიგნებში წარმოგვიდგება ლიტერატურის მცოდნედაც, ისტორიკოსადაც, ფსიქოლოგადაც, ფილოსოფოსადაც და პოლიტიკოსადაც, რადგანაც ამ ყაიდის წიგნები სხვაგვარად არ იწერება. ის, რაც

ხდებოდა 20-იან წლებში, სახეცვლილია კვლავაც და ამდენადაც აქეთ ამ წიგნებს მნიშვნელობა.

როგორი აქცენტებია დასმული, როგორია გააზრებული არა მარტო ლიტერატურათმცოდნის თვალთ.

ჯერ მარტო მასალისათვის რომ მოეყარა თავი, სისტემატიზაცია მოეხდინა და დაელაგებინა, ესეც იქნებოდა ძალიან დიდი საქმე. რაც შეეხება გააზრებას, ეს უკვე დამატებით სძენს ამ ორტომეულს განსაკუთრებულ, ჩვენი რეალობისთვის გამორჩეულ მნიშვნელობას. უამრავი თემაა ამ კრებულებში წამოჭრილი, ორიგინალურად წარმოდგენილი. რაც კი ლიტერატურა არსებობს 21 წლის ამბებზე, შეიძლება ითქვას, ძირითადი და მნიშვნელოვანი აქაა თავმოყრილი. ყველა მათგანიდან არის ამოკრეფილი ცნობები ისე, რომ ყველა მათგანი ერთმანეთს გადაეებას და აღდგეს რეალური სურათი, როგორ მოხდა თბილისის დაპყრობა. ეს თავი – „პოლიტიკური კალენდარი“ – ქმნის საერთო, აუცილებელ ფონს, რომელმაც შექმნა ეს ჩვენი ემიგრანტული მწერლობა, ჩვენი ტრაგიკული მწერლობა XX საუკუნის მთელი ამ ათწლეულების მანძილზე და გარდა ამისა, ამ თავს აქვს თავისთავადი მნიშვნელობა, თავისთავადი ღირებულება. წარმოგვიდგება, როგორც თუნდაც პოსტმოდერნული მოთხრობა. პოსტმოდერნიზმზე რომ დებენ ჩვენთან თავს, ასე რომ შეეძლოთ წერა, ტრაბახით აგვიკლებდნენ და სატრაბახო ნამდვილად ექნებოდათ. რუსუდანისთვის კი ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა. ეს თავი არის ერთ-ერთი რიგითი, არაფრით გამორჩეული სხვა თავებს შორს. იმიტომ, რომ ყველა თავი არის უმაღლეს დონეზე – ერთნაირად დაწერილი. ორი ტომია და ჩავარდნა არსად არ არის. ამას ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით“.

### რევაზ მიშველაძე:

„მიხარია და ჭეშმარიტად მიმანია, რომ აქ, სადაც დღეს თავი მოვიყარეთ, ერთი პატარა ყურეა ჩვენს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში ისეთი, სადაც სუფთა ხელით და სუფთა გულით მიდიან ლიტერატურასთან, ეროვნულ საკითხთან, მწერლობასთან. სადაც სიმართლე ითქმის ხოლმე დაუფარავი. ისეთი, როგორც ეკადრებათ ამ საღამოს მესვეურთ, ისეთი, როგორც ალექსანდრე ორბელიანის სახელს ეკადრება.

ახლა რაც შეეხება ჩვენი დღევანდელი ბჭობის საგანს – მე იმით მინდა დავიწყო ჩემი ორიოდ სიტყვა, რომ ეს წიგნები ისე ჰგვანან ავტორებს, წიგნები კი არა, თემებიც კი, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კითხულობ სამანუალებზე დაწერილ წიგნს ან ალექსანდრე ორბელიანზე, გაიფიქრებ შენთვის, გულში აი ამაზე, როსტომ ჩხეიძეს უნდა დაენერა. აი, ეს წიგნები, რაც ჩვენ ხელთა გვაქვს – „საქართველო სამანს აქეთ და... სამანს იქით“ რუსუდან ნიშნიანიძეს უნდა დაენერა. მე მაქვს ბედნიერება მასთან ერთად ვმუშაობდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ან რთგორ იქნება ჩვენი საქმე, არ ვიცი, მაგრამ ჯერ...

ერთი რამ არის, რუსუდანს ისეთი ცხოვრების სწორი ნესი აქვს ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ისეთი დამოკიდებულება აქვს ჩვენს ძვირფას ეროვნულ საგნებთან, რომ მე ეს წიგნები მესიამოვნა უსაზღვროდ, მაგრამ არ გამკვირვებია ქ-ნ რუსუდანის მიერ რომაა დაწერილი. აი, ორი ტომი დევს ჩემს წინაშე... სხვადასხვა დროს ნაწილებად წამიკითხავს და მომისმენია, ჩვენთანაც კათედრაზე, სამეცნიერო კონფერენციებზეც. ერთად რომ წავიკითხე, გულში ვთქვი, რა დიდებულად დაულაგებია, აქ როსტომმა სწორად აღნიშნა, თითოეულ თემასთან არის მიბმული ტექსტიც და მსჯელობა რუსუდან ნიშნიანიძისა. უაღრესად მაღალპროფესიული, გემოვნებიანი და მშვენიერი ეს გამოცემები ჩვენი წიგნის თაროზე დაიდება. ეს წიგნები ორად დაყოფილ საქართველოზეა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ქართველი მწერლის გაორებულ გულზე. რა დღეში იყვნენ აქ უაღრესად საინტერესოა ნიჭიერი მწერლები, იმათ იქ უკეთ მოეხსენებოდათ და როგორ უგებდნენ ისინი, როგორ სწორად ესმოდათ ამათი.

ახლა იქ რა მდგომარეობა იყო: ნოსტალგია საშინელი, დაბრუნებაზე ფიქრი ლტოლვილისა ყოველდღიური, ამ დროს ეტყობა სხვანაირად ამოძრავდება და ამუშავდება ფიქრი პატრიოტი კაცისა. არის უაღრესად მნიშვნელოვანი ქართული მწერლობა ემიგრაციაში შექმნილი. მათი უმეტესობა ჩვენთვის ცნობილი იყო და მე მაღლობა მინდა მოვასხეწო ყველას, ვინც მოიძია და ჩამოიტანა ეს საგანძური საქართველოში, მაგრამ ასევეა მოძიებული და ჩამოტანილი უამრავი ხელნაწერი, 20 წელია იმ ხელნაწერებს წამკითხველი არა ჰყავთ... რუსუდანი ჩაუჯდა ამ დიდ არქივებს, ამ ჟურნალებს, ამ ლიტერატურას და გამოიტანა ისინი და მოგვანოდა. ახლა მე გულში არ დავიტოვებ ერთ რამეს. ბრწყინვალე ლიტერატურულ პროდუქციასთან ერთად, იქ არის ხანდახან სწორი პოზიციის, მაგრამ არცთუ ისე დიდი ლიტერატურის ნიმუში, თუმცა ლიტერატურის ისტორიისთვის ეს ყველაფერი საჭიროა, იმას ყველაფერს ოქროს ფასი აქვს. მერე რა თუ ისინი გალაკტიონ ტაბიძეს პოეზიაში ვერ გაუწევენ მეტოქეობას, სამაგიეროდ, ისინი ცოცხალ ძეგლებად აღიმართნენ ჩვენს ცნობიერებაში და მოკრძალებით იხრის მათი ხსოვნის წინაშე საქართველო თავს.

ზოგი პროფესიონალი პოეტი და ლიტერატორი არ ყოფილა, მაგრამ ისეთი კარგი კუთხე წარმოუჩინა და მოგვანოდა რუსუდანმა, მე უცრემლოდ ვერ წავიკითხე ზოგიერთი ადგილი და ჩემი სიტყვა იმით მინდა დავამთავრო, რომ მოვულოცო მთელს გონიერ საქართველოს. მე არც კი ვიცი, ვის თავში გაჩნდა ეს აზრი პირველად, მაგრამ ჩვენ ხომ გართული სულ სხვა საქმეებით ვართ, მაგრამ

ერთი კარგი საქმე მაინც გაკეთდა. მე არ ვიცი-მეთქი ვის ვუთხრა მაღლობა, მაგრამ ქაქუცა ჩოლოყაშვილმა თავის მინაში რომ ჰპოვა განსასვენებელი, ეს დიდებული და კარგი საქმეა. ამასაც ამ წიგნთან უშუალო კავშირი აქვს და ვულოცავ მე ჩემს ქალბატონ რუსუდანს. დიდი მაღლობა როსტომ ჩხეიძეს ამ წიგნის რედაქტირებისათვის, არა მარტო ლიტერატორია ის, არამედ საქმის კაცი, რომელსაც უნდა მივბაძოთ. მე პირადად ტაშს ვუკრავ ამ ორ ძვირფას ადამიანს ჩვენი ლიტერატურისას“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„კარგად ბრძანეთ, ბატონო რეზო, ვულოცავ გონიერ საქართველოს. მართლაც ეს ის წიგნებია, რომელიც უნდა მიულოცოს კაცმა გონიერ და მკითხველ საზოგადოებას. რაც მეტი იქნება ჟრჟოლევა იმ ნაპერწკლებისა, რაც გადმოცემულია ამ წიგნებისაგან, ამას არაფერი ემჯობინება და ეს გაგვიყვანს იმ ასპარეზზე, რაც აუცილებელია ჩვენი კულტურისა და ჩვენი ყოფისათვის“.

**რევაზ სირაძე:**

„მოგესალმებით, სიკეთე აქაურობას. XVII საუკუნის ერთი პოეტის სიტყვებს გავიხსენებ, ამ ემიგრანტობას და ამ უბედურებას უკავშირდება: „მე გასაძლებად დავწერე ხან ესა და ხან ისა“... როგორია. მთავარია, დაწერილი გასაძლებად იყო. ცნობილი ლიტერატორი, აზრის კაცი ხუმრობდა, საქართველოს მაღალი პოეზია უბედურებამ შექმნა. ახლა მე წარმოვადგენ იმ პიროვნებებს, ვისაც ჯერ არ წაუკითხავს ეს წიგნები. პრეზენტაცია ამისთვისაა, მერე წავიკითხავთ. მაგრამ მე წამიკითხავს ბევრი რამ რუსუდანისა, რომელიც არის ძალიან კარგი. მაგალითად, მონოგრაფია ნიკო სამადაშვილზე, რომელიც სცილდება დისერტაციის ფორმალურ მასშტაბებს და კარგი ლიტერატურული ნაშრომია. ყურადღებას მივაქცევ ერთ გარემოებას, ჯერ შემოვიდა სერიოზულად ეს პოეტი და მერე გაჩნდა სნობისტურად არდაჯერება მისი სიდიდისა. მე მჯერა და ვამაყობ და ამ დროს რუსუდანმა დაწერა კარგად, რივიანად“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„თქვენ რომ ბრძანეთ, ბატონო რეზო, არ წამიკითხავს ეს ორტომეულიო, ნაწილ-ნაწილ წავიკითხე ვაქეთ. ნაწილებად გამოქვეყნებულია, რასაც თქვენ თვალს ადევნებდით, რაც თქვენ მოგწონდათ და, ამდენად, სრული წარმოდგენა მეტ-ნაკლებად ვაქეთ. ერთ მთლიანობაში გაცნობილი, უფრო მძაფრ შთაბეჭდილებას ტოვებს“.

**თამაზ ჯოლოგუა:**

„მე იმ კატეგორიას წარმოვადგენ, რომელსაც ნაწილ-ნაწილ აქვს წაკითხული და პრეზენტაციისთვის შესაძლებელია ეს სიტყვა ვთქვა: „წიგნებს გავცვანი“. და მინდა ორიოდ სიტყვა ვთქვა. ეს ემიგრანტული ლიტერატურა კარგა ხანია კი შემოვიდა, მაგრამ იზოლირებულად განიხილებოდა და შეუსწავლელია. და უსაზღვროდ საჭირო იყო ამ ორი ლიტერატურის შერწყმა. ძალიან მონარული ვარ, რომ ამ წიგნებით ეს მოხდა. თუმცა ვფიქრობ, რომ ძირითადი მწერლობა მაინც შეიქმნა საქართველოში... არის რაღაც პარადოქსები და როცა ასეთი

პარადოქსები წაენციბიან ერთმანეთს, რალაც კანონზომიერების მოძებნა არის საჭირო. კლარა მგელაძის ცნობილი ამბავი რომ გამოქვეყნდა... ეს არის უცნაური რამ. ადამიანი, მარქსისტი თხემით-ტერფამდე მარქსისტი, და მოგვხსენებათ ეგეც ერთი პარადოქსია. ჩვენ არ ვიცით ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ვისი ორგანიზებული იყო და იმ მკვლელთა უკან ვინ იდგა, ვერსიები უამრავია, მაგრამ დაბეჯითებით ამის თქმა ჯერჯერობით შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში მე არ ვიცი, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა შექმნეს ის ატმოსფერო, სადაც შესაძლებელი გახდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა. და შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობა სოციალ-დემოკრატებს დაეკისრათ და ეს ბედის ირონიაა თუ ბედისწერა, ან შინაგანი კანონზომიერება, მე ეს არ ვიცი. და როდესაც კლარა მგელაძე გაიგონებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, პირველი რასაც გააკეთებს, ავა მთანმინდაზე და ზარებს რეკავს, ილია ჭავჭავაძის საფლავში ჩასახვებს: საქართველო დამოუკიდებელია. ადამიანისთვის ეს შეიძლება იყოს პარადოქსი. ასეთი რამ ისტორიას უყვარს. და ჩვენს XX საუკუნის ემიგრანტულ მწერლობაში პოლიტიკური და არაპოლიტიკური, ლიტერატურული არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, გადაჯაჭვული. და ამ პარადოქსების ახსნა შესაძლებელია იქ და მაშინ, სადაც ეს ორი ლიტერატურა შეხვდება ერთმანეთს, ეს ორტომეული ამის ძალიან სერიოზული და წარმატებული ცდაა.

ჩვენ ვიცნობთ რუსუდან ნიშნიანიძეს, როგორც მაღალი კლასის ლიტერატორს და მოგვიანებით უფრო მასშტაბურად ვიტყვი, რაც ამ ნიგნებში ხდება. გილოცავთ თქვენ და ლიტერატურულ საზოგადოებას ამ ნიგნის გამოშვებას. ისიც უნდა ვთქვა, რომ პოლიგრაფიულადაც შესანიშნავია, თუმცა მთავარი ღირსება ისაა, რაც შიგნითაა“.

**მზია ძაძამია:**

„ორად გახლეჩილი საქართველო, გეოგრაფიულად და არა სულიერად, იძულებით ემიგრაციაში წასულები, რომლებმაც საქართველოდან ერთი მუჭა მინა წაიღეს. მათი სამშობლო მათი გული იყო. ეზმანებოდათ ცხადში და სიზმარში თავისი ქვეყანა. წერდნენ და გულს იოხებდნენ, ნიგნებს გამოსცემდნენ, ჟურნალებს აარსებდნენ, ქართულ კულტურას იკვლევდნენ და იყო იმედი, რომ მათი კალმის ნაღვანი ოდესმე სამშობლოში მოხვდებოდა.

დღეს ხელმეორედ გაგვიახლდა 1924 წლის ტრაგედიის ტკივილები, ამ დღეთა გახსენება და ეროვნული გმირის გამოსვენება, რამაც მთელი საქართველო აატირა.

ეს შესანიშნავი ორტომეული კიდეც ერთხელ შევკვასხენებს ჩვენს ვინაობას და გვიდასტურებს, რომ მძაფრი პოლიტიკური ქართველებისა და ტრაგიზმის მიუხედავად კვლავაც შენარჩუნებულია ეროვნული სული, ინტელექტი, ცნობიერება.



რუსუდან ნიშნიანიძე

რუსუდან ნიშნიანიძის ვრცელი ინტელექტუალური თვალსაწიერი და მხატვრული ესთეტიკა ამგვარად გამთლიანებული საქართველოს აღდგენასა და დანახვას გულისხმობს.“

**რუსუდან დაუშვილი:**

„ის მუდმივი შეხსენებაა ქაქუცა ჩოლოყაშვილზე... ასეთ დღეს უნდა მომხდარიყო ასეთი ნიგნის წარდგენა. პირველ ნიგნში ძალიან საინტერესოდ არის დალაგებული თემატიკა და ის პოლიტიკური კალენდარი, რომელზეც გაამახვილა როსტომმა ყურადღება, ჰკრავს პრაქტიკულად ამ ნიგნს. სურათი საქართველოს ისტორიაა აქაური

და იქაური ლიტერატურის მოხმობით, მაგრამ ეს არაა პოეტურად მომზადებული მხოლოდ, აქაა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები მოხმობილი, თავის ალაგას ჩასმული;

თემატიკა განსაზღვრულია უსამშობლო და სამშობლოში დარჩენილი ადამიანების ტკივილით. უზარმაზარი მასალაა, მაგრამ სრულებით არ გთრგუნავს, კითხულობ და ემოციურად იღებ ყველაფერს. ძალიან კარგია, რომ ამ ნიგნს დართული აქვს – საგანგებოდ მინდა აღვნიშნო – საძიებლები. თითოეული სახელის უკან, ვინც ჩამოთვლილია საძიებელში, თითოეული ადამიანის ბედი დევს სამშობლოსთან გადაჯაჭვული. როგორც აქეთ მცხოვრების, ისე იქით დარჩენილის. აღარაფერს ვამბობ გეოგრაფიაზე, იმიტომ, რომ აქ ძალიან დიდია გეოგრაფიული არეალი, რასაც ეხება მთელი ეს ლიტერატურა, რომელიც რუსუდანს აქვს წარმოდ-

გენილი. ევროპა, აზია, ამერიკა, ერთი-ორგან აფრიკა, ამ გეოგრაფიულ არეალში ეს უზარმაზარი მასალა ისეა დალაგებული, რომ იხატება ეპოქის პორტრეტი.

და ამდენად აქტუალურია დღევანდელ დღეს ეს.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, როგორც ისტორიკოსისათვის, მაინც იყო ეს პოლიტიკური კალენდარი. 11 თებერვლით იწყება და მთავრდება 18 მარტით. აქ არის თითოეული ადამიანის დამოკიდებულება. უცრემლოდ, უემოციოდ ამის ნაკითხვა შეუძლებელია თუ დავამატებთ, რომ ამას რუსუდანი ახერხებს გარკვეული წრის შეკვრის შემდეგ.

საზოგადოებას კარგად ახსოვს რუსუდანის საჯარო ლექცია ამ დარბაზში სიზმრის სიმბოლიკაზე. მაშინ დიდი მთაბეჭდილება მოახდინა მისმა გამოსვლამ. ლიტერატურული ტექსტების, დღიურების, ჩანაწერების მეშვეობით არის ყოველივე ძალიან საინტერესო თემებად დალაგებული. რას ხედავენ ეს ადამიანები სიზმარში. ბრმების, ბავშვობიდან უსინათლოთა სიზმრებიც შეუსწავლია რუსუდანს, რომელს ასაკში დაბრმავდნენ, რა შინაარსს მოიცავს უსინათლობის დღეებიდან მათი სიზმრები. ეს არაჩვეულებრივია – დიმიტრი უზნაძის თეორია... მაგრამ ფსიქოლოგთა არაერთი პროფესიონალის მოსაზრება ჰკრავს მიხეულ სათქმელს. თემები, დიდი წარსული, ბედისწერა, მი-

ნა... თუმცა აქვე ვიტყვი, რომ ვერაფრით წარმოვიდგენდი თუ სიზმრის თემა ასეთი მასშტაბური და საინტერესო იქნებოდა, თუმცა მე ჩარჩენილი მაქვს დედაჩემის ბიძის სიზმარი – ორტომეულში დაბეჭდილია – კადრები, რომლებიც დაწყებულია, მათში სურათებადაა ჩალაგებული პიროვნებები და მოვლენები. ეს ძალიან კარგია და შთამბეჭდავი. ბიძაჩემი ყვებოდა, სულ ვხედავ სიზმარში საქართველოსკენ მომავალ მატარებელს, ვერ ვწვდები. მთელი ცხოვრება არც ოჯახს მოვეკიდე, არც ქონება შემიძენია, აქ არაფერმა დამაკავოს, როგორც კი შესაძლებელი იქნება, სამშობლოში, საქართველოში წავალ. ძალიან ბევრი ოჯახს არ მოეკიდა, რომ არაფერს დაეკავებინა ისინი უცხოეთში. ბევრი რამის თქმა შეიძლება ამ წიგნების შესახებ, მაგრამ მაინც აუცილებლად მინდა აღვნიშნო ის პრინციპი, რომლითაც შერჩეული არის სურათები, მონტაჟები და საკითხები. გილოცავთ იმათ, ვისაც ჯერ ისინი არ წავიკითხავთ, ეს სიამოვნება წინ გელოდებათ.

არაჩვეულებრივია შინაარსის გარდაღიზიანება. არაჩვეულებრივია, როცა ასეთ წიგნს კითხულობ და გარეგნულადაც ასეთ სილამაზეს ეხები ხელით“.

**ბელა ნიფურია:**

„დიდი მადლობა. ძალიან დიდ მადლობას ვუხდით ავტორს და პრეზენტაციის ავტორსაც, რადგანაც ძალიან კარგ ტრადიციად იქცა, როცა რუსუდან ნიშნიანის მნიშვნელოვანი ნაშრომები განსახილველად არის გამოტანილი და ნამდვილად მნიშვნელოვანია. ჩვენ ამ შეფასებაში აქ არცერთი არ ვაჭარბებთ. ნამდვილად არ გვქონდა ის, რაც ასე ერთიანად თავმოყრილი და ბეჭდური სახით გადმოცემული; ის, რაც არ გვქონდა დასტამბული და მხოლოდ ქართველი ერის მეხსიერებაში ინახებოდა, მაგრამ იკარგებოდა კიდევ, რადგანაც მიდიან მატარებლები ამ ხსოვნისა; ის ადამიანები ჩვენგან წავიდნენ და ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ტექსტები, ისეთი ნაშრომები ამ ადამიანების შესახებ, რომლებიც სანდო ინფორმაციას, გაანალიზებულს, ძალიან ღრმად გაანალიზებულს მოგვანვდიდა.

ფაქტობრივად, 90-იანი წლებიდან ჩვენმა ფილოლოგიურმა და ისტორიულმა მეცნიერებამ დაიწყო ამ ცოდნისა და ამ ინფორმაციის მოძიება, აღდგენა, სისტემატიზირება, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის ფარგლებში არ შექმნილა ამდენად ფართო მნიშვნელობის და ასეთი მოცულობის ნაშრომი. არ არსებობს ამ თაობის, პერიოდის შესახებ ასეთი ისტორიული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ანალიტიკური, სერიოზული ნაშრომი. ძალიან მნიშვნელოვანი წიგნებია, ფაქტია, თავისთავად და სერიოზული ფაქტი, როცა სამანს იქით მყოფმა ქართველობამ, ისე ძალიან სიმბოლურად ჰქვია „ორტომეულს“ „საქართველო სამანს აქეთ და... სამანს იქით“ თითქოს სამანს აქეთ მყოფი ქართველობის ხელში დატოვა ამ მასალის გაანალიზების და შესწავლის ფუნქცია. და ეს ასე უნდა იყოს. ლოგიკურია, რომ სწორედ ამ ნამდვილ საქართველოში, ამ ისტორიულ მინა-წყალზე არსებობს და კიდევ დიდხანს იარსებებს, ჩვენ უნდა გვეტვირთა ეს ამოცანა და ძალიან დიდი მადლობა რუსუდან ნიშნიანისთვის, რომ მან ეს ამოცანა ასე სერიოზულად შეას-

რულა. ყველას მოეხსენება, რომ არ არის იოლი შრომის ნაყოფი, ეს ხანგრძლივი შრომის ნაყოფია და თითოეული ის ფოტო, თითოეული ის ინფორმაცია გარკვეულ ისტორიას მოიცავს“.

**მაკა ჯოხაძე:**

„როცა წიგნის კითხვა ექსტრემალურ ვითარებაში მიწვევს, საშინელი უკმარისობის განცდა მეუფლება. წიგნის – და თანაც ასეთი წიგნის – კითხვაც ჩემთვის შემოქმედებითი პროცესია, და რადგან დღეს პრეზენტაცია ჰქვია ჩვენს შეხვედრას, მხოლოდ რამდენიმე შთაბეჭდილებას მოგახსენებთ.

არსებობს უმთავრესი იდეა, რომელიც აერთიანებს უზარმაზარ ფაქტოლოგიურ მასალას, რაც რუსუდან ნიშნიანის ამ ორ წიგნშია თავმოყრილი.

ამ იდეის ენერგეტიკით ლაგდება ფაქტები, ემოციები, ასოციაციები, რემინისცენციებიც კი.

ეს განცდა შველის რუსუდანს, როგორც მკვლევარს, გაუძლოს ცდუნებებს, საფრთხეს, არ იყოს სუბიექტური.

მისი სუბიექტივიზმი უფრო მასალის, ფაქტების მოწოდების მანერაში, მეთოდში მდგომარეობს, რომელიც იმდენად ჭკვიანურადაა შესრულებული, რომ ის მისი სამეცნიერო კვლევის სტრატეგიად და ტექნიკად აღიქმება.

უნდა ითქვას, რომ ამ წიგნის უპირველესი ღირსება ისიცაა, რომ ჩვენი დღევანდელი წიგნში ასახული რეალობის უშუალო შედეგი და გაგრძელებაა.

რაც 70 წელიწადში გადაიტანა ქვეყანამ, ყველაფერი ის, რაც ამ წიგნშია მოწოდებული, გადავიტანეთ და გადაგვაქვს ჩვენ ბოლო 15-20 წლის მანძილზეც.

საბედისწერო თოვლი – სხვა სიმბოლოებთან ერთად ეს სიმბოლიკა არაჩვეულებრივად არის წარმოჩენილი სამანს იქით და სამანს აქეთ მყოფი ადამიანების შემოქმედებაში, თოვლი, რომელიც ტაბახმელასა და კოჯრის ფერდობებზე დაეფინა თებერვლის დღეებში... ჩნდება განცდა, რომ ეს თოვლი შეაერთა უზილავემა ძალამ, რომელსაც არც რელიგიურობის და არც სამშობლოს არგანცდა გააჩნია, და გაყინული, ტყვიასავით გამკვრივებული ისროლა ჩვენსკენ.

უბრალოდ ჩვენ სხვა ეპოქა გვქვია სახელად, მათ სხვა – ინტერნაციონალიზმისა თუ გლობალიზმის ეპოქები. მასშტაბებიც, რა თქმა უნდა, გაიზარდა, გაფართოვდა, მეთოდები გამრავალფეროვნდა, თორემ მიზანი ერთი და იგივე დარჩა – უღმერთოდ, უკულტუროდ, უტრადიციოდ დარჩენილი ხალხების არსებობა და ამ ხალხებზე გაბატონება!

ის რაც ხდება 1921 წლის თებერვალში, ხდება 1991-92 წლების საბედისწერო მოვლენების დროსაც.

ამგვარი პარალელების მოძებნა, დღევანდელი მასალისა და დაწყებული უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. ეს წიგნი ძალიან აქტუალურია ამ თვალსაზრისითაც“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„რამდენჯერმე აღინიშნა ამ წიგნების გამოცემის კულტურა. მართლაც, წიგნი კულტურის ნაყოფია და სასიხარულოა, როცა შინაარსთან ერთად გარეგნული მხარეც მიმზიდველი, შთამბეჭდავი უნდა იყოს.

არა მარტო იშვიათი ფოტოებია მოძიებული, არამედ განლაგებულიც იმგვარადაა, რომ ჩანს ავტორის დახვეწილი ესთეტიზმი, რუსუდანი არამარტო შესანიშნავი სტილისტია, არამედ დიზაინერიც არანაკლები“.

**მაია ჯალიაშვილი:**

„გაოცებული და აღტაცებული ვარ. გაოცებული იმ ზღვა მასალით, რომელიც აქ არის მოტანილი; და აღტაცებული იმ სიმწყობრით, რითაც ის დალაგებულია.“

ეს წიგნები რომანტიკული სულითაა გაჟღერებული. ავტორი ოცნებობს ერთ მთლიან საქართველოზე და ქმნის ამ ერთიანობის მითს – ლიტერატურას უდებს ამას საფუძვლად.

დროისა თუ ბედისწერის უკუღმართობის გამო სამანს აქეთ და იქით დარჩენილი ქართველები ერთ საფიქრალს მისცემიან და მათ მიერ შექმნილი მხატვრული ტექსტები ერთნაირი სულისკვეთებითაა გაჟღერებული.

რუსუდანი ამ ორტომეულით ქმნის მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის ერთგვარ მატრიანს.

ისტორიულ დოკუმენტებსა და მხატვრულ ტექსტებზე დაყრდნობით ავტორი წარმოაჩენს იმ ტრაგედიას, რომელიც 1921 წლის თებერვალში დატრიალდა, სწორედ ამ დროს აღიმართა ის სამანი, რომელმაც ქართველობა სულიერად გახლიჩა.

და მაინც რა მოხდა? – კითხულობს ავტორი.

და მთელ ამ წერილებს ერთგვარი დეტექტიური ძიების რკალში მოაქცევს.

და მაინც რა მოხდა? – ეს არის ერთგვარი ეჭვის შეტანა იმაში, რაც ჩვენ, ერთი შეხედვით, ვიცით.

რუსუდანის ამ კითხვის შემდეგ ჩვენი დამაჯერებელი პასუხები რყევას იწყებენ და ავტორთან ერთად შევდივართ ძიების ლაბირინთში.

ვინ იყო დამნაშავე? რატომ მოხდა ეს ყველაფერი? ყოველი ახალი დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ვხვდებით, რომ კონკრეტული დამნაშავე არა ჩანს, საბოლოოდ კი ის განცდა გვიჩნდება, რომ ყველანი იყვნენ ერთად დამნაშავენი, ალბათ, და დამნაშავე იყო კიდეც ის ბედისწერა, რომელიც საქართველოს მუდმივად მკაცრად ექცევა.

რუსუდანს აქვს საოცარი სტილი, მთხრობელის სტილი და ის მსმენელად ყოველთვის ვილაც ახლობელს გულისხმობს...

წიგნი დანერვილია დიდი სიყვარულით.

რუსუდანი ცდილობს, რომ სიძულვილის მუხტი გააღლოს და შეგვებრლოს ის ადამიანები, რომელთაც თავის დროზე ასეთი საბედისწერო შეცდომები ჩაიდინეს, შეცდომები, რომელთაც ჩვენ დღემდე ვიმკით“.

**ლადო მინაშვილი:**

„თავის დროზე რუსუდანს ვთხოვეთ, დაენერა წერილი: „ილია ემიგრანტების თვალთ“. ეს შესანიშნავი წერილი ამშვენებს ჩვენს კრებულს.“

იქ ამბობს, რომ ილია არის ზნეობრივი საზომი ემიგრანტი ქართველებისათვის.

ქ-ნი რუსუდანი ერთი ემიგრანტის ფრაზით იწყებს თხრობას: ვინც სამშობლო დაკარგა, მან ყველაფერი დაკარგაო. საოცარი ტკივილით ნათქვამი სიტყვებია.

შემდეგ კი სიმონ ბერეჟიანის ციტატა მოჰყავს, რომ საქართველო განახლდება, საქართველო აღდგება და ყველა შვილი მისი, გამოდევნილი, გადმოხვენილი თავის ქვეყანას დაუბრუნდება, საბოლოო სამარეს იქ ჰპოვებსო. ამ თვალსაზრისითაც ძალიან საინტერესოა.

რუსუდანის თხრობას აქვს ის მუხტიც, რომ იგი განცანყობს საფიქრელად და თანაგანმცდელად გაქცევს“.

**გიორგი გამსახურდია**

**უპატონო უპილი**

ამ წერილის დაწერა ერთი წიგნის გამოისობით მოხდა. „ამბავი ალუბლის ხისა“, ასე ეწოდება ვახტანგ ამაღლობელის მიერ ნათარგმნ ნოველებს, სადაც მეოცე საუკუნის ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა შემოქმედებაა თავმოყრილი.

წინასიტყვაობაში როსტომ ჩხეიძე წერს: „კრებული არ შედგენილა წინასწარვე მიზანდასახულად. ვახტანგ ამაღლობელი შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ მოინდომებდა მათ ამეცხველებს ქართულ ენობრივ სამოსელში – მხატვრული აზროვნების თავისებურებათა კვლევა და შესწავლა ერჩივნა, ამერიკელ მწერალთა შეხებისა და კვალის“

ძიება ქართულ სინამდვილესთან – საზოგადოებრივთანაც, ლიტერატურულთანაც...“ მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ამ თოთხმეტი ავტორის ნაღვანს გავყვებით, ჯერ თვით ამერიკას გადავხედოთ.

ამას წინათ ჟურნალისტის შეკითხვაზე: თინეიჯერი რომ იყავით, რა სახის მუსიკას უსმენდითო, ჩემს მეგობარს, მსახიობ ირაკლი ჩოლოყაშვილს გაელიმა და მოულოდნელად ასე უპასუხა: თინეიჯერი რომ ვიყავი, სულ არ ვიცოდი თინეიჯერი თუ მერქვაო.

მართალი ბრძანებაა, რადგან შორს იყო ჩვენგან ამერიკა, თავისი შეერთებული შტატებით. სკოლაში მოსწავლე უცხო ნივთს თუ მოიტანდა ან განსხვავებული ტანისამოსით გამოცხადდებოდა, თანაკლასელთა ყურადღებას მიიპყრობდა და ურიცხვი შეკითხვებით სასიამოვნოდ „თავგაბეზრებულო“, თავმოშონედ გვეტყოდა – ამერიკულიაო. ამით ყველაფერი ნათქვამი იყო. „ამერიკული“ ხომ საუცხოოს, ერთგვარად იდუმალსაც კი ნიშნავდა. და დადიოდა თაობა საროიანის „ველვეტის შარვალივით“, მოდასწამორჩენილი, მაგრამ უდარდელი, ოლონდ ისე, რომ ჯერ მისი „ხუთი მწიფე მსხლის“ გემოც არ იცოდა.

მიუხედავად საზღვრების გახსნის და ტელეგადაცემათა მოზღვაებისა, პირველმა, რამაც ჩვენთან ამერიკა დაახლოვა, ისევ და ისევ წიგნი იყო. თურმე ამ განყენებულ ქვეყანას, სწრაფი კვებისა და თვალგასახარი ეფექტების გარდა, სულიც ჰქონია და სენტიმენტალობაც. ო'ჰენრის „უკანასკნელმა ფოთოლმა“ და „მოგვთა საჩუქრებმა“ ჯერ აგვატირა, ხოლო შემდეგ მთელი კლასი აგვალაპარაკა. გაკვეთილზე, მათემატიკის მაგივრად შემოსულმა ქართულის მასწავლებელმა თავისი საქმე გააკეთა. ასე ჩაგვებეჭდა მესხიერებაში მოხუცი მხატვრის, ვინმე ბერმანის სახე. დღეს რომ ვფიქრობ, ასმაგად მახარებს მათემატიკა რომ გაგვიცდა. მერე „თამაში ჭვავის ყანაში“ რომ წავიკითხეთ – ვახტანგ ჭელიძის დიდებული თარგმანის წყალობით – საბოლოოდ დავრწმუნდით ამერიკის სიახლოვეში, თურმე ერთ დროს, ჰოლდენ კოლფილდიც იმგვარადვე უყურებდა ცხოვრებას, როგორც ჩვენ, ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოში. უკვე არც ისე შორს ჩანდა ამერიკა, შეერთებული შტატებიანად.

იმის თქმა, რომ ამერიკა სულ ცოტა ორგვარია, ცხადია, არ ნიშნავს მის აღმოჩენას, მაგრამ მაშინ ეს არ ვიცოდით, ეჭვი ღვიოდა მხოლოდ და ნთქავდა ეფექტების ამერიკა ფიქრიანს. და განა ინგლისს არ გააჩნდა ორმაგი სახე – ჯენტლმენისა და ხულიგანის?.. რომელი იყო სარწმუნო? ალბათ ორივე. ვინც მწერლობას დაუჯერა, ამას მთარგმნელებს უმადლის. მართლაც მადლია თაობათა გონგამართვა, უცხო ხილის სწორად მიწოდება. ჰგავს რაღაცით ეს პროცესი ო'ჰენრის ნოველის ფინალს, კვანძის გახსნას, მიმართულების უეცარ, მოულოდნელ შემობრუნებას. ბევრი შემობრუნდა და ბრტყელ დემოკრატიასაც სიღრმე გამოუჩნდა. თვითკრიტიკული იმპერია პრეზიდენტებსაც უტრიალებდა, ლეგენდებსაც უიკრიტებდა, იქაც იკლავდნენ დიდი მწერლები თავს და ანი, რამდენჯერაც გინდა ეჩვენებინათ ტელევიზიით „ერთხელ ამერიკაში“, შემობრუნებულთ კილიმანჯაროს დათოვლილი მთა უფრო მეტს ეუბნებოდა ამ ქვეყანაზე.

მაგრამ დაახლოვდა კი სინამდვილეში ამერიკა? იქნებ უბრალო რამ მოხდა? მიუჯახლოვდით და დიდი გვეჩვენა, ფეხი შევდგით და... უკიდევანო? შორიდან ერთგვარი, ახლოდან გამრავალფეროვანდა?! ის ალუბლის ხეც, რამდენი კუთხით გამოჩნდა. როსტომ ჩხეიძის აზრით, სიმორ ჯოზეფთან „ალუბლის ხის ტრადიციული სიმბოლიკა თავის ძარღვს არ დაკარგავდა, მაგრამ ახალი რეალობითაც შეივსებოდა და ურთიერთგამომრიცხავი ორი მოტივი თუ თვალთახედვა, ერთ სიმბოლოში განვითარებული, იქნებ აუცილებელიც იყოს განსხვავებულ ეპოქათა სიღრმეში ჩასახლება“.

რომ არა სიმორ ჯოზეფისა და მსგავსი მწერლების სარკაზმი ერთი შეხედვით ხელშეუხებელი თემებისადმი, იქნებ ამერიკასაც დღემდე ეტკეპნა ღრმად პურიტანული ნიადაგი. წარმომიდგენია რა ამბავი ატყდებოდა, სხვა ნაკლები დემოკრატიის მქონე ქვეყნის, მძლავრ ფსევდო-



პატრიოტულ წრეებში, ვინმეს ჯორჯ ვაშინგტონის დარი პიროვნების გარშემო, ერთხელ დაკანონებული ამბის თავისებურად გადაკეთება და გადასინჯვა რომ ეცადა.

სწორედ ჯოზეფის ხედვა ავითარებს ამერიკას. აქ არ არის ტაბუირებული თემები და, როცა საჭიროდ თვლის, მწერლობაც „მოლამაზებული ფასადის გადაფხეკას“ ცდილობს. ასეთი თავისუფლების შეგრძნება დიდი შრომის ფასად მოიპოვებს ამ ქვეყანაში. ბრიტანელი მწერალი და პუბლიცისტი დევიდ ჰერბერტ ლორენსი ერთ-ერთ ესეიში აღნიშნავს: „ამერიკა არასოდეს ყოფილა ლალი, არც არის ლალი. ამერიკელები მუდამ რაღაც გაგებით დაძაბულნი იყვნენ. მათი თავისუფლებაც წმინდა ნებისყოფისა და დაძაბულობის ნაყოფია. ათი

მცნების თავისუფლება. დაიხ, თავიდანვე ასე ჰქონდათ: „არა ჰქმნა ესა თუ ის“.

ხოლო პირველი მცნება ასეთია: „არა განიზრახო ბატონობა“. აქედან მოდის დემოკრატია. „ჩვენ ბატონი არ გვყავს“. ამას ჭყავის ამერიკის არწივი. თან არწივია, თან კრუხი...“

დავუბრუნდეთ ნოველებს.

ცხადია, ნოველისტს არ გააჩნია დრო მრავალსიტყვაობისათვის, პერსონაჟის, მისი ხასიათის გახსნა მცირე ტერიტორიაზე უწევს და დიდი ჯაფა ადგას თითოეულ სიტყვას. ამდენად, არ შეიძლება აღფრთოვანება დამალო ინგლისელი მწერლის ჯერომ კ. ჯერომის ნოველის წაკითხვისთანავე, როცა აცნობიერებ, რომ მწერალმა ორადორ გვერდში, ერთ პატარა ამბავში ჩაატია ცრუმოფუსფუსე ბიძია პოდგარის დაუვიწყარი სახე. ამ კაცის შესახებ მანამდეც და ამბის შემდეგაც მკითხველმა არაფერი იცის. საკმარისია მწერალმა ერთი ლურსმნის დაჭედება ასახოს იუმორისტულად და ლაკონურად, რომ მერე დიდხანს დაგამახსოვრდეს ვაი-ვიშით დაკიდებული სურათი. გროტესკი სომერსეტ მოემთან და ქოლენ ჰოვარდთანაც გვხვდება, რაც ერთიორად ამსუბუქებს ამ ავტორთა ნოველების კითხვას. მაგრამ თუკი მოემის ქალების ლიმილს ინვევენ, რადგან თვითონ ამბავია სახალისო, შონ ო'კეისის მაცდუნებელი ქალი სოციალურ პრობლემათა მარწუხებიდან ცდილობს თავდადნევას. ორჭოფობს, არჩევანის გაკეთება სამუშაოსა და შეყვარებულს შორის უფრო დიდ ჩიხში მოაქცევს და საბოლოოდ ტურებაცაცხახებულს, მდუმარედ ჩაკეტილს დავტოვებთ საკუთარ ოთახში. აქ ფიქრიც მეტია და ტკივილიც, მაგრამ არ არის სიმპათია, რადგან მკითხველი ყოველთვის უფრო ამალღებულს ირჩევს, ადვილად ჰკიცხავს ხარბსა და კეთილდღეობისათვის აკეკლუცებულს. აი, ვიქტორ სოდონ პრიჩეტის „იუმორის გრძნობაში“ ნამდვილი განცდაა. იქ ქოლინია, წრფელი მიჯნური. თუმც ქალი ნუნკ მისტერ ჰამფრს აირჩევს, მთავარი მაინც ქოლინის, მოტოროლერით მიჯნურს დადევნებული ბიჭის უანგარობა და სიმართლეა. მეკუბოვე ჰამფრები საუკუნეებია ქოლინებს მარხავენ, მაგრამ ხალხი ყოველთვის ქალაქში შემოსვენებულ ქოლინს და-

უხრის თავს. იგი დაიმსახურებს თანაგრძნობას. აქ მთავრდება ბრიტანელ მწერალთა ნოველები და ოკეანის გადალახვა გვიწევს.

ტრფობა და ტრაგიზმი შერვულ ანდერსონის „სიკვიდილი“ გვხვდება. „ქალაქის მიტოვება მსურდა, ტანსაცმლიდან ამოვარდნა, ქორწინებისგან გაქცევა“, იხსენებს ახალგაზრდობას აღელვებული ელიზაბეთი, რომელსაც მხოლოდ ორჯერ ეწვია თავისუფლება, როდესაც მის საყვარლებს სიკვიდილსა და ექიმ რიფს ჰყავდათ ჩახუტებული. ელიზაბეთს გაცემა არ ძალუძს. ათწლეულებია, რაც 800 დოლარი კედელში აქვს დამალული, ვაჟს რომ კაიერა გაუადვილოს. ის კი, ჯორჯი, თითქოს ვერც გაიგებს დედის სიკვიდის. სადღაც ბრაზობს კიდეც, რადროს სიკვიდილი იყო, როდესაც ბანკირის ქალიშვილს უნდა შეეხვედროდი ამ სალამოსო. ელიზაბეთის ტრაგიზმი უსიყვარულობაშია, უფრო ზუსტად კი გაუბედაობასა და დაუხარჯველობაში. შერვულ ანდერსონის ნოველებში დაგვიანებული, არშემდგარი სიყვარულის თემა „ტენდიშიც“ გვახსოვს. სადაც უცნობი მამაკაცი ხუთი წლის გოგონაში თავის სიყვარულს შეიგრძნობს და გულდანყვეტილს აღმონდება „მე მას ავცდი, მან ვერ მომისწრო“. უცნობი „ტენდის“ არქმევს გოგონას და ეცლება იქაურობას. პატარა მამას უწყნარება ძველ სახელს ნუ მიწოდებ, ტენდი ვარ ანო. ეს „უტენდობა“ „სიკვიდილი“ არის, და როს გამოჩნდება, გვიანია უკვე. 800 დოლარი კი კედელში შეყუჟულა.

საერთოდ, თანხის ან უფრო უთანხობის პრობლემა ხშირი მოვლენაა ამერიკელ ნოველისტთა შემოქმედებაში. თუმც მონათხრობი თანხაზე არ არის კონცენტრირებული, ირიბად მაინც ახსენებენ ხოლმე. სოციალურად დაუცველ, გაღატაკებულ ადამიანთა ცხოვრება, მათი ყოფა და საზრისი ოქსენის შემოქმედებაში ერთ-ერთ მთავარ ხაზს წარმოადგენს. დაობლებული ქალიშვილისათვის, საშობაო საჩუქრის შესაძენად დანერგილი ნაწარმოებიც თითქოს ორიენტირია მის ნოველათა სწორად გაგებისათვის. რაც შეეხება ამ კრებულში შესულ ორ ნოველს, „მოთხრობა არ გამოვიდა“ და „მომაჯადოებელი პროფილი“, მწერალი ხაზს უსვამს, რომ ერთი შეხედვით უბირი, ღირსებადაკარგული კაცი თურმე ჭეშმარიტი გრძნობის ერთგულად შეიძლება დარჩეს. ინდივიდთა შთანთქმელი მეგაპოლისი, ფიზიკურად ბოლოს უღებს პროვინციიდან ჩამოსულ პირტიტველა ტიპს, მაგრამ, ადრე დაბერებული კაცის გულს ვერაფერს უხერხებს. მისი განცდები, ისეთივე შეურყენელი და მართალია, როგორც ადრე, ვიდრე ნიუ-იორკის ქუჩებში ჩაიკარგებოდა.

მეორე ნოველაში მოხუც ქალს, ახალგაზრდა იდა ბეტისის „მომაჯადოებელი პროფილი“ ახელებს და აყვარებს მას. მოხუცი ბრაუნი 40 მილიონის პატრონი და უზომოდ ძუნწი ქალია. თურმე მემანქანე გოგოს სიყვარულიც ვერცხლის დოლარზე გამოსახული ქალის პროფილის ბრაღია, რომელიც საოცრად ჰგავს იდას. აი, რატომ უყვარს მეგი ბრაუნს! გროველსა და დაუხარჯველობას რა შედეგამდე მიჰყავს ადამიანი აქაც მკაფიოდ ჩანს და ადარისმის შეკითხვა, ვინ უფრო ზნეობრივია, მილიონერი ბებრუხანა თუ ლოთი ტრიპი.

მილიონერთა ყოფა ჯონ ჩივერის „სატონ პლეისის ამბავშიც“ გვხვდება. რა ქნას პატარა დებორამ, როდესაც მშობლები ბიზნეს პარტნიორს მასპინძლობენ და მისთვის

არ სცალიათ?.. დედის სიტბო აკლია, სურს მოეფეროს, მაგრამ ნაბახუსევ დედიკოს რა ედებორება. რა ქნას, თუკი გადია მისი ჰარლეისთვის ბინძური, მკვდარი ჩიტი, მისთვის ლამაზი, ჩაძინებული მტრედია? ჩივერსი სამი წლის ბავშვის თვალთ დაგვანახებს ნიუ-იორკის ელიტარული რაიონის ცხოვრებას, ურიცხვ წვეულებათა უარსობას, ცრუ გადიებს და ზოგადად, გაცივებულ ურთიერთობებს. საზოგადოებას, რომელსაც მგრძნობიარე, ერთგულების მაძიებელი დებორას თვალის არაფერი გაეგება.

კრებულში არსებულ ნოველებს არც დრამატიზმი აკლია და არც იუმორი. აქ ზნეკეთილნიც გვხვდებიან და ზნედაცემულნიც. ისინი ცრემლსაც მოგადენენ და გულიანადაც გაგაცივებენ, მაგრამ ამ ინგლისელ და ამერიკელ მწერლებს, ერთი რამ აერთიანებთ, არიან ლირიკულნი თუ სარკასტულნი, პირდაპირნი. თუ ქარაგმულნი, ამოსავალი ნერტილი მაინც ქვეყნის სიყვარულია, თავისი შემოქმედებით ცოტათი უკეთესი რამ უნდათ გახადონ.

დღეს ჩვენთან ყველა მოზარდმა უწყის, რომ თინეიჯერია, მოდამია ემინემი, ხოლო ნიკოლ კიდმანმა ბოლო თაფლობის თვე საფრანგეთის ერთ-ერთ ზღვისპირა კურორტზე გაატარა. ვილაცას მსგავსი თემები აღიზიანებს და გახედვის სურვილსაც უკარგავს დასავლეთისაკენ. მაგრამ განა ამ ყველაფრის ცოდნა ამერიკის სიყვარულში, ან თუნდაც სიძულვილში დაგეხმარება? განა მხოლოდ ეს არის ამერიკა? ხშირ შემთხვევაში არცოდნა შობს რადიკალიზმს. არც უპირობო მიუღებლობა ვარგა და არც უკანმოუხედავად გაქცევა.

„თუ გავითვალისწინებთ იმ ბრბოს, აღმოსავლეთ ევროპიდან რომ მოაწყდა აქაურობას, თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ: გაქცეულ მონათა თვალუწვდენელი რესპუბლიკა. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მისიონერ მამებზე, ვერც ძველ იდეალისტ ამერიკელთა მგაფუზზე და ვერც ფიქრით გათანგულ თანამედროვე ამერიკელებზე. გაქცეულ მონათა თვალუწვდენელი რესპუბლიკა. ძრწოდე, ამერიკავ! თვითგმობით დაღლილი, ღრმა ადამიანები შენშიც უმცირესობას წარმოადგენენ. უბატონონი“. ეს სიტყვები დევიდ ლორენსს ეკუთვნის, რომელსაც კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ მიძღვნილ ესეიში ვკითხულობთ. და იქვე, ერთ ძალზედ საგულისხმო ნათქვამით ამთავრებს, რითიც, ზოგადად, ყველა გაქცევასდანატრებულ, საკუთარი უნიათობის სამშობლოსათვის გადამბრალეებელ ადამიანს მიმართავს: „თავისუფალნი მაშინ ვართ, როცა ჩვენს სასიცოცხლო კერაში ვრჩებით, მაშინ კი არა, როცა ავიწყვეტთ და გაქცევას ვლამობთ...“

ვახტანგ ამალალობელის მიერ თარგმნილი ინგლისელ და ამერიკელ მწერალთა ნოველები, იმ თავისუფლების ძიებაზედაც ჩაგაფიქრებს, ადამიანის შეხუთულ სულს რომ სწაღია. შვა თუ არა ევროპამ ჭეშმარიტად უბატონო შვილი? იქნებ ამ „უძღებ შვილსაც“ არ სურს მთლად დაობლება, რადგან მშობელთან მუდმივი ჭიდილი ასაზრდოებს ამერიკელი იდეალისტის გონს? საძნელთა გადაჭრით რაიმეს თქმა და არც ამ პრობლემის ამოხსნა გამხდარა წერილის დაწერის საბაბი. არა, უბრალოდ გახარებს, რომ საშუალება მოგეცა ნაგეკითხა დიდ შემოქმედთა ნოველები და რომ კიდევ შეგიძლია, ამ თვალუწვდენელ ნითელ ნოხებში, ერთი პატარა, ძველებური ხალიჩა აღმოაჩინო, თუნდაც ის გადაბრუნებული იყოს...

მაია დე გრაფი ნადარეიშვილი

# CANTO ERGO SUM

\*

ჰმლარი, მაჰასაღამე, ჰარსეჰოჰ

**მალე ორასი წელი შესრულდება ესპანური სულის ფრანგი სოპრანოს დაბადებიდან. დღეს, როცა ბელკანტოს სკოლის დეკადანსს აღარც კი აპროტესტებს ვინმე, მალიბრანის სულის გამოხმობა ვცადეთ წარსულის მტვრიანი მოგონებებიდან.**

პარიზი. 1808 წლის 24 მარტი. სუსხნარევე მზეს შეაგება პირველი ამოსუნთქვა მარია ფელისიტა გარსიამ, სამყაროს პირველად გააგონა თავისი უნიკალური ხმა.

მარია... საბედისწერო სახელი საოპერო ხელოვნებაში. იგი კალასამდე ერთი საუკუნით ადრე დაიბადა, ოლონდ არა – ნიუ-იორკში. ბერძნულის ნაცვლად – ანდალუზიური ცეცხლი, ეშხიანი გარეგნობა, ველური ხასიათი, ნებასაყოფილი ვნებები. მალიბრანში უთუოდ კარმენის სული ბუდობდა.

ნუთუ გრძნობდა ეს დემონური ნიჭისა და ინტუიციის ქალიშვილი, რომ მხოლოდ 28 წელი იცოცხლებდა? სხვა რა მიზეზით აიხსნება მისი დაუშრეტელი წყურვილი, ყველაფერი მოესწრო ცხოვრებაში და ბოლომდე დახარჯულიყო? ოპერის სცენაზე მის მიერვე აგიზგიზებული კოცონი არასდროს ჰყოფნიდა.

მალიბრანის უკიდევანო ტალანტისა და დაუშრეტელი პატივმოყვარეობის საოცარი გამოვლინებაა აზარტული გაჯიბრება სახელგანთქმულ პიანისტ ტალბერგთან. მათ იმპროვიზაცია დაიწყეს. ორივე დარწმუნებული იყო საკუთარ გამარჯვებაში. არცერთი თმობდა სცენას. „ახლა კი ჩემი ჯერია!“ – გაიახლოდნენ სულწასულად და ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. „აღამიანის ხმის სამკვდრო-სასიცოცხლო დუელი პიანინოსთან“ რამდენიმე საათი გაგრძელდა. ბოლოს, შემოქმედებით ექსტაზს მიღწეულებმა, ერთმანეთი იქვე, საჯაროდ გადაკოცნეს. მიხვდნენ, გამარჯვებასა და დამარცხებას მნიშვნელობა დაჰკარგოდა. ხელოვნების იმ დონეზე, ისინი რომ ასულიყვნენ, მხოლოდ ყოვლისმომცველი ვნებათაღელვა იღვრებოდა. მათ მოაჯადოვეს ერთმანეთი და მონუსხეს მსმენელი.

მალიბრანის ქცევაში ბედის გამოწვევას ჰგავდა ყოველი. ოპერის პრიმადონა, აზარტული მოჯირითე, მამაცი მოფარეკავე, თავგადაკლული მონადირე... ამ ყველაფერს ერთ ულამაზეს ქალურ სხეულში მოეყარა თავი. მამაკაცებს ტოლს არ უდებდა არაფერში. ხიფათსა და თავგადასავალს დაეძებდა დღემუდამ. საღამოს რომ სცენიდან ხიბლავდა მსმენელს მისი ამინას ვოკალის ანგელოზური სიანკარე, მეორე დღით ამორძალივით დააგლეჯებდა ულაყს მხარზე თოფგადაკიდული ოპერის ღვთაება. ამ

დროს, წინსწრაფვისა და თავისუფლების შეგრძნებით მთვრალი, ცხოვლად შეიგრძნობდა არაბული თუ ბოშური სისხლის სიმზურვალეს, მის სულს წუთით რომ არ აძლევდა მოსვენების ნებას. მათუსალას ასაკს გადააცილებდა, მას რომ საკუთარი ძალების ქარბორბალასავით ხარჯვა არ ყვარებოდა.

ხმა ალია სულისაო, მალიბრანზე უკეთ არავინ უწყობდა პლატონის ამ სიტყვათა ჭეშმარიტება. ამბობენ, ბეთჰოვენის მეხუთე სიმფონიის მოსმენისას გონებისდაკარგვამდე მიდიოდა. უიშვიათესი ოსტატობით ასრულებდა პარტიებს „ნორმასა“ და „სომნამბულაში“. თანამედროვეთა მოგონებებით, დაჭრილი ძუ ლომის სიმშაგით მღეროდა გავეშებული ქურუმი ქალის ფრაზას: „ამიერიდან ჩემს ხელში ხარ“.

არიან ადამიანები, ვერასდროს რომ წარმოვიდგენთ ხანდაზმულად. ან ვის რად უნდა 80 წლის მოცარტი თუ ჟერარ ფილიპი? სამაგიეროდ, ნაკლებად გვახსოვს როგორი იყო იოჰან სებასტიან ბახი, ჯუზეპე ვერდი ან შონ კონერი 20 წლის ასაკში. მარია მალიბრანი, რომელსაც პირველი ქორწინებიდან მეუღლის გვარი ერგო მხოლოდ, ვოკალური ხელოვნების ისტორიას ფენომენური ნიჭის მქონე ახალგაზრდა, თავნება ქალის სახით შემოიჩინა. არ არსებობს ზუსტი სიტყვა ან ეპითეტი მისთვის.

მალიბრანი – ამით ყველაფერი ითქვა.

მეცხრამეტე საუკუნე განებივრებული იყო დიდებული ვოკალისტებით. ტელევიზორით, ინტერნეტით, მობილურით, ნოუთბუქით, თვითმფრინავებითა თუ კოსმოსური ხომალდებით გადაუტვირთავი სამყარო, ძირითადად, ხელოვნების მიღწევებით ირთობდა თავს. საოპერო მომღერლების ურიცხვ დასში მალიბრანი შობის ვარსკვლავით გამოჩნეულად კამკაშებდა და ვერავინ აანთო „სულის ალი“ მასავით მძლავრად მეოცე საუკუნის 50-იან წლებამდე, როცა მსოფლიოს მოველინა მეორე გენიალური სოპრანო მარია კალასი. სულიერი დებივით გაუგებდნენ ერთმანეთს, ალბათ. ბერძენ დივა-ს თავისი წინამორბედის პორტრეტი არცთუ უსაფუძვლოდ ედო საწოლის თავთან.

მალიბრანი უდიდესი მუსიკალური ტრადიციების ოჯახში დაიბადა. მამა, მანუელ გარსია, პატრიარქი იყო მომღერალთა უნიკალური დინასტიისა, რომლის მსგავსი მოვლენა მსოფლიომ ჯერჯერობით არ იცის.

მუსიკალურ ნიჭთან ერთად ცეცხლოვანი ხასიათიც მამისგან გამოჰყვა ქალიშვილს. მანუელი პარიზში იძულებით გადასახლდა, რადგან ესპანეთის პოლიცია დაეძებდა დასაპატიმრებლად. თავდაცვისას ვიღაც გუშაგი შემოკვდომოდა ტემპერამენტთან ტენორს.

გოგონას დებიუტი მოულოდნელად შედგა. მას მოუწია ჯუდიტა პასტას შეცვლა „სევილიელი დალაქის“ ლონდონურ დადგამში.

ჩვიდმეტი წლისა იყო, როდესაც მამამ ოჯახი საგასტროლოდ ამერიკაში წაიყვანა. მარია პირველი ევროპელი პრიმადონა აღმოჩნდა, რომელსაც ნიუ-იორკის მსმენელმა მოუსმინა. მალიბრანის რეპერტუარს დაემატა როსინის „ოტელი“, „კონკია“, „სემირამიდა“. დეზდემონას პარტია მარიამ ერთ კვირაში დაძლია მანუელის რკინისებური რეჟიმის წყალობით. სულ მალე თავნება გოგონამ გამოსავალს მიაგნო: მამის მეურვეობისაგან თავდასახსნელად სპონტანურად მისთხოვდა ვიღაც ფრანგ ბანკირს, ექვენ მა-

ლიბრანს. უსიყვარულო ქორწინებას დიდხანს ვერ გაუძლო და 1827 წელს მარია ევროპაში დაბრუნდა, სადაც მალე უკონკურენტო დედოფლად აღიარეს მელომანებმა. ძველი სამყაროს ქალაქები ერთიმეორის მიყოლებით დანებდნენ მისი ხელოვნების შეუდარებელ მომხიბვლელობას.

პირველად პარიზი „დაეცა“. სალონური კონცერტებით წარდგა მარია საფრანგეთის დედაქალაქის მაღალი საზოგადოების წინაშე. წამსვე გავრცელდა ხმები „დამატკობელ“ ქალიშვილზე, რომელსაც აქამდე არნახული ექსპრესიულობა და არსმენილი სილამაზის ვოკალი ჰქონდა მთელ დიაპაზონზე – კონტრალტოს ქვედა -დან სოპრანოს ზედა -მდე.

ახალაღმოჩენილი სასწაულის ერთ-ერთი ანცობა იყო მკერდისმიერი დაბალი ბგერებით კრიტიკოსთა მოხიბვლა. შემდეგ, როდესაც ისინი მომღერალს მომაჯადოებელ კონტრალტოდ აღიარებდნენ, მარიას ხმა მოულოდნელად ავარდებოდა სოპრანოს უმაღლესი რეგისტრისაკენ და ბროლის ზანზალაკების სინმინდე გვარიანად აბნევედა მისი ხმის შემფასებლებს.

1829 წლის იანვარში პარიზის კონსერვატორიაში გაიმართა მალიბრანის პირველი ოფიციალური სოლო კონცერტი. ახალგაზრდა მომღერალმა მისი ფენომენის შესახებ მორული ყველა ჭორის რეალურობა დაადასტურა. ტალანტის აღმოჩენისთანავე იმპრესარიოებისაგან უთვალავი შემოთავაზება წამოვიდა. ვოკალისტმა პროფესიულ ზენიტს მიაღწია და მისი სიკამკამის ძლევა მხოლოდ სიკვდილსა შეეძლო.

მართალია, მამის დესპოტიზმს უგვან ქმართან გაექცა, მაგრამ სწორედ უმკაცრესი დისციპლინის მაღლიერი უნდად ყოფილიყო მალიბრანი. მანუელის ფანატიზმის შედეგად იზეიმა მარიამ ყველა ვოკალური ტრიუმფი, დაიხვეწა მისი მუსიკალური გემოვნება და ოსტატობა. ეს უთუოდ იცოდა ოპერის დედოფალმა. საკუთარ ხმას ისიც ისევე შეუპოვრად ავარჯიშებდა, როგორც მანუელმა მიაჩვია ბავშვობიდანვე. ვოკალური აკრობატიკა მარიას ყოველდღიურობის ატრიბუტად ქცეულიყო.

ბედისწერა იყო მალიბრანის შეხვედრა ვინჩენცო ბელინისთან: ორივე ახალგაზრდა, საოცრად მომხიბლავი, უნიჭიერესი, და ორივე სულით მემამბოხე. მაშინდელი ევროპის მუსიკალური სამყაროს ორ ყველაზე ცნობილ პიროვნებას შორის მომენტალურად გაჩნდა ყოვლისმომცველი ურთიერთაღტაცება, რაც ურყევ მეგობრობაში გადაიზარდა. ქალების მოყვარულმა ბელინიმ ვერ მოთოკა არაორდინარული პრიმადონას ხიბლით გამონველი ემოციები. მაშინვე აგორდა ჭორები სასიყვარულო ინტრიგის შესახებ, რომელსაც ისინი ბოლომდე უარყოფდნენ. თუმცა, ძველი მეგობრის – ფლორიმოსადმი მიწერილ ბარათში აშკარად იკვეთება ბელინის სურვილი მარიასთან მეგობრობაზე აღმატებული სიახლოვისა.

მალიბრანის ველური ხასიათი ყველაფერში ვლინდებოდა. ახალგაზრდა ქალის არაადამიანურად მომქანცველი ცხოვრების რიტმი სრულიად არ შეეფერებოდა მის ნაზ, სუსტ აგებულებას. საყოველთაოდ ცნობილი გახდა ვოკალისტის წრეგადასული უკიდურესობის ერთი ამბავი:

ერთხელ ნაშუადღევს, ყველა შეგონების მიუხედავად, მალიბრანი წვეულებაზე წავიდა. იმ საღამოს ურთულესი როლის შესრულება უნევედა თეატრში. როცა ბოლოს და ბოლოს საგრემიოროში გამოცხადდა კოსტუმის მოსარგებად, გული წაუვიდა სრული ფიზიკური გამოფიტვის გამო. მომღერლის უგრძნობი მდგომარეობით შემოფოთებულმა ერთმა მამაკაცმა დახმარება გადაწყვიტა და ტუჩებზე ამიაკი დაასხა. მომენტალურად გრძნობაზე მოსულმა მალიბრანმა თავისი დამსკდარი ტუჩების დანახვაზე მაკრატელს სტაცა ხელი და მომწვარი ნაწილი მოიჭრა. სცენაზე იგი დროულად გავიდა და, როგორც ყოველთვის, ფურორი მოახდინა. ეს ტიპური მალიბრანული საქციელი იყო.

25-26 წლის მარიას ვოკალურმა ტალანტმა პარიზთან ერთად დაიპყრო ლონდონი, მილანი, ვენეცია და იტალიის სხვა არაერთი ქალაქი. მას ყველგან სიმღერის დედოფლად აღიარებდნენ.

1836 წლის აპრილში მარია მეგობრებთან ერთად სანადიროდ წავიდა თავლაში ყველაზე ფიცხ ულაცზე ამხედრებულნი. ცხოველი იმაზე უფრო ველური აღმოჩნდა, ვიდრე ამორძალი ვარაუდობდა და მალე თავის ნებაზე მიაგვლეგებდა ქალს. მალიბრანს ბევრი არ უფიქრია. ერთადერთი გამოსავალი ხის ტოტზე გადახტომა იყო და ასეც მოიქცა, მაგრამ ფეხი უზანგში გაეჭვდა. ცხენმა იგი რამდენიმე მილის მანძილზე ათრია, ვიდრე მეგობრები მიაგნებდნენ დასახიჩრებულსა და თითქმის გულწასულს. მალიბრანული მანერის შესაფერისად, მარიამ ყველას დაუმალა სიმართლე თავისი ფიზიკური მდგომარეობის შესახებ. ფეხზე დადგა თუ არა, ცხოვრების ჩვეული რიტმი გააგრძელა. სინამდვილეში მისი ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა.

უკიდურესობა და აზარტი გახდა ფენომენური ვოკალისტის დაღუპვის საბოლოო მიზეზი. მალიბრანს ლონდონში უნდა ემღერა საბენეფისო კონცერტზე მეცო-სოპრანო მარია კარადორი-ალანთან ერთად. რეპეტიციაზე მომღერლები წინასწარ შეთანხმდნენ, რა ცვლილებებზე შეიტანდნენ პარტიტურაში თავთავიანთი პარტიების გასამდიდრებლად. მიუხედავად ამისა, სცენაზე გასულმა მეცო-სოპრანომ ერთ-ერთი პასაჟის მოულოდნელად გართულებული ვარიანტი შეასრულა. უკომპრომისო მალიბრანმა გამოწვევა მიიღო. მან მოწინააღმდეგის ნამღერი ფრაზა არა მხოლოდ უზადოდ გაიმეორა, არამედ



მალიბრანი

სრულყო. შემდეგ ზედა ჩ-ზე ტრელი ჩაამატა, რომელიც უსასრულოდ ხანგრძლივი გამოუვიდა. გადარეული დარბაზი ბისს გაჰყვიროდა. კულისებში გასულმა მალიბრანმა დირიჟორს, ჯორჯ სმარტს გაუმხილა, რომ კიდევ ერთხელ მსგავსი ეფექტის მოხდენა ბოლოს მოუღებდა. არამინიერი ვოკალური სილალის საფასური მეტად ძვირი იქნებოდა. გულისხმიერი დირიჟორი არწმუნებდა ოპერის დედოფალს, გამეორება საჭირო არ არის, დარბაზთან მეგავალ ვითარების გასამუხტადო, მაგრამ მალიბრანმა ღონე მოიკრიბა და, მეცო-სოპრანოს საბოლოოდ გასანადგურებლად, მსმენელი ხელმეორედ გააოგნა. ტაშის გრიალში საკაცით ნაიყვანეს გრძობადაკარგული მარია სასტუმროში. რვა დღის შემდეგ, 23 სექტემბერს დივა გარდაიცვალა. დარჩა უსაყვარლესი მეუღლე შარლ ბერიო, ჩვილი ვაჟიშვილი და ლეგენდა მისი აზარტული ცხოვრების შესახებ.

ბელგიაში ლაკენის სასაფლაოზე განისვენებს ერთ-ერთი უდიდესი და უდავოდ ყველაზე ტემპერამენტისანი საოპერო დივა, რომლის ქანდაკებისთვისაც ლამარტინმა პოეტური ეპიტაფია შექმნა:

**მის თვალეპში, სულსა და ხმაში ეღვარებდა სიყვარული, სიღამაზე და სრულყოფილი გენია.**


**ზეცამ სამჯერ უხმო მას თავისთან. დაიტირე, მიწავ, იგი და თაყვანი ეცი.**

ღამაში სიტყვებია, თუმცა არსადაა ნახსენები მოუხელთებელი „ალი სულისა“, არ იგრძნობა მალიბრანისეული უკიდევანო ვნება და ცეცხლი... არჩევანის უფლებად რომ მქონოდა, ოპერის უკვდავ სულად ანთებული ახალგაზრდა ქალის ეპიტაფიად გამოვიყენებდი ნოდარ ანდლულაძის მიერ შემოთავაზებულ დეკარტის პარაფრაზს – კანტო ერგო სუმ! უდიდესი ქართველი მაცეტროს გენიალური მიგნება ამ თავსატეხის გასაღებად მესახება, გამოცანისა – სახელად მალიბრანი...

სიურრეალისტური საწყისები ჯერ კიდევ ცხოვრებაში სდევდა თან მარიას. სიკვდილმა უფრო შეუწყო ხელი მის ზებუნებრივ შესაძლებლობათა სპექტრზე ლეგენდების მომრავლებას. ამჯერად მალიბრანი ვეღარ გამოვა სცენაზე, რომ ძველებურად დაარწმუნოს მსმენელი ყველა ჭორის რეალურობაში. თუმცა დენიელ ვასკესს სწამს, რომ საოპერო თეატრის სცენაზე „პურიტანების“ მსვლელობისას წამით გაიეღვებს მხიარული, მოუქანცავი სული და ორკესტრს გადაუფრენს მისი წკრიალა სიცილი: „ამგვარად, მალიბრანი კვლავაც ცოცხლობს, ჩემირელი კატის ღიმილივით – გაუხუნარი, დაუფინყარი“.

**„ნაჯიბ მაჰფუზი სინათლეში მიღის“**

30 აგვისტოს, 95 წლისა გარდაიცვალა თვალსაჩინო ეგვიპტელი მწერალი, ნობელის პრემიის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი არაბი ლაურეატი ნაჯიბ მაჰფუზი, რომლის რომანებიცა და მოთხრობებიც, ჩვენი არაბისტების შრომისა და მეცადინეობის წყალობით, უცხო აღარც ქართველი მკითხველისათვის არის. ხოლო ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, შეიძლება ითქვას, რეგულარულად აქვეყნებს ამ მწერლის ნოველებსა თუ მისი შემოქმედების შესახებ არაბული სალიტერატურო კრიტიკის გამოხმაურებებს.



მშობლიურ ეგვიპტეში მაჰფუზი დიდი ხანია ისეთივე ეროვნულ სიმბოლოდ აღიქმებოდა, როგორც ქვეყნის გერბი ან ჰიმნი. მას კაიროში სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი, ხოლო ნილოსზე გადამავალ ერთ-ერთ დიდ ხიდზე, სადაც დიდ მოზაიკურ პანოზე ეგვიპტის თვალსაჩინო მიღწევები გამოუსახავთ, ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ნაჯიბ მაჰფუზის პორტრეტსაც უჭირავს.

მწერლის გარდაცვალებამდე რამდენიმე კვირით ადრე ხელახლა ატყდა ხმაური მისი საინტერესო და ეგვიპტეში

აკარძალული რომანის „ჩვენუნელი ბიჭების“ გარშემო. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა როგორღაც დანერა, რომ მხცოვანი ნაჯიბ მაჰფუზი უარს ამბობდა ამ ნაწარმოების იდეასა და საერთოდ, რომანზე. ამ განცხადებას მაჰფუზის

უმწვავესი რეაქცია მოჰყვა. მწერალი პროტესტს გამოთქვამდა კრიტიკოსის მიერ არასწორად ინტერპრეტირებულ სიტყვებზე და კატეგორიულად აცხადებდა, რომ დიდი ხანია, იმ ასაკისა აღარ იყო, საკუთარი შეხედულებების გადამონმებას შედგომოდა. მითუმეტეს, უარს ვერაფრით იტყოდა რომანზე, რომელშიც თავისი იდეებისა თუ ნააზრევის მხატვრული ხორცშესხმა ყველაზე უფრო წარმატებულად მოახერხა.

სხვათა შორის, საინტერესო იქნება იმის აღნიშვნა, რომ ნაჯიბ მაჰფუზის რომანთა ჩინებულად მთარგმნელი

ქალბატონი მაია ანდრონიკაშვილი ამჟამად სწორედ მწერლის ამ რომანის თარგმანზე მუშაობს და იმედია, ქართველი მკითხველი „ჩვენუნელ ბიჭებსაც“ ახლო მომავალში იხილავს.

რაც შეეხება რომანთან დაკავშირებულ სკანდალს, ჟურნალისტები მის გამწვავებას მწერლის დაკრძალვისა-საც შეეცადნენ. საქმე ისაა, რომ ალ-ჰუსაინის მეჩეთში, სადაც, მაჰფუზის ანდერძის თანახმად, მისი სასულიერო პანაშვიდი გაიმართა, ეგვიპტის პრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქთან და სხვა სახელწიფო მოღვაწეებთან ერთად ალ-

## გამოსოვება

აზპარის რელიგიური უნივერსიტეტის რექტორი შაიხ ატ-ტანტავიც მიბრძანდა. ერთ-ერთმა უფროსმა ამ დროს ვითარებით ისარგებლა და ატ-ტანტავის „ჩვენუბენლი ბიჭებისა“ და მასთან დაკავშირებული სკანდალის თაობაზე უხერხული შეკითხვა დაუსვა. სანამ ალ-აზჰარის რექტორი რამეს უპასუხებდა, უფროსს კითხვა ეგვიპტის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მწერალმა გამალ ალიტანიმ გაანყვეტინა, უთხრა, რომ ახლა საამისო დრო არ იყო და საზოგადოებას მისი მეჩეთიდან გაძევებისაკენ მოუწოდებდა.

დაკრძალვა კი, ეგვიპტის ტრადიციათა შესაფერისად, ნამდვილ ეროვნულ გლოვად გადაიქცა. მწერალს საგანგებოდ ემშვიდობებოდა საზოგადოების ყველა ფენა, მათ შორის კაიროს ძველი და უღატაკესი უბნების – ალ-გამა-

ლიასა და ბულაკის ბინადარნი, რომელთა წარმომადგენელმაც ვრცელი გლოვის ლექსით დაიტირა მწერალი, ვინც „ამ უბანთა ღარიბი მცხოვრებლების მისწრაფებანი და ვნებანი თავის რომანებში საუკეთესოდ გამოხატა“.

მაჰფუზის კუბოს საფლავამდე წინ ექვის წმინდა სისხლის შავი არაბული ტაიჭი მიუძღვოდა, ხოლო უკან თითქმის მთელი კაირო მიაცილებდა.

ხუთშაბათსვე ეგვიპტის ყველაზე დიდმა ლიტერატურულმა ყოველკვირეულმა გამოცემამ „ახზარ ალ-ადაბ“ მაჰფუზის გარდაცვალებასა და, საერთოდ, მის შემოქმედებას საგანგებო ნომერი მიუძღვნა. გაზეთის პირველ გვერდზე მწერლის ზურგიდან გადაღებული ფოტო დაბეჭდეს, რომელსაც დიდი ასოებით აწერია: „ნაჯიბ მაჰფუზი სინათლეში მიდის.“

## უცხოური ნოველა

მარიო ბენედეტი

# გამოუსწორებელი შეცდომა

როგორც კი აეროპორტის დიქტორმა მიკროფონში გამოაცხადა, კომპანია LCA-ს 914-ე რეისი ოცდაოთხი საათით გადაიდო, სერხიო რიბერა მოუსვენრობამ შეიპყრო. მართალია, იგი ეთანხმებოდა საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს, რომ ყოველთვის სჯობს კაცმა სიფრთხილე გამოიჩინოს და დროულად შეჩერდეს, ვიდრე მერე ვითარება გართულდეს და პრობლემები შეექმნას (ეს უკვე გამოუსწორებელი შეცდომაა), მაგრამ, ასეა თუ ისე, ახლა რეისის გადადება მის გეგმებს ცვლიდა, რადგან იმ ქალაქში, სადაც თვითმფრინავი ტრანზიტით უნდა ჩაფრენილიყო, სერხიოს შეხვედრები ჰქონდა დანიშნული. გადანყვიტა, დამშვიდებულიყო და ბედს შერიგებოდა.

დიქტორი ქალი ხავერდოვანი ხმით აცხადებდა, კომპანია მგზავრებს კვებისა და სასტუმროს ხარჯებს აუნაზღაურებს და ვახშმითაც გაუმასპინძლდება სასტუმრო „ინტერნაციონალში“, რომელიც აქვე, აეროპორტის მახლობლად მდებარეობს.

სერხიოს ამ სლაურ ქვეყანაში პირველად უხდებოდა ყოფნა და სიამოვნებით დაათვალიერებდა იქაურობას. აეროპორტის ბანკი ტრანზიტ მგზავრებსაც ემსახურებოდა, მაგრამ მოუხედავად ამისა, ერთი ღამისათვის დოლარების გადახურდავება მაინც არ ღირდა. რიბერამ გზის მაჩვენებელ ისარს შეხედა და LCA-ის კომპანიის სარკმელს მიაშურა. მერე კი რიგში ჩადგა, რათა ავიაკომპანიის მასპინძლობით ესარგებლა, თან გადანყვიტა, ვახშამზე რაიმე განსაკუთრებულს არ მოვითხოვო.

თოვდა, როცა ავტობუსმა მგზავრები აეროპორტის სასტუმროსთან ჩამოსხა. სერხიოს გაახსენდა, რომ დღეს უკვე მეორედ ნახა თოვლი: პირველად ეს ნიუ-იორკში, სამიოდე წლის წინათ მოხდა, როდესაც მოულოდნელად რომელიღაცა ფირმის ხარჯზე მოუხდა მგზავრობა. ახლაც თვრამეტგრადუსიანი ყინვა იდგა. თავდაპირველად სიცივემ ყურებზე მოუჭირა, მერე კი მთელი ტანით აკანკალდა. ინანა, ცისფერი კაშხე თვითმფრინავში რომ დატოვა. კიდევ კარგი, მინის კარი მაშინვე გაიღო. რიბერა შენობაში შევიდა, იგრძნო, რომ ძალევი ისევ დაუბრუნდა და შევებით ამოისუნთქა. ახლა მასთან ერთად მისი ცოლი კლარა და ხუთი წლის ბიჭი ედუარდოც რომ ყოფილიყვნენ, თავს ნამდვილად სასიამოვნო, ოჯახურ გარემოში იგრძნობდა.

რესტორანში ორი, ოთხი და ექვსადგილიანი მაგიდები იდგა. სერხიომ გადანყვიტა ორადგილიანს მისჯდომოდა, მშვიდად ევახშმა და თან წაეკითხა კიდევ, მაგრამ ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, თავზე ვილაც მამაკაცი წამოადგა.

– თუ ნებას მომცემთ... – თქვა უცნობმა და პასუხს აღარ დალოდებია, ისე მოიკალათა სკამზე.

დაუპატიჟებელი თანამეინახე არგენტინელი აღმოჩნდა, რომელსაც ფრენისა საშინლად ეშინოდა.

– ისეთი ხალხიც მინახავს, ფრენის დროს ავგაროზებს რომ არ იშორებს. ერთი მეგობარი მყავს, თვითმფრინავში არ ჩაჯდება, ფირუზისთვლიანი ბეჭედი თუ არ უკეთია. ერთი ისეთიც ვიცი, მარტინ ფიეროს უძველეს გამოცემას მუდმივად თან რომ დაატარებს. მე კი, აი, ამის იმედი მაქვს, იაპონური მონეტებია. გაგეცინებათ, და, სან-ფრანცისკოს ერთ ჩინურ უბანში ვიყიდე. მაგრამ მაინც ვლელავ და ვერა და ვერ ვმშვიდდები. – მოახსენა უცნობმა სერხიოს. რიბერამ ჯერ რაღაც წაიდუღუნა, მერე კი საკუთარ ავგაროზებზე ჩამოაგდო სიტყვა.

– მომისმინეთ! პირადად მე კინალამ ამ ცრურწმენას შევეწირე. ფრენისას ყოველთვის თან დამქონდა კალამი, რომელშიც მელანი არ ესხა. ამას კი ორი მიზანი

ჰქონდა. ჯერ ერთი, იმის საფრთხე არ მელოდა, რომ კოსტიუმი დამესვრებოდა, და, მეორეც, მჯეროდა, რომ ვიდრე კალამი ცარიელი იყო, თმის ღერი არ შემერხებოდა თავზე. ისე მოხდა, რომ ერთ-ერთი მოგზაურობისას მელნის გადმოსხმა დამავინწყდა, მაგრამ ხომ ხედავთ, ისევე ჯანმრთელი და საღსალამათი ვარ.

თუმცა რიბერამ არგენტინელს საკუთარი ნაამბობით დიდი დაინტერესება ვერ შეამჩნია, მაგრამ მაინც დასძინა: იცით, ყველაფრის მიუხედავად, შინაგანად მაინც ფატალისტი ვარ. მჯერა, უამი რომ დაჰკრავს, უკვე სულერთია, ბოინგი ჩამოვარდება, თუ კაცს მესამე სართულიდან გადმოვარდნილი ჩაქუჩი დაეცემა თავზე.

– მართალი ბრძანებაა, – მიუგო არგენტინელმა, – მაგრამ მე მაინც ჩაქუჩს ვამჯობინებდი. ამ დროს ადამიანს გადარჩენის შანსი აქვს, დიახ, შეიძლება ილიოტად დარჩეს, მაგრამ მაინც დარჩეს.

არგენტინელს დესერტი არ დაუმთავრებია (ნაიბუტბუტა, ვინ თქვა, რომ ევროპაში შოკოლადის მუსის დამზადება იციანო), ისე მიაშურა თავის ოთახს. რიბერა კითხვის გუნებაზე აღარ იყო და, ვიდრე თურქულ ყავას მოუტანდნენ, სიგარეტს მოუკიდა. რესტორანში ერთხანს კიდევ შეყვინდა, მაგრამ მალე შეამჩნია, რომ თითქმის ყველა მაგიდა დაცარიელებულიყო და აქ მარტო ჯდომას სასტუმროს მეორე სართულზე, თავის ოთახში ასვლა არჩია.

რაკი კაშნესთან ერთად პიჟამაც ჩემოდანში დაეტოვებინა, საცვლებით მოუხდა დანოლა. ინტერესით შეუდგა კითხვას, მაგრამ ავატა კრისტიმ იმაზე ადრე ახადა საიდუმლოს ფარდა, ვიდრე რიბერას ძილი მოერეოდა. გვერდების მოსანიშნად წიგნში თავისი შვილის, ედუარდოს, ფოტო ჩადო: შორეული ელ პინარის დიუნზე შემდგარი ბიჭი სურათიდან გადამდებად ილიმებოდა. სერხიომ ლამის ლამპა ჩააქრო და რადიო ჩართო. ვილაცა გამკვივანი ხმით რომელიღაც უგვან ენაზე ლაპარაკობდა და რიბერა იძულებული გახდა რადიოც გამოერთო.

ტელეფონმა დარეკა. სერხიომ სიბნელეში ხელის ცეცებით მიაგნო ყურმილს. უცნობი ხმა ინგლისურად მიესალმა, მერე კი აცნობა, უკვე 8 საათიაო, და გააფრთხილა, 914-ე რეისის მგზავრები ათის ნახევარზე სასტუმროს ჰოლში უნდა შეიკრიბოთ, რადგან თქვენი რეისი თერთმეტ საათსა და ოცდაათ წუთზეა გამოცხადებული. რიბერას ჯერ კიდევ ჰქონდა დრო, აბაზანა მიეღო და ესაუზმა. არ სიამოვნებდა იგივე საცვლები რომ უნდა ჩაეცვა, რითაც მონტევიდეოდან ჩამოვიდა. ახლა წვერს იპარსავდა და იმაზე ფიქრობდა, როგორ უნდა შეეცვალა კვირის მანძილზე დაგეგმილი შეხვედრები – დღეს სამშაბათია, 5 რიცხვი, – თქვა თავისთვის. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, შეხვედრები პრიორიტეტების მიხედვით დაენიშნა. ამ დროს არც პრეზიდენტის მითითებებს ივინყებდა, რომელმაც გააფრთხილა: გახსოვდეთ, რიბერა, თქვენი კარიერა იმაზეა დამოკიდებული, როგორ წავა Sapex-ის ხალხთან მოლაპარაკების საქმე. – და სერხიომაც გადაწყვიტა,

რამდენიმე არცთუ დიდად მნიშვნელოვანი შეხვედრა გადაედო და ძალები ოთხშაბათი საღამოს შეხვედრისათვის დაეზოგა. მოლაპარაკება Sapex-ის კომერსანტებთან ჰქონდა დანიშნული, მერე კი შესაძლოა, იმ კაბარეშიც წაეყვანათ, სადაც ორი წლის წინათ, მისი კოლეგა, წუნკი პერეირა, აგრერიგად მოეხიბლა სტრიპტიზის სენასს.

მარტომ ისაუზმა. ზუსტად ათის ნახევარზე სასტუმროს წინ ავტობუსი გაჩერდა. ახლა უკვე გუშინდელზე მეტად თოვდა. ყინვა გაუსაძლისი ხდებოდა. რიბერა აეროპორტის ფართო ფანჯარას მიუახლოვდა; დიდხანს გასცქეროდა LCA-კომპანიის თვითმფრინავს და მის გარშემო მოფუსფუსე რუხტანსაცმელიან მომსახურე პერსონალს. პირველის თხუთმეტ წუთზე დიქტორმა გამოაცხადა: LCA-კომპანიის 914-ე რეისი სამი საათით ისევ გადაიდოო, და იქვე დასძინა, კომპანია რესტორანში კვლავინდებურად გადაიხდის მგზავრების სადილის ხარჯებსო. რიბერა სასონარკვეთილებამ შეიპყრო. თითქოს კრიჭა შეეკრაო. ნერვიულობის დროს პირღებინება ეწყებოდა ხოლმე და ახლაც ორჯერ აერია გული, მერე LCA-ს სარკმელთან რიგში ჩადგა ჩეკის ასაღებად. ოთხის ნახევარზე ავისმომასწავებელმა ხმამ შესაშური სიმშვიდით ისევ გამოაცხადა, ტექნიკური გაუმართაობის გამო LCA-კომპანია იძულებულია, 914-ე რეისი ხვალ პირველის ნახევრამდე ისევ გადადოსო. რიგს მგზავრების აღშფოთებულმა ჩურჩულმა გადაუარა. რიბერას განაფულ სმენას გარკვევით ჩაესმა: „ეს აუტანელია“, „რა სირცხვილია“, „რა უპატივცემულობაა“. აქა-იქ ბავშვების ტირილი გაისმა. ერთი თითქმის გადაფიჩინდა. არგენტინელი შორიდან აკვირდებოდა რიბერას, თავს და ტუჩებს უცნაურად ამოძრავებდა. თითქოს ეუბნებოდა: აბა, ერთი, ამაზე რაღას იტყვიო. სერხიოს გვერდით ვილაც ქალმა აღშფოთებით შესძახა: ბარგი მაინც დაებრუნებინათ ჩვენთვისო.

და არცა დიქტორმა კვლავ გამოცხადა, LCA თავის თავზე იღებს ვახშმის, სასტუმროს ოთახისა და საუზმის ხარჯებსო, სერხიომ იგრძნო, რომ სიბრაზისაგან სუნთქვა შეეკრა. კომპანიის თანამშრომელი გოგონა, რომელიც LCA-ს ჩეკებს არიგებდა, იძულებული გახდა მგზავრების სულელურ და უაზრო კამათში ჩაბმულიყო, რათა დაემომინებინა ისინი. რიბერამ გოგონას ზიზღნარევი ღიმილით ამაყად ჩამოართვა ჩეკი; მოეჩვენა, რომ ქალმა სწრაფი მზერა ესროლა და ამ შურისმაძიებლური, თუმცა ტაქტიანი საქციელისათვის თითქოს მადლობა გადაუხადა.

ადამიანების გაღიზიანება და აღშფოთება გადამდები ხდებოდა. სერხიო სავანშმოდ ოთხადგილიან მაგიდას მიუჯდა.

– დახვრეტასაც კი არ ვაკმარებდი მაგათ, – თავშეკავებით განაცხადა ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელსაც პარიკი გვერდზე მოქცეოდა და საჭმელს გამაღლებით ლეჭავდა. რიბერას პირდაპირ ვილაც კაცმა ცხვირის მოსახოცად დინჯად გაშალა ცხვირსახოცი. მერე ხელსაწმენდი აიღო და უღვაშები მოინმინდა.

– ის მაინც არ შეუძლიათ, სხვა თვითმფრინავით რომ გაგვიშვან? – კვლავ წამოიწყო ქალმა. – ძალიან ბევრნი ვართ. – მიუგო ცხვირსახოცის მფლობელმა. ახლა რიბერამაც გადანყვიტა საუბარში ჩარეულიყო: ზამთარში ფრენა სწორედ ამიტომ არის რთული, თქვა და უმალ მიხვდა, ეს აზრი დიდი ორიგინალურობით არ გამოირჩეოდა. ლაპარაკის დროს ქალს პირიდან დორბლები სცვიოდა:

– რამდენადაც ვიცი, კომპანიას ამინდთან დაკავშირებით ჩვენთვის არაფერი არ უცნობებია.

– დაფიქრებულხართ კი მაინც, რომ შეიძლება საქმე ძრავის გაუმართაობას ეხებოდეს? – პირველად ალაპარაკდა მაგიდასთან მჯდომი მეოთხე მგზავრი (რომელსაც უხეში გერმანული აქცენტი ჰქონდა).

– ერთ-ერთმა ბორტგამცილებელმა გარკვევით თქვა, რადიომონყობილობაა დაზიანებულიო;

რიბერამ ეს ვარიანტიც შესაძლოდ მიიჩნია და თქვა: კი ბატონო, თუ ეს მართლა ასეა, მაშინ რეისის შეჩერებას უკვე მოეძებნება ახსნა, არაო?

ცოტა მოშორებით, რესტორანის მეორე მხარეს, არგენტინელი ყესტებით რალაცას ორატორობდა. რიბერა მიხვდა, რომ იგი კომპანიის სალანძღავად სიტყვებს არ იშურებდა.

ფინჯანი ყავის შემდეგ სერხიო უკვე ლიფტთან მდგარ სავარძელში იჯდა. მეშვიდე სართულზე ხალხი შეკრებილიყო. სასტუმროს მკვიდრთა გარდა იქ ქუჩიდან შემოსულ ადამიანებსაც ნახავდით.

ირგვლივ საოცარი მხიარულება სუფევდა. ახალგაზრდები გარდერობში ტოვებდნენ პალტოებს, ქუდეებს, კაშნეებს. რამდენიმე მათგანი ლიფტს ელოდებოდა. ვაჟები ელეგანტურ, შავ ტანისამოსში გამოწყობილყვნენ, გოგოები კი – თხელ სადღესასწაულო კაბებში. დროდადრო მხიარული წყვილები ლაპარაკ-ლაპარაკით ჩამოირბენდნენ კიბეზე. რიბერას გული სწყდებოდა, რომ არ იცოდა მათი თავშეყრის მიზეზი. მაგრამ უეცრად მიხვდა, რომ სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა და თანაც სრულიად მარტო. ძალიან მოუნდა ახალგაზრდებს გამოლაპარაკებოდა, ვინმეს მისთვის კვესი ეთხოვა ან გაუგებარ ენაზე, თავშესაქცევად რალაც ეკითხა მაინც. ყველა მხიარულობდა, იცინოდა და სერხოსათვის უცნობ, კოდირებულ ენაზე ლაპარაკობდა. დათრგუნული და საკუთარი თავით უკმაყოფილო რიბერა სასტუმრო ოთახში ავიდა. მისი ნომერი ამჯერად მერვე სართულზე იყო. ტანთ გაიხადა და ლო-

გინში ჩაწვა. მერე დაგვეგმილი შეხვედრების ნუსხა აილო შესამონმებლად; აღმოჩნდა, რომ რალაც-რალაცები უნდა შეეცვალა. და იქვე სამ ადამიანთან დაგვეგმილი შეხვედრის თარიღი ჩაინიშნა: კონველდი, ბრუნელი და ფრიედი. მეოთხეს ჩაწერაც უნდოდა, მაგრამ გვარი მეხსიერებიდან მთლიანად წაშლოდა და ისლა ახსოვდა, რომ იგი ე-ზე იწყებოდა. მალე ამ გაუთვალისწინებელმა გულმავიწყობამ ისე მოაბეზრა თავი, შუქი ჩააქრო და დაძინება სცადა, მაგრამ დიდი ხნის წვალების შემდეგ მიხვდა, რომ ერთ-ერთი ის უძილო ღამე მეორედებოდა, რამდენიმე წლის წინათ სატანჯველად რომ ექცა.

ყველა სიკეთესთან ერთად წასაკითხიც აღარაფერი ჰქონდა. აგატა კრისტის მეორე ნაწილი თვითმფრინავში დარჩა. მერე ფიქრი ედუარდოზე გადაიტანა და უცებ გააცნობიერა, რომ ოცდაოთხი საათის განმავლობაში ცოლი ერთხელაც არ გახსენებია, გადანყვიტა, ახლა კი ჩავთვლემო, და თვალები დახუჭა. როდესაც გამოეღვიძა, იფიქრა, სულ სამიოდე წუთი მეძინაო, მაგრამ უკვე ექვსი საათი იყო, ტელეფონმა რომ დარეკა და ინგლისურ ენაზე აცნობა, ავიაკომპანიის ავტობუსი მგზავრებს თორმეტ საათსა და თხუთმეტ წუთზე აეროპორტში ნაიყვანსო.

რიბერა აღშფოთებული იყო, რომ საცვლების გამოცვლა არ შეეძლო. გადანყვიტა, აღარ ვიბანავებ და მხოლოდ კბილებს გავიხეხავო.

დისკომფორტის მიუხედავად, ხალისიანად ისაუბმა. მერე ჯიბიდან კომპანიის ჩეკი ამოიღო და ყვავილებიანი სამაქრის ქვეშ კმაყოფილებით ამოღო.

LCA-ის ხარჯზე მირთმეული სადილის შემდეგ რიბერა ტუალეტის წინ, ფართო სავარძელში ჩაჯდა (იქ სხვას აღარავის მოუნდომებია დაჯდომა). უეცრად პატარა გოგონა შენიშნა. ქერა თმა და ჭორფლიანი სახე ჰქონდა, ხელში თოჯინა ეჭირა. ხუთი წლისა იქნებოდა. გოგონა სერხოს წინ გაჩერდა და თვალეილება დაუნყო.

– რა გქვია? – ჰკითხა გოგონამ მშვენიერი ლიტერატურული გერმანულით.

სერხოს არ უნდოდა თავისი უცხოური სახელის თქმა და გაჩუმება არჩია, მაგრამ უცებ გადაიფიქრა და უთხრა, კარლი მქვიაო.

– ოჰო, მე კი გერტრუდა მქვია, – მიუგო ბავშვმა.

– შენს თოჯინას რალა ჰქვია? – დაინტერესდა რიბერა.

– ლოტე, – უთხრა გერტრუდამ.



მხატვარი ინა ჭელიძე

ახლა მათ მეორე ქერათმიანი გოგონა მიუახლოვდა. ხელში მასაც თოჯინა ეჭირა.

– ეგ თოჯინა თვალხუჭუნაა? – ფრანგულად ჰკითხა ქერათმიანმა გერმანელ გერტრუდას.

სერხიომ შეკითხვა გერმანულად თარგმნა, მერე კი ახალმოსულს პასუხი ფრანგულად გაუმეორა. დიახ, ლოტე თვალხუჭუნა იყო. რიბერამ ისიც შეიტყო, რომ ფრანგ გოგონას მადლენი ერქვა, მის თოჯინას კი ივეტი. სერხიომ სიტყვასიტყვით გადასცა გერტრუდას, რომ ივეტი თვალებს ხუჭავდა და „დედასაც“ წარმოთქვამდა. მერე შოკოლადზე, კლოუნსა და კიდევ სხვა საკითხებზეც ისაუბრეს. რიბერა ნახევარ საათს მუშაობდა თარჯიმნად, თუმცა ეს ორი არსება მას აინუნში აღარ აგდებდა. სერხიო ბავშვებს გუნებაში თავის შვილს ადარებდა, ბოლოს დაასკვნა, რომ ობიექტურად ედუარდო მათ არაფრით არ ჩამოუყარდებოდა და კმაყოფილმა შვებით ამოისუნთქა.

უცებ მადლენმა გერტრუდას ხელი გაუნოდა. გერმანელმა გოგონამ ჯერ უკან დაიხია, მერე გადაიფიქრა და ფრანგს ხელი ჩაჰკიდა. მადლენმა სიხარულისაგან შეჰკივლა; გერტრუდას კი ცისფერი თვალები კმაყოფილებით უბრწყინავდა. ამ წუთიდან მათ თარჯიმანი აღარ სჭირდებოდათ. ლოტეს და ივეტის „დედიკოებმა“ ხელი ხელს ჩაკიდეს და ისე მიეფარნენ თვალს, რომ არც კი დამშვიდობებიან იმას, ვინც მათ გამო ასე გაისარჯა.

– კომპანია LCA გაცნობებთ: იმის გამო, რომ ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა ტექნიკური პრობლემების გადაჭრა, რეისი 914 ხვალამდე გადაიდო, – გამოაცხადა დიქტორმა გუშინდელზე ნაზი ხმით, მაგრამ ამ ხმამ დაზაფრული ხალხის ყურადღება კიდევ უფრო დაძაბა.

რიბერა თვითონაც გაკვირვებული დარჩა, ისე სწრაფად აღმოჩნდა კომპანიის სარკმლის წინ და ადგილის დაკავება შეეცადა. რიგში საუზმის, ბინისა და ვახშმის პრეტენდენტები იდგნენ. მიუხედავად სისწრაფისა, სერხიო მერვე აღმოჩნდა. კომპანიის თანამშრომელმა უკვე ნაცნობი ჩეკი რომ გაუნოდა, რიბერას ისეთი გრძნობა დაეფულა, თითქოს მშობლიურ „ანონიმურ საზოგადოებაში“ დაანინაურეს, ან გამოცდიდან გაათავისუფლესო. მერე უბრალოდ გაიფიქრა, შეიძლება ამ ჩემი თბილი პალტოს იმედი მქონდესო. ვახშამი რომ დაასრულა (არაჟანი სატაცურით, შნიცელი, კრემიანი მარწყვი და საუკეთესო ლუდი, რაც კი ოდესმე დაუღევია), უცებ მიხვდა: ეს აუხსნელი კმაყოფილება იმით იყო გამოწვეული, რომ ყველა შეხვედრა ჩაეშალა. იქვე მდგარ არგენტინელს გამოელაპარაკა, მაგრამ ამ კაცს ფრენის უსაფრთხოების გარდა არაფერი არ აინტერესებდა. რიბერა ლელავდა, დაღლილობა იგრძნო და მეხუთე სართულზე, სასტუმროს ნომერში განმარტოება არჩია.

ოთახში შეხვედრების განრიგის შეცვლა მოინდომა, ნუსხას დახედა და უცებ მიხვდა, რომ ამ ხალხიდან ორი სახელიდა ახსოვდა: ფრიედი და ბრუნელი. საკუთარმა გულმავნიწყობამ საოცრად აღაფრთოვანა, მერე კი ისე ახარხარდა, რომ სანოლმა ზანზარი იწყო. გაუკვირდა,

ხმაურს მეზობელი ოთახიდან პროტესტი რომ არ მოჰყვა. სერხიომ სცადა თავი ენუგეშებინა. თვითმფრინავში დარჩენილ ჩემოდანში ბლოკნოტი ეგულებოდა, რომელიმე გვარები, მისამართები და ტელეფონის ნომრები ჰქონდა ჩანერილი. მკვირცხლად შეძვრა ბამბით გაქმნილი, უცნაური საბნის ქვეშ, ზედ ლილეები რომ ჰქონდა დაკერებული და საოცარი ნეტარება იგრძნო. სწორედ ისეთი, ბავშვობაში ანდა ზამთრობით სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ რომ განიცდიდა ხოლმე. საბნის ქვეშ მოიკუნტა, მაგრამ ვიდრე ჩაეძინებოდა, თვალი კიდევ ერთხელ შეავლო ედუარდოს ფოტოს (ბიჭს პატარა ვედრო ეჭირა ხელში და ილიმებოდა). მალე ძილი ისე მოერიო, კლარა აღარც გახსენებია. დილით, ლამის არის, ნაზი მზერა შეავლო უკვე მთლად შეღახულ საცვლებს (განსაკუთრებით ნიფხვისა და მაისურის კიდევები გაჭუჭყიანებოდა). ბედს შეგუებულმა იზანავა, მაგრამ ჯიუტად გადაწყვიტა, კბილებს არ გაეიხეხავო. მერე ისევ დანვა და აღარ განძრეულა, ვიდრე ტელეფონი დარეკავდა. ხუთი წუთი ჩაფიქრებული იჯდა. უნდოდა ელიარები-ნა, რომ კომპანიამ შეფერხებულ მგზავრებს ზარალი მართლაც რომ გულუხვად აუნაზღაურა. – ამიერიდან მუდამ LCA-თი ვიფრენ. – ნაბუტბუტა თავისთვის და ცრემლი მოერიო. გონს რომ მოეგო, თვალში კალენდარი მოხვდა, რომლისთვისაც მანამდე ყურადღება არ მიუქცევია. ხუთშაბათი დღისა და შვიდი რიცხვის ნაცვლად კალენდარზე სამშაბათი და თერთმეტი რიცხვი იყო აღნიშნული. თითებზე გადათვალა და ბოლოს გადაწყვიტა, კალენდრის ეს გვერდი ალბათ სხვა წელს, ან სხვა რიცხვს აღნიშნავსო, და უმალ მიხვდა, რომ სოცქვეყნების ბიუროკრატიაზე მაინცდამაინც კარგი აზრისა ვერ იყო. სერხიომ რესტორანში ისაუბრა, მერე კი, ავტობუსით აეროპორტში მივიდა. იქ უკვე ნამდვილი ქარიშხალი მძვინვარებდა: ვილაც ჩილელი და ესპანელი თავიანთი ოჯახებთან და თვითმფრინავის შეფერხების გამო ხმაშალა პროტესტს გამოთქვამდნენ. ჩვენი ჩვილებისათვის ან საფენები მოგვეცით, ანდა ჩემოდნები დაგვიბრუნეთ, თვითმფრინავში რომ დავტოვეთო.

LCA-ს თანამშრომელი ქალი ცდილობდა ლაკონური პასუხებით დაეცვა თავი. მგზავრებს აუხსნა, კომპანიის ხელმძღვანელები ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რომ თვითმფრინავის უნებლიე შეფერხებით გამონვეული პრობლემა გადაჭრანო. დიახ, ამ უნებლიე შეფერხებას ვერავინ ვერ გაითვალისწინებდა!

უნებლიე შეფერხება! სერხიოს ამ ორი სიტყვის გაგონებაზე ნელ-ნელა გონება გაუნათდა. იქნებ ცხოვრებაში ყოველთვის სწორედ იმ შეგრძნებას ეძებდა, რომელსაც ახლა მის გარშემო მომხდარი ამბები იწვევდა მასში?! სისწრაფის, დიახ, კარგად გააზრებული მუდმივი სისწრაფის განცდა, რომელიც მთელი ცხოვრება ანუხებდა და ქვეცნობიერად თანახმაც კი იყო, რომ ყველგან უნესრიგობა და ქაოსი გამეფებულიყო. თვალი შეავლო აეროპორტის ფრინშებს, რომლებიც სხვადასხვა ენაზე გვაუწყებდნენ: Sortie, Arrius, Ausgang, Douawe, Depattures, Cambio, Herrew, Charge, Ladies, Verbotew, Transit, Snack, Bar.

დიქტორი ქალი დროდადრო აცხადებდა ფრენის განრიგს, მაგრამ LCA-ს 914-ე რეისი არც ერთხელ აღარ უხსენებია, რომლის თვითმფრინავიც მექანიკოსებითა და გრძელი შლანგებით გარშემორტყმული ჯიუტად იდგა ასაფრენ ბილიკზე. ჯიპის მარკის მანქანებით მოჰყავდათ მექანიკოსები, მოჰქონდათ ჭანჭიკები და ხრახნები. ვილაც განკარგულებებს იძლეოდა.

– ეს ნამდვილი საბოტაჟია, დიახ, საბოტაჟი. – ბურდლუნ-ბურდლუნით ჩაიარა ზორბა იტალიელმა, რომელიც თვითმფრინავით პირველად მგზავრობდა. რიბერამ ამჯერად მეტი წინდახედულობა გამოიჩინა და LCA-ს სარკმელთან იქამდე მივიდა, ვიდრე დიქტორი უნებლიე შეფერხების შესახებ ინფორმაციას ერთხელ კიდევ გადმოსცემდა. ასე სერხიოს პირველს მოუწევდა რიგში ჩეკის აღება. ხელიხელჩაკიდებულმა გერტრუდამ და მადლენმა რიბერას ცხვირწინ ჩაუარეს, ოლონდ ამჯერად თოჯინები აღარ ეჭირათ. ისინიც სერხიოს მსგავსად ბედს შერიგებოდნენ. – ნეტა ეს ჩემი ნაცნობი ბავშვები არიან? ქერათმიანი ევროპელები როგორ ჰგვანან ერთმანეთს. – გაიფიქრა რიბერამ. ახლა უკვე იცოდა, რომ არანაირ შეხვედრაზე აღარ აგვიანდებოდა. შეეცადა შეხვედრების ნუსხიდან რომელიმე გვარი, ან თუნდაც სახელი გაეხსენებინა, მაგრამ ამოღ. ცოტა ხანში თავს ისევ ძალა დაატანა, მაგრამ არც ერთი აღარ ახსოვდა. იქვე კალენდარი შეამჩნია, მაგრამ ზედ აღნიშნული თარიღი (ორშაბათი 7) იმდენად აბსურდულად მოეჩვენა, რომ გადაწყვიტა, ამისათვის ყურადღება აღარ მიექცია. სწორედ ამ წუთში აეროპორტის ფართო ჰოლში ეს-ესაა ჩამოფრენილი რეისის მგზავრები შემოვიდნენ. რიბერას ყურადღება ბიჭმა მიიპყრო, ვილაც გოგონას თანხლებით რომ მოდიოდა. იმ წუთში სერხიოს თითქოს ნაცნობი, ძლიერი გრძნობა დაეუფლა. ახალგაზრდებმა წინ ისე ჩაუარეს, რომ მისთვის არც კი შეუხედავთ. გოგოს მწვანე ველვეტის შარვალში და შავი ფეხსაცმელი ეცვა, ბიჭი ბარის დახლთან მივიდა და ფორთოხლის ორი წვენი მოითხოვა. რიბერას, რომელსაც თითქოს ჰიპნოზის სეანსი ჩაუტარესო, ფეხები მოეკვეთა; იქვე სავარძელში ჩაჯდა.

– ჩემმა ძმამ მითხრა, აქ ერთ საათზე მეტს არ გაჩერდებითო, – თქვა გოგონამ.

– ერთი სული მაქვს, როდის ჩავალთ. – თქვა ბიჭმა და ტუჩები ცხვირსახოცით მოინმინდა.

– მეც, – მიუგო გოგონამ.

– აბა, ვნახოთ, თუ მომწერ. მინდა შევხვდეთ, მაშინ უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს.

– მოდი, ახლავე გავცვალოთ მისამართები, – თქვა გოგონამ და წითელი ბლოკნოტი გადაშალა. ბიჭმა კალამი ამოიღო. რიბერამ, რომელიც სულ რაღაც ოციოდე მეტრში, გაუწმინდად იჯდა, ტუჩები მაგრად მოკუმა.

– ჩაიწერე! – უთხრა გოგომ – მარია ელენა სუარესი. კონინგშტრასე 21, ნიურენბერგი; ახლა შენც მითხარი!

– ედუარდო რიბერა. ლაზერგასე 9, ვენის III.

– რამდენ ხანს აპირებ აქ დარჩენას? – ჰკითხა გოგომ.

– ჯერჯერობით ალბათ ერთი წელი, – მიუგო ბიჭმა. – რა ბედნიერი ხარ. მამაშენი ალბათ არ არის ამის წინააღმდეგი.

ბიჭმა ისევ რაღაც თქვა, მაგრამ სერხიოს მისი სიტყვები აღარ გაუგია, რადგან სწორედ ამ დროს დიქტორმა (ეს იმავე ქალის ხმა იყო, ოლონდ ამჯერად უცნაურად ენერგიული) გამოაცხადა:

– LCA გაცნობებთ, რომ ტექნიკური მიზეზების გამო რეისი 914 დილამდე გადაიდო.

ამ ინფორმაციის შემდეგ რიბერამ უკვე შეძლო ბიჭის სიტყვების გარჩევა:

– გარდა ამისა, ის მამაჩემი კი არა, მამინაცვალაა. მამაჩემი რამდენიმე წლის წინათ ავიაკატასტროფაში დაიღუპა.

ესპანურიდან თარგმნა  
მაკა გომოლასვილა

მსოფლიოში უმსხვილესი  
მცურავი ნიგნის ბაზრობა

აზიელ ბიბლიოფილებს, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ეგზოტიკური ადგილების მონახულების მოყვარულთ ახლა უკვე შეუძლიათ იტრაბახონ თავიანთ ბიბლიოთეკაში ისეთი ნიგნის არსებობით, უჩვეულო, მსოფლიოში არნახული ნიგნის ბაზრობაზე რომ შეიძინეს – საუკუნის კბილა გემის ბორტზე.

პარასკევს მალაიზიის პორტ კლანგში ჩამომდგარი, 1914 წელს აგებული გემის „დულოსის“ გემბანმა მსოფლიოში უმსხვილეს ნიგნის ბაზრობას უმასპინძლა. აქ წარმოდგენილი იყო 500 000-მდე გამოცემა სხვადასხვა ენაზე.

„გასაყიდად შემოთავაზებულ ნიგნთა შორისაა ლიტერატურა ხელოვნების, ფილოსოფიის, კულინარიის შესახებ, სამეცნიერო-ტექნიკური თუ პოპულარულ-სამეცნიერო გამოცემები, ცნობარები, ასევე საბავშვო ნიგნები“ – აღინიშნა გემბანზე გამართულ ბრიფინგზე.

მისი თქმით, ტერმინალში მდგარი გერმანული ნაგებობის გემის ეკიპაჟი 320 კაცისაგან შედგება და თანაც ყველა მათგანი კაპიტნიდან იუნგამდე, არიან მოხალისენი საქველმოქმედო მოძრაობისა, რომელიც მთელს მსოფლიოში სხვადასხვა ჰუმანიტარულ პროგრამებს წარმოადგენს.

„დულოსზე“ წარმოდგენილია ჩემთვის ცნობილ ეკიპაჟთან ყველაზე ინტერნაციონალური გუნდი – გემზე 45 ქვეყნის წარმომადგენელი მსახურობს. ბოლო 30 წლის განმავლობაში გემმა ყველა კონტინენტი მოიარა, და ევროპის, ამერიკის, აზიის, აფრიკისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების ასობით პორტში ჩაუშვა ლუზა. ჩვენი მონაცემებით მას 18.000.000 ადამიანი ეწვია გემბანზე პერიოდულად ორგანიზებულ საქველმოქმედო გამოფენებისა თუ ბაზრობების მსვლელობისას“ – აღინიშნა პრეს-სამსახურის თანამშრომელმა.

ნიგნების გაყიდვით მიღებული თანხები საქველმოქმედო მიზნებისათვის გაიხარჯება, ნაწილი კი დამანგრეველი ცუნამისაგან დაზიანებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონების მშვიდობიანი ცხოვრების აღდგენას მოხმარდება.

გამოჩენილი სირიელი მწერალი, რომელიც «ცხოვრების საშინელებათა და სიმშვენიერეთა მომღერლის» სახელითაა ცნობილი, 1931 წელს დაიბადა დამასკოში. მის ნოველებში წარმოდგენილია დღევანდელი მრავალფეროვანი არაბული სამყარო, რომელშიც ისეთი საჭირობო პრობლემების გამოძახილი ისმის, როგორცაა ომი და მშვიდობა, უნიგნურობასა და ცრურწმენასთან ბრძოლა, ქალის უუფლებო მდგომარეობა, მოზარდი თაობის აღზრდა. მწერლის ენა სადაა და მოკლებულია არაბულ მაღალფარდოვნებას. ადამიანის შინაგანი სამყაროს გახსნის ღრმა ფსიქოლოგიზმს მწერალი მწირი ლიტერატურული საშუალებით აღწევს. თამირის სტილის თავისებურება ისაა, რომ ფართოდ იყენებს ალევორიებს, ქარაგმებს. ნათელ იმედად მოჩანს მის ბევრ ნოველაში მზის სახე, რომელიც ასე უყვარს მწერალს. რეალურ თხრობაში გაბედულად შემოაქვს ზღაპრის, ფანტასტიკის ელემენტები. ეს ხერხი ახალია არაბულ ლიტერატურაში.

1975 წელს ბეირუთის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე პირველი პრემია მიიღო მისმა საბავშვო კრებულმა „სახლი“, რომელიც იუნესკოს რეკომენდაციით ყველა ევროპულ ენაზე გამოიცა.

კულტურის დარგში მიღწევებისთვის 2002 წელს მიიღო „ალ-უვეისის“ პრესტიჟული პრემია, რომელსაც აღმოსავლეთის ნობელის პრემიას უწოდებენ.

ზაქარია თამირი

# მინიატურები

## ბრალდებაული

ზორბა ტანის პოლიციელმა სასაფლაოზე შეაბოტა. რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი გადადგა თეთრ საფლავებს შორს. ერთ წამს დაბნეული იდგა. მერე გაბმული ხმით დაიძახა: ომარ ხაიამ! არავინ შეხმინანებია. ჯიბიდან თეთრი ჭუჭყიანი ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირი მოიხოცა, დაგრაგნა, ჯიბეში ჩაიღო და ბრახიანი ხმით იყვირა: ომარ ხაიამ... ომარ ხაიამ... სასამართლოში გიბარებენ. არავის უპასუხია. პოლიციელმა სასაფლაო დატოვა და საფუშავოზე დაბრუნდა. იქ პატაკი დაწერა. აღწერა, რაც მოხდა და დაასაბუთა, რომ ომარ ხაიამმა სასამართლოში გამოცხადებაზე უარი თქვა. პატაკი უფროსებს წარუდგინა. მათ გაცეცხისა და უქმყოფილებისაგან სახე მოეღუშათ. განკარგულებები გასცეს და რამდენიმე პოლიციელმა, წერაქვებითა და ნიჩბებით ხელში, უმალ სასაფლაოს მიაშურა. გათხარეს ომარ ხაიამის საფლავი. მიწიდან მომჩვარული, მტვრიანი, გახრწნილი სხეული ამოიღეს და ხელით მიიტანეს სასამართლო დარბაზში, სადაც ის მოსამართლის წინაშე წარსდგა.

მოსამართლემ მშვიდი და დარბაისლური ტონით მოახსენა: შენ, ომარ ხაიამ, ბრალად გედება ლექსების წერა, სადაც ხოტბას ასხამ ღვინოს და მის სმას ქადაგებ. იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნები ეკონომიკურ დამოუკიდებლობას ესწრაფიან და მათი კანონები უცხოური საქონლის შემოტანას კრძალავს, იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყნებში ღვინის ქარხნებზე მოთხოვნილებაა – შენი პოეზია იმპორტის მოთხოვნის ნამქვებულად ითვლება. ამას კი კანონი შეუბრალებლად სჯის. გამოტყდები და აღიარებ შენს დანაშაულს? რატომ არ პასუხობ? ილაპარაკე! დუმილი დამამძიმებელია. კეთილი. შენი დუმილი იმის მომასწავებელია, რომ ბრალდებას უარყოფ. მაშინ ჩვენ შევეცდებით ახლავე დავადგინოთ, უდანაშაულო ხარ თუ დამნაშავე. მართლმსაჯულება – ესაა ჩვენი მიზანი. ჯერ ერთი... ვინც ლექსებს წერს, აუცილებელია გამართულად წერდეს და კითხულობდეს. შენ კარგი წე-

რა-კითხვა იცი? არ აღიარებ? მაშინ მოწმეებს ვუხმობთ.

პირველი მოწმე (ნიგნების მალაზიის მეპატრონე): ბრალდებული ბლომად ყიდულობდა ნიგნებს ჩემს მალაზიაში.

მოსამართლე: რა სახის ნიგნებს ყიდულობდა?

პირველი მოწმე: ყოველნაირს, მაგრამ სიყვარულზე – უპირატესობას ანიჭებდა.

მოსამართლე: ოჰო! ოჰო! მამასადამე, მოსწონდა ნიგნები სექსზე? წყალობას მიაგებს უფალი ზნეობას. მითხარი, პოლიტიკურ ნიგნებს თუ ყიდულობდა?

პირველი მოწმე: პოლიტიკური ნიგნები?! ვფიცავ, დღემდე თითი არ დამიკარებია პოლიტიკური ნიგნისთვის. შეიძლება სხვა მალაზიაში ყიდულობდა.

მოსამართლე: ესე იგი ნიგნებს ყიდულობდა?!

პირველი მოწმე: თეთრ ქალაქსა და კალმებსაც.

მოსამართლე: ღმერთო დიდებულო! სამართალმა პური ჭამა. ბრალდებულს წერა-კითხვა რომ არ სცოდნოდა, რატომ დახარჯავდა ფულს ნიგნების, ქალაქისა და კალმების შექმნაზე.

მეორე მოწმე (მიხრწნილი მოხუცი ქალი): რაც მასზე მსმენია, ისაა, რომ ბრალდებულს სიტყვები უყვარდა მხოლოდ... მასზე შეყვარებულმა ქალმა გამანდო, როგორ გამოუტყდა, რომ ამქვეყნად ყველაზე ლამაზი ქალის სიყვარულს სიტყვები ერჩივნა.

მოსამართლე: სიტყვები უყვარდა? ო... გადახრა ჰქონია! ნორმალურ მოქალაქეს მხოლოდ დედა და მთავრობა უყვარს.

მესამე მოწმე (ფურნალისტი): გავეცანი ბრალდებულის ლექსებს და ვნახე, რომ მოკლებულია ხელისუფლების მამებლობას.

მოსამართლე: ეს გადამჭრელი არგუმენტია, რომ ხალხი არ უყვარს.

მეოთხე მოწმე (წვეროსანი კაცი): ვფიცავ ღმერთს, მოვისმინე ჩემი ორი ყურით, რომელთაც სიკვდილის შემდეგ ჭია შეჭამს, ბრალდებული ამბობდა – ღვინო დარდს აქარვებსო.

მოსამართლე: ამ ნათქვამს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება სასამართლოსთვის, თუ დადასტურდება, რომ ეს დარდი ხალხშია გასული.



მეხუთე მონმე (პოლიციის საგუშაგოს უფროსი): ჩვენ უამრავ პატაკს ვღებულობთ იმ დამანგრეველი საქმიანობის შესახებ, რომელსაც ეს ხსენებული დარდი ეწევა. აქამდე ვერ შეეძლია მისი დაპატიმრება, თუმცა ჯერ ისევ გრძელდება ძებნა.

მეექვსე მონმე (პატიმარი): ამ დარდმა მაცდუნა, ჩემს გემოზე მეცხოვრა.

მეშვიდე მონმე (პატიმარი): ამ დარდმა შემეგულიანა, ხელისუფლება მეღანძღა.

მერვე მონმე (პატიმარი): ამ დარდმა წამაქეზა, დემონსტრაციაში მიმელო მონაწილეობა.

მეცხრე მონმე (პატიმარი): ამ დარდმა გამაბედინა, ციხიდან გაქცევა მეცადა.

მეთათე მონმე (პატიმარი): ამ დარდმა მაიძულა პოლიციელების სიძულვილი.

მოსამართლე: მონმეთა ჩვენებებმა დაადასტურეს, რომ ომარ ხაიამის ლექსები ღვინის დაუფარავი პროპაგანდა და აშკარად მოუწოდებს უცხოური საქონლის შემოტანას, რათა განხორციელდეს ის საექვო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს არეულობის გამოწვევას. მონმეთა ჩვენებებმა ასევე დაადასტურეს ომარ ხაიამის თანამშრომლობა დარდთან, რომელიც, როგორც სასამართლოს მიაჩნია, სხვა არაფერია, თუ არა მეხუთე კოლონის ერთ-ერთი ჯაშუში და ჩვენს მტრებს ემსახურება. ცოტა ხნით გაჩუმდა, შევბითა და სიხარულით ამოისუნთქა და ლაპარაკი განაგრძო. მერე განაჩენი გამოუტანა ომარ ხაიამს: კატეგორიულად აეკრძალოს ლექსების წერა.

პოლიციელებმა იკისრეს ომარ ხაიამის სასაფლაოზე წაღება. ჩააბრუნეს თავის საფლავში და, ვიდრე მიწას მიაყრიდნენ, გაუნადგურეს ყველა ქალაქი და კალამი, რაც კი ებადა. თუმცა დარდი ჯერ ისევ თავისუფლად მიდი-მოდის და თავის დამანგრეველ საქმიანობას განაგრძობს.

სიყვარული

საჰაერო განგაშის მკვეთრი გაბმული ხმა გაისმა. ქალაქმა სინათლეები გამორთო შიშით გამონვეული პანიკის ჩასახშობად.

ვინრო სანოლზე კაცი და ქალი ვნებიანად ჩაკვროდნენ ერთმანეთს.

- გეშინია? - ჰკითხა კაცმა.
- არა.

- აი, შენც, ხანგრძლივი განშორების შემდეგ, ჩუმი ხმით უთხრა კაცმა. მთრთოლვარე ხელით შეეხო ქალის თმებს: ყოველ ღამე შენზე მეკითხებოდა ბალიში.

ქალს გაეცინა. პატარა ჩიტის ფრთების ფრთხილივით იყო მისი სიცილი.

- შენ რას ეუბნებოდი?
- ეჭვიანი კაცი ვარ და რატომ მეკითხები-მეთქი.
- ის რას გასაუხობდა?
- ძალიან მომენტარა მისი შავი თმებიო.
- მაგრამ ახლა ჩუმადაა.
- სიხარულმა დაამუნჯა.

შიშველ ცოცხალ სხეულად, მწვანე მდებლად და ვარსკვლავთმდინარედ შეიგრძნო მასთან ჩახუტებული ქალი. აი, ამ ვარსკვლავებმა კაცის ძარღვებშიც შეაღწია და მისი ტუჩები ქალის ვნებიან ტუჩებს დაენაფა. ამასობაში მტრის თვითმფრინავებიც მოახლოვდნენ, ოთახის წილ ცაზე იწყეს ტრიალი და ბომბები ჩამოყარეს.

ჭიქა-ქუსილი

დილაობით სკოლას ღრუბელი არ ეკარება. მზეს ვუბრძანე, არ ამოსულიყო, მაგრამ არ დამემორჩილა. განვიზრახე შური მეძია მასზე, დიდი რომ გავზნებოდი.

გაოცებული შევეყურებ სამკუთხასახიან არითმეტიკის მასწავლებელს. შემამჩნია და გაბრაზებით მიყვირა: - წამოდექი, ბიჭო!

წამოვდექი. მკაცრი ტონითა და ზიზღნარევი ხმით მელაპარაკებდა ფეხზე მდგომს:

- მორჩი პერანგის სახელოთი ცხვირის ხოცვას!

გავხვედი. მერე დაამატა: უპასუხე სწრაფად... ათი მილიონი კაცი გყავს. ჩამოვასრჩვეთ შვიდი მილიონი. რამდენი დარჩა ცოცხალი?

უმალვე ვუპასუხე:

- არ ვიცი.

გაცოფებულმა მითხრა:

- უხ! როდემდე უნდა დარჩე უვიცად?!

უხალისოდ ვთქვი:

- არ მიყვარს არითმეტიკა.

სახეზე წამოწითლდა და მკვახედ მითხრა:

- აჰ... მამასადამე, არითმეტიკა გძულს?

სახემოღღმული ჩუმად იყო ერთხანს. მერე დაცინვით მკითხა:

- რა გძულს კიდევ? მიდი, მოგვასხენე!

- მძულს ზამთარი.

- კიდევ რა გძულს?

- მძულს ზამთარი, ზაფხული, შემოდგომა და გაზაფხული.

- კიდევ რა გძულს?

- მძულს ღამე და დღე.

- კიდევ რა გძულს?

- მძულს შაბათი, კვირა, ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი.

- კიდევ რა გძულს?

- მძულს მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

- კიდევ რა გძულს?

- მძულს სიმღერები, კატები, პატარა ჩიტები.

- კიდევ რა გძულს?

- მძულს კაცები, ქალები, მძულს ბავშვები.

აქ კი იღრიალა მასწავლებელმა:

- ხმა ჩაიწყვიტე! რეგვნი რეგვენად დარჩება.

მაშინვე ატომური ბომბი გამოვიგონე და მოვისროლე რაც ძალი და ღონე მქონდა. აფეთქდა და ამავდროულად მზეც ამობრწყინდა.

არაბულიდან თარგმანა  
იზოლდა გრძელიძემ

**ვეფხვები მათი დღეს**

ტყეები გალიაში ჩამწყვედული ვეფხვისაგან შორს დარჩა, თუმცა მათი დაიწყება ვერ შეძლო. გალიის გარშემო წრედ შემორტყმულ კაცებს ბრაზით მიშტერებოდა. ისინიც უშიშრად, ცნობისნადილით მისჩერებოდნენ. ერთი მათგანი მშვიდი ხმით, ბრძანების კილოთი ლაპარაკობდა:

„თუ გასურთ, ნამდვილად ისწავლოთ ჩემი ხელობა – მწვრთნელის პროფესია, ერთი წამითაც არ უნდა დაივიწყოთ, რომ მეტოქის კუჭი თქვენი პირველი სამიზნეა. ნახავთ, რომ ეს რთული პროფესიაა და თან იმავდროულად იოლიც. ახლა შეხედეთ ამ ვეფხვს! ის მართლაც ქედმაღალი, მრისხანე ვეფხვია და საკუთარი თავის უფლებით, ძალითა და ძლევამოსილებით ამაყობს; მაგრამ მცირე ხანში შეიცვლება და პატარა ბავშვივით თვინიერი, თავაზიანი და მორჩილი გახდება. დააკვირდით, რა მოხდება იმათ შორის, ვისაც აქვს საჭმელი და ვისაც არ გააჩნია ის, და ისწავლეთ!“

ამის შემდეგ კაცმა იმაზე წამოიწყო საუბარი, რომ ისინი მწვრთნელის ხელობის ერთგული შეგირდები იქნებოდნენ. სახეგაბრწყინებულმა მწვრთნელმა გაიღიმა, მერე კი ვეფხვს დამცინავად ჰკითხა: „ჩვენი ძვირფასი სტუმარი როგორ ბრძანდება?“ ვეფხვმა მიუგო: „რამე საჭმელი მომიტანე, ჩემი ჭამის დრო მოსულა“. მწვრთნელმა ყასიდი გაცეცხობით უთხრა: „ნუთუ ბრძანებას მაძლევ? და ეს მაშინ, როცა ჩემი ტყვე ხარ?! რა სასაცილო ვეფხვი ყოფილხარ! უნდა შეიგნო, რომ აქ მე ვარ ერთადერთი, ვისაც ბრძანებების უფლება აქვს“.

„ვეფხვებს ვერავინ უბრძანებს!“ – მიუგო ვეფხვმა. „მაგრამ შენ ახლა ვეფხვი როდი ხარ! ვეფხვი ტყეებში ხარ. რაც გალიაში აღმოჩნდი, მას მერე მხოლოდ მონა ხარ, რომელიც ბრძანებებს ემორჩილება. იმას გააკეთებ, რაც მინდა!“ – უთხრა მწვრთნელმა.

„მე არავის მონა არ ვიქნები!“ – აენტო ვეფხვი. „იძულებული ხარ დამემორჩილო, რადგან სწორედ მე ვარ ის, ვისაც საჭმელი აქვს“ – უთხრა მწვრთნელმა. „არ მინდა შენი საჭმელი!“ – უპასუხა ვეფხვმა.

„მამ იმიმბილე! როგორც გენებოს! არ გაიძულე ჰქნა ის, რაც არ გასურს!“ – უთხრა მწვრთნელმა, მერე შეგირდებს მიუბრუნდა და დასძინა:

„ნახავთ, როგორ შეიცვლება. მალლა აწეული თავი მშიერ მუცელს ვერ აძლავს“.

ვეფხვი დაიმშა. დანაწებით იგონებდა იმ დღეებს, ქარივით დაუბრკოლებლად რომ დაჰქროდა და სდევდა თავის მსხვერპლს.

მეორე დღეს მწვრთნელი და მისი შეგირდები ვეფხვის გალიას შემოეხვივნენ და მწვრთნელმა მიმართა: „ნუთუ არ მოგშვიდა? შენ ნამდვილად ისე უნდა იყო მოშიებული, რომ შიმშილი გტანჯავს და განამებს. თქვი, რომ გშია, და მიიღებ სასურველ ხორცს!“

ვეფხვი დუმდა. „გააკეთე, რასაც გეუბნები და ნუ სულელობ! აღიარე, რომ მშიერი ხარ და მაშინვე დანაყრდები!“ – უთხრა მწვრთნელმა.

„მშია!“ – თქვა ვეფხვმა.

მწვრთნელს გაეცინა და შეგირდებს მიმართა: „აი, ეს ისეთ მახეში გაება, საიდანაც თავს ველარ დაიხსნის“. გასცა განკარგულება და ვეფხვმა ბლომად ხორცი მიიღო.

მესამე დღეს მწვრთნელმა ვეფხვს უთხრა: „თუ გასურს, დღეს საჭმელი მიიღო, შეასრულე, რასაც მოგთხოვ!“

ვეფხვმა უპასუხა: „არ დაგემორჩილები!“

„ნუ აჩქარდები! ჩემი მოთხოვნა ძალიან უბრალოა, შენ ახლა საკუთარ გალიას აწყდები, როცა გეტყვი, გაჩერდი-მეთქი, უნდა გაჩერდე“ – უთხრა მწვრთნელმა.

ვეფხვმა თავისთვის თქვა: „ეს მართლაც უმნიშვნელო მოთხოვნაა. არ ღირს გავჯიუტდე მაშინ, როცა დამეუფლი ვარ“.

მწვრთნელმა მკაცრი, მბრძანებლური კილოთი დაიყვირა: „გაჩერდი!“

და ვეფხვი მაშინვე გაიყინა. მწვრთნელმა მხიარული ხმით უთხრა: „ყოჩაღ!“

ვეფხვმა გაიხარა და ხარბად დაიწყო ჭამა. მწვრთნელი კი ამ დროს მონაფეებს ეუბნებოდა: „რამდენიმე დღეში ქალაქის ვეფხვად იქცევა“.

მეოთხე დღეს უკვე ვეფხვმა უთხრა მწვრთნელს:

„მშიერი ვარ! მომთხოვე, რომ გავჩერდე!“

მწვრთნელმა მონაფეებს უთხრა: „აი, უკვე შეუყვარდა ჩემი ბრძანებები!“ შემდეგ ისევ ვეფხვს მიუბრუნდა და მიუგო: „დღეს ვერ შეჭამ, თუკი კატის კნავილს არ გამოაჯავრებ!“

ვეფხვმა მრისხანება მოთოკა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

„თავს შევიქცევ, აბა კატის კნავილს თუ მივბაძვ!“

და გამოაჯავრა. მწვრთნელი მოიღუშა და კიცხვით უთხრა: „შენი კნავილი ყალბია. ბრდღვინვა კატის კნავილი გგონია?“

ვეფხვმა მეორედაც გამოაჯავრა კატის კნავილს, მაგრამ მწვრთნელს სახე არ გახსნია. აგდებით უთხრა: „გაჩუმდი, გაჩუმდი, შენი კნავილი ისევ ყალბია! დღეს დაგტოვებ, რომ კნავილში ივარჯიშო და ხვალ გამოგცდი. თუ წარმატება გექნა, შეჭამ, ხოლო თუ არ გამოგივიდა, ვერაფერს მიირთმევ!“

მწვრთნელი ვეფხვის გალიას მოშორდა, ნელი ნაბიჯით მიდიოდა, უკან შეგირდები მიჰყვებოდნენ, ერთმანეთს ერჭურჭლებოდნენ და იცინოდნენ.

ვეფხვმა ტყეებს უხმო მუდარით, მაგრამ ისინი შორს იყვნენ.

მეხუთე დღეს მწვრთნელმა ვეფხვს მიმართა: „აბა მიდი, თუ კატას კარგად გამოაჯავრებ, ახალი ხორცის დიდ ნაჭერს მიიღებ!“

ვეფხვმაც კატის კნავილს მიჰბაძა. მწვრთნელმა სიხარულით ტაში შემოჰკრა: „დიდებულია! ისე კნავიხარ, როგორც კატა თებერვალში!“ და ხორცის დიდი ნაჭერი გადაუგდო.

მეექვსე დღეს მწვრთნელი ვეფხვს ჯერ არ მიახლოვებოდა, რომ მან სასწრაფოდ დაიწყო კატის კნავილის გამოაჯავრება, თუმცა მწვრთნელი კვლავ მოლუშული და შუბლშეკრული იყო. ვეფხვმა უთხრა: „აი, ხომ მივბაძე კატის კნავილს!“

მწვრთნელმა მიუგო: „ვირის ყროყინს გამოაჯავრე!“  
ვეფხვმა აღშფოთებით უპასუხა: „მე ვეფხვი ვარ, რომლის წინაშეც ტყის ცხოველნი ძრწიან და ახლა ვირს მივბაძო? უმალ მოვკვდები და შენს მოთხოვნას არ შევასრულებ!“

მწვრთნელი ვეფხვის გალიას სიტყვის უთქმელად გაერიდა.

მეშვიდე დღეს მწვრთნელი გალიას სახეგანათებული და დამშვიდებული მიადგა და ვეფხვს ჰკითხა: „ნუთუ არა გსურს ჭამა?“ ვეფხვმა მიუგო: „მინდა“. მწვრთნელმა უთხრა: „ხორცს, რომელსაც ჭამ, ფასი აქვს. ვირივით დაიყროყინე და საჭმელს მიიღებ!“

ვეფხვმა სცადა ტყეები გაეხსენებინა, მაგრამ უშედეგოდ და თვალდახუჭული აყროყინდა. მწვრთნელმა უთხრა:

„ყროყინი არცთუ კარგად გამოგივიდა, მაგრამ შეგიბრალე და ხორცის ნაჭერს მაინც მოგცემ“.

მერვე დღეს მწვრთნელმა ვეფხვს უთხრა: „სიტყვით გამოსვლის დასაწყისს წაგიკითხავ და როცა დავამთავრებ, ალტაცებით ტაში დამიკარი“.

ვეფხვმა მიუგო: „კარგი, ტაშს დაგიკრავ“.

მწვრთნელმა თავისი სიტყვის კითხვა დაიწყო: „მოქალაქენო! ჩვენ მრავალი შემთხვევის დროს მოგვინია საჭირობოროტო პრობლემების მიმართ ჩვენი პოზიციის ცხადყოფა და ეს მტკიცე და აშკარად გაცხადებული პოზიცია არ შეიცვლება, თუნდაც მტრულმა ძალებმა პირი შეკრან და შეთქმულება მოაწყონ. ჩვენ რწმენით გავიმარჯვებთ!“

ის მცირე, მახვილგონივრული ამბავი, რომლის ქარგაზეც აგებულია ზაქარია თამირის მინიატურის – „ბრალდებული“ – შინაარსი, იმ მხრივაცაა საგულისხმო, რომ მის პერსონაჟად გვევლინება სპარსეთის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი ომარ ხაიამი, იმ სახელთაგანი, მთელს მსოფლიოში რომ მოუპოვებიათ განსაკუთრებული აღიარება და პოპულარობა.

მას შემდეგ, რაც ინგლისელმა ედუარდ ფიცჯერალდმა, XIX საუკუნის შუა ხანებში, მკითხველს შესთავაზა ომარ ხაიამის რობაიათა თავისუფალი თარგმანები, შეიძლება ითქვას, ვარიაციებიც კი ხაიამისეულ თემებზე, მისი პოპულარობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, კლუბებიც კი შეიქმნა ხაიამის სახელზე. და თვითონ სპარსეთშიც ხელახლა აღმოაჩინეს ომარ ხაიამი, ვინც თავს უპირველესად მათემატიკოსად და ასტრონომად მიიჩნევდა და არა პოეტად. რობაიებს მხოლოდ გასართობად, მეგობართა შესაქცევად წერდა, მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ მისი პოეტური სახელი გადაფარავდა მისივე მათემატიკურსა და ასტრონომიულ მიღწევებს.

მართალია, მკითხველი უმთავრესად მისი რობაიების გარეგნულმა, ზედაპირულმა მხარემ გაიტაცა და, სწავლულთა, პროფესიონალოთა გარდა, ველარავინ ერკვევა ხაიამის პოეზიის ეზოტერულ სიღრმეებში, მაგრამ, ასეა თუ ისე, მისი სახელი ისევე ბრწყინავს და ტრიალებს, როგორც ჰომეროსის, დავით წინასწარმეტყველის, დანტეს, შექსპირის, გოეთეს, ბაირონის, უიტმენის... და ისიც კი

ვეფხვმა უთხრა:

„ვერ გავიგე, რა ილაპარაკე“.

მწვრთნელმა მიუგო:

„შენ უნდა აღფრთოვანდე ყველაფრით, რაც ვთქვი, და ალტაცებით დაუკრა ტაში“.

ვეფხვმა უთხრა:

„მომიტყევე, მე გაუნათლებელი, უნიგნური ვარ. შენი სიტყვა ბრწყინვალეა! ტაშს დავუკრავ, როგორც შენ გსურს“.

და ვეფხვმა ტაში დასცხო. მწვრთნელმა უთხრა:

„არც პირფერობა მიყვარს და არც მლიქვნელები. სასჯელად დღეს საჭმელი გეკრძალებ“.

მეცხრე დღეს მწვრთნელი ერთი შეკვრა ბალახით მივიდა, ვეფხვს დაუყარა და უთხრა: „ჭამე!“

ვეფხვმა უთხრა: „ეს რა არის? მე ხომ ხორცისმჭამელი ვარ!“

„დღეიდან მხოლოდ ბალახს შეჭამ“ – უპასუხა მწვრთნელმა.

როდესაც შიმშილი გაუძლიერდა, ვეფხვმა ბალახის ჭამა სცადა, მაგრამ მისმა გემომ ამრიზა და ზიზლით გაეცალა. თუმცა შემდეგ ხელმეორედ მიუბრუნდა და დაიწყო ბალახის ნელ-ნელა ყლაპვა.

მეათე დღეს გაქრა მწვრთნელი, მისი შეგირდები, ვეფხვი და გალია. ვეფხვი მოქალაქედ, ხოლო გალია ქალაქად იქცა.

**არაბულიდან თარგმანა დარაქჟან ბარდავაძემ**

**რედაქციის მიხანარი**

ალარ უნდა გაგიკვირდეს, რომ, ვთქვათ, უიტმენთანაც პოულობენ საკმაო საერთოს, მიუხედავად ამ ორი

პოეტის სრული სტილისტური სხვაობისა. უბრალოდ, ორი უპოპულარესი შემოქმედის სულიერი დანათესავებაც სურთ.

ხაიამის განდიდების მხრივ არც საქართველო ჩამორჩენია მსოფლიოს კულტურულ ქვეყნებს და ჟურნალ „კავკასიონის“ 1924 წლის 1-2 გაერთიანებულ ნომრებში ამ დიდებული პოეტის გამოჩენამ პავლე ინგოროყვასა და იუსტინე აბულაძის წყალობით სათავე დაუდო ხაიამიანას ჩვენს სინამდვილეში – მთარგმნელთა და მკვლევართა თვალსაჩინო მიღწევებს, დამშვენებულს ამბაკო ჭელიძის, მაგალი თოდუას, ვახუშტი კოტეტიშვილისა თუ სხვათა სახელებით.

ყოველივე ამის თაობაზე ამ მიხანერში სიტყვის გაგრძელება ზედმეტია, რადგანაც ქართული ხაიამიანას სრული და შთამბეჭდავი სურათი უკვე წარმოსახა როსტომ ჩხეიძემ ჩვენს ერთ-ერთ ლიტერატურულ თავყრილობაზე, სახელდობრ, 2006 წლის 16 მაისს, ომარ ხაიამის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე, და მისი ეს მიმოხილვითი ყაიდის ნარკვევი ხელმისაწვდომი გახდება ჩვენი მკითხველისთვისაც.

მხოლოდ იმას გავიხსენებთ, რომ ომარ ხაიამი მოგვევლინა მთავარ გმირად ამერიკელი მწერლის თეოდორ მეითსონის დეტექტიური ნოველისა „ომარ ხაიამი – დეტექტივის როლში“ („ჩვენი მწერლობა“, 2006, №6), რომლის

ქარგაც გაშლილია აღმოსავლეთში ცნობილ ლეგენდაზე, თითქოს თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოს სახელოვან ვეზირს ნიზამ ალ-მულქს, ასასინთა ორდენის პირველ წინამძღოლს ჰასან იბნ საბაჰსა და ომარ ხაიამს სიყმანვილისას ერთად ესწავლოთ და ერთმანეთისათვის შეეფიცათ, თუკი რომელიმე ჩვენგანი აღზევდება, თავისი ყრმობის მეგობრები არ დაივიწყოს და მფარველობა გაუწიოს.

ფიცის ფიცად, მაგრამ ისე მოხდებოდა, რომ ნიზამ ალ-მულქი და ჰასან იბნ საბაჰი დაუძინებელი მტრები შეიქნებოდნენ... ამ ორი პიროვნების მტრობა საისტორიო წყაროებშიცაა მინიშნებული, თუმცა ლეგენდა საკმაოდაა დაცილებული სინამდვილეს, რადგანაც სამივე ეს ისტორიული პირი ერთ საუკუნეში კი ცხოვრობდა – XI-ში – მაგრამ თანატოლები არა ყოფილან.

ცხადია, თვითონ ლეგენდა ასე ძალიან ვერ მიიპყრობდა ამერიკელი მწერლის ყურადღებას, რომ არა ომარ ხაიამის სახელი – ასეთი საცთური ყველა თაობის მკითხველისათვის.

ეს სახელი უდავოდ სძენს თავისებურ სხივს ისედაც მახვილგონივრულად აგებულ სიუჟეტს, რომლის შუაგულშიც პოეტის ერთ-ერთი რობაი მოქცეულია, როგორც გასაღები ნიზამ ალ-მულქის მკვლელობის ვინაობის ამოსაცნობად.

რალა ხაიამი და რალა ოგიუსტ დიუპენი.

რალა ხაიამი და რალა შერლოკ ჰოლმსი.

რალა ხაიამი და რალა ერკიულ პუარო.

რალა ხაიამი და რალა კომისარი მეგრე.

აგერ ზაქარია თამირსაც დაუსაჭიროებია ეს სახელი, როგორც სატირულად წარმოსახულ გარემოში მოხვედრილი რომანტიკული გმირი, და ისეთი განცდა გიჩნდება, სხვა დეტექტიური სიუჟეტების შუაგულშიც უნდა იყოს წარმომდგარი ომარ ხაიამის კოლორიტული ფიგურა.

რა – ცალკე ციკლიც ხომ არ გამოიკვეთება მის ირგვლივ?

ყოველ შემთხვევაში, ინგლისელი და არაბი მწერლები თუ ასერიგად დაინტერესდნენ ომარ ხაიამის გადეტექტივებით, თვითონ ირანულ შემოქმედთა შორის ნუთუ არავის მოაფიქრებოდა მისი აჩრდილის გამოსხმობა მიმზიდველი, ჩახლართული, ხან იუმორითაც შეზავებული სიუჟეტური ქარგის მთავარ პერსონაჟად?

თუკი ასეა, დაფარული არც ეს დარჩება ჩვენთვის და ხაიამი მაშინ მართლა მოგვეჩვენება ოგიუსტ დიუპენადაც, შერლოკ ჰოლმსადაც, ერკიულ პუაროდაც...

ლიტერატურის ისტორიასა და ნიუანსებში გათვითცნობიერებულ ჩვენს მკითხველს მხოლოდ ჰოლმსის, პუაროსა და კომისარ მეგრეს შემოქმედნი კი არ გაახსენდება – როგორც ყველა ქვეყანაში, ისე ჩვენშიც პოპულარული არტურ კონან დოილი, აგათა კრისტი და ჟორჟ სიმენონი – არამედ ოგიუსტ დიუპენის აღმომჩენიც – ედგარ ალან პო, ამერიკელი კლასიკოსი, ვისაც მიენერებოდა და მიენერება დეტექტიური ჟანრის შექმნა-დაფუძნებაც სხვა უამრავ დამსახურებას შორის, და ვისი ეს სიახლევ მსოფლიო მწერლობის განვითარებაში ასე უბრალოდ და ძალდაუტანებლად დააყენა ეჭვქვეშ ლევან ბრეგვაძემ

წლების წინათ „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, განმეორებით კი „ჩვენი მწერლობის“ წლებიდან მე-11 ნომერში.

თუ ჭეშმარიტი კრიტიკოსი ხარ, მსოფლიო სამწერლო პროცესებსაც უნდა ადევნო თვალი და მონაწილეობა მიიღო გადაფასებადამკვიდრებაშიც.

ედგარ პოს ჩაენაცვლა... სულხან-საბა ორბელიანი.

„მკვლელობას მორგის ქუჩაზე“ – „გრძნეული ცოლის პატრონი“.

დაფარული არ არის, რომ „სიბრძნე სიცრუისას“ სიუჟეტები ეყრდნობა და თავისებურად ამუშავებს აღმოსავლეთში გავრცელებულ ამბებსა და გადმოცემებს, და გამოიცხადებული არც ისაა, რომ „გრძნეული ცოლის

პატრონის“ აღნაგობა – აღნაგობა და არა სიუჟეტური გაშლა – აღმოსავლეთში ცნობილ ლიტერატურულ ხერხებს ითვალისწინებდეს, ხერხებს – დეტექტიური იდუმალებისა და მისი ამოხსნის ანალიტიკურ დედუქციური გზის შესაქმნელადაც.

ასეა თუ ისე, ამ მხრივ ძიება აუცილებლად უნდა გარძელებდეს.

თუ არსებობს ამ ყაიდის თხზულებანი ძველ აღმოსავლურ მწერლობაში, ესეც დაბეჯითებით უნდა გამოირკვეს და, თუ მსგავსი არაფერი მოიპოვება და სულხან-საბა ორბელიანმა თვითონვე მიაკვლია ანალიტიკურ-დედუქციურ მეთოდს ედგარ პომდე კარგა ხნით ადრე, ესეც ვალია-როთ იმ ჭეშმარიტებად, რომელსაც შესაფერისი დამკვიდრება სჭირდება.

... ისე ომარ ხაიამის სახელი იმგვარად მიეკერა დეტექტიურ ჟანრს, უეცრად რომ აღმოჩნდეს, დეტექტიურ სიუჟეტებსაც ამუშავებდაო, მკითხველი მაინცდამაინც აღარც გაიოცებს.

### ასტრიდ ლინდგრენის პრემია

შვედეთის დედაქალაქის პარკ სკანსენში გაიმართა ასტრიდ ლინდგრენის ლიტერატურული პრემიის გადაცემის ცერემონია. ფულადი ჯილდო – 530.000 ევრო შვედეთის მემკვიდრე პრინციესასაგან გადაეცა ამერიკელ კეტრინ პატერსონს. ჟიურიმ მწერალი დააჯილდოვა როგორც „ბრწყინვალე ფსიქოლოგი, რომელიც ოსტატურად არიდებს თავს მარტივ გადანყვეტილებებს“.

სხვადასხვა წლებში პატერსონმა ათობით ჯილდო მიიღო, როგორც გამოჩენილმა საბავშვო მწერალმა, მათ შორის ჰანს ქრისტიან ანდერსენის პრემია.

ასტრიდ ლინდგრენის პრემია – უდიდესი ჯილდოა საბავშვო და საყმანვილო ლიტერატურის სფეროში. ის დანესდა შვედეთის მთავრობის მიერ ლინდგრენის გარდაცვალების შემდეგ 2002 წლის იანვარში. ჟიური 20 ადამიანისაგან შედგება, მათ კი კულტურის ეროვნული საბჭო ნიშნავთ. მათ შორის არიან მწერლები, ლიტერატურათმცოდნეები, მხატვრები, კრიტიკოსები, ბიბლიოთეკარები. ლინდგრენის ოჯახს მისი შვილიშვილი ანიკა წარმოადგენს, რომელიც გამომცემლობის თანამშრომელია.

\* \* \*

სანდრო ახმეტელი და გიორგი ჟურული შეკამათდებოდნენ.

არ აგონდებათ, რას გამოენვია ორი რეჟისორის ეს ნამიერი შეხლა-შემოხლა, ესთეტიკურ პრინციპს თუ რაიმე სხვა მიზეზს, მაგრამ შეყოლით შეყვებოდნენ და გაცხარებული სანდრო ახმეტელი ხელს გაუფარჩხავდა თვალწინ. ნეკი აკლდა და იმას შეახედებდა:

ფრთხილად იყავი, ძველი ნაყაჩაღარი ვარო.

24-ის აგვისტო-სექტემბრის გამოსვლებში მონაწილეობდა და ტყე-საც აფარებდა თავს... ყაჩაღებად მოიხსენიებდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელებს და იმ ხანას გაიხსენებდა.


კიდევ შეეპყროთ, დახვრეტაც მოელოდა, მაგრამ კოტე მარჯანიშვილი ეახლებოდა ჩეკას ხელმძღვანელს და მუხლებში ჩაუფარდებოდა: მე მაჩუქეთ მისი თავიო.

გამოაღწევდა სანდრო ახმეტელი ჩეკას ჯურღმულებს, დაიბრუნებდა თავის სამოღვაწეო ასპარეზს თეატრში და... შეეჯახებოდა კოტე მარჯანიშვილს.

ესთეტიკურმა პრინციპებმა არ იცოდა გადამრჩენი!

არც ვინმეს ან რაიმეს წინაშე მორიდება იცოდა ესთეტიკურმა პრინციპებმა.

და ჩეკას მაშინდელი ხელმძღვანელი ახლა სულაც ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ამალღებულ თეატრში მიადგებოდა სანდრო ახმეტელს რეპეტიციებისას, აბა, ვნახო, რას დგამ და როგორ დგამ, რჩევები და შენიშვნები ხომ არ გესაჭიროებაო, ახმეტელი სუსხიანი სახით დახვდებოდა და კუდამოძუებულს გამოისტუმრებდა: რჩევა-დარიგებანი შენს ხელქვეითებს ჩამოურიგეო.



ჩემზე იყოსო, – გულში მჯიღს ჩაირტყამდა ლავრენტი ბერია და ინანებდა: რას ვუშვებდი, რომ ვუშვებდი, მაგრამ მარჯანიშვილმა შემაცდინაო.

მაგრამ ესთეტიკამ არ იცოდა მორიდება და შიში!..

ახლა გიორგი ჟურულისათვის მიეტანა თვალებთან ხელი – შეხედე, კარგად შეხედეო.

– შენ ამას შეხედეო, – მოკამათე თათმანს ნაიძრობდა და იმ ხელს თვალებთან მიუტანდა: სამი თითი აკლდა, და ახმეტელის ერთი ნეკი ამ სამ თითთან რას მოვიდოდა.

გაიცინებდა სანდრო ახმეტელი. კარგად მოეხსენებოდა იუმორის ფასი – ასეთი მარჯვე ბიჭი თუ იყავი, რას მალავდი, რომ მალავდი, რომელი არჩილ ჯორჯაძე შენ მყავხარ, თათმანში რომ გამოგიფუთავსო.

24-ს აბრალებდა იმ ნეკს ახმეტელი, თუმც ბოროტი ენები ავად სისინებდნენ, აგვისტო-სექტემბრის სისხლისღვრა კი არა, ქათმის დაკვლისას დაემართა, თვითონ არც დაუკლავს, სხვამ მოუქნია ნაჯახი მორზე კისერგანწელილ ვარიკას და სანდროს კი მოახვედრაო.

გიორგი ჟურული არც მალავდა, ფათერაკებში რომ არ მოჰყოლოდა

ხელი და მოსკოვში ყოფნისას ყინვას დაეზრო და წაენწყვიტა.

– ხომ არ დაგველია ამ ამბის აღსანიშნავადო, – ეკითხებოდა სანდრო ახმეტელი.

– აბა, სხვაგვარად როგორო, – მკლავს გამოდებდა გიორგი ჟურული.

... ჩემზე იყოსო, სადღაც ავად ბაგუნობდა მჯიღი.

\* \* \*

არიან, როგორ არ არიან სამსახურისათვის თავშენიერული ადამიანები.

და არ არის აუცილებელი, მარტოხელანი იყვნენ და სულიერ შვებას სამსახურში ჰპოვებდნენ.

შეიძლება სამი შვილიც გყავდეს მედეა გეგეშიძესავით, მაგრამ გადამკვდარი იყო სამსახურზე და რადიომაუნყებლობა გეგულებოდეს შენს მოწოდებად და ხალხთან ურთიერთობის ყველაზე ხელსაყრელ გზად.

ეს ორგანიზაციული მხარეო, ეს რადიოპროგრამებით – საკუთარი ცალკე (განსაკუთრებულ პოპულარობას „თანაგრძნობა“ მოიპოვებდა), სხვებისათვის რჩევებისა და მოსაზრებათა გაზიარება კიდევ ცალკე, რათა გადაცემა არ იყოს მოვალეობის მოხდა და ადამიანს ყოველთვის ამახსოვრდებოდეს რალაც მნიშვნელოვანი.

შინაც სულ თავის გადაცემებზე ფიქრობდა, ზრუნავდა.

წერილები აურაცხელი მოსდიოდა – ნაკითხვა სჭირდებოდა ყველას და არა შერჩევით, დახარისხება, განზოგადება, პასუხის გაცემა რადიოეთერიდან. ნუგეშს ითხოვდნენ და ენუგეშებინა. გამხნევენას ითხოვდნენ და გაემხნევენებინა. რჩევას ითხოვდნენ და არ დაეშურებინა.

ოჯახისათვის ველარ იცლიდა.

თვითონ ეგონა, ვიცლი, როგორ არა, ალერსი და ზრუნვა არ აკლიათო, მაგრამ ქმარ-შვილს მეტი სწყუროდა, არ უნდოდა მოზიარედ ეს სამსახური და იხლიჩებოდა მედეა გეგეშიძე სახლსა და სამსახურს შორის.

მეუღლე რამდენჯერმე მონიღომებდა საუბრის ჩამოგდებას ამ თემაზე, ცოტა გამოეხსენი სამსახურს, არ

დაიქცევა შენი თავგანწირვის გარეშე იქაურობაო, მაგრამ ამას სულ სხვათა ბარათები ეჭირა ხელთ, იმათ ჩაჰკირკიტებდა და მეუღლეს სთხოვდა, ცოტა მაცალე, ჩავამთავრებ და მერე გულდასმით ვისაუბროთო.

ეს „მერე“ არასოდეს დადგებოდა. გაბეზრდებოდა კაცი.

წერილს შეადგენდა, შვილებს წააკითხებდა, მათ თანხმობას მიიღებდა და ტელერადიო კომიტეტში გაგზავნიდა.

ქალბატონო მედეა – დაახლოებით ამ შინაარსის ბარათი შეედგინა – მგონი ცოლი დამშორდა. ერთ ბინაში კი ვცხოვრობთ, მაგრამ ლაპარაკსაც ვეღარ ვახერხებთ ხელიანად. შვილებს ძალიან ენატრებათ, მაგრამ ამაოდ ელიან მის გვერდით ჩამოჯდომას. გვირჩიეთ რამე. თქვენი დიდი გულისა და კეთილშობილების იმედადღა ვართ, თორემ დაინგრა კიდევ ერთი ქართული ოჯახი და ეგაა. მისი შენარჩუნების მსურველი ნოდარ გეგეშიძე.



\* \* \*

წარმოიდგენდი ოდესმე, რომ ჭიბზეც შეიძლებოდა ნოველა შექმნილიყო?

იცი რა – ყველაფერიც უნდა წარმოიდგინო.

დროს მოაქვს ეს მოდაც – მოშიშვლებული ჭიპები. ჯერ კანტი-კუნტად, თითო-ოროლა გოგონას დაუნახავ და შეგებრალე, ზედანელი როგორ დაპატარავებია და ახლის ყიდვის სახსარი კი არ გააჩნიაო. მერე ბევრდება, ბევრდება „ხელმოკლე“ გოგონათა გუნდი, ლაშქარივით მოედება დედაქალაქს, გადანვდება ქვეყნის ყველა მხარეს და ხვდება: მოდა ყოფილა, ამ წუთას ყოვლისუმჯობესი და მალე კი ისე უნდა გაქრეს, ხსოვნასაც აღარ შემორჩეს.

შოთა იათაშვილს ენანება მათი გაქრობა. გინდა მოგწონდეს, გინდა არა, ეს – რეალობაა. და მოსდევენ გაზაფხულის მოძლიერებას მოშიშვლებულმუცლიანი გოგონები და მოსდევთ მათ ჭიპებს ნოველა – „საზაფხულო ნოქტიურნი თბილისისა და ჭიპებისათვის“, რომელშიც ერთმანეთს გადაწვნიან მსუბუქი ირონია და ლირიზმი, და ის მარჯვედ მიგნებული რიტმი, მომხიბლავ ქარგას რომ ქსოვს.

თამაშ-თამაშით უკვირდება მწერალი ამ მოდის ფსიქოლოგიურ სანყის და ცდილობს ღრმად ჩააღწიოს იმ ზედაპირის მიღმა, რაც მოდის ბუნებას ქმნის, მაგრამ ქვეცნობიერი იქნებ სულ სხვაგვარადაც განსჯიდა, როდესაც გოგონებს ჭიპების გამოსაჩენად აგულიანებდა?

„აი, ეს გოგონები ქუჩებში, თავიანთ ჭიპებს რომ მაჩვენებენ. აი, ეს გოგონები მოღიავებული მუცლებით – ისინი მაჩვენებენ თავიანთი სხეულის ცენტრს – ისინი

მაჩვენებენ წერტილს, საიდანაც მათში შევიდა სიცოცხლე, საიდანაც მათში პირველად შევიდა გარესამყარო – შევიდა ჰაერი, ვაშლი, ნაყინი, ენერჯია – და ისინი ახლა მოძრაობენ, მე კი ვუყურებ მათ რიტმიკას, არითმიულობას, დენადობას, თიმთიმს – მე ვუყურებ მათ და ვუყურებ მათ ჭიპებს და ვხვდები – ისინი მაჩვენებენ სიცოცხლებს, ოდესღაც დაწყებულს, მაჩვენებენ პირველ ჭრილობას, სიცოცხლით გამოწვეულს...“

ესეც ჭიპის დითირამბი.

და რიტმიკა კი ყოფიდან პირდაპირ გადასახლებულა ფურცელზე.

გაზაფხულის მომძლავრებას მოაქვს მოშიშვლებული ჭიპები და მოშიშვლებულ ჭიპებს კი მოჰყავთ მცხუნვარე ზაფხული.

ბრუნავს კოსმოსი და გრძნობ სიცოცხლის წრებრუნვასაც... და თვალდათვალ უკვირდება, სად და როგორ შედის სიცოცხლე და გარესამყარო, და როგორ ალაგსებს ჰაერს ვაშლი, ნაყინი და ენერჯია...

ვის პოეტურ გუნებაზე

აყენებს ეს უამი და ახალი მოდა.

ვის ჟინი ეკიდება და რას მიაწყდეს, აღარ იცის.

ვინ ათვალწუნებით გახედავს და პირს იბრუნებს: რას ჰგავხართ, შვილებო, ნეტა ჭიპებს შემალავდეთ.

მურად კემულარია კი...

მურადი მოჰკრავს თუ არა თვალს მოშიშვლებულ მუცლებს, მათი რიტმიკა, არითმიულობა თუ დენადობა ნაკლებად აღელვებს, სულ სხვა განცდა შემოეგზნება და ააჟროლოებს:

– ღვინის ჩაცვივის სეზონი დამდგარა!..



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

### ვინც ეწვევა საქართველოს...

1962 წლის 3 მარტს ლოს-ანჯელესის საერთაშორისო აეროპორტში თავმოყრილი რეპორტიორები ამაღელვებელი სანახაობის მოწმენი გახდნენ.

შორეული საქართველოდან ჩამოფრენილი სამოცდათხუთმეტი წლის ქალბატონი მარიამ ფურცელაძე-მერაბიშვილისა შეხვდა ოცდაცამეტი წლის მანძილზე უნახავ შვილს – ილუშა მერაბიშვილს.

ამერიკულმა გაზეთებმა მეორე დღესვე ვრცლად გააშუქეს ეს შეხვედრა. ერთ-ერთ რეპორტაჟს ასეთი სათაური ჰქონდა: „დედა ჩამოვიდა თბილისიდან“.

რა მოვლენები უძლოდა წინ ქართველი დედის ვიზიტს ამერიკაში გადახვეწილ შვილთან?

ილუშა მერაბიშვილი დაბადებულა 1907 წლის 30 აგვისტოს ანუ სწორედ იმ დღეს, „წინამურში რომ მოკლეს ილია“, და მშობლებს თავისი პირმშოსათვის მისი სახელი დაურქმევიათ (მინაწერობაში „ილუშას“ ეძახდნენ).

წამოიზარდა, დავაუკაც-და, ცეკვის ნიჭი გამოავლინა და საუცხოო მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. გარეგნობაც მიმზიდველი ჰქონდა და კინოში სათამაშოდ მიიწვიეს.

1927 წელს რეჟისორმა ბარსკიმ თბილისის კინოსტუდიაში გადაიღო „ბელა“ (ლერმონტოვის მოთხრობის მიხედვით). ამ ფილმში ილუშა მერაბიშვილი ასრულებდა ბელას ძმის, ჰანამათის როლს.

მომდევნო წელს კიდევ უფრო გახმაურდა ახალგაზრდა კინომსახიობის სახელი. კოტე მარჯანიშვილმა გადაიღო „კრაზანა“ (ვოინიჩის მოთხრობის მიხედვით) და მთავარი როლის შესრულება მიანდო ილუშა მერაბიშვილს, რომელსაც პარტნიორობას უწევდა თვით ნატო ვაჩნაძე.

1929 წელს ილუშა გასტროლებზე იმყოფებოდა შორეულ აღმოსავლეთში. არაღელვებულად გადალახა საზღვარი და თავი ამოყო ჩინეთში. ერთხანს თავის ხელობას მისდევდა, მერე ბიზნესს მოჰკიდა ხელი. ოცი წელიწადი გავიდა და იძულებული გახდა, ახლა ჩინეთიდან გაქცეულიყო, ვინაიდან 1949 წელს ჩინეთში კომუნისტები გაბატონდნენ. ილუშა კი ვერ ეგუებოდა კომუნისტურ რეჟიმს და სხვა რა გზა ჰქონდა!

საბოლოოდ დასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ქალაქ სან-ფრანცისკოში ელიტური რესტორანი ჰქონდა გახსნილი. ილუშა მერაბიშვილის ახლო მეგობარი ყოფილა სან-ფრანცისკოს მერი ჯორჯ ჯრისტოფერი, რომელმაც საბჭოთა პრემიერ ნიკიტა ხრუშჩოვთან აღძრა შუამდგომლობა და ილუშას დედას, ქ-ნ მარიამს უბოძეს სამთიანი ვიზა შეერთებულ შტატებში.

ეს იყო უდიდესი ბედნიერება ხანდაზმული ქალისათვის. სამი თვე თავის პირმშოსთან ნაწილობრივ მაინც დაუამბდა ხანგრძლივი განშორების ტკივილს.

როდესაც თვალს გადაავლებ ილუშა მერაბიშვილის რესტორნის სარეკლამო ბუკლეტს, მყისვე შეამჩნევ, რომ იგი გასტრონომიული ტექსტით არ ამოიწურება. ამერიკაში გადახვეწი-

ლი ქართველი კაცი სარგებლობს ხელსაყრელი შემთხვევით და ცდილობს გააცნოს რესტორანში პურის საჭმელად და გასართობად მოსულ სტუმრებს თავისი დაკარგული სამშობლო, რომლის სახელი ამერიკაში, ალბათ, ბევრს არც კი სმენოდა.

ბუკლეტი აუწყებს მკითხველს, რომ კავკასიაში მდებარე საქართველო არის აკვანი ლეგენდებისა ოქროს საწმისისა და პრომეთეზე; რომ ეს არის ქვეყანა, გამორჩეული თავისი რომანტიკული ისტორიითა და მშვენიერი ქალებით; რომ ეს ის მიწა-წყალია, სადაც ოდითგანვე იცოდნენ პირის პატივი.

ბუკლეტის რამდენიმე ფურცელი ეთმობა თქმულებებს. აი, სტუმარი ეცნობა იმ ამირანის თავგადასავალს, რომელიც პრომეთეს სახელით არის ცნობილი ბერძნულ მითოლოგიაში და რომელსაც ჰქონდა გული ლომისა, მუხლი მგლისა და მკლავში ღონე თორმეტი უღელი ხარ-კამეჩისა, რომელმაც ღმერთებს მოსტაცა ცეცხლი ადამიანთა საკეთილდღეოდ.

მომდევნო ფურცელზე მოთხრობილია, თუ როგორ ავრცელებდა საქართველოში ქრისტიანობას წმ. ნინო.

კოლორიტული დეტალებით არის გადმოცემული, თუ საიდან და როგორ გაჩნდა საქართველოში „ნაფარეულის“ ღვინო.

დასასრულ, მოცემულია მწვანის, ჩახოხბილის, ფლავისა და სხვა ეგზოტიკურ კერძთა რეცეპტები.

ბუკლეტს ამშვენებს ჩინებული ილუსტრაციები.

მთელი ბუკლეტი, ცხადია, ინგლისურ ენაზეა შედგენილი, მაგრამ პირველსავე გვერდზე თვალში მოგხვდებათ ლამაზი,

გაერული ხელით ნაწერი სტრიქონები ქართული ლექსისა, უცხო ფრინველივით რომ გაუშლია ფრთები ინგლისურ ტექსტში:



*ვინც ეწვევა საქართველოს  
სიმღერაც რომ არ იცოდეს მაინც დაიმღერებს  
საარაკო სილამაზე ხალხიც სასახელო  
მტერსაც კი მოინადირებს ტურფა საქართველო*

### ვინც ეწვევა საქართველოს მინდვრებსა და სერებს სიმღერაც რომ არ იცოდეს მაინც დაიმღერებს საარაკო სილამაზე ხალხიც სასახელო მტერსაც კი მოინადირებს ტურფა საქართველო

ნეტავი თუ გაგონილა სადმე, რომ რესტორნის სარეკლამო ბუკლეტში ლექსი დაებეჭდათ?! როგორ ჰყვარებია პოეზია, მართლაც ნაღდი ქართველი ყოფილა! როგორც კი ოდნავ „დათბა“ საბჭოეთში და უცხოეთთან კონტაქტები დამყარდა, ამერიკიდან მოსწერა თავისიანებს, ლადო ასათიანის წიგნი გამომიგზავნეთო.

უცხოეთში გადახვეწილ ილუშა მერაბიშვილს, რა თქმა უნდა, ენატრებოდა სამშობლო, მაგრამ საბჭოთა საქართველოში ჩამოსვლა მაინც ვერ გარისკა. ვერ ეწვია საქართველოს მინდვრებსა და სერებს, მათი ხილვა აუხდენელ ოცნებად დაურჩა (გარდაიცვალა 1982 წელს).

იცოცხლა 75 წელიწადი და 53 წლის განმავლობაში საქართველო თვალთ აღარ უნახავს.

მხოლოდ ესიზმრებოდა...

როგორ შევანჯღღროთ  
გაყურებელი

ფილმი „ჯაშუში შავებში“ (1939) მოგვითხრობს, თუ როგორ შეუყვარდება გერმანული დაზვერვის აგენტს ბრიტანული დაზვერვის აგენტი ქალი.

აღვრედ ჰიჩკოკს გამორჩეული ადგილი უჭირავს ამერიკულ კინორეჟისორთა კოჰორტაში. თრილერის აღიარებული დიდოსტატი, იმავდროულად, გადაიქცა თავშესაქცევი კინოს მოყვარულთა გემოვნების ეტალონად. შემთხვევითი როდი იყო, რომ ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა, ტელევიზიის პრობლემებზე მსჯელობისას, განაცხადა: „საშუალო“ ანუ ტიპიურ მაყურებელს ურჩევნია მთელი საღამო დაუთმოს ჰიჩკოკს, ვიდრე თუნდაც ერთი საათი – ჰემინგუეისო.

თავად ჰიჩკოკმა თავისი შემოქმედებითი მრწამსი და პროგრამა ამგვარად გამოხატა: „მე მევალება, რომ პუბლიკას მივანოდო კარგი და ჯანსაღი ფსიქოლოგიური შენჯღღრევანი. ჩვენი ცხოვრება ძალზე კეთილმოწყობილი და მშვიდობიანია. ბუნებრივ შენჯღღრევათა იმედი თითქმის გადაგვეწურა. რათა შევინარჩუნოთ სათანადო ფორმა და არ გადავიქცეთ ინერტულ, მოდუნებულ ადამიანებად, აუცილებელი ხდება, რომ ეს შენჯღღრევანი შექმნათ ხელოვნურად“ (ოსვენციმი, გულაგი და ჰიროსიმა ჯერ არა სმენოდათ).

სიტყვას მოსდევდა საქმე და ჰიჩკოკს არაერთი „შემანჯღღრეველი“ ნაწარმოები შეუქმნია საჯაშუშო ფილმების ჟანრში, რომლის კლასიკას მიეკუთვნება მისი „ოცდაცხრამეტი საფეხური“ (1935). აგრეთვე აღსანიშნავია „მარტოხელა ქალი“ (1936), რომელიც წარმოადგენდა გამორჩენილი ინგლისელი მწერლის ჯოზეფ კონრადის „საიდუმლო აგენტის“ ეკრანიზაციას.

ჰიჩკოკი ეულად როდი მოღვაწეობდა აღნიშნულ ჟანრში. ავტორიტეტულ კინოცნობარში „სინემანია 95“ საჯაშუშო ფილმთა ოდენობა შეადგენს 364 სურათს!

ამავე ცნობარის მიხედვით, პირველი საჯაშუშო ფილმი გადაღებულ იქნა 1928 წელს ბერლინში გერმანელი რეჟისორის ფრიც ლანგის მიერ და ეწოდებოდა „ჯაშუშები“. სხვათა შორის, რეჟისორმა მთავარი ავკაცი მიაშვესა ლენინს.

საჯაშუშო რომანებისგან განსხვავებით საჯაშუშო ფილმები არ აცხადებენ პრეტენზიას სინამდვილის ასახვას. ეს ნაკარნახევია სანახაობრივი თვალსაზრისით. თუკი კარგი საჯაშუშო რომანის მკითხველს, როგორც წესი, ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ ჩასწვდეს პერსონაჟთა სულიერ სამყაროს, გაიგოს, რა ხდება ჯაშუშისა და მძებართა ტვინში, კინემატოგრაფში ამგვარ „მომაბეზრებელ“ სტატიკას ერიდებიან. რეჟისორთა უმეტესობა ამჯობინებს აქცენტის გადატანას დაძაბულ, ელვარე სიუჟეტსა და სპექტაკულურობაზე. ყურადღების მიღმა რჩება დაზვერვისა თუ კონტრდაზვერვის მუშაობის ის ნიუანსები, რომელთაც სანახაობრივი მიზიდველობა არ მოეპოვებათ. ამის შედეგად, საჯაშუშო ფილმები პირწმინდად თავგადასავლო იერით იმოსება და ნაგავს ტიპიურ განგსტერულ ფილმებს ანდა ვესტერნებს. განსხვავება მხოლოდ დეკორაციებში რჩება.

ზოგიერთ საჯაშუშო ფილმში შეიჭრებოდა ხოლმე რომანტიკული ისტორია. ასე მაგალითად, ბრიტანეთში გადაღებული

ჯაშუშის ხელობის რომანტიკულ მხარეს ასახავდა აგრეთვე ფილმი სახელგანთქმული მატა ჰარის შესახებ.

1940 წელს ეკრანზე გამოვიდა „მკვლელობა ჰაერში“. ამ ფილმში აშშ მომავალი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი თამაშობდა საიდუმლო სამსახურის აგენტის როლს.

როგორც თავად ამერიკელი მკვლევარი აღნიშნავენ, ამერიკული საჯაშუშო ფილმების უმეტესობა გულუბრყვილო უბრალოებით გამოირჩეოდა. „კაი ბიჭების“ როლში გამოდიოდნენ ამერიკელი და ინგლისელი მხვერავები, დახვეწილი გარეგნობითა და მანერებით, ჩინებულად გამოწყობილნი (კოსტუმები და ჰალსტუხები!), მაგრამ სულის სიღრმეში ისინი წარმოადგენდნენ პოლიციის შერიფებს ამერიკის „ველური დასავლეთიდან“, რომელთა სახეს მშვენივრად იცნობდა ამერიკელი მაყურებელი. „ფინთი ბიჭები“, ჩვეულებრივ, მიეკუთვნებოდნენ გამოგონილ ანდა დაუსახლებელ სახელმწიფოებს.

ხანდახან იდგებოდა ფილმები, სადაც ასახული იყო სინამდვილეში მომხდარი ამბები. ასე მაგალითად, „ხუთი თითი“ მოგვითხრობს თურქეთში ბრიტანეთის ელჩის კამერდინერზე, რომელიც ნაცისტურ გერმანიას ემსახურებოდა (მეორე მსოფლიო ომის წლებში). ფილმში „კაცი, რომელიც არ არსებობს“ გადმოცემულია დეზინფორმაციის ბრწყინვალე ოპერაცია, მოკავშირეთა დაზვერვამ რომ განახორციელა 1943 წელს. ფილმში „რკინის ფარდა“ აღწერილია კანადაში საბჭოთა საელჩოს მშვიფრავ გუძენკოს თავგადასავალი, რომელიც 1946 წელს გადავიდა დასავლეთის მხარეზე და დაეხმარა ამერიკელებს „ატომურ ჯაშუშთა“ გამომჟღავნების საქმეში.

შპონაჟის პრობლემისადმი სერიოზული მიდგომით გამოირჩევა 1965 წელს გადაღებული ფილმი „ჯაშუში, რომელიც მოვიდა სიცივიდან“ (ამ შემთხვევაში „სიცივე“ ნიშნავს მძიმე ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, რომელშიც უნევს მოქმედება მტრის ტერიტორიაზე მყოფ ჯაშუშს. ეს ტერმინი დაამკვიდრა საჯაშუშო რომანის სახელმძღვანელომ ოსტატმა ჯონ ლე კარემ და ზემოხსენებული ფილმიც მისი წიგნის მიხედვით შეიქმნა).

ამ ფილმში რიჩარდ ბარტონი თამაშობდა გაქნილი ბრიტანელი აგენტის როლს, რომელიც თავს ასაღებს სამსახურიდან დათხოვილ და ამით უზომოდ შეურაცხყოფილ მხვერავად. იგი გადადის აღმოსავლეთ გერმანიაში იმ მიზნით, რომ მოკლას „წითელი“ დაზვერვის შეფი.

დასავლურ სამყაროში გასაოცარი პოპულარობა მოიხვეჭა ფილმებმა ჯეიმს ბონდზე, რომლებშიც ფანტასტიკა სძლევს რეალობის უკანასკნელ ნაშთებს. ჯეიმს ბონდის „მშობლის“ – ინგლისელი მწერლის იან ფლემინგის თაყვანისმცემელი ძლივძლივობით ცნობდნენ მისი რომანებიდან ნაცნობ და საყვარელ სუპერაგენტს კინოთეატრის ეკრანზე.

პარიზის აუქციონ დრუოზე გაიყიდა საფრანგეთის უმსხვილესი და უძვირფასესი ბიბლიოთეკა. 93 წლის პარიზელი ანტიკვარი პიერ ბერეზი ამ ბიბლიოთეკას თითქმის 80 წელიწადს ქმნიდა.

მის კოლექციაში ინახებოდა სტენდალის „პარმის სავანის“ ხელნაწერი, პაბლო პიკასოს ავტოგრაფები და სამახსოვრო წარწერები, გუსტავ ფლობერის მიერ აღექსანდრე დიუმასათვის ნა-

ჩუქარი „მადამ ბოვარის“ პირველი გამოცემა.

შემგროვებლობის ათწლეულთა განმავლობაში ბერეზმა რარიტეტთა ძებნაში მთელი საფრანგეთი მოიარა, წიგნებს სოფლის მიტოვებულ სახლებში და ძველ სასახლეთა მფლობელებთან პოულობდა. ამ კოლექციის გაყიდვამ პარიზელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო.

ბიბლიოთეკა 12 მლნ. ევროდ გაიყიდა.